N53 (499) 31/XII/2009-6/I-2010 ფასი 1 ლარი

1168
2009

გზა

ბოტიეს ქართული სახე — 15 წლის ანანო

„მინისტრმა სიურპრიზი მომიძღვნა“

ვინ დატოვა ვაჟა მანია უსაჩუქროდ

„აქამდე ასე არასდროს მოვქცეულვარ“...

„პირველობა ორივეს გვინდა“

ახალი წლიდან ვანო ჯავახიშვილის შოუს ვანო მერაბიშვილი წაიყვანს

კონსტანტინე გამსახურდია — 2009 წლის „გზის“ მიერ გამოვლენილი ერუდიტი

„ახალი წლის ღამეს მორიგეობასთან მივდივართ“

ISSN 1987 - 5029

გილოცავთ 2010 წელს!

საფუძველსო საახალწლო საჩუქარი პატარებს!

ახალი

იყიდება წიგნის მაღაზიებში

თოვლის ბაბუს ერთი, ყველაზე ლამაზი და სანუკვარი - ახალი წლის ღამის ამბავი. ეს წიგნი თოვლის ბაბუს უამრავ საიდუმლოს ახდის ფარდას და ბავშვების უამრავ შეკითხვას პასუხი გაეცემა. წიგნი სავსეა თვალისმომჭრელი ილუსტრაციებით და სიურპრიზებით.

ფასი: 19.99

გამომცემლობა
პალიტრა

№53 (499)
31 დეკემბერი, 2009
— 6 იანვარი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
ბოლოკი პირში და ფეხები...
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ნატვრა 7
წერილები „თოვლის ბაბუას“
■ ტურიზმი 12
ტურიზმი და ექსტრემალები თოვლიან ტრასაზე
■ პოლიტიკა 13
■ კონფლიქტის ზონა 16
■ ტანდემი 19
„პირველობა ორივეს გვინდა“...
■ საახალწლო ოცნება 21
ვარდისფერი ნაძვის ხე და პამპერსიანი ბარბი...
■ სამზადისი 24
ოჯახურ ტრადიციებსა და „სამსახურის“ ტრადიციებს“ შორის
■ წარმატება 26
15 წლის გოტიეს ქართული სახე
■ ვარსკვლავები 29
■ საახალწლო სევდა 32
■ სიტუაცია 33
„მხატვარი“ ტარაკნები და დაბალხელფასიანი ქმრები
■ კრიმინალური კურიოზები 37
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 39
■ მოდა 41
■ პროფესია 43
ბადრიჯნის პინგვინი, ბანანის იხვი და გოგრის ვეფხვი...

ქვეყანა

წერილები „თოვლის ბაბუას“

„ჩემო კარგო თოვლის ბაბუა, გიგზავნი წერილს და ძალიან გთხოვ, რაც ამ წერილში ეწერება, ყველაფერი ამისრულო“...

6

სახე

„იურმალის“ 2009 წლის გრან-პრის მფლობელი

საერთაშორისო საესტრადო კონკურსი — „იურმალა“ ბავშვთა შორის, მოსკოვში წინასაახალწლოდ გაიმართა. ათი ქვეყნის თვრამეტი წარმომადგენლიდან, ჟიურიმ საუკეთესოდ ანანო დაასახელა.

19

ცხოვრება

კურიოზები სასამართლო პრაქტიკიდან

ქალბატონ ციცინო ცხვედიანს მართლაც საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. საადვოკატო პრაქტიკიდან მხიარული ეპიზოდების გახსენება ვთხოვეთ და საინტერესო ამბები ღიმილით გაიხსენა.

31

„საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებაზე უნდა იზრუნო“

„მითხარით, რა უნდა მოვიმოქმედო, რომ ციხიდან დროზე ადრე გამოვიდე? მე ხომ ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არა, ერთი ულამაზესი გოგონას სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ვითხოვ...“

83

■ ოსტატი 45
მადლიანი საქმე და ხატმწერის სულიერი აღმაფრენა
■ ანტიდეპრესანტი 46
■ ინტერიერი 46
■ დღესასწაული 48
■ ეს სამყაროა 50
■ საკითხავი ქალებისათვის 52
■ ჯანმრთელობა 54
■ ამპლუა 57
წერით „გაფუჭებული“ თოვლის ბაბუა
■ გასტროლიორი 59
„პარლამენტის წინ სეირნობას სხვა მუღამი აქვს“...
■ შთამომავლობა 60
■ თაობა 63
ახალი სახე — „2009 წლის საუკეთესო ბრალმდებელი“
■ თინეიჯერული პონტები 64
■ წვეთი პოეზია 67
■ გულახდილი დღიური 68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
■ დოკუმენტური პროზა (გაგრძელება) 71
■ ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
■ რომანი 76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)
■ რეალური 80
■ გზავნილები 83
■ ყველა ერთისათვის 88
■ მობილი-ზაცია 92
■ მოზაიკა 95
■ ერუდიტი 97
„წლის ერუდიტი“ და „ანტიერუდიტი“
■ გასართობი 100
■ ასტროლოგია 102
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ბადრიჯნის პინგვინი, ბანანის ხვი და გოგრის ვეფხვი

„სამწუხაროდ, ჩემი იქ ყოფნა ახალ წელს არ დაემთხვა და შესაბამისად, მათი ტრადიციების შესახებ არაფერი ვიცი. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს პიცა, სპაგეტი „პასკა“...

41

ადამიანი

„პარლამენტის წინ ვირით სეირნობას სხვა მუღამი აქვს“...

„სწორედ გუშინ, 55 წლის ქალბატონმა მოიწადინა გასეირნება, ფაეტონის დაძვრისთანავე ისე შეშინდა, რომ გაჩერება აღარ დამაცადა, ჩამოსვლა უნდოდა და ჩამოვარდა“.

57

ბიბლუსი

შეხვედრები სტალინთან

— 40-ოდე წუთი მჭირდება, მდგომარეობაში კარგად რომ გავერკვე. — კეთილი. 40 წუთში მომახსენეთ, — მიუგო სტალინმა.
ჟუკოვი, ტიმოშენკო და ვატუტინი გვერდით ოთახში გავიდნენ. მათ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებას მიჰყვეს ხელი.

67

ტაიმ-აუტი

როდის დგება ახალი წელი

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ვეფხვის წელი 2010 წლის 14 თებერვალს დადგება. 1-ელ იანვარს ახალი წლის აღნიშვნა 1700 წლიდან დავიწყეთ, მანამდე კი ახალ წელს 1-ელ სექტემბერს ეგებებოდნენ.

97

ბოლოკი პირში და ფეხები...

შესავლის ნაცვლად აჰა, ესეც ეს წელიიი... იყო და არა იყო რა, იყო ერთი 2009 წელი და, როგორც იქნა, ჯანდაბაში წავიდა... და დაგვტოვა ახალი წლის იმედად, რომელმაც 2009-ში ვერახდენილი ოცნებები უნდა აუხდინოს ამ ქვეყანას... იმედი კი, იმედი იმდენი გვაქვს (ხელისუფლებისაც და ოპოზიციისაც), რომ ჩვენ კი არა, ხუთ ქვეყანას ეყოფა ხუთ წელიწადს!

რომელი ჟურნალი და გაზეთიც უნდა გადაშალო, ყველაში გასული წლის შეჯამება-ანალიზია დაბეჭდილი და ამიტომ აღარ განვმეორდები — გაგიკვირდებათ და, ისევ ბოლო კვირის ამბებით შემოვიფარგლები, თქვენის ნებართვით...

პირველ რიგში, თბილისელ პენსიონერებს უნდა მივულოცო მერის არჩევნების დანიშვნა: დედა, მამა, გილოცავთ! 10 ლარი პენსიაზე, ორივეს ერთად — 20 ლარი! ვენაცვალე ჩვენს მერს!!!

ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს: ბიცოლა მყავს ჩოხატაურში და მამიდა ბათუმში — იქნებ იქაც... არჩევნები... ჰა?.. აბა, თქვენ იცით! ისე, უგულავამ თქვა, თბილისელებისთვის იმიტომ მოვითხოვე პენსიების გაზრდა, რომ მათ პროვინციელებზე მეტად უჭირთო (ოღონდ ეს 3 თვის წინ რატომ არ იცოდა, არ უთქვამს)! იმედია, მთავრობა მოახერხებს და სხვაგანაც „გაუჭირდებათ“ (ბრჭყალები — რატომ, კაცმა რომ თქვას?) პენსიონერებს...

წესით, „პარიტეტის“ დასაცავად, ახლა ოპოზიციას უნდა „მივდგე“, მაგრამ ნოღაიდელი ვინ არის, ვერ გავიგე. მგონი, ეგ არის ოპოზიციის ოპოზიცია, რომელმაც, ჩვენ რომ ოპოზიცია გვეგონა, იმ ხალხის დიდი ნაწილის ნელ-ნელა გადაბირება დაიწყო! აუფ, რა გასაგებად ვთქვი! ისე, რა არის გაუგებარი — რომ მეგონა, აეროპორტში სოდ-ი და კუდ-ი დახვდებიან-მეთქი, დავითაშვილი და ძიძიგური დახვდნენ! თვით „ფაქტობრივმა პრეზიდენტმა“ გაჩეჩილაძემ კი — ძალიანაც კარგი ქნა, პუტინს რომ შეხვდა, მეც ასე მოვიქცეოდი, სააკაშვილს შევხვდი და პუტინმა რა დააშავაო?! რა დააშავაო!!! რა დააშავაო!!! ის აღარ უთქვამს, რაც გულში გაიფიქრა: ახლა ჩემი რიგი იყო და ურიგოდ გაძვრა ეგ „ასეთ-ისეთიო“ (ხომ იცით, ამ „ასეთ-ისეთის“ ადგილას საჭირო სიტყვების ჩასმა მაგას არ უჭირს)...

ამასობაში, მიშა-უფროსი აჭარაში ჩავიდა და იქაურ გლეხს მანდარინის დაკრეფა-დატვირთვაში მიეხმარა (ჩემს ბავშვობაშიც იყო ასეთი სურათი რუსულის კაბინეტში: „ლენინი შაბათობაზე“, „ბელადი“ რომ ვითომ მორს მიათრევს) და ისე როგორ წამოვიდოდა — ბოლოს ახალი „სიბრძნე“ აღმოთქვა: გაისად მოსავალი უნდა გავახუთმაგოთ, იმიტომ, რომ დსთ-ის ბაზარი ჩვენთვის უკვე ღიაა! გავახუთმაგოთო... უცნაური ბიჭია...

მოსკოვში კი საქართველოსთან საახალწლო ჩარტერული ავიარეისების დანიშვნა-არდანიშვნაზე მსჯელობდნენ და ბოლოს თქვეს, მართლმადიდებელი ხალხები ვართ, ახალი წელი რა საზეიმოა, შობიდან ძველით ახალ წლამდე ვიფრინოთ ერთმანეთთან და ვისიყვარულოთო... არადა, დაიღალნენ ნოღაიდელი და ბურჯანაძე — „ჩერეზ მინსკ“ და „ჩერეზ ერევან“ ფრენით...

ერევანზე გამახსენდა: გუშინ დილას ისეთი გახარებული ვიყავი — ღმერთმა ერთი მეზობელი მაინც გვარგუნა, რომელიც წაგლეჯაზე არ არის გადასული და ჩვენ უთავობით რაც ვაჩუქეთ, იმას სჯერდება-მეთქი. „აზერბაიჯანი გულგრილად ვერ შეხედავს სომხურ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ!“ — აბა, არ გამიხარდებოდა, როცა ასეთ სათაურს წავაწყდი ერთ რუსულენოვან (მაგრამ არარუსულ) საიტზე? რამდენიმე წონიანი აზერბაიჯანელი მოღვაწე წერს, სომხები უსინდისოდ მოითხოვენ საქართველოსთან საზღვრის მდინარე ხრამამდე ატანასო! აი, ნამდვილი „დოსტები“! როგორ შესტკივათ ჩვენზე გული, ყარაბაღიც კი დაავიწყდათ! ზუსტად ორი წუთი მიხაროდა, სანამ არ წავიკითხე: „ეს ისტორიული თურქეთის ტერიტორიაა, რომელზეც მათ აზერბაიჯანის სახანო შექმნეს და იქ ჯერ კიდევ არის 30 ადგილობრივი(!) აზერბაიჯანელების და 2 გადმოსახლებული სომხების სოფელი“... ესეც ჩვენი „დოსტებიიი“...

არა უშავს, მიშამ, იმის გარდა, რაც მანდარინის ბაღში თქვა, კიდევ სხვა რამეც გვითხრა: ეს წელი რომ ვეფხვის წელია, ის ვეფხვი საქართველოა და მასზე მონადირეს კარგად ვიცნობ, ამიტომ წელს გადამწყვეტი ნახტომის წელი იქნებაო! ის მონადირე ვერაფერსაც ვერ მოგვჭამსო!..

შენ გაიხარე! ოღონდ ჯერ კარგად დაათვალიერე იქაურობა, გაიხედე და ისე გადაგვახტუნე, შარშანდელივით, იმ კახელის არ იყოს, „უალაგო ალაგას რამეზე არ დაგვახტუნო...“

P.S. საერთოდ, პატარობიდანვე ძალიან ემოციური და შთაბეჭდილებიანი ბავშვი ვიყავი და ჯერ კიდევ იმ დროიდან გამომყვა ეს ასოციაცია (იმ დროიდან, თორემ ახლა საიდან, ყოველ ახალ წელს გოჭი და ინდაური?..): თუ კარგ ხასიათზე ვხვდებოდი ახალ წელს, „გაღიმებული“ და პირშიწითელბოლოკგაჩრილი შემწვარი გოჭით მამახსოვრდებოდა ის დღეები კარგა ხანს; ხოლო თუ ჩემი ბავშვური პრობლემების გადაწყვეტას ვერ ვასწრებდი, მაშინ უმი, უშნო, თავწაჭრილი და ტრ...ში თავისივე ფეხებშეტენილი ინდაური წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ, თანაც საცივი არ მიყვარდა...

მოკლედ, „მძიმე“ ბავშვობა მქონდა, მაგრამ ის „საზიზღარი“ ინდაური სანატრელი გამიხდა — მთელი ქვეყანა დაკლულ ინდაურს ვგავართ და პირში გაჩრილი ბოლოკი და ერთ ადგილას ფეხებიც, სულ არ გვიხდება...

პროვოკატორი

თოვლის ბაბუა და სანტა-კლაუსი ახალ წელს ერთად მოგვილოცავენ

ხვალ საქართველოში ლაპლანდიელი სანტა-კლაუსი, გნომების თანხლებით ჩამოვა. როგორც თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ნეკა სებისკვერაძემ განაცხადა, ქართველი თოვლის ბაბუა თბილისში უკვე ჩამოვიდა. ის თავისი მარხილით მთაწმინდის პარკში მივიდა და მისთვის განკუთვნილ სახლში დაბინავდა. ლაპლანდიელი სანტა კი ახალი წლის დადგომას 31 დეკემბერს, თავისუფლების მოედანზე გამართული გალა კონცერტიდან მოგვილოცავს, შემდეგ მთაწმინდის პარკში ქართველ თოვლის ბაბუას ესტუმრება და პატარებისთვის საჩუქრების გადაცემაში დაეხმარება. სანტა საქართველოში 7 იანვრამდე დარჩება და დევნილ, მიუსაფარ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს მოინახულებს. ■

გერმანიაში შოკოლადის სანტა-კლაუსი დაამზადეს

გერმანიის ქალაქ ჰორნოვში საკონდიტრომ — Felicitas — სუფთა შოკოლადისგან ყველაზე დიდი სანტა-კლაუსი დაამზადა, ის 1 მეტრი სიმაღლისაა და 10 კგ-ს იწონის. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე ხელმომჭირნე გერმანელები ფულის ხარჯვას წელს განსაკუთრებით ერიდებიან, 180 ევროდ ღირებული შოკოლადის ქანდაკება დიდი პოპულარობით სარგებლობს და სხვა ტკბილეულს გაყიდვებით ბევრად უსწრებს. ■

ყველაზე დიდი და ყველაზე ძვირად ღირებული ნაძვის ხეები

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ნაძვის ხე სინგაპურში, იუველირების დახმარებით შეიქმნა. უნიკალური ხის მოსართავად გამოიყენეს 21798 ბრილიანტი, რომელთა საერთო წონა 913 კარატია. კომპლექტში შედის 3763 ბროლის ნემსი და 456 ნათურა. ხის სიმაღლე 6 მეტრია და 3215 კგ-ს იწონის. წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური ნაძვის ხე მექსიკის დედაქალაქში დაიდგა. მისი სიმაღლე 112 მეტრია, დიამეტრი — 40 მეტრი, ხოლო წონა — 330 ტონა. მის მოსართავად 8 მილიონი ნათურა გამოიყენეს. ■

შვედური საშობაო თხა ვანდალებს ვერც ამჯერად გადაურჩა

უზარმაზარი ჩალის თხა, რომელიც სკანდინავიაში შობის სიმბოლოდ მიიჩნევა და რომელსაც ყოველ წელს, სტოკჰოლმიდან ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ჰავლენში დგამენ, კიდევ ერთხელ დაწვეს. პირველად ხის კარკასზე აგებული 13-მეტრიანი კონსტრუქცია ქალაქის მთავარ მოედანზე 1966 წელს გამოჩნდა და მას შემდეგ ის 24-ჯერ დაწვეს. ქალაქის სამმართველოს წარმომადგენლის, ანა ოსტმანის თქმით, ინციდენტს პოლიცია ვანდალიზმად მიიჩნევს. „ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ თხას შობამდე და ახალ წლამდე, ამჯერად მაინც არ ახლებდნენ ხელს“, — განაცხადა მან. ■

ამერიკელ სანტას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა უთვალთვალებს

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ აშშ-სა და კანადის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გაერთიანებული სარდლობა სანტა-კლაუსის გადაადგილებას უკვე 50 წელია, აკვირდება. ეს ისტორია 1955 წელს დაიწყო, როდესაც კოლორადოს შტატის ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში შეცდომით, სანტა-კლაუსის „ცხელი ხაზის“ ტელეფონის ნაცვლად, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კონტინენტური სარდლობის ტელეფონი გამოაქვეყნეს. აშშ-ის ხელისუფლებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმების საფუძველზე და თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების წყალობით, წელს სანტას თვალთვალის საშუალება ამერიკელ ბავშვებსაც მიეცათ. Twitter-ის, Facebook-ის, Google Maps-ის და Google Ears-ის ელექტრონული რუკების საშუალებით, შობა დღეს ბავშვები დაუბრკოლებლად აკვირდებოდნენ სანტას ყოველ ნაბიჯს. ■

ქვეყანა

წერილები „თოვლის ბაბუას“

„ეს მისდამი გაგზავნილი ჩემი პირველი წერილია...“

„გამარჯობა. მე თამუნა ვარ, „გზის“ ჟურნალისტი. თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნ წერილებს ვაგროვებ და თქვენთანაც აუცილებლად გამოვივლი“, — ამ წინადადებით ცნობილ ადამიანებს მივმართე. მათი პირველი რეაქცია სიცილი იყო, მაგრამ უარი არავის უთქვამს...

თამუნა კვინიკაძე



ვანო ჯავახიშვილი:

— თოვლის ბაბუის არსებობის ბავშვობაში უფრო მჯეროდა. ახალი წლის ღამეს ის უსაჩუქროდ არ მტოვებდა — ჩემი ბალიშის ქვეშ რაღაცას ჩუმად დებდა და სახლიდან ისე იპარებოდა, ვერც ვიგებდი. მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე, ეს კაცი დამეკარგა. არადა, რომ იცოდე, როგორ მენატრება... ერთი პერიოდი ვეძებე, ვეძებე, მაგრამ მის გზასა და კვალს ვერ მივაგენი. ე.ი. შენ იცი, სადაც არის?

— რა თქმა უნდა, ვიცი! ისიც ვიცი, შენთან რატომ არ მოდიოდა. ცუდად ხომ არ იქცევი?..

— არა!

— მაშინ, წერილს აღარ სწერ...

— მართალი ხარ, რამდენი ხანია, მისთვის აღარაფერი მიმიწერია. იმდენი კი ველარ მოვიფიქრე, რომ წერილის გარეშე არ მოვიდოდა. აი, ახლავე, სასწრაფოდ დავწერ და გაგატან.

„ჩემო კარგო თოვლის ბაბუა, გიგზავნი წერილს და ძალიან გთხოვ, რაც ამ წერილში ეწერება, ყველაფერი ამისრულო. მაშ ასე, დავიწყებ. მინდა, მაჩუქო ბოლო მოდელის ავტომობილი, ნებისმიერი მარკის, თუ რა თქმა უნდა, შენს ხურჯინში ჩაეტევა. კიდევ მინდა, მაჩუქო რამე სათამაშო, თორემ დავიღალე მობილურზე თამაშით. აგრეთვე მინდა, შემოიტანო ჩვენს ქვეყანაში სიუხვე, ბედნიერება და იმდენი სიმდიდრე, რომ მომავალ წელს პირიქით, ჩვენ გამოგიგზავნოთ საჩუქრები. პატივისცემით, ვანო ჯავახიშვილი“.

— ვანო, შენ რომ თოვლის ბაბუა იყო, პრეზიდენტს რას აჩუქებდი?

— ყველაფერ კარგს და ძვირფასს ვაჩუქებდი (*იცინის*).

— უფრო კონკრეტულად?

— მზის სათვალეს ვაჩუქებდი.

— რატომ? მისი სათვალის დიზაინი არ მოგწონს თუ ფიქრობ, რომ იქიდან ბევრი რამ სხვაგვარად ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია?

— მისი სათვალე ისე ირეკლავს, ტელევიზიით რომ ვუყურებ, იმ ოპერატორებს ვხედავ, რომლებიც მას იღებენ. დააკვირდი და შენც დაინახავ. კიდევ, „დუტი კურტკას“ ვაჩუქებდი, რომელიც აცვია, ძალიან გაფუებულია და არ მომწონს, მე უფრო სადას შევურჩევდი. კიდევ, რომელიმე ძვირფას თანამედროვე ავტომობილს ვაჩუქებდი, თავისი კი მე მაჩუქოს, ვივლიდი, არა უშავს...

— კიდევ, სხვა რომელ პოლიტიკოსს დაასაჩუქრებდი?

— ვანო მერაბიშვილს. მან თავადაც დიდი საჩუქარი გაგვიკეთა — პირველ იანვარს „ვანო ჯავახიშვილის შოუს“ ვანო მერაბიშვილი წაიყვანს.

— მინისტრი როგორი წამყვანია?

— ნიჭიერი, ტექსტი ადვილად დაიმახსოვრა. საჩუქარი ჩვენც გავუკეთეთ, მაგრამ რა, ამას ახლა ვერ გეტყვი, გადაცემის ინტრიგად დავტოვებ.

„ლეიბორისტი“ ***სოსო შატბერაშვილის*** *ოჯახი ახალ 2010 წელს ახალი ნაძვის ხით ეგებება. ბატონ სოსოს პარტიის ოფისში ვეწვიე და ვიდრე თოვლის ბაბუისთვის წერილს*

შპს „ბოლნისი აგროტექნიკსი“

GEO-IT

იყიდება სოფლის მეურნეობის ტექნიკა

ვიღებთ შეკვეთებს

მის: ბოლნისი, აღმაშენებლის 15

☎ 899-53-20-06; 891-33-77-03

www.bolnisagro.ge

e-mail: info@bolnisagro.ge



დავაწერინებდი, ცოტა რამ მისი ოჯახის საახალწლო ტრადიციაზეც ვკითხე.

— **ბატონო სოსო, ახალ ნაძვის ხეში რამდენი გადაიხადეთ?**

— 100 ლარი. ჩვენ ყოველთვის ხელოვნურ ნაძვის ხეს ვრთავთ, ცოცხალი ნაძვის მოჭრა არასწორად მიმაჩნია. ოჯახის წევრებთან ერთად, ნაძვის ხეს 25 დეკემბერს ვრთავ და 15 იანვარს ვიღებ. საახალწლო სუფრაზე ყოველთვის გვაქვს გოზინაყი, ჩურჩხელა, გოჭის ხორცი. წელს ჩემი ქალიშვილი გათხოვდა და ალბათ, მეკვლედ მეუღლესთან ერთად მოვა.

— **გილოცავთ! საინტერესოა, მეკვლედ თავად თუ გეპატიჟებიან ხოლმე?**

— ბავშვობაში მეკვლედ ხშირად დავდიოდი, მაგრამ შემდეგ, შევშინდი...

— **რატომ?**

— ერთხელ შუა ზაფხულში მეზობელი გარდაგვეცვალა და...

— **არ მითხრათ, მეკვლე მე ვიყავიო.**

— (*იცინის*) არა, არა, მე არ ვყოფილვარ, ცუდი ფეხი არ მაქვს. მახსოვს, როცა მეზობლები პანაშვიდზე მივედით, მეუღლემ დაატირა, — ვინ იყო წელს ჩვენი მეკვლე, ოჯახში ცუდი ფეხით ვინ შემოვიდაო?!. იმ პაპანაქება ზაფხულში მეკვლე რამ გაახსენა, არ ვიცი.

— **ბატონო სოსო, ხომ იცით, დღეს თქვენთან რატომ მოვედი?**

— (*მაწყვეტინებს*) როგორ არა, სატელეფონო საუბრისას რომ მითხარით, თოვლის ბაბუისთვის წერილი უნდა დაგაწერინოთო, ძალიან ვიხალისე. სანტა-კლაუსი რომ გეთქვათ, გავბრაზდებოდი და ალბათ, არც შეგხვდებოდით. ჩვენს ტრადიციულ თოვლის ბაბუასთან კი აი, ასეთი შინაარსის წერილს გაგატან:

„ძვირფასო თოვლის ბაბუა!

ბოლო წლებში შენ უკვე აღარ მოგიხმობენ საქართველოში. ზოგიერთმა შენ სანტა-კლაუსით შეგცვალა. თუმცა ჭეშმარიტი ქართველებისთვის შენ ისევ რჩები დიდი სიხარულის მომტანად და ახალი წლის სიმბოლოდ. 2010 წელს შენ კვლავ მოგვიტან დიდ სიხარულს, ბედნიერებას, გამრავლებას და უამრავ სიკეთეს. ასე რომ, გელით! გელით! გელით! სოსო შატბერაშვილი“.

— **ბატონო სოსო, თავად რომ იყოთ თოვლის ბაბუა, ჩვენს პრეზიდენტს რას აჩუქებდით?**

— (*ჩაფიქრდა*) თვითმფრინავის ბილეთს, რომლითაც აშშ-ში, ტეხასის შტატში გადაფრინდებოდა. ბუშმა საკუთარ კერძო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ხომ მიიწვია?! ჰოდა, წავიდეს საქართველოდან და იქ იკითხოს ლექციები დემოკრატიაზე. თავისუფალ დროს ეგ და ბუში სამოვარს შემოუსხდნენ და ხელოვნებაზე ისაუბრონ. ოღონდ საკაკაშვილს საქართველოდან ფიროსმანის ტილოებს ვერ გავატანთ.

— **შალვა ნათელაშვილს რას აჩუქებდით?**

— რომ გითხრათ, ხალხის სიყვარულს ვაჩუქებდი-მეთქი, ეს ისედაც აქვს (*პაუზის შემდეგ*) ბატონ შალვას რუსეთში, ნიკარაგუასა და ვენესუელაში დაბეჭდილ საქართველოს რუკას ვაჩუქებდი და დაკარგული ტერიტორიების შემოერთების შესაძლებლობას მივცემდი.

— **მეგონა, მას პრეზიდენტობას აჩუქებდით.**

— მხოლოდ პრეზიდენტობის ჩუქება ძალიან ცოტაა. როცა ვამბობ, ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობას მივცემდი-მეთქი, ეს არა მხოლოდ მის გაპრეზიდენტებას და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლას ნიშნავს, არამედ იმ პოლიტიკის გატარებასაც, რომელიც საქართველოს გააძლიერებს.

როცა „კონსერვატორ“ **ზვიად ძიძიგურს** *დავუკავშირდი და თოვლის ბაბუისთვის წერილის დაწერა შევთავაზე, მიპასუხა:*

— რას ამბობ, თოვლის ბაბუას მე რა წერილი უნდა მივწერო (*იცინის*)?!

— **რაც გნებავთ, ის მისწერეთ. შეგიძლიათ, ქალაქის მერობაც სთხოვოთ.**

— არა, ამ ამბავში თოვლის ბაბუის იმედზე ვერ ვიქნები. თუ გნებავთ, ჩემთან ოფისში მობრძანდით და თოვლის ბაბუასთან ჩემი ბიჭების დაწერილ წერილს გაგატანთ.

„კონსვერვატორების“ ოფისში მისვლის შემდეგ კი ჩვენი დიალოგი ასე გაგრძელდა:

— **ბატონო ზვიად, თქვენს ბიჭებს თოვლის ბაბუის შესახებ რას ეუბნებით?**

— მათ თოვლის ბაბუის არსებობის სჯერათ. არ მინდა, ბავშვური ლამაზი სამყარო დავუნგრიო, ამიტომ ვეუბნები, რომ თოვლის ბაბუა ქართველი კაცია, რომელ ბავშვსაც სახლში ბუხარი აქვს და თან, კარგად იქცევა, ახალი წლის ღამეს მასთან მიდის და ისეთი საჩუქრები მიაქვს, რომელიც მას ყველაზე მეტად გაუხარდება. რამდენიმე დღის წინ თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნი წერილი დედას დააწერინეს. ეს რომ გავიგე, გავაფრთხილე: ასეთ წერილს არ მიიღებს. თქვენ თვითონ თუ არ დაწერთ, ისე საჩუქრებსაც არ მოგიტანთ-მეთქი. მეორე დღეს სახლში მისულს ასეთი შინაარსის წერილი დამახვედრეს:







„ძვირფასო თოვლის ბაბუა!

წერილს გწერთ გიორგი, დემნა, სანდრო და ვაჩე ძიძიგურები. ძალიან მოგვენატრეთ. რა ხანია, გელით, ერთი

სული გვაქვს, როდის მივიღებთ შენგან საჩუქრებს. ცუდია, ჩვენ რომ არ შეგვიძლია საჩუქრების გაკეთება შენთვის. სამაგიეროდ გპირდებით, კარგად ვისწავლით და უფროსებს დავუჯერებთ. ახლა გაგიმხელთ ჩვენი საჩუქრების სურვილებს.

1. ინგლისური კომპიუტერი (გიორგი);

2. ხმალი, სათამაშო მანქანა, სათამაშო დანა (დემნა);

3. პულტიანი მანქანა, ხმალი, დანა, ზურგჩანთა, ბუშტი (სანდრო);

4. რაიმე ჩვენი პატარა ძამიკო ვაჩესათვის.

დიდი სიყვარულით, ძიძიგურები".

ზვიადი:

— ახლა ვიცი, თოვლის ბაბუის ფინანსური მხარდაჭერა 70 ლარამდე მაინც დამიჯდება. რომ იცოდეთ, ახალი წლის დილის გათენებას როგორ ელიან, დღეებს თითებზე ითვლიან და იმ დღეს ყოველთვის გათენებამდე იღვიძებენ, დილაადრიანად.

— **ბატონო ზვიად, თავად რომ იყოთ თოვლის ბაბუა, პრეზიდენტს რას აჩუქებდით?**

— დიდ კალამს ვაჩუქებდი, რომლითაც დაწერდა განცხადებას გადადგომის თაობაზე. მეტს — არაფერს, მაგას კიდევ საჩუქრები უნდა?!

— **ოჯახი ახალ წელს როგორ ხვდებით?**

— მე „კონსერვატორი" ვარ — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ახლა ოჯახში ვმარხულობთ. ახალი წლის ღამეს მეგობრებთან ერთად, პატრიარქს ვხვდები, ერთმანეთს ვულოცავთ და შემდეგ მივდივარ ქოზიფას მამათა მონასტერში (ქარელის რაიონი), რომელიც უღრან ტყეში მდებარეობს და შობის დღესასწაულს მამებთან ერთად ვხვდები. იმ დღეს ვბრუნდები თბილისში და ოჯახში ვაწყობ ჩოხოსანი მეგობრების შეკრებას. 10-12 ჩოხოსანი სუფრას მივუსხდებით და ქრისტეს დაბადებას და ახალ წელსაც ერთად აღვნიშნავთ.



— **ახლა კი დროა, თოვლის ბაბუასთან გასაგზავნი წერილი დაწეროთ.**

— არ მეშვებით, ხომ? კარგი, მე ამ კეთილ კაცთან შემდეგი შინაარსის წერილს გაგატანთ:

„ვთხოვთ თოვლის პაპას, თავისი გუდით ლაპლანდიაში წაიღოს შური, გაუტანლობა, სიძულვილი, ქართველებს შორის სიხარბე, ამპარტავნობა და ეს ყველაფერი გაყინოს ჩვენგან შორს. სიყვარულით, ზვიად ძიძიგური".

თოვლის ბაბუისთვის წერილის მიწერა არც მსახიობმა ***სოსო ჯაჭვლიანმა*** *დაიზარა.*

„თოვლის ბაბუას!

ძალიან გთხოვ, მაპოვნინო „ნატვრის ხე..." და წესიერად მოვიქცევი... გაიგეე... სოსო ჯაჭვლიანი".

— **სოსო, ნატვრის ხეს რა უნდა სთხოვო?**

— ძალიან ბევრი რამ, პირველ რიგში კი ნატვრის ხესთან მივალ და მთელი ხმით ვიყვირებ: — „გვიშვე-ლეეე!!!"



პოლიტოლოგი ***რამაზ საყვარელიძე*** *ჩემმა წინადადებამ ძალიან გაახალისა. თოვლის ბაბუის წერილის გარდა, ყველაფერი დამიწერიაო, — მითხრა, შემდეგ კი ფურცელი და კალამი მოიმარჯვა.*

„თოვლის ბაბუა!

ყველას, საქართველოში მცხოვრებს მოუტანე იმდენი საჩუქარი, რომ ადამიანები აღარ გამოვიდნენ ქუჩაში სამათხოვროდ, რომ აღარ წავიდნენ სხვა ქვეყანაში ბედის საძიებლად. ჩვენმა თანამემამულე აფხაზებმა და ოსებმა გაიხსენონ სიკეთე და სიყვარული, რომლითაც ადრე გვიცხოვრია და მომავალშიც ვიცხოვრებთ. რამაზ საყვარელიძე".

— გამოგიტყდებით და, ამ ასაკში თუ მომიწევდა თოვლის ბაბუისთვის წერილის დაწერა, მართლა არ მეგონა. ისიც იცოდეთ, რომ ეს მისდამი გაგზავნილი ჩემი პირველი წერილია. სხვა დროს (ბავშვობაშიც კი) არაფერი მიმიწერია.

— **მით უმეტეს, მაშინ თოვლის ბაბუა არ გაგაწბილებთ.**

— იქნებ, თოვლის ბაბუამ მაინც გვიშველოს?! აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი, ამ წერილს გატან და არ დაუგვიანო. დროულად მიუტანე.

■

საახალწლოდ „გაერთიანებული ტელეკომი" მსურველებს უფასოდ დაუდგამს ინტერნეტს

„გაერთიანებული ტელეკომი" თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ-8მგბ/წ. ასევე სთავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებულ ტელეკომს" ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი ჰყავს.

როგორც „გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტპროექტების განვითარების დირექტორმა **ნიკა ჭიაურელმა** განაცხადა: „გასულ წელთან შედარებით კომპანიის ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა 135%-ითაა გაზრდილი. ეს გამოწვეული იყო მისაღები და ხელმისაწვდომი ტარიფებით, ასევე რეგიონებში მიმდინარე ინტერნეტიზაციის პროცესით. უკვე 41 ქალაქს ვაწვდით ინტერნეტსერვისს, აქედან 20 წლეულს ჩაერთო. ამავე დროს დავიწყეთ კადრების გადამზადება, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უზრუნველყოფენ ინტერნეტის ინსტალირებას. ეს ქალაქებია: ზუგდიდი, საჩხერე, ოზურგეთი, მარტვილი, ლანჩხუთი, აბაშა, ნინოწმინდა, ადიგენი, ახალქალაქი, ვანი, თიანეთი, თერჯოლა, ხარაგაული, წყალტუბო, ჭიათურა, დუშეთი, ყვარელი, სიღნაღი, საგარეჯო, წნორი".

საახალწლოდ ნათხოვნი ლიპოსაქცია და თოვლის ბაბუის უცნაური მზრუნველობა

საახალწლოდ, ვიდრე თოვლის ბაბუა საჩუქრების მრავალფეროვან „მენიუს“ შეადგენდა, ყოველი შემთხვევისთვის, ხალხი გამოვკითხე და გავარკვიე — ვის რა სურდა. აღმოჩნდა, რომ ზოგი კომპიუტერს ითხოვს, ზოგი კი თოვლის ბაბუას იქით ატანს „საჩუქარს“, — „ნაცნობობის ინსტიტუტი“ წაიღე და მოგვაშორეო... მოკლედ, კეთილ ბაბუას წინ დიდი შრომა ელის.

ეთო ყორღანაშვილი

24 წლის **ლაშა გოგოლაძემ** *დაეჭვებით მითხრა, — ბუთხუზა ბაბუს თავისი გაჭირვება ეყოფა და არა მგონია, ჩემი სურვილის ასრულება შეძლოსო:*

ლაშა გოგოლაძე

— წონაში დაკლება მინდა და ჩემი საახალწლო სურვილიც ამას უკავშირდება. თოვლის ბაბუაც პუტკუნაა და აბა, ვნახოთ, რას მომიხერხებს (*იცინის*).

— **რამდენ კილოგრამს იწონი?**

— ვმალავდი, მაგრამ გეტყვი — 107 კილოგრამს... უფრო ბუთხუზა ვიყავი, მაგრამ გავხდი.

— **დიეტას იცავდი?**

— დიეტა ბევრჯერ დამიცავს. ახლა ერთ-ერთი პლასტიკური ქირურგიის კლინიკა ინტერნეტკონკურსს ატარებს და ვინც გაიმარჯვებს, ლიპოსაქციას უფასოდ გაუკეთებენ. მიღებული ხმების რაოდენობით ჯერჯერობით ჩემს გამარჯვებას ვერ ვიწინასწარმეტყველებ, მაგრამ ვნახოთ... თოვლის ბაბუა ხომ კეთილია?! ჰოდა, მისი იმედი მაქვს!

— **წონაში დაკლება გსურს, წინ კი სადღესასწაულო სუფრა გელის...**

— ჭამა ნამვილად არ მიყვარს! თან, მარხვაზე ვარ და არც სასმელს ვეკარები. სწორედ სასმლის სიყვარულმა „დამძირა“: გერმანიაში გახლდით. მოგეხსენებათ, იქაური ლუდი რა ნოყიერია. ლუდს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც მივეძალე, შედეგად კი ღიპი დამედო.

ვიგენტი ფარქოსაძე

— **წონაში დაკლების შემდეგ შენს ცხოვრებაში რა შეიცვლება?**

— იცი, რა?.. ორი — მსუქანი და გამხდარი ადამიანიდან შეიძლება, მსუქანს უფრო კეთილი გული ჰქონდეს, მაგრამ გამხდარი უფრო „კარგად ჩანს“.

— **რატომ? გავრცელებულია აზრი, რომ პუტკუნები კეთილი გულის პატრონები არიან.**

— გმადლობ (*იღიმება*). ჩემი წონის გამო, კომპლექსები ჩამომიყალიბდა. წლების წინ, ერთი გოგონა მთელი გულით მიყვარდა, მაგრამ ურთიერთობა ვეღარ განვაგრძეთ — საკუთარი თავი მე თვითონ აღარ მომწონდა!

— **იქნებ, მას ისეთი მოსწონდი, როგორიც ხარ?**

— საქმეც ისაა, რომ არ მოვწონდი (*იცინის*)...

— **ლაშა, კიდევ რა სურვილი გაქვს?**


იაკო ყვავილაშვილი

— ბავშვობიდან მსახიობობაზე ვოცნებობ. ამას წინათ, სერიალის — „შუა ქალაქში“ კასტინგში მივიღე მონაწილეობა — ეპიზოდური როლის შემსრულებელი სჭირდებოდათ. 800 კაცს შორის გავიმარჯვე და დამპირდნენ, — დაგირეკავთო. თუ დამირეკეს, ძალიან კარგი იქნება (*იცინის*).

— **ახალ წელს ჩაფიქრებული სურვილი თუ აგსრულებია?**

— სურვილი მხოლოდ ტაძარში ჩამითქვამს — უფლისთვის მითხოვია რაღაც, ღმერთი კი ყოველთვის მეხმარება, ამას ვგრძნობ...

ვიგენტი ფარქოსაძე, *სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგის მენეჯერი, 60 წლის:*

— ახალ წელს რას ვისურვებდი?.. მინდა, რომ საქართველოში „ნაცნობობის ინსტიტუტი“ აღარ არსებობდეს, ყველა თავისი პროფესიით მუშაობდეს, თანამდებობაზე ნიჭისა და უნარის მიხედვით ინიშნებოდეს. აი, მაშინ გვეყოლებიან კარგი სპეციალისტები და ქვეყანასაც ფასი ექნება!

— **„ნაცნობობის ინსტიტუტმა“ ბარიერი შეგიქმნათ?**

— კი, „ნაცნობობის ინსტიტუტი“ ნებისმიერ სამსახურში ყვავის, მათ შორის — განათლების სისტემაში. გარდაბნის რაიონში, სკოლის დირექტორობის კანდიდატებს შორის კონკურსი ჩატარდა. მეც ვმონაწილეობდი — მესამე კაცი გახლდით, მაგრამ გასაუბრებაზე არ გამიშვეს. სამაგიეროდ, „ჩაჭრილი“ კანდიდატი, რომელმაც ცოდნის მინიმალური ზღვარიც ვერ გადალახა, დღეს დირექტორია. განა ჩივილს ვაპირებ?! უბრალოდ, „ნაცნობობის ინსტიტუტი“ რომ მოქმედებს და ფულიც კარგად „ტრიალებს“, ქვეყნისთვისაა ცუდი — საქართველო უფსკრულის პირასაა მისული. იმედია, ძველი წელი ყველაფერს ცუდს თან წაიღებს. ახალ წელს გილოცავთ! ჟურნალ „გზასა“ და მთელ საქართველოს სიკეთის გზაზე სიარულს ვუსურვებ!

22 წლის **იაკო ყვავილაშვილთან** *ინტერვიუ მისი „სამამამთილოს“ — ხულიო იგლესიასის სიმღერების ფონზე ჩავწერე:*

— თოვლის ბაბუის არსებობის არასოდეს მჯეროდა, მაგრამ მის მიმართ სათხოვარი ყოველ ახალ წელს მაქვს. ადრეულ ბავშვობაში ჩემი საახალწლო სურვილები ტკბილეულსა და სათამაშოებს უკავშირდებოდა, „ყმაწვილქალობაში“ — ენრიკე იგლესიასს. ის დიდი ხანია, მიყვარს. კომპიუტერი მისი ფოტოებით სავსე მაქვს. ყველას ვათვალიერებინებ და მიხარია, როცა „ჩემი ბიჭით“ სხვა გოგონებიც აღტაცებული არიან. ალბათ, ხვდები, რომ ეჭვიანი არა ვარ (*იცინის*). ეტყობა, თოვლის ბაბუმ ჩემი სურვილი არასერიოზულად მიიჩნია, რადგან ენრიკე იგლესიასი ჩემთან არასოდეს მოუყვანია. პრინციპში, რაც უნივერსიტეტში სწავლა დავასრულე, თოვლის ბაბუას სამსახურს ვეხვეწები, მაგრამ მის

თავხედობას საზღვარი არა აქვს! ცილს ვერ დავწამებ, — ჩემს სურვილს ყურადღებასაც არ აქცევს-მეთქი, — მაგრამ ბოლო დროს სურვილების ახდენაზე უცნაურად ზრუნავს.

— **„უცნაურად ზრუნვა“ რას ნიშნავს?**

— ამას წინათ, ჰოთდოგების გამყიდველად მუშაობა „შემომთავაზა“. შარშან ახალ წელს სამსახური კი ვთხოვე, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნე, — კარგი სამსახური-მეთქი!.. არ იფიქრო, რაიმე მეთაკილება, მაგრამ ჰოთდოგების გამყიდველად მუშაობა წვალებად არ მიღირს: წარმოიდგინე, დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომო, დღის ბოლოს კი ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში (სადაც ვცხოვრობ) წავიდე. თან, ზამთარია და ადრე ღამდება. უხ, ბაბუ!.. არა, ფული ძალიან რომ მჭირდებოდეს, კი ვიმუშავებდი, მაგრამ არ შეიძლებოდა, თოვლის ბაბუას ჩემი თხოვნა „კარგი ყურით“ გაეგონა?! არა, კი ვიცი, რომ არ არსებობს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ საჩუქრის სახით, მაღალანაზღაურებად სამსახურს „მაშოვნინებს“ (*იცინის*).

ნინო კობახიძე

— **ეი. ამ ახალი წლის ღამესაც იგივე სურვილი უნდა ჩაუთქვა?**

— არა, მაგრამ მაინც იცოდეს, რომ სამსახური მჭირდება (*იცინის*). წელს გაცილებით სერიოზული სათხოვარი მაქვს: მინდა, რომ ახალი წლის დღესასწაულზე თუ არა, მოგვიანებით მაინც მომიყვანოს ჩემი ძამიკო.

— **შენი ძამიკო სად არის?**

— თავის მშობლებთან. მან ჩემი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, მე კი ყოველთვის ვიცოდი, რომ უმცროსი ძმა მყავდა. საქმე ისაა, რომ წლების წინ, ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. მე ძალიან პატარა ვიყავი. მას შემდეგ, მამასთან კონტაქტი საერთოდ არ მქონია. ჩემი ბედით არასოდეს დაინტერესებულა. ქვეყნად არაფერი იმალება. ჰოდა, მეც შევიტყვე, რომ ახლა მას სხვა ცოლ-შვილი ჰყავს. მეგობრები ხშირად ვხუმრობთ — ერთი, ჩემი ძმა უნდა მოვძებნო და გავეცნო-თქო. მერე, ხუმრობა ხუმრობაში, ამ იდეამ სერიოზული სახე მიიღო. მეგობრებმაც მირჩიეს, — და-ძმამ ერთმანეთი არ უნდა დაკარგოსო. ასაკის გარდა, ძამიკოს შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი. „ოდნოკლასნიკებით“ ყველა ყვავილაშვილის მონაცემებს გავეცანი და ერთ-ერთ ბიჭუნას, რომლის ასაკიც ჩემი ძმის წლოვანებას ემთხვეოდა, დავეკონტაქტე. ყველაფერი ფრთხილად გამოვკითხე და მივხვდი, რომ ნამდვილად, ჩემი ძმა იყო. მისთვის სიმართლის გასამხელად დიდი ძალისხმევა დამჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვუთხარი. მომწერა, — შოკში ვარ, ყველაფერს გავარკვევო... როგორც ჩანს, „გაარკვია“ და ამას წინათ მითხრა, რომ მე მისი და არა ვარ. გული ძალიან მეტკინა.

— **იქნებ, მართლა არ არის შენი ძმა, ასეთი დარწმუნებული რატომ ხარ?**

— ძალიან ბევრი დეტალი დაემთხვა: ბებია-ბაბუის სახელები, ჩვენს მამას ტყუპისცალი ძმა ჰყავს და კიდევ ბევრი რამ, არ მინდა, დავაკონკრეტო. მართალია, გასულ წლებში თოვლის ბაბუამ „გადამაგდო“, მაგრამ იმედია, წელს მაინც მოიცლის ჩემთვის. თოვლის ბაბუა იქით იყოს და, ღმერთს ვთხოვ, რომ ჩემი ძამიკო გონს მოეგოს. მინდა, დაძმური ურთიერთობა გვქონდეს.

ნინო კობახიძე, *18 წლის:*

— მეთორმეტეკლასელი ვარ. ჩემი სურვილია, რომ საფუძვლიანად სწავლის საშუალება მქონდეს, ამაში კი კომპიუტერი დამეხმარება. სასწავლო მასალის შესაგროვებლად კლასელებთან სირბილი და შემდეგ მეცადინეობა ძალიან მიჭირს. ინტერნეტით სარგებლობის უფლებას მეზობელი მაძლევს, მაგრამ ყველას თავისი საქმე აქვს და ზოგჯერ მასაც არ სცალია. სამწუხაროდ, წიგნების ყიდვის საშუალებაც არ მაქვს — ძალიან ძვირი ღირს.

— **რა პროფესიას უნდა დაეუფლო?**

— ფსიქოლოგობა მინდა. ადამიანების დამშვიდება ძალიან მიყვარს. ყველა აღნიშნავს, — ნინუცას რომ ვხედავ, ვმშვიდდებიო (*იღიმება*).

— **რეპეტიტორებთან ემზადები?**

— არა, ჯერ მე თვითონ ვემზადები, ქართულ ენასა და ლიტერატურაში კი ჩემი მეზობელი უსასყიდლოდ მამეცადინებს — ის მასწავლებელია.

— **ნინუცა, შენი მშობლები რას საქმიანობენ?**

— მდიდარი ოჯახიდან არა ვარ. ჩემი დედიკო ჩვენს სკოლაში დამლაგებლად მუშაობს. მამა რომ დამეღუპა (გულმა უმტყუნა), 5 წლის ვიყავი... იმედია, ცხოვრებაში წარმატებას მივაღწევ — მე ძალ-ღონეს არ ვიშურებ და ვნახოთ...

რამდენიმე დღის წინ ეზოში პატარა ***შოთიკოს*** *გადავაწყდი: ერთმანეთთან ჩახუტებულ 2 ლეკვს გარშემო ურბენდა და ამბობდა, ვყიდიო! ეტყობა, ლეკვებმა პატრონის ორგულობას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ, რადგან მოგვიანებით შოთიკომ მაუწყა, — თოვლის ბაბუის იმედიღა მაქვს, „ბიზნესი“ ჩამივარდაო:*

— ლეკვების გაყიდვას აღარ ვაპირებდი, მაგრამ მაინც გაიქცნენ.

— **რატომ გადაიფიქრე?**

— ახალი წელი მოდის და თოვლის ბაბუა მომიტანს იმას, რაც მინდა. საყვარელი ლეკვები რატომ უნდა გამეყიდა?! გული დამწყდა, რომ გამექცნენ. მინდა, რომ თოვლის ბაბუამ პატარა თეთრი ლეკვი მომიყვანოს — არასოდეს გავყიდი. უი, სამგზავრო თვითმფრინავიც რომ მინდა?!. თუ საშუალება ექნება, ორივე საჩუქარი მომიტანოს, თუ არა და, წელს თვითმფრინავი იყოს, მომავალ წელს კი თეთრ ლეკვს ვთხოვ.

— **თოვლის ბაბუის არსებობა ეჭვქვეშ არასოდეს დაგიყენებია?**

— არა, რას ამბობ?! სურვილებს ყოველთვის მისრულებს და ე.ი. მართლა არსებობს. ისე, შარშან ისეთი ვერტმფრენი ვთხოვე, რომელიც მართლა იფრენდა, მაგრამ სამწუხაროდ, არ დაფრინავს.

— **ამის გამო ხომ არ გაუნაწყენდი?**

— არა, მე ისეთი ბიჭი არა ვარ, რომ დავიბოღმო. რისი საშუალებაც ჰქონდა, ის მომიტანა. ჩემ გარდა, კიდევ უამრავი ადამიანის სურვილს ასრულებს და ხომ უნდა გავუგო?

— **თოვლის ბაბუას პირადად თუ შეხვედრიხარ?**

— არა, ვერ „გამოვიჭირე“ (*იცინის*). აივანზე ველოდები ხოლმე, — მგონია, რომ მარხილით და თავისი ირმებით მოფრინდება, ის კი საჩუქარს კართან მიტოვებს და მიდის. რატომ მემალება, არ ვიცი. იმედია, წელს მაინც შემოვა ჩემთან სახლში და ჩემს მორთულ ნაძვის ხეს ნახავს. ფიფქებიც კი ჩემი ხელით გავაკეთე — რვეულის ფურცლებისგან გამოვჭერი. ■


შოთიკო ბოგვერაძე

ტურიზმი და ექსტრემალები თოვლიან ტრასაზე

მკითხველისთვის საინტერესო მასალის მოსაპოვებლად სად არ ვყოფილვარ და ვის არ შევხვედრივარ, მაგრამ ამჯერად ნამდვილად უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი: გუდაურის მთაზე, ახალგაკვალულ თოვლში, გათოშილი ვიდექი და სათხილამურო კოსტიუმში გამოწყობილ, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს, ზაალ აბაზაძეს ახალი წლისთვის და ახალი სეზონისთვის დაგეგმილ სიახლეებთან დაკავშირებით, კბილების კაწკაწით ვუსვამდი კითხვებს. ეს მის მიერვე მოწყობილი „ოინის“ შედეგი გახლდათ: ჟურნალისტები გუდაურში ზამთრის სეზონის გახსნისთანავე წაგვიყვანეს, თბილ და კომფორტულ სასტუმროშიც მოგვათავსეს, მაგრამ გამოგვიცხადეს, რომ ვისაც ინტერვიუ გვინდოდა, თხილამურებზე შემდგარ მასპინძლებს მთებში უნდა გავყოლოდით, თანაც — ყველაზე მაღალ მწვერვალამდე...

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ზაალ, გავიგე, საახალწლოდ რაღაც სიახლეებს სთავაზობთ დამსვენებელს, მართალია?

— წელს ახალი წელი და საერთოდ, ახალი სეზონი ბაკურიანსა და გუდაურში გამორჩეული იქნება. ჩვენი მიზანია, ამ კურორტებზე დამსვენებლის მოზიდვას შევუწყოთ ხელი და ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მივცეთ, სტუმრების შესაფერისად გამასპინძლება შეძლონ. წინასაახალწლო პერიოდში ძალიან ბევრი ვიშრომეთ და ახალი პროექტებიც მოვამზადეთ. გუდაურში უკვე შევქმენით ახალი, დამატებითი „პროდუქტი“ — ეს გახლავთ „ჰელისკი“ — თხილამურებით სრიალის ექსტრემალური სახეობა, რომლის დროსაც მთაზე ვერტმფრენით ადიან და იქიდან გაუკვალავი თოვლის „ტრასით“ ეშვებიან. წელს უცხოეთიდან ბევრი ექსტრემალი აპირებს ჩამოსვლას და გვინდა, მათ კარგად მომზადებულები დავხვდეთ. ჩვენ უკვე შეგვიძლია, დამსვენებელს გუდაურსა და ბაკურიანშიც შევთავაზოთ კომფორტული საბაგირო გზა, სასრიალო ბილიკები და ექსტრემალური გასართობი. ჩემი აზრით, ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე „ხლაპუშკების“ სროლა.

— თავად თუ ხართ ექსტრემალი?

— მე — არა, მაგრამ ჩემი მოადგილე ვატო ასათაშვილი ნამდვილი „გიჟია“, სასწაულ რაღაცებს აკეთებს.

— უცხოელებს რომელი ქვეყნებიდან ელოდებით?

— უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან... ალბათ თურქებიც ჩამოვლენ — ექსტრიმის მოყვარული ხალხია.

— ის ფაქტი, რომ რუსეთი გამუდმებით გვემუქრება სამხედრო აგრესიით, ტურიზმის მოზიდვას ხელს არ უშლის?

— სხვათა შორის, ახლა ერთ პარადოქსულ ფაქტს გეტყვით: არსებობს ტურისტების კატეგორია, რომელიც საგანგებოდ ეძებს ისეთ ქვეყნებს, სადაც სერიოზული საფრთხეებია მოსალოდნელი — ზოგიერთი ადამიანი საშიშ და ექსტრემალურ სიტუაციაში ადრენალინს გამოიმუშავებს... ჩვენ კიდევ ერთ ახალ პროგრამაზე ვმუშაობთ. ეს გახლავთ „ფრირაიდი“ — ექსტრიმის ფორმა, როდესაც მთაზე ვერტმფრენის გარეშე ანუ ფეხით ადიხარ, მერე იქიდან თხილამურებით ეშვები და ჰაერში ყირამალას აკეთებ. სხვათა შორის, „ფრირაიდი“ მთელ ევროპაში ძალიან მოდურია, თუმცა სახიფათოცაა. მაგრამ არა უშავს — ჩვენ კარგი, გამოცდილი მაშველები გვყვანან.

— თქვენ თუ დაგჭირვებიათ მაშველების დახმარება?

— ჯერ არა, მაგრამ მათი ნდობა შეიძლება. კარგად ვიცნობ იმ ბიჭებს, რომლებიც გუდაურში მუშაობენ. ახალგაზრდა, სპორტსმენი მოხევეები არიან. მათთან ერთად, სადაც გინდათ, იქ წავალ.

— ახალ წელს სად შეხვდებით?

— სიმართლე რომ გითხრათ, ჯერჯერობით არ ვიცი. შეიძლება, ჩემს კაბინეტშიც მომიწიოს ყოფნამ; ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. საქართველოს, ტურიზმის განვითარებისთვის დიდი ბუნებრივი რესურსი აქვს და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. სხვათა შორის, ბაკურიანსა და გუდაურში მარტო ზამთარში კი არა, ზაფხულშიც ძალიან კარგია დასვენება. ჩვენს ქვეყანაში უამრავი ისეთი ადგილია, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეგიძლია დასვენება. პირადად მე, უცხოეთში მოგზაურობას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სიარული მირჩევნია. ახლა ვცდილობთ, გარკვეული რეგიონების განვითარების გეგმა შევიმუშაოთ... ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღება მომსახურების დონის ამაღლებას უნდა მივაქციოთ. ამ მიმართულებით ბაკურიანში უკვე რაღაც ნაბიჯები გადავდგით, მალე სხვა რეგიონებშიც მივხედავთ ამ საქმეს..

— ბაკურიანში რა ნაბიჯები გადადგით?

— გამოცდილი პედაგოგები ჩავიყვანეთ და სხვადასხვა სასტუმროში მომსახურე პერსონალს პროფესიული გადამზადების კურსი ჩავუტარეთ. პროგრამაში იმაზე გაცილებით მეტი ადამიანი ჩაერთო, ვიდრე ვვარაუდობდით.

— ბაკურიანში ყოფნის დროს ადგილობრივ მოსახლეობას ვესაუბრე და მათ მითხრეს, რომ სასტუმროებში ძირითადად, თბილისიდან ჩასულები არიან დასაქმებულნი. ამჯერად მაინც თუ გაკეთდება ძირითადი აქცენტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე?

— ჩვენ მიერ ჩატარებული გადამზადების პროგრამა სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ისახავს მიზნად. პროგრამაში მხოლოდ სასტუმროში მომუშავე პერსონალი კი არა, ყველა მსურველი ჩავრთეთ. მათ საშუალება ექნებათ, თბილისიდან ჩამოსულ ადამიანებს პროფესიული თვალსაზრისით, კონკურენცია გაუწიონ. გარდა ამისა, შეუძლიათ, თავიანთი ცოდნა საოჯახო სასტუმროებშიც გამოიყენონ. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა რეგიონში სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე ვიზრუნებთ.

■

გაკვეთილების წელიწადი

ანუ როგორ არ უნდა მოექცე საკუთარ ხალხს

საქართველო წელს უხვად იყო დატვირთული საინტერესო, ღირსშესანიშნავი და სკანდალური ფაქტებით, მაგრამ 2009 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი ხალხის უპრეცედენტოდ ხანგრძლივი პროტესტი იყოო, — ამბობენ ქართველი პოლიტიკური ექსპერტები. მათი აზრით, წელს დაწყებული საპროტესტო აქცია საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეფასდება და არაერთხელ გახდება ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი. საპროტესტო აქციების მოსალოდნელ შედეგებზე, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებსა და კიდევ რამდენიმე სკანდალური ფაქტის შესახებ ექსპერტი სოსო ციისკარიშვილი გვესაუბრება.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, სავარაუდოდ, როგორ შეაფასებს ისტორია 2009 წელს დაწყებულ მასშტაბურ საპროტესტო აქციებს ან ისტორიკოსები და პოლიტოლოგები რით ახსნიან იმ ფაქტს, რომ ოპოზიციამ ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერა ვერ გამოიყენა?

— ამ კუთხით რაიმე დასკვნის გასაკეთებლად, ჯერ კიდევ კარგად უნდა დავაკვირდეთ მიმდინარე მოვლენებს. ასეთ შემთხვევაში რომელიმე კალენდარულ ციფრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სულაც არ არის გამორიცხული, რომ წელს დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა შედეგი რამდენიმე წლის შემდეგ გამოიღოს. რაც შეეხება ოპოზიციურ ლიდერებს, მათ სრულიად უთანასწორო პირობებში მოუხდათ ხელისუფლებასთან ბრძოლა. თავიანთ მხარდამჭერებთან ერთად, 2008 წლის მსგავსად, ერთი მმართველი ძალის ნაცვლად, ოპოზიციის წინააღმდეგ ამჯერადაც მთელი სახელმწიფო სისტემა დადგა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ნაციონალების“ პარტიული დისციპლინა ბევრად მაღალია, ვიდრე საბჭოთა წყობილების პერიოდში კომუნისტური პარტიის დისციპლინა იყო.

— სააკაშვილის ერთ-ერთ ყვე-

ლაზე სკანდალურ განცხადებას შეგახსნებთ. მან თქვა: — ოპოზიციაში რომ ვიყო, ხელისუფლებას ძალიან იოლად დავამხობდიო...

— კი, დაამხობდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციაში მერაბიშვილს და ადეიშვილსაც გაიყოლებდა.

— წლის განმავლობაში, ამ ორ ადამიანს „რუხ კარდინალად“ მოიხსენიებდნენ. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— სირუხის რა მოგახსენოთ... მათი საქმიანობა საკმაოდ ხილულია. ის ფაქტი, რომ წინასწარი დაკავების საკნებში უარესი მდგომარეობაა, ვიდრე გლდანში აშენებულ ციხეში, მხოლოდ ტექნიკური საკითხია და ზნეობრივი თვალსაზრისით, ეს არაფერს ცვლის.

— საზოგადოება ოპოზიციის მარცხის მიზეზად, მერაბიშვილსა და ადეიშვილს კი არა, ოპოზიციონერი ლიდერების სისუსტეს მიიჩნევს...

— ხომ გახსოვთ, ქართველები რამდენი წელი ვიბრძოდით დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად? ვერ უარვყოფთ იმასაც, რომ ჩვენი სულსწრაფობა გარკვეულწილად,

ოპოზიციური სპექტრის მიერ უხვად გაცემული არარეალური დაპირებების შედეგია. დღეს საზოგადოება უკვე რეალურად აფასებს სიტუაციას, ამიტომ ოპოზიცია ფუჭი დაპირებებითა და კალენდარში საგანგებოდ შერჩეულ თარიღებზე მანიპულირებით ქუჩაში ვეღარავის გამოიყვანს.

— წლის ყველაზე სკანდალურ განცხადებად რომელს მიიჩნევთ?

— ჩემთვის ყველაზე სკანდალური განაცხადი ის იყო, რომ თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაია დაინიშნა. ახალაიას გამინისტრებამ ჩემსავით გააოცა და გააოგნა ჩვენი ამერიკელი კოლეგები. ამ საკადრო ცვლილებით მოსკოვში ნამდვილად დიდი

სიამოვნება მიიღეს.

— ახალაიას გამინისტრებით მოსკოვში რატომ უნდა მიეღოთ სიამოვნება?

— რაც უფრო სუსტი და გამოუცდელი იქნება ჩვენი ქვეყნის „თავდაცვის ხელმძღვანელი“, მტრისთვის ეს მით მეტად სასიამოვნოა.

— კრიტიკულ სიტუაციაში სუსტი და გამოუცდელი კადრის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა ქვეყნის პრეზიდენტს რისთვის უნდა სჭირდებოდეს?

— თავდაცვის მინისტრად ახალაიას დანიშვნისთანავე ცხადი გახდა, რომ ხელისუფლებას სურდა, ქართული ჯარისგან ჩამოეყალიბებინა მორჩილი და ღირსებააყრილი მასა, რომელიც არასოდეს იფიქრებდა ბრძანების კეთილგონიერებაზე და თავის სარდალს ისე დაემორჩილებოდა, როგორც პატიმრები ციხის სასტიკ ზედამხედველს ემორჩილებიან.

— ბრძანების შესრულება და ხელმძღვანელის მორჩილება ჯარისკაცის მოვალეობაა.

— ბრძანების შესრულება კი არის ჯარისკაცის მოვალეობა, მაგრამ მან ისიც იცის, რომ არასწორი ბრძანების შესრულებით ავნებს არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ქვეყანას. ღირსეულ ჯარისკაცს სულ ცოტა, უფროსი ოფიცრისთვის მაინც უნდა შეეძლოს კითხვის დასმა. დღეს „თავდაცვაში“ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ციხის ბადრაგები არიან. ეს კი მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

— როგორ ფიქრობთ — რუსეთი მთელი წლის განმავლობაში, ტერორისტებთან თანამშრომლობაში რატომ გვადანაშაულებდა და როგორი იყო მისი განზრახვა, როდესაც ჩვენი მისამართით მუქარის შემცველ განცხადებებსაც აკეთებდა?

— მოსკოვი ისეთივე კატეგორიულ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს, როგორსაც ოფიციალური თბილისი. ეს ფაქტი კი იმაზე მიანიშნებს, რომ დღეს არსებული დაძაბული ვითარება ორივე დაპირისპირებულ მხარეს აძლევს ხელს.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ საკუთარ ქვეყნებში უალტერნატივოდ იქნენ წარმოჩენილნი.

— თუმცა აგვისტოს ომის შედეგებისა და დღეს არსებული დაძაბული ვითარების გამო, ორივე პრეზიდენტმა დაკარგა საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერა...

— დიახ, აგვისტოს ომი და მისი შედეგები ორივე მხარისთვის, მათთვის მოულოდნელად, წამგებიანი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ პუტინი და სააკაშვილი ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები განცხადებებს არც ერთმანეთის გასაგონად აკეთებენ და არც საკუთარი ხალხის, მათი ადრესატები — ვაშინგტონი და ბრიუსელია.

— როგორ ფიქრობთ — წლის ბოლოსთვის რუსეთის მიერ შემოთავაზებული ინიციატივის (ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით) მიღმა გარკვეული საფრთხეებიც ხომ არ იმალება?

— დღეს არსებული პოლიტიკური ვითარების პირობებში, რუსეთის ხელისუფლების ნდობა და მოსალოდნელი საფრთხის იგნორირება — დანაშაულია. მით უმეტეს, რომ კავკასიონის ყველა უღელტეხილს რუსეთის სამხედრო ძალა აკონტროლებს და არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ სამართლიანობა დაცული იქნება. ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნით აშკარად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება იმ რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოება. ძალიან მაკვირვებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საზღვარზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ან ევროპული პოლიციის ჩადგომა არ მოითხოვა. მიხეილ სააკაშვილს ქართველისა და რუსის პირისპირ საუბარი შიშის ზარს სცემს და ვერ ვხვდები, რატომ

მიაჩნია ასე უსაფრთხოდ შეიარაღებული მესაზღვრეების პირისპირ დგომა. ხომ არ ჰგონია, რომ რუსი გენერლები უკვე განიკურნნენ თავიანთი ავადმყოფური ზრახვებისგან? კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჩვენი ხელისუფლება სიამოვნებით წამოეგება ნებისმიერ პროვოკაციაზე.

— რუსულ პროვოკაციებზე ხაზგასმით იყო ლაპარაკი ტალიავინის დასკვნაში, რომელიც საქართველოსა და რუსეთისთვის წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი და პოლიტიკური ექსპერტების მსჯელობის საგანი გახდა. დღევანდელი გადასახედიდან, როგორ შეაფასებთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობას?

— ტალიავინის დასკვნას ახლა კი არა, მომავალშიც არაერთხელ მიუბრუნდებიან პოლიტიკოსები და მეცნიერები. დოკუმენტი დამშვიდების საბაბს არც ჩვენ გვაძლევს და არც რუსებს, მასში ორივე ხელისუფლების ბრალეულობის წილი მკაფიოდ არის მოხაზული. დოკუმენტი შექმნილია ევროპის მოსახლეობისთვის და არა დაპირისპირებული ძალების გასაშველებლად. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოს და რუსეთის ხელისუფლებამ ტალიავინის დასკვნა პირველსავე დღეს (თანაც ისე, რომ წაკითხულიც კი არავის ჰქონდა) აბსოლუტურად ერთნაირად შეაფასა და ორივე მხარემ საკუთარი დიპლომატიის დიდ გამარჯვებად მიიჩნია. ამ დოკუმენტმა კიდევ ერთხელ მოახდინა როგორც საკაშვილის, ისე პუტინი-მედვედევის ხელისუფლების ლუსტრაცია. მათ საერთოდ არა აქვთ სინამდვილის აღქმის სურვილი. ასეთ ვითარებაში კი ძალიან ძნელია კონფლიქტის მოგვარებაც და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაც.

— წლის განმავლობაში კონფლიქტების მოგვარების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს როგორ შეაფასებთ და რას იტყვით იმ ახალი სტრატეგიის შესახებ, რომელიც იაკობაშვილის უწყებამ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შეიმუშავა?

— კონფლიქტის მოგვარების მიზნით 2009 წელს გადადგმულ ნაბიჯებს შედეგიანს ვერ ვუწოდებ, რადგან ჟენევაში მოწყობილი უთავბოლო „ექსკურსიები“ დაგეგმილია თავად კრემლის „ტურიზმის დეპარტამენტში“. წესით, ჩვენს ხელისუფლებას უკვე უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება და უნდა იცოდეს, რომ ჟენევაში საქართველოს სასარგებლოდ საკითხი არ გადაწყდება მანამ, ვიდრე მოლაპარაკების ფორმატი არ შეიცვლება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში დღემდე არანაირი სტრატეგია არ ჰქონდა შემუშავებული. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისიც კი არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა წარემართათ ურთიერთობები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან.

— ბატონო სოსო, სავარაუდოდ, როგორი შეიძლება იყოს 2010 წელი ჩვენი ქვეყნისთვის?

— იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება, ოპოზიცია და საზოგადოება 2009 წლის გაკვეთილებს შესაბამისად გააცნობიერებს, გააანალიზებს და სწორ დასკვნებს გამოიტანს. ხელისუფლებამ მიიღო გაკვეთილი იმისა, თუ როგორ არ უნდა მოექცეს საკუთარ ხალხს, ოპოზიციამ მიიღო გაკვეთილი იმისა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოიპოვოს ხალხის მხარდაჭერა, საზოგადოებამ კი მიიღო გაკვეთილი იმისა, თუ რა კრიტერიუმებით უნდა შეაფასოს ხელისუფლება და ოპოზიცია. ასე რომ, თუ გვეყოფა გამჭრიახობა და, სამშობლოს სიყვარული დასძლევს ჩვენი პირადი პრობლემების მოგვარების ცდუნებას, მაშინ 2010 წელი აღმავლობისა და წარმატებების პერიოდად შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ■

დაუპატიჟებელი სტუმრები მეკვლედ
და ქართულ-აფხაზურ ქორწილში აჭლერებული სიმღერები

„თხოვნა მაქვს – ხელაღებით ნუ განსჯით ჩვენს ცხოვრებას!..“

უკვე წლებია, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველები (და არა მარტო ისინი) ახალ წელს ერთი სურვილით ხვდებიან — ღმერთმა მშვიდობა მოგვცესო! გადის წლები და ნანატრი მშვიდობა არა და არ მოდის. ამის მოლოდინში, საკუთარ მიწაზე გამუდმებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები ქართული ოჯახები ყოველ დღესასწაულზე დაუპატიჟებელ სტუმრებს მასპინძლობენ...

ლალი პაპასკირი

მურმანი, *62 წლის, გალის რაიონის მკვიდრი:*

— ჩვენც საქართველოს ნაწილი ვართ, ოღონდ არა დამოუკიდებელი, არამედ საბჭოთა საქართველოსი: აქ ჯერ კიდევ ის ტრადიციებია შემორჩენილი, რომლებიც კომუნისტების წლებში იყო და ასეა დანარჩენ აფხაზეთშიც... აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, რამდენიმე ახალ წელს ვხვდებოდით სურვილით — ამ წლიდან, ენგურის ხიდი ჩვენსა და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფი საზღვარი არ ყოფილიყოს-თქო. შემდეგ, როცა ვითარება ძალიან გამწვავდა და აფხაზებმა გალის რაიონი თავიანთ საბატონოდ გამოაცხადეს, უკვე იმას ვნატრობდით, — ნეტავ, სახლკარის დატოვებამ არ მოგვიწიოსო. ცოტა მოგვიანებით, როცა ვითარება შედარებით დამშვიდდა და აფხაზებსა და რუსებთან საერთო ენა ვიპოვეთ, ვნატრობდით, — ნეტავ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ახლა არისო... ბოლო დროს სიტუაცია ძალიან შეიცვალა. გააფხაზებას ვინღა ჩივის, ლამის გარუსებით გვემუქრებიან და უკვე აღარც ვიცით, რა ვინატროთ. მშვიდობა, ვიცით, რომ კარგა ხანს არ იქნება და ამიტომ ერთმანეთს ასე ვეუბნებით — გაძლება მოგვცეს ღმერთმათქო!.. ოღონდაც აქაურობა რუსების სამხედრო ბაზად არ გადააქციონ და ამ სიტუაციასაც ავიტანთ როგორმე. მაინც საკუთარ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, მართალია — რისკის ფასად, მაგრამ სხვის სახლში, სხვისი ხელის შემყურე ყოფნა უფრო მძიმე ტვირთია, ვიდრე გამუდმებული სტრესის ქვეშ ცხოვრება. კარგა ხანია, ადამიანურ ცხოვრებაზე პრეტენზია აღარ გვაქვს, მაგრამ მიწა, სადაც ვცხოვრობთ, ჯერჯერობით ჩვენია და თუ იშრომებ, მშიერი არ დარჩები...

— ვიცი, რომ აფხაზებთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა გაქვთ; ისინი როგორ ხვდებიან ამ დღესასწაულს?

— ბევრი — არა, სულ რამდენიმე აფხაზი მეგობარი მყავს; ბავშვობიდან მეგობრები ვართ და ჩვენმა ურთიერთობამ ომსაც გაუძლო. ომამდე სოხუმში ვცხოვრობდი, აფხაზების გარემოცვაში ვიზრდებოდი. მერე კი გალში, ბაბუის სახლში დაბრუნებამ მომიწია... ერთი აფხაზი ძმაკაცი მყავს, ჯარში სამსახურისას ერთი კოვზით ვჭამდით საჭმელს... ომში მე ქართველების მხარეს ვიბრძოდი, ის — აფხაზების. ერთხელ შევხვდით გაგრაში ერთმანეთს. თვალი ავარიდე. ის მომესალმა და მითხრა, ოჯახი გაიყვანეო. არაფერი მითქვამს. დამშვიდობებისას კი მთხოვა, — თუ რომელიმეს რამე დაემართება, მეორემ მის ოჯახს უპატრონოსო... მერე ყველაფერი აირია. აფხაზეთის ომში ძმა და ორი ბიძაშვილი მომიკლეს. ერთი სიტყვით, აფხაზებისგან იმდენი ცუდი მახსოვდა, მათი დანახვაც არ მინდოდა. მაგრამ გავიდა დრო და მან თვითონ მიპოვა. დანარჩენი ძმაკაცები კი მე ვიპოვე — მისი თხოვნით. ახლა ჩვენც და აფხაზებიც ყველაფერს სხვანაირი თვალით ვუყურებთ, მაგრამ რაღა დროს?!

— მაინც რას ამბობენ?

— იმას, რომ მშივრები, უმუშევრები და დამცირებულები არიან და ვეღარც დამოუკიდებლობა მიიღეს... რეგიონში ვითარება სტაბილურობისა და განვითარების მხრივ, იმასთან მიახლოებულიც კი არ არის, რასაც აფხაზი და რუსი პოლიტიკოსები ტელევიზიით ირწმუნებიან. ნახევარი აფხაზეთი დაცლილია, დარჩენილები კი შიმშილობენ. გალში ხალხი ძირითადად, სოფლის მეურნეობით საზრდოობს, მესაქონლეობას მისდევს და საჭმლის პრობლემა მაინც არ არის. აფხაზეთის ქალაქებში ბოლო დროს გახსნილ ახალ მაღაზიებს, სასტუმროებსა და რესტორნებს უმეტესობისთვის მხოლოდ დეკორაციული დანიშნულება აქვს — იქ შესვლის სიამოვნება ძალიან ცოტას აქვს.

— აფხაზებსაც „რამდენიმე ეტაპად დაყოფილი“ წინასაახალწლო სურვილი აქვთ, როგორც თქვენ?

— არა, მათ ერთი და უცვლელი სურვილი აქვთ — ნეტავ, გარუსებას გადავურჩეთ და ქართველებთან კი არა, თათრებთანაც ვიცხოვრებთო... ეს ხუმრობით. ისე კი, თავს აქნევენ ამბობენ, — რას ვიფიქრებდით, ისეთი დრო თუ დაგვიდგებოდა, როცა საკუთარ სახლში „შკაფის“ გამოღება რუსებისთვის უნდა შეგვეთანხმებინაო?!.

— ახალ წელს აფხაზი მეგობრები თუ გსტუმრობენ?

— დიახ. შარშან 2 იანვარს მესტუმრნენ და ჩემი ძმის საფლავზე აყოლა მთხოვეს... დრო მართლაც, ყველაფრის მკურნალია, თორემ რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე შეიძლებოდა, ასე მომხდარიყო.

მანანა, *50 წლის, სოფელ ნაბაკევის მკვიდრი:*

— წინასაარჩევნოდ, აფხაზეთის საარჩევნო კომისიიდან მოვიდნენ და ოქროს კოშკების აგებას შეგვპირდნენ, — თქვენს უფლებებს დავიცავთ, სამუშაო ადგილები გაჩნდება, ცხოვრება მშვენიერი იქნებაო... ახლა კიდევ, ჩუმ-ჩუმად უკვე იმაზეც ლაპარაკობენ, სადაცაა, ევროკავშირში მიგვიღებენ და მერე რუსებსაც გავყრითო...

— მერე, რას გთხოვდნენ?

გაგრძელება იხ. გვ. 18

ᲗᲘᲗᲝᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲗᲘᲡᲓᲐᲛᲐ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲕᲚᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ!



„ᲥᲝᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ“
ᲒᲝᲛᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲝᲡ
ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ





დასაწყისი იხ. გვ. 16

— არჩევნებში მონაწილეობას და სერგეი ბაღაფშისთვის ხმების მიცემას. ჩვენ ვიხუმრეთ: ბაღაფში არ იყო ამდენი ხანი, მაგრამ ვერაფერი სიკეთე დაგვმართა-თქო. ასე გვიპასუხეს, — ჯერ უცხოეთში ადგილს იმკვიდრებდა, აწი ნახეთ მისი „გამოცოცხლებაო“!.. ამაზე ვუთხარით, — აბა, აქამდე „მკვდარი“ პრეზიდენტი გვყოლია თურმე-თქო... რაც შეეხება ახალ წელს, ჩვენ და აფხაზებს ერთნაირი ოცნება და სურვილი გვაქვს — მშვიდობა და სტაბილურობა, ოღონდ — რუსების გარეშე.

— აფხაზები თუ გსტუმრობენ საახალწლოდ?

— რასაკვირველია. უფრო, ახალი წლის წინა დღეებში ჩამოგვივლიან ხოლმე „თოვლის ბაბუასავით“, ოღონდ იმ ზღაპრულ პერსონაჟს საჩუქრები მოაქვს, ამათ კი — მიაქვთ. ყველაფერს ეზიდებიან — ღვინოს, ყველს, სიმინდის ფქვილს, შაქარს... ამას წინათ, ერთმა აფხაზმა მითხრა: ტყემალი მენატრება, ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ არ მიჭამიაო. გამეცინა, — სახლში ქალები არ გყავს-მეთქი? — ქალები კი მყავს, მაგრამ ტყემლის ხე არ მაქვსო. მერე შაშხიც მოუნდა. მე ვუთხარი, — შობამდე მოიცადე-მეთქი. — კარგიო, — მიპასუხა და ჭიშკართან მდგარი ბურვაკისკენ გაიშვირა თითი, — აი, ის დამიკალიო. საგანგებოდ ვასუქებდით მე და ჩემი ქმარი, მაგრამ აღარ მოვიდა. ძველით ახალ წელს გვესტუმრა და თხა მოგვიყვანა.

— საჩუქრად?

— დიახ. ამდენი წელია, იქ ვცხოვრობთ და აფხაზებისგან საჩუქარი პირველად მივიღეთ... ბოლო დროს ხალხმა ჭკუა ისწავლა და ზამთრის მარაგს ვმალავთ. მაგრამ იარაღიანი კაცი რომ დაგადგება თავზე, საჭმელს კი არა, ყველაფერს დათმობ. სიცოცხლის ფასი ჩვენ რომ ვიცით, ისე, ბევრმა არ იცის... არ მინდა, ამ ახალ წელს ხალხს განწყობილება გავუფუჭო, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს — ასე ხელაღებით ნუ განსჯით ჩვენს ცხოვრებას! დევნილობაც გამოვცადეთ, სხვისი ხელის შემყურეც ვიყავით და ახლაც მძიმე პირობებში გვიწევს ყოფნა, მაგრამ საკუთარ მიწაზე ვართ და ამისთვის ბევრ რამეს ვითმენთ. აფხაზისა და რუსისგან ნათქვამი აუგი ბევრად უფრო ადვილი მოსათმენია, ვიდრე ქართველის გადაკრული სიტყვა... მშვიდობას და სიკეთეს ვუსურვებ ჩვენს ხალხს და კიდევ — არასდროს გამოეცადოთ ის, რაც ჩვენ გვიწევს.

ნოდარი, *36 წლის, სოფელ ოტობაიას მკვიდრი:*

— ახალგაზრდობის წლებში მიხაროდა, — სოფლის ცენტრში ვცხოვრობ-მეთქი! ახლა კი, ვინც შემოდის, პირველ რიგში, ჩემს სახლს ეჯახება. ომის შემდგომ 13-ჯერ გამოვცვალე ჭიშკარი: ხან ტანკი ეჯახება, ხან ჯავშატრანსპორტიორი და ხან კიდევ „ვილისი“. რუსებისთვის სულ ახალი წელი და დღესასწაულია, დალევის მიზეზი არ სჭირდებათ და კვირაში 3 დღე მთვრალები არიან... სახლში მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ, შვილებს ამ საგიჟეთში როგორ გავაჩერებ?! დღეში ერთხელ მაინც გვყავს ვიღაც უცხო სტუმარი. რუსი ჯარისკაცები, ჩემი შვილის ტოლი ბიჭები არიან და მეცოდებიან. ყოველ წელს აფხაზი მეკვლეები მყავს; მერე მთელი წელი მათ მასპინძლობას ვუნდები, მაგრამ სხვამ რომ „მიფეხოს“, მაინც არაფერი შეიცვლება, ისევ აფხაზები და რუსები მეყოლებიან სტუმრად... ყოფილა შემთხვევა, რომ ახალ წელს, ერთი ღამის განმავლობაში 30-ზე მეტი „პარტია“ გაგვისტუმრებია.

— რომლის სტუმრობა უფრო საშიშია — აფხაზის თუ რუსის?

— ორივე ერთი ოხერია, მაგრამ ალბათ მაინც აფხაზი სჯობია: მთვრალი რუსი ცხოველივით არის — ვერაფერს შეასმენ. „დავაი“, „ნალივაი“! — და მორჩა. მერე მინუს 20 გრადუსიც რომ იყოს ტემპერატურა, იქვე ღობის ძირში მიიძინებენ. ერთხელ ჩემმა ძაღლმა მთვრალი რუსი ჯარისკაცი დაკბინა და ამის გამო, ცხოველი მომიკლეს... შარშან ახალ წელს რამდენიმე რუსი სამხედრო „მესტუმრა“. სხვა რა გზა გვქონდა? — სუფრა გავშალეთ. ერთ-ერთმა გაოცება ვერ დაფარა, — ქართველები ღატაკი ხალხი მეგონა, სადაც ჯერ კიდევ თიხის ჭურჭელს იყენებენ, რა გეტყობათ თქვენ გაჭირვებისო?!.

დათო, *24 წლის, სოფელ გაგიდის მკვიდრი:*

— ჩვენთან ახალი წლის აღნიშვნა 25 დეკემბრიდან იწყება და თვის ბოლომდე ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს. მეზობლებისა და ახლობლების ოჯახში მივდივართ და თითო ჭიქით ვადღეგრძელებთ: აფხაზეთს გაუმარჯოს საქართველოს შემადგენლობაში! — ეს არის ჩვენი პირველი სადღეგრძელო, შემდეგ კი, ერთმანეთის ოჯახებს ვუსურვებთ, უდანაკლისოდ გაეტარებინოს მთელი წელი ანუ იმ ქვეყნად უდროოდ არავინ წასულიყოს-თქო... შარშან ახალ წელს, ზუსტად 31 დეკემბერს ჩვენს სოფელში ქორწილი იყო. აფხაზი პატარძალი გვყავდა. ოჯახის უფროსი აფხაზებს ენათესავება; თუ არ ვცდები, მამიდა ჰყავს აფხაზზე გათხოვილი. ერთი სიტყვით, სოხუმელი პატარძალი გვყავდა და ამ ოჯახმა ისეთი სუფრა გაშალა, მაგიდები ხორაგისგან ჩაზნექილი იყო. აფხაზები გაოცებული იყვნენ. მასპინძელმა იფიქრა, — ბარემ ბოლომდე გავაგიჟებ ამათო, — და ფეიერვერკებით შემოიყვანა რძალი სახლში. თან საგანგებოდ ქორწილისთვის, ზუგდიდიდან ახალგაზრდა მომღერალი ბიჭიც გადმოიყვანა. ქართულ-აფხაზური სუფრის საერთო ტრადიციებმა სტუმრებსა და ადგილობრივებს შორის დაძაბულობა მოხსნა. თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ კი მომღერალმა ქართული საცეკვაო მელოდიები დაუკრა. მასპინძელი დაფრთხა, მაგრამ აფხაზ სტუმრებს ცუდი რეაქცია არ ჰქონიათ. როგორც კი ქეიფი გახურდა, მან ისეთი პატრიოტული ქართული სიმღერები „დასცხო“, აფხაზი სტუმრები წამოიშალნენ: ზოგმა წასვლა დააპირა, ზოგი საჩხუბრად აიფოფრა.

— მასპინძელს რა რეაქცია ჰქონდა?

— ცოცხალ-მკვდარი იდგა. ვერც მომღერალთან მისვლა შეძლო, რადგან ის სტუმრების მხარეს, სუფრის ბოლოში იჯდა და იქამდე აფხაზების მთელი რიგი უნდა გაევლო... ბიჭი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და აფხაზური სიმღერა — „აფსუა რუჭყუნცვა“ („უაზროდ დახოცილი აფხაზი ჭაბუკები“) წამოიწყო. ამ სიმღერაში ქართველებისა და აფხაზების საერთო ფესვებს უმღერიან... აფხაზები როგორც წამიერად აფორიაქდნენ, ისევე უცებ დაწყნარდნენ... ქეიფი ღამის დილამდე გაგრძელდა და მაყარმა რამდენჯერმე წამოიწყო, შემდეგ კი პირდაპირ მოითხოვა, — რამე რუსული სიმღერა შეასრულეთო, — მაგრამ ის ბიჭი, როგორც იტყვიან, ჯორზე შეჯდა და არ იმღერა. მასპინძელი აშკარად ბრაზობდა: როგორც კი სტუმრები წავლენ, დაველაპარაკებიო, — მაგრამ ხალხი წამოიშალა თუ არა, მომღერალმა ყველას მადლობა გადაუხადა, ოჯახის უფროსს ფულის აღებაზე უარი უთხრა და დასძინა, — მადლობა პირიქით, მე უნდა გითხრათ, აფხაზებისთვის ჩემი აზრის თქმის საშუალება რომ მომეცითო, — და „გარანტორის“ (ადამიანი, ვინც მისი უსაფრთხო გადმოყვანა-გადაყვანაზე იყო პასუხისმგებელი) მანქანაში ჩაჯდა... ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დაუვიწყარი ახალი წელი იყო. ■

სახე

„პირველობა, ორივეს გვინდა“...

„ჯეოსტარის“ კონკურსი დასასრულს მიუახლოვდა და კონკურსანტების მღელვარებაც კულმინაციას აღწევს; მიუხედავად იმისა, რომ ნოდიკო ტატიშვილი და ვაჟა მანია ერთმანეთს კონკურენტებად ვერ აღიქვამენ, 31 დეკემბერს მაინც დაძაბულები ელოდებიან და პრობას დებენ, რომ კონცერტზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს წარმოაჩენენ. მანამდე კი ხალისით იხსენებენ პროექტში გატარებულ დროს...

ელენე ბასილიძე

— როგორ ხართ — კონკურსი დასასრულს მიუახლოვდა და ხომ არ ნერვიულობთ?

ნოდიკო:

— ვაჟა დამეთანხმება, რომ ბოლო დროს მღელვარება გაგვიმძაფრდა. თან ძალზე დატვირთული გრაფიკი გვაქვს. პირადად მე, მთლიანად გადართული ვარ, საფინალო რეპერტუარის მომზადებაზე. გვინდა, რომ მაღალ დონის კონცერტი გამოგვიდეს და ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ ფინალსა და მის შედეგებზე ნაკლებად ვფიქრობ. პირველობა რა თქმა უნდა, ორივეს გვინდა, მაგრამ იდეფიქსად არ გვაქვს გადაქცეული.

ვაჟა:

— მღელვარებაცა და შემართებაც პიკს აღწევს უკვე (*იცინის*). ნოდიკოს თქმის არ იყოს, პირველობაზე სულაც არ ვფიქრობთ, ახლა მხოლოდ დასკვნითი კონცერტის ხარისხი გვაღელვებს. იმედია, კარგი კონცერტი გამოვა. ვეცდებით, კონცერტს საკონკურსო დაძაბულობა არ დაეტყოს და ხალისიანი, „გემრიელი“ შოუკონცერტი მოვაწყოთ.

— ერთმანეთს კონკურენტებად თუ აღიქვამთ?

ნოდიკო:

— ვაჟას კონკურენტად ნამდვილად ვერ აღვიქვამ! ისეთი თბილი, ახლობლური, შინაურული ურთიერთობა გვაქვს, რომ გაოცდები. ჩვენ არა მარტო ერთმანეთთან, პედაგოგებთანაც ვმეგობრობთ... ისე, ამ კონკურსზე, ყველა ჩემი გამოსვლა საკონცერტო იყო და არა საკონკურსო, მაგრამ როდესაც ამა თუ იმ კონკურსზე, საზღვარგარეთ ვარ ხოლმე, იქ უფრო მიმძაფრდება პირველობის წყურვილი. მინდა, ჩემი ქვეყანა ვასახელო და ღირსეულად წარმოვჩნდე, რომ იტყვიან, რქებით გამაქვს ხოლმე ჩემი პირველობა.

ვაჟა:

— თავიდანვე „ჯეოსტარს“, როგორც კონკურსს, ისე ვერ აღვიქვამდი. ამ პროექტში იმიტომ ვმონაწილეობდი, რომ საკუთარი თავი წარმომეჩინა; თან ყველა კონკურსანტი ერთმანეთთან ვმეგობრობთ და ყოველ ორშაბათს თითოეული ჩვენი მეგობრის კონკურსიდან წასვლა ჩვენთვის მძიმედ გადასატანი იყო.

— კი, მაგრამ ყოველ ორშაბათს, საშინლად ნერვიულობდით, სანამ დუტა შედეგებს გამოაცხადებდა...

ვაჟა:

— მართლაც საშინელი განცდა გვაქვს, სანამ დუტა შედეგებს გამოაცხადებს...

ნოდიკო:

— რამდენადაც სიმღერის შესრულებისას არ ვნერვიულობ (მხოლოდ მსუბუქი მღელვარება მაქვს ხოლმე), შედეგების გამოცხადებისას ორჯერ მეტად განვიცდი! ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როცა სცენაზე დგახარ და იცი, რომ შენ ან შენმა რომელიმე მეგობარმა პროექტი უნდა დატოვოს...

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მაყურებელს თქვენ შორის არჩევანის გაკეთება გაუჭირდება?

ვაჟა:

— რა ვიცი, აბა (*იცინიან*)? მე და ნოდიკოს შესრულების სხვადასხვა მანერა გვაქვს; მათ არჩევანის გაკეთება ორ სხვადასხვა ჟანრს შორის მოუხდებათ.

ნოდიკო:

— ყველა ადამიანს შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი აქვს. ჩვენ შორის რომელიც მოეწონებათ, ალბათ მას დაუმესიჯებენ.

— ამ პროექტმა შემოქმედებითად გაგზარდათ?

ვაჟა:

— კი, მართლაც გამზარდა, დიდი გამოცდილება შემძინა, იოლი არაა ფილარმონიის სცენაზე დგომა და უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, სიმღერის შესრულება. მუსიკოსისთვის ეს დიდი ბედნიერება და შვებაა. ასევე გავხდი პოპულარული და ამ პოპულარობას შენარჩუნებაც სჭირდება (*იცინიან*)... დღესდღეობით ძალიან დატვირთულები ვართ, გვაქვს რეპეტიციები, ჟურნალისტები ინტერვიუებს გვართმევენ... ეს კი არც ისე

უსიამოვნო პროცესია.

ნოდიკო:

— ვაჟამ სწორად თქვა, მაყურებლის კეთილგანწყობილებას მოფრთხილება და მოფერება სჭირდება. ხალხის სითბო იმდენად დიდ სტიმულს მაძლევს, რომ საშინელება იქნება ამის დაკარგვა! ამასთან, ჩვენთან ერთად სცენაზე ბენდის სახით არაჩვეულებრივი მუსიკოსები არიან წარმოდგენილები და მათთან ერთად მუშაობა დიდი სიამოვნებაა. პედაგოგებზე ხომ აღარაფერს ვამბობ! „ჯეოსტარმა“ დიდი გამოცდილება შეგვძინა.

— ამბობთ, რომ ძალიან დაკავებულები ხართ...

ნოდიკო:

— იმდენად დაკავებულები, რომ სახლში მისასვლელადაც ველარ ვიცლით. ამას წინათ, დედაჩემმა მითხრა, — დედიკო, რა კარგია, რომ გახსოვარ და მიცანიო (*იცინიან*)...

ვაჟა:

— მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც არ შევცვლილვართ!

ნოდიკო:

— არ მესმის, როცა ამბობენ, პოპულარობამ ეს ადამიანი შეცვალაო! ამდენ დადებით ემოციას რომ იღებ, უფრო მეტად თბილი არ უნდა გახდე?! მაღიზიანებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ პოპულარულები თუ არიან, ვინმეზე რამეთი მეტი არიან. თუ მე კარგი მომღერალი ვარ, ვიღაც სხვა კარგი ქირურგი, იურისტი ან მათემატიკოსია... ყველამ ერთმანეთს ასე ზემოდან რომ ვუყუროთ, წარმოიდგინე, რა მოხდება?!

ვაჟა:

— ზოგჯერ ხალხსაც ეშლება, როცა ჰგონია, რომ პოპულარული ადამიანი პიროვნულად იცვლება... მართალია, „ჯეოსტარამდე“ ჩემთვის სადღაც ვმეცადინეობდი და ამდენი ადამიანი არ მიცნობდა, მაგრამ მერე რა? დღესაც ის ვაჟა ვარ, რაც მანამდე ვიყავი.

— ალბათ რეპეტიციების დროს კარგად მხიარულობთ, არა?

ნოდიკო:

— აი, ბევრნი რომ ვიყავით, მაშინ უკეთესი იყო!

ვაჟა:

— ერთხელ მახსოვს, რეპეტიციაზე დათუნა მგელაძეს ჰამბურგერში ჩუმად შაქარი ჩავუყარე და მიმიხვდა (*იცინიან*)...

— პროექტში შესვლამდე თუ იცნობდით ერთმანეთს?

ნოდიკო:

— მე და ვაჟა ერთ მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდით და მართალია, ძალიან ახლოს არა, მაგრამ ერთმანეთს ვიცნობდით. მე, გვანცა კაჭკაჭიშვილი და სოფო ბედია „ნუცას სკოლიდან“ ვმეგობრობთ, დათუნასთან „ჯეოსტარამდეც“ ვმოკაცობდი, ვაჟა და გიორგი ცხვარიაშვილი რობერტ ბარძიმაშვილის ანსამბლში ერთად მღეროდნენ. მოკლედ, ამ პროექტმა ერთმანეთთან უფრო მეტად დაგვაახლოვა...

— რა ხდება „ანანოს ოთახში“ მაშინ, როდესაც რომელიმე კონკურსანტი სცენაზე მღერის?

ვაჟა:

— (*იცინიან*) სასაწაულები! ასაწევდასაწევი სკამები გვაქვს და იმ სკამებით „ვკატაობთ“ ხოლმე. ავწევთ, მერე ისევ დავწევთ... ამით დაძაბულობა გვეხსნება (*იცინიან*)...

ნოდიკო:

— პირველ კონცერტზე გვანცა ისე ნერვიულობდა, მღელვარებისაგან სიმღერის ტექსტი დაავიწყდა, გაყინული ხელებით მომვარდა და მეუბნება: — ნოდიკო, ახლა მე რა სიმღერა უნდა ვიმღეროო? მეც უცებ ავნერვიულდი და მისი სიმღერა წავიმღერე. გაახსენდა და გულდამშვიდებული გავუშვი სცენაზე...

ვაჟა:

— ტექსტი მაშინ გავიწყდება, როცა ძალიან ნერვიულობ! ხშირად სანამ სცენაზე არ გავსულვარ, ტექსტი ვერ გამიხსენებია. მაგალითად, აფხაზური სიმღერის ტექსტი ძლივს დავიმახსოვრე, სცენაზე გასვლამდე ხელში ფურცელი მეჭირა და ტექსტს ვიმეორებდი (*იღიმება*)...

ნოდიკო:

— მე ქართული სიმღერის ტექსტი შევცვალე, ერთი სტრიქონი დამავიწყდა, არ შევიმჩნიე და ჩემი სიტყვებით გავაგრძელე შესრულება. პედაგოგები ცუდად გახდნენ, იმდენი იცინეს! არადა, ისეთი ბედნიერი ვიყავი, ამ სიტუაციიდან რომ გამოვძვერი, არ იცი (*იცინიან*)...

— ამ ახალ წელს თქვენ განსაკუთრებულად შეხვდებით...

ნოდიკო:

— მართალი ხარ, განსაკუთრებული ახალი წელი გველის, სიურპრიზებითა და სიხარულით აღსავსე! არც აქამდე ვხვდებოდი ახალ წელს ურიგოდ, მაგრამ წელს, ოოო... საერთოდ, ოჯახში ტრადიცია გვაქვს, ახალ წელს სანთელს ვანთებთ და მერე უკვე სუფრას შემოვუსხდებით, ველოდებით მეკვლეს... შემდეგ მე მივდივარ მეკვლედ და თითქმის მთელი ღამე გარეთ ვარ. ახლა რომ ვაკვირდები, ყველა ახალი წელი ჩემთვის განსაკუთრებული იყო; ახალი წელი ხომ ისეთი დროა, როცა ყველას გასართობად სცალია.

ვაჟა:

— დარწმუნებული ვარ, წლევანდელ ახალ წელთან შედარებით, ყველა წინა ახალი წელი ერთფეროვნად მომეჩვენება, რადგანაც 2010 წელზე დიდ იმედს ვამყარებ და კბილები წინასწარ მიკაწკაწებს, რომ წარმოვიდგენ, როგორ დროს გავატარებთ!

— ბავშვობაში თოვლის ბაბუას გჯეროდათ?

ვაჟა:

— კი, სულმოუთქმელად ველოდებოდი, როდის მოვიდოდა და საჩუქარს მომიტანდა! მერე ცოტა რომ წამოვიზარდე, ასე მეორე კლასში ვიქნებოდი, როცა მივხვდი, რომ ჩემთან მოსული თოვლის ბაბუა ოჯახის მეგობარი იყო. „ნაგლად“ მივედი და — შენ ის ძია არ ხარ-მეთქი?! ვამხილე (*იცინიან*) და მას მერე უსაჩუქროდ დავრჩი.

ნოდიკო:

— უჰ, თოვლის ბაბუის კარგა ხანს მჯეროდა! წერილებს აქტიურად ვწერდი — ჩამოვწერდი ხოლმე საჩუქრების სიას და მერე საწოლთან ახალ-ახალი სათამაშოები მხვდებოდა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა... ერთხელაც, ასე 5-6 წლის ვიყავი, რომ თოვლის ბაბუას წვერზე ხელი მოვკიდე და ჩამოვაცალე... აი, მაშინ კი დაიმსხვრა მითი თოვლის ბაბუის არსებობის შესახებ (*იღიმება*), არადა, ისე მიყვარდა მისი მორთმეული საჩუქრები... ყველას ვუჩვენებდი, ნახეთ, თოვლის ბაბუამ რა მომიტანა-მეთქი. თან მათ ისე ვუფრთხილდებოდი, ცივ ნიავსაც არ ვაკარებდი (*იცინის*)... ახლა წერილებს თოვლის ბაბუას აღარ ვწერ, რადგანაც ისეთ ასაკში ვარ, საკუთარ თავს მე თუ გავუკეთებ საჩუქარს (*იცინიან*)...

— თოვლის ბაბუის როლი თუ შეგისრულებიათ?

ნოდიკო:

— კი, სკოლაში ერთხელ მთხოვეს, რომ დაწყებითი კლასების ზეიმზე თოვლის ბაბუის როლი შემესრულებინა, ბავშვები იმდენად არანორმალურად მიყვარს, რომ შემოთავაზება სიხარულით მივიღე! პატარების გახარებულ სახეებს რომ ვხედავდი, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ისე, ახლაც მზად ვარ, თუ ვინმეს თოვლის ბაბუად დავჭირდები, ისევ მოვიგდებ ზურგზე ხურჯინს!

ვაჟა:

— მე და ნოდიკო „რუსთავი 2“-ის დილაში ვართ მიწვეულნი, სადაც თოვლის ბაბუების როლი უნდა შევასრულოთ, პატარებს სათამაშოებს დავუმალავთ, მათ კი უნდა იპოვონ... წინასწარ ვტკბები იმის წარმოდგენით, თუ როგორ გაერთობით (*იცინიან*). დარწმუნებული ვარ, ძალიან მოვეწონებით. ხომ იცი, რაც უფრო დიდი საჩუქრების ტომარა გიჭირავს ხელში, მით უფრო სასურველი თოვლის ბაბუა ხარ!

ნოდიკო:

— წარმოიდგინე, დილის რვის ნახევარზე უკვე ტელევიზიაში უნდა ვიყო და ეს ჩემთვის როგორი საშინელებაა, იცი?! მაგრამ ბავშვებს რომ ვიხსენებ, დილით ადრე გაღვიძება აღარ მეზარება! შვილები რომ მეყოლება, ყველანაირად ვეცდები, მათ რაც შეიძლება, დიდხანს სჯეროდეთ თოვლის ბაბუის. წვერს მივიწებებ და თოვლის ბაბუობასაც შევითავსებ (*იღიმება*)!

— ნოდიკო, ფიფქიას როლის შესრულებაზე ჯერ არ გიფიქრია?

— მე რომ ფიფქიას როლი მოვირგო, ხმას ამოვიღებ თუ არა, პატარებს ყველანაირ შთაბეჭდილებას წავუხდენ (*ხარხარებენ*)! არაა, ისევ თოვლის ბაბუობა სჯობს!

— სამომავლო გეგმებზე რას მეტყვით?

ნოდიკო:

— მე და ვაჟა ცოტა ხნის წინ „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიაზე წარგვადგინეს და წასვლას ვაპირებთ (*ხარხარებენ*)...

ვაჟა:

— ჰო, ეს ჩემი და ნოდიკოს სამომავლო ოცნებებია... ორივეს ძალიან ბევრი და საინტერესო გეგმა გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ოცნებები აგვიხდეს, რაც მთავარია, გაჩერებას არ ვაპირებთ!

— წარმატებებს გისურვებთ! ორივე ერთხმად:

— დიდი მადლობა! ■

ვარდისფერი ნაძვის ხე, პამპერსიანი ბარბი და... ახალი წელი ზაფხულია!..

პატარების თვალით დანახული დღესასწაული

ახალი წლის დადგომა განსაკუთრებით ბავშვებს ეჩქარებათ, რადგან ეს დღე მათთვის თოვლის ბაბუასთან და საჩუქრებთან ასოცირდება. წინასაახალწლოდ, ცნობილი ადამიანების შვილებს ვესტუმრე. ჩემი პატარა რესპონდენტები სიხარულით შემხვდნენ და საკუთარი სურვილი თითოეულმა მათგანმა გულახდილად გამიმხილა. შევეცადე, მათთან საუბრის სტილი დამეცვა და მათი აზრები მკითხველისთვის შეუცვლელად და შეულამაზებლად მომეწოდებინა.

ნათია ჟვანია

ჩვენი პირველი სტუმრები არიან 6 წლის ***დემეტრე*** *და 8 წლის* ***ანასტასია ჟვანიძეები*** *(ჟურნალისტ ნატო ნიჟარაძის შვილები).*

დემეტრე:

— ძალიან მიხარია, ახალი წელი რომ მოდის. იცი, როგორ ველოდები? მინდა, რომ თოვლის ბაბუა მოვიდეს...

— თოვლის ბაბუას ნახულობთ ხოლმე?

ანასტასია:

— ხან როცა გვღვიძავს, მაშინ მოდის, ხან კი საჩუქრებს ნაძვის ხის ქვეშ დაგვიწყობს და მიდის. ჩვენს გაღვიძებას აღარ ელოდება.

დემეტრე:

— გვინდა, რომ წელს თოვლის ბაბუა კი არ მოვიდეს, ელფები გამოგვიგზავნოს. ჯერ ერთი, ელფების ნახვა მაინტერესებს, თანაც არ მინდა, რომ თოვლის ბაბუ შევაწუხოთ. ისე, ჩვენ 7-8 საათზე ვიძინებთ და ელფები რომ მოვლენ, შეიძლება, მათაც დაძინებულები დავხვდეთ. თუ ვერ ვნახავ, არა უშავს, საჩუქარს ხომ მომიტანენ?!

— ძალიან დიდი და ლამაზი ნაძვის ხე გაქვთ, ვინ გიყიდათ?

ანასტასია:

— დედამ გვიყიდა. მე სკოლაში რომ ვიყავი, დედა და დემეტრე ნაძვის ხის შესარჩევად წავიდნენ. ძველი ნაძვის ხე რაც გვქონდა, ის ჩვენს ბებოს უნდა ვაჩუქოთ. ახალი კი ყველამ ერთად მოვრთეთ. დედამ ბაფთები შეაბა და ჩვენ სათამაშოები ჩამოვკიდეთ...

დემეტრე:

— სადაც ეს მწვანე ნაძვის ხე ვიყიდეთ, იქ თეთრიც იყო, მაგრამ მე ის არ მომეწონა. თან ამხელა არ იყო. მე კიდევ დიდი ნაძვის ხე მინდოდა, რომ მქონოდა. ჰოდა, დედამ სურვილი შემისრულა.

— თქვენ თუ იცით, რა არის ახალი წელი?

— ახალი წელია, როცა გარეთ თოვლი მოდის. კიდევ, თოვლის ბაბუაც ახალი წელია.

ანასტასია:

— ჩემი აზრით, ახალ წელს სიხარული და ხალისი მოაქვს. ერთხელ გარეთ დიდი თოვლი იყო. მე ამ თოვლში ჩავწექი და ანგელოზი გავაკეთე.

— თოვლის ბაბუა საიდან მოდის, ის თუ იცით?

დემეტრე:

— როგორ არა, ლაპლანდიიდან მოდის.

ანასტასია:

— ლაპლანდიაში იმიტომ ცხოვრობს, რომ იქ სიცივეა. თბილ ადგილას რომ მოხვდეს, ხომ დადნება და ცუდად გახდება. ლაპლანდიაში კი არასოდეს თბილა.

— თოვლის ბაბუს როგორ აგებინებთ, რა საჩუქარი გინდათ?

დემეტრე:

— კომპიუტერით ვუგზავნით წერილებს და ვუნერთ, რაც გვინდა. აი, ეს ძაღლი შარშან მაჩუქა. ანასტასიას კი თოჯინა მოუტანა. წელს სკეიტბორდი მინდა და ამის შესახებ უკვე მივწერე.

ანასტასია:

— მე სათამაშო ფერია და „როლიკები“ მინდა. ადრე ჩვენთან თოვლის ბაბუა იყო და იმან ქართულად ლაპარაკიც იცოდა.

დემეტრე:

— ამის კლასელს თოვლის ბაბუის

არ სჯერა, ჰოდა, ჩვენთან რომ იყო მოსული, იმ თოვლის ბაბუას ვუთხარი ეს ამბავი.

ანასტასია:

— პატარა რომ ვიყავი, ჩემთან თოვლის ბაბუა მოვიდა. მე მეგონა, რომ ნამდვილი იყო, მაგრამ უცებ წვერი არ ჩამოუვარდა? თურმე მიწებებული ჰქონია. მერე მეუბნებოდა, ნახე, როგორი ღიპი მაქვსო... მეგონა, მისი ღიპიც არ იყო ნამდვილი, მაგრამ მაჩვენა, რომ ბალიშები არ ედო.

— ეი. ის ნახევრად თოვლის ბაბუა იყო?

— ჰო... ნამდვილი თოვლის ბაბუა ძალიან ბებერია და დიდ მანძილზე ველარ დადის. ამიტომ თვითონ ლაპლანდიაში ზის, ბავშვების წერილებს იღებს და შემდეგ თავის დამხმარე თოვლის ბაბუებს იმ საჩუქრების დასარიგებლად გზავნის.

— ახალ წელს დედიკო თქვენთან ერთად ხვდება ხოლმე?

— კი, ყოველთვის ჩვენთან არის და არსად არ მიდის. უბრალოდ, მე 9

საათზე ვიძინებ და ზოგჯერ ვერ ვხვდები ახალ წელს.

დემეტრე:

— თუ გინდათ, საახალწლო სიმღერას გიმღერებთ: „ალილო, ალილო, შობა თენდება, ახალი წლის სიხარულს რა შეედრება. რეკავენ ზარები, შობა თენდება, სითბო და ალერსი დაგვებედება“...

ნიტა ლომიძე, *6 წლის, ნიკა ლომიძისა და თეა გობეჯიშვილის შვილი:*

— **ნიტა, რა არის ახალი წელი?**

— ახალი წელი ის არის, თოვლი და სიცივე რომ არის. ახალი წელი ძალიან მიყვარს, რადგან თოვლი თუ მოვა, ვგუნდაობ.

— **კიდევ რას აკეთებ ახალ წელს?**

— ყოველთვის მღვიძავს. ახალი წლის ღამეს ადრე არ ვიძინებ. მაშხალებს ვისვრი. მამიკო და დედიკო კიდევ, ღვინოს სვამენ.

— **შენთან თოვლის ბაბუა მოდის ხოლმე?**

— კი, როცა ახალი წელია, ყოველდღე მოდის. ცუდ ბავშვებთან კიდევ არ მიდის და არც საჩუქრები მიაქვს. ჩემთვის ყოველთვის ბევრი საჩუქარი მოაქვს. ოთახი ავსებული მაქვს საჩუქრებით...

— **წელს წერილი გაუგზავნე თოვლის ბაბუას?**

— არა, წერილებს არ ვუგზავნი. ისე ჩავიფიქრებ ხოლმე. საერთოდ, ლამაზი კაბები მომწონს, გვირგვინი და ქოშები რომ მოჰყვება ისეთი; ჰოდა, თოვლის ბაბუას ვთხოვე, რომ ასეთი ტანსაცმელი მომიტანოს. ასეთ კაბას მძინარე მზეთუნახავის კაბა ჰქვია. ქოშები თუ არ ექნება, ბუმბულიანი ფეხსაცმელი იყოს. ადრე მქონდა ასეთი ფეხსაცმელი, მაგრამ ყველაფერი მოსძვრა. იცი, რა? სულ მეუბნებიან, დღეს თოვლი მოვაო, მაგრამ არ მოდის. ერთ რაღაცას მივხვდი, როცა სულ ცოტა-ცოტა კიდევ აცივდება, თოვლი მერე მოვა.

— **შენ ხომ არ იცი, თოვლის ბაბუა საიდან მოდის?**

— როგორ არა. თოვლი ხომ მოდის, ჰოდა, ეს თოვლის ბაბუა იმ თოვლისგან კეთდება.

— **ნაძვის ხე უკვე ააწყვე?**

— კი, ერთ სახლშიც ავაწყვე და — მეორეშიც. მამიკოს სახლში ძალიან ძველი ნაძვის ხე გვაქვს. მამიკოს ბავშვობის დროინდელია. ზოგიერთი სათამაშო და მძივი კი ჩემი ბაბუას ნაქონია.

— **დედიკო და მამიკო ახალი წლის ღამეს სახლში არიან ხოლმე?**

— კი, სახლში ხშირად არიან ხოლმე. ახლა დამპირდნენ, რომ ამ ახალ წელსაც შენთან ერთად შევხვდებით და არსად წავალთო.

ნინო კუკავა, *4 წლის, პოლიტიკოს კახა კუკავას შვილი:*

— **ნინო, როგორც ვხედავ, ნაძვის ხე ჯერ არ დაგიდგამს. როგორი ნაძვის ხე გინდა, რომ გქონდეს?**

— ძალიან მინდა, ვარდისფერი ნაძვის ხე. ბევრ სათამაშოს ჩამოვკიდებ, წვიმებს კი არ გავუკეთებ, არ მოუხდება. ჭერამდე ნაძვის ხე მინდა, ძალიან ლამაზი იქნება.

— **დღეს ბაღში საახალწლო ზეიმი გქონდა. რა გააკეთე ზეიმზე?**

— საერთოდ, ახალი წელი თოვლს ნიშნავს. ჰოდა, ჩვენს ზეიმზეც ბევრი გუნდა და „ქიფქი“ (*ფიფქს გულისხმობს — ავტ.*) იყო. მე ვიცეკვე და ვიმღერე. ლექსიც ვთქვი.

— **თქვენს საახალწლო ზეიმზე თოვლის ბაბუაც მოვიდა?**

— მოვიდა და საჩუქარიც მომიტანა. გაჩვენო?

— **აბა, რა. ძალიან მაინტერესებს.**

— აი, ეს კანფეტები მომიტანა. საერთოდ, ძალიან მიყვარს კანფეტები. ამ შოკოლადის კვერცხში კიდევ საჩუქარია, ოღონდ ჯერ არ გამიხსნია და არ ვიცი, შიგნით რა დევს. შენ იცი, თოვლის ბაბუ სულ თეთრი რომ არის? ახლა ჩემს სახლშიც მალე მოვა კიდევ ერთი თოვლის ბაბუა. მე რომ მეძინება, ჩუმად შემოიპარება, ნაძვის ხესთან საჩუქარს დამიდებს და ისევ გაიპარება. წერილი მივწერე, რომ მანქანა და „ფიფრინავი“ მომიტანოს.

— **მანქანა და თვითმფრინავი რად გინდა, ბიჭი ხომ არ ხარ?**

— ნიკას მანქანა მინდა. ჩემს ძმას აქვს მანქანა და არ მათხოვებს, ამიტომ მეც მინდა ისეთი.

— **თოჯინა არ გინდა?**

— როგორ არა, მაგრამ თოჯინას მამა მომიტანს. ახლა სამსახურშია და ღამით მოდის ხოლმე. ახალ წელს სახლში იქნება და თოჯინას მომიტანს. შავთმიანი თოჯინა მინდა.

თეკლე ბალათურია, *5 წლის, პოლიტიკოს ჯონდი ბაღათურიას უმცროსი შვილი:*

— **თეკლე, ძალიან ლამაზი კაბა გაცვია.**

— დღეს საბავშვო ბაღში ზეიმი მქონდა და ეს კაბა ამიტომ მაცვია. ზეიმზე „აჭარული“ ვიცეკვე. მე „ბასტი-ბუბუშიც“ დავდივარ და ცეკვასთან ერთად, ვმღერი კიდეც. ჩვენს ზეიმზე თოვლის ბაბუაც მოვიდა და შოკოლადები მოგვიტანა.

— **ნაძვის ხე არ დაგიდგამს?**

— ნაძვის ხე მაქვს. თქვენ რომ წახვალთ, მერე დავდგამ. ჩემი ნაძვის ხე ძალიან დიდია... ახალი სათამაშოები უნდა ვიყიდო, თორემ ყველა სათამაშო ძველია.

— **თეკლე, რა არის ახალი წელი?**

— ახალი წელი ზაფხულია, რადგან ყველა კარგად მხიარულობს. თან თოვლის ბაბუა მოდის და ეს ყველა ბავშვს უხარია.

— **შენ იცი, თოვლის ბაბუა სად ცხოვრობს?**

— როგორ არ ვიცი, ტყეში არის და ყინულში ცხოვრობს. თოვლის ბაბუა მხოლოდ ბაღში მოდის ხოლმე, სახლში კი არ მოდის. როცა ვიღვიძებ, მისი მოტანილი საჩუქრები კი მხვდება. ზედ აწერია, ეს თეკლესიაო, ეს ჯონდისო და ა.შ. ახლა წერილი დავწერე და მამიკოს გავატანე, რომ თოვ-

ლის ბაბუას მისცეს. იქ დავუწერე, რაც მინდა, რომ მაჩუქოს.

— მამიკოს რატომ გაატანე?

— იმიტომ, რომ იმის სამსახურში უფრო მალე იქნება ნაძვის ხე და თოვლის ბაბუაც ჯერ იქ მივა. ჰოდა, მამიკო მას ჩემს წერილს მისცემს. ბარბი მინდა ძალიან, რომელსაც შვილები და მეგობრები ჰყავს. ჰოდა, თოვლის ბაბუს დავაბარე... შენ იცი, რომ მეც ჟურნალისტი მინდა გამოვიდე?!

— ძალიან კარგი. მამიკო ახალ წელს საჩუქარს გჩუქნის ხოლმე?

— არა. ახლა მითხრა, ახალ წელს გიყიდი რამესო. ძალიან მინდა, რომ ტანსაცმელი მიყიდოს და „ბეიბი ბონის“ თოჯინა მაჩუქოს. ეს ის თოჯინაა, პამპერსები რომ სჭირდება. ძალიან მომწონს და მინდა, რომ მქონდეს. იცი, რა ტანსაცმელი მინდა? დუტი

„კურტკა“. კიდევ ჩემი სურვილია, რომ ეფექტური სამშობლო მქონდეს. ღმერთი როგორც ინებებს, ყველაფერი ისე უნდა იყოს. იქნებ ღმერთს ისეთი სამშობლო უნდა, ყველას რომ გაახარებს.

— ეფექტური რას ნიშნავს?

— არ იცი? ეფექტური უფრო კარგ სამშობლოს ნიშნავს. ჟურნალისტი რომ გამოვალ, მამიკოსთან წავალ პარლამენტში და ყველასთან ჩავწერ ინტერვიუს.

— ახალი წლის ღამეს შენს ოჯახში რა ხდება?

— არ ვიცი, რადგან მძინავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ მამიკო ახალ წელს ყოველთვის სახლშია.

— შენ იცი, მეკვლე ვინ არის?

— კი, მეკვლე თოვლის ბაბუას ნიშნავს.

10 წლის **ლაშა,** *7 წლის* **გიორგი** *და 4 წლის* **ნიკოლოზ რამიშვილები,** *შალვა რამიშვილის შვილები:*

ლაშა:

— ჩემი აზრით, ახალ წელს ყველა ბედნიერი უნდა იყოს. პატარებს საჩუქრებს იმიტომ ჩუქნიან, რომ არ მოიწყინონ.

გიორგი:

— ახალი წელი ყველაზე მაგარი დღეა, ამიტომაც ბავშვებს ყველაზე ძალიან ახალი წელი გვიყვარს.

ნიკოლოზი:

— კიდევ ბევრ საჩუქარს რომ გვჩუქნიან, იმიტომ არის ახალი წელი მაგარი. კიდევ, თოვლი მოდის და ძალიან მაგარია. ახალი წელი „პროსტა“ მიხარია, რა.

ლაშა:

— ნახე ჩვენი ნაძვის ხე? ცოცხალია და ქოთანშია ჩარგული. დედამ გვიყიდა და ძალიან მოგვწონს. ზედ ზოგიერთი ძალიან ძველი სათამაშო კიდია. ბებოს და მამას ბავშვობის დროინდელი. თან თავისი გირჩებიც აქვს. აი, ის სავარძელი რომ კიდია, ეგ მამაა, ის კონკიას ქოში დედაა, ის სამი ერთმანეთზე გადაბმული წიწილა კი ჩვენ ვართ. დედამ ამოირჩია ასე.

ნიკოლოზი:

— მე წიწილა კი არა, ყურძენი ვარ.

— თქვენთან თოვლის ბაბუა მოდის ხოლმე?

გიორგი:

— მოდის, აბა, რა. ყოველ წელს მოდის და საჩუქრებიც მოაქვს.

ნიკოლოზი:

— წერილები დავუწერეთ და შენს მოსვლას ველოდებოდით, რომ გავუგზავნოთ...

გიორგი:

— აი, ჩვენი წერილებისგან თვითმფრინავები გავაკეთეთ. ახლა შენთან ერთად ამ თვითმფრინავებს გავაფრენთ და თოვლის ბაბუასთან მიფრინდებიან.

— რა კარგია, მეც მინდა, რომ თვითმფრინავი გავაფრინო.

— არა, სურვილებს მარტო ბავშვებს უსრულებს. შენც კი არ შეგისრულებს. ნახე, მე დავუწერე, რომ პულტიანი „ვერტალიოტი“ ან ასაწყობი მანქანებიანი სახლი მინდა.

ნიკოლოზი:

— მეც „ვერტალიოტი“ მინდა, მაგრამ პულტიანი არა.

ლაშა:

— მე კიდევ საათი მინდა. კიდევ ერთი საახალწლო სურვილი გვაქვს ყველას ერთად. დიდი სახლი გვინდა, რომ გვქონდეს. სართულებიანი უნდა იყოს და შიგნით ლიფტი უნდა გვქონდეს.

ნიკოლოზი:

— მე კიდევ ორსართულიანი საწოლი მინდა, ჩამოსასრიალებელი რომ აქვს.

— თოვლის ბაბუ სად ცხოვრობს, ვინ იცის?

გიორგი:

— მე ვიცი. ლაშა, რა ჰქვია, სადაც ცხოვრობს?

ლაშა:

— ლაპლანდიაში.

გიორგი:

— ჰო, ლაპლანდიაში ცხოვრობს. იქ სულ თოვლია. თოვლის ბაბუას იქ ფიფქები და ჯუჯები ჰყავს. ჰოდა, ის ჯუჯები აკეთებენ საჩუქრებს. ახალ წელს თოვლის ბაბუა რომ მოვა, კარზე დაგვიკაკუნებს და ვიდრე გავიხედავთ, იმალება. კი არ გვენახვება, როგორია. კარს რომ გავაღებთ, იქ უამრავი საჩუქარი გვხვდება.

ლაშა:

— თოვლის ბაბუა რომ მოდის, დედა ყვირის ხოლმე, ჩქარა დაიმალეთო. ბებო კიდევ სულ მეუბნება, ღვინო დალიე, უკვე კაცი ხარო. მეც ცოტას ვსვამ ხოლმე. წელსაც დავლევ და ვისიც მომესურვება, იმის სადღეგრძელოს ვიტყვი. მამა ოთხი ახალი წელი ჩვენთან არ იყო. წელს სახლში იქნება, ამიტომ მამას სადღეგრძელოს დავლევ.

— მამას არ მოაქვს ხოლმე საჩუქრები?

— არა, მარტო თოვლის ბაბუას მოაქვს. მამა არასოდეს გვეთამაშება, საერთოდ არ იცის თამაში, თანაც სახლში არასოდეს არ არის. სულ სადღაც არის. პატარა რომ ვიყავი, რაც მომესურვებოდა, იმას მჩუქნიდა. ახლა ჯერ არ უჩუქებია და ვნახოთ აბა, რას მაჩუქებს ახალ წელს.

— არ გეთამაშებათ?

— არა, თამაში საერთოდ არ იცის. სულ ისე იყურება, გეგონება, თვალები გადმოუცვივდებაო.

ნიკოლოზი:

— მე კიდევ ძალიან მიყვარს ჩემი მამიკო. თან კანფეტების წვიმა მინდა, რომ მოვიდეს. კიდევ ის მინდა, მამა რომ სამსახურში არ წავიდეს და ახალ წელს სულ ჩვენთან იყოს. მზე როცა არის, სულ სამსახურშია ხოლმე...

გიორგი:

— მე კიდევ ის მინდა, რომ ნამდვილი თოვლის ბაბუა მოვიდეს და აღარ დაიმალოს. სახლში შემოვიდეს და ცოტა გვეთამაშოს. ■

ოჯახურ ტრადიციებსა და „სამსახურის ტრადიციებს“ შორის

ანუ გადარბენები ბაზარში და საჩუქრებზე და სამუშაო ახალწლის ღამეს

ალბათ ყველას აინტერესებს, ცნობილი ადამიანები როგორ ხვდებიან ახალ წელს. აღმოჩნდა, რომ ყველა პოპულარულ მსახიობს ახალი წლის ღამეს დაძაბული სამუშაო გრაფიკი აქვს. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა ტრადიციებს აქტიურად იცავს და 12 საათს ოჯახში ხვდება. სწორედ ამ საახალწლო სამზადისსა და ტრადიციებზე სასაუბროდ დავუკავშირდით რამდენიმე მათგანს.

ნათია ჟივიძე

ნანკა კალატოზიშვილი:

— საერთოდ, ტრადიცია მაქვს, რომ ყოველ ახალ წელს ოჯახთან ერთად უნდა შევხვდე, მაგრამ



2010 წელს ქუჩაში შევხვდები

ამჯერად ეს არ გამომივა, რადგან თავისუფლების მოედანზე კონცერტის წამყვანი უნდა ვიყო. შესაბამისად, 2010 წელს ქუჩაში შევხვდები. აქამდე ასე არასოდეს მოვქცეულვარ, ამიტომ მაინტერესებს, როგორი იქნება ეს სიახლე.

— კონცერტზე ფიფქია ხომ არ იქნები?

— არ ვიცი. კონცერტის წამყვანები მგონი, მე და დუტა სხირტლაძე უნდა ვიყოთ. კოსტიუმებს დიზაინერი დათუნა სულიკაშვილი კერავს და სიმართლე რომ გითხრა, აზრზე არა ვარ, ვინ ვიქნები.

— საახალწლო საჩუქრებს თუ ყიდულობ ვინმესთვის?

— რა თქმა უნდა! მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებს ყოველ წელს ვყიდულობ. ეს ჩემთვის საყვარელი პროცესია. საახალწლოდ მეც ვიღებ საჩუქრებს, მაგრამ უფრო მეტად მიყვარს, როცა ვჩუქნი. ეს განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს.

— რა არის შენი საახალწლო სურვილი?

— ძალიან მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს მშვიდობა, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ და ჩვენ ირგვლივ ნაკლები ბოღმა იყოს. რაც მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი.

ვასო ფხაკაძე:

— ეჰ, ჩემო კარგო, მე საახალწლო კი არა, სამსახურის „ტრადიციები“ მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა, ახალ წელს ოჯახთან ერთად ვიყო, ეს არასოდეს გამომდის, რადგან ამ დროს ყოველ წელს ვმუშაობთ. წელს ლალი მოროშკინასთან ერთად, თბილისის ზღვაზე „ივენთს“ ვაწყობთ.

— შენს ოჯახში მეკვლედ ვის ისურვებდი?

— მეკვლესი არ მჯერა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შემოვა პირველი?! შეგნებულად, მეკვლედ არავისთან წავსულვარ, მაგრამ ხანდახან უთქვამთ, პირველი შემოხვედი და მეკვლე ხარო. მერე მეუბნებიან ხოლმე, კარგი ფეხი გქონდა და კიდევ მოდიო.

— თოვლის ბაბუის არსებობის გჯერა?

— თოვლის ბაბუის ყველას სჯერა. ახლა მეც თოვლის ბაბუა ვარ — დავდივარ და ჩემთვის საყვარელი ხალხისთვის საჩუქრებს ვარჩევ. მეც მჩუქნიან ხოლმე რაღაცებს. წელს არ ვიცი, მაჩუქებენ თუ არა.

— რა არის შენი საახალწლო სურვილი?

— რა ვიცი, ამაზე არ მიფიქრია.

— სახლი, მანქანა ან ცოლი არ გინდა?

— სახლი და მანქანა მაქვს, ცოლი კი შეიძლება, რომ მინდოდეს, მაგრამ ხომ იცი, ამურმა ისარი თუ არ გესროლა, ისე არაფერი გამოვა

დედაჩემს სჯერა, რომ მას კარგი ფეხი აქვს

ლი კი შეიძლება, რომ მინდოდეს, მაგრამ ხომ იცი, ამურმა ისარი თუ არ გესროლა, ისე არაფერი გამოვა.

— **შენმა ამურმა ნამეტანი დააგვიანა ისრის სროლა...**

— ისრებს კი მესვრის, მაგრამ „ბრონეჟილეტი“ მაცვია და ვერ მარტყამს (*იცინის*).

— **ჟურნალ „გზის“ მკითხველს რას ეტყვი?**

— რა უნდა ვუთხრა?! ბედნიერი გზა გქონდეთ და მშვიდობიანად გევლოთ!

ზაზა იაქაშვილი:

— ჩემი საახალწლო ტრადიცია ის არის, რომ ახალ წელს აუცილებლად ოჯახთან ერთად ვხვდები. მანამდე კი ყველა ერთად ვრთავთ ნაძვის ხეს, ჩიჩილაკს. ბაზარშიც მივდივართ ხოლმე. ისე, ერთი საინტერესო ტრადიცია გვაქვს: დიდ ოთახში დიდი ნაძვის ხე და ჩიჩილაკი გვიდგას, პატარა ოთახში კი — პატარა. მოკლედ, ოჯახში ორი ნაძვის ხე და ორიც ჩიჩილაკი გვაქვს. ეს დედაჩემის სურვილია. მეკვლეს ტრადიციაც გვაქვს. ჩემი ოჯახის წევრები მეკვლეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამიტომ, ჩვენი მეკვლე ჩვენი ნათესავი და ძალიან ახლობელი ადამიანია ხოლმე. დედაჩემს სჯერა, რომ მას კარგი ფეხი აქვს. ისე, მეც კარგი ფეხი მაქვს და ხანდახან ახლობლების მეკვლე ვარ, მაგრამ პირადად მე მეკვლეობის დიდად არ მჯერა. ისე, ამ ახალ წელს ოჯახთან ერთად კი შევხვდები, მაგრამ მთელი ღამე მათთან ერთად ვერ ვიქნები, რადგან კონცერტზე მივდივარ. ერთ-ერთ რესტორანში „ივერიის“ კონცერტია, სადაც ძველი და ახალი დადგმის მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას: მოგეხსენებათ, რომ ადრე „ჩხიკვთა ქორწილში“ მეც ვმონაწილეობდი, ამიტომ ახალი წლის ღამეს იმ კონცერტის წამყვანი ვიქნები და თან სამ დუეტსაც შევასრულებ.

— **ახლობლებისთვის საჩუქრებს ყიდულობ?**

— აი, ეს კი ნამდვილად, აუცილებელი ტრადიციაა. საჩუქრებს აუცილებლად ვყიდულობ, რადგან მიმაჩნია, რომ ახალი წლის ღამეს ყველა ბედნიერი უნდა იყოს.

— **შენი საახალწლო სურვილი რა არის?**

— ძალიან მინდა, რომ შვილები ჯანმრთელები და ბედნიერები მყავდნენ. მინდა, რომ დასახულ მიზანს მიაღწიონ. კიდევ მინდა, რომ საქართველო იყოს აყვავებული და გაერთიანებული. მომავალ წელს ბევრი სამუშაო და ბევრი საინტერესო როლი რომ მქონდეს, ესეც ძალიან მინდა.

ლევან ხურცია:

— ჩემი საახალწლო ტრადიცია ის არის, რომ სულ რეპეტიციები მაქვს. მართალია, ოჯახის წევრებთან ერთად, ნაძვის ხე უკვე ავაწყვე, მაგრამ ახალ წელს მათთან ერთად ვერ შევხვდები, რადგან ერთ-ერთ რესტორანში კონცერტის წამყვანი უნდა ვიყო. მიუხედავად იმისა, რომ ვმუშაობ, ქეიფსა და გართობასაც ვახერხებ. მოკლედ, ახალი წლის ღამეს ყოველთვის კარგ დროს ვატარებ და ასე იქნება ახლაც.

— **საჩუქრებს გჩუქნიან ხოლმე?**

— კი, მჩუქნიან და მეც ვყიდულობ ხოლმე ახლობლებისთვის, მაგრამ იცი, როგორი საჩუქრები მიყვარს? სიამოვნების გამო რომ ვჩუქნი და არა ვალდებულების გამო.

— **მეკვლესი თუ გჯერა?**

— კარგი, რა, რა დროს მეკვლეა?! ამას არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, ადამიანი შენს ოჯახში კარგი გულით შემოვიდეს, მეკვლე ერქმევა თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს.



ჩემი საახალწლო ტრადიცია ის არის, რომ სულ რეპეტიციები მაქვს

— **საახალწლო სურვილი თუ გაქვს?**

— რა თქმა უნდა. რაღაც ოცნება მაქვს, რომელიც მინდა, რომ ამიხდეს. მაგრამ ამ ოცნებას არ გაგიმხელთ.

ეკა ნიშარაძე:

— ახალი წელი ძალიან მიყვარს და საახალწლო ტრადიციებიც მაქვს. მაგალითად, ნაძვის ხეს ყოველთვის ჩემს შვილებთან ერთად ვრთავ, ახალ წელს აუცილებლად ოჯახში ვხვდები, საახალწლო სუფრაზე კი გოჭი, საცივი და გოზინაყი აუცილებლად გვაქვს. 12 საათის შემდეგ კი სამსახურში მივდივარ. ასე იქნება წელსაც — კონცერტის წამყვანი უნდა ვიყო.

ნაძვის ხეს ყოველთვის ჩემს შვილებთან ერთად ვრთავ

— **შვილებს ალბათ საჩუქრებს მიუძღვნი.**

— რა თქმა უნდა. ესეც ტრადიციაა. დავდივარ ხოლმე საჩუქრების შესარჩევად. ვიცი, რომ ჩემმა შვილებმაც იყიდეს ჩემთვის რაღაც, თუმცა რა — ეს ჯერჯერობით სიურპრიზია.

— **რა არის შენი საახალწლო სურვილი?**

— ძალიან მინდა, რომ მომავალი წელი მშვიდობიანი, ბარაქიანი და ბედნიერი იყოს. რაც მთავარია, მინდა, რომ ყველა ჯანმრთელად მყავდეს.

ჩემს რესპონდენტებთან ერთად, ყველა ჩვენს მკითხველს ვულოცავ ახალ წელს! მათ ჯანმრთელობას, ბარაქას და უფლის წყალობას ვუსურვებ. ■

ემა ტუხიაშვილი

წარმატება

15 წლის გოგონას ქართული სახე ანუ „იურმალის“ 2009 წლის გრან-პრის მფლობელი

საბავშვო მუსიკალური კონკურსის, „ახალი ტალღა 2009“ გამარჯვებული, 15 წლის თბილისელი ანანო ღიბრაძეა. საერთაშორისო საესტრადო კონკურსი — „იურმალა“ ბავშვთა შორის, მოსკოვში წინასაახალწლოდ გაიმართა. ათი ქვეყნის თვრამეტი წარმომადგენლიდან, ჟიურიმ საუკეთესოდ ანანო დაასახელა. კონკურსის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ორივე საკონკურსო ტურში, მონაწილეს მხოლოდ უმაღლესი ქულები — თერთმეტი მიანიჭეს.

ანანო:

— კონკურსზე ერთი ინგლისური სიმღერა და ერთიც ქართული შევასრულე. ინგლისური კომპოზიცია ანიმაციური ფილმიდან („მადაგასკარი“) შესასრულებლად უფრო რთული იყო, ამიტომ ცოტა ვინერვიულე, მაგრამ წარმატებამ უსაზღვრო ბედნიერება მომანიჭა. ასეთი დადებითი ემოცია არასდროს მიმიღია. არ ველოდი პირველ ადგილს, რადგანაც ბევრი კარგი კონკურსანტი მონაწილეობდა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში შრომამ შედეგი გამოიღო. ყველაფრის მიუხედავად, დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ამ რთულ და ხანგრძლივ საკონკურსო გზას კიდევ ერთხელ გავივლიდი.

— სიმღერა რა ასაკში დაიწყე?

ნანა ცერცვაძე, *ანანოს დედა:*

— ანანო რვა წლიდან მღერის. მანამდე ცეკვასა და ფიგურულ სრიალზე დადიოდა. სხვათა შორის, სიმღერის ნიჭი რომ ჰქონდა, ჯერ კიდევ ერთი წლისას შევნიშნეთ. მახსოვს, ტელევიზორთან დადგა და ჯექსონის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა, სიტყვების გარეშე, მელოდიურად წაიმღერა. ბაღშიც, ზეიმებზე ყველაზე მეტს ანანო აქტიურობდა: მღეროდა, ცეკვავდა და ლექსებსაც გამოთქმით ამბობდა. ბაღის მასწავლებლები სულ მეუბნებოდნენ: ეს ბავშვი სიმღერის პედაგოგთან მიიყვანე, ძალიან ნიჭიერია. ჰოდა, რვა წლის იყო ანანო, როცა გადავწყვიტე, ვოკალის პედაგოგთან (ირმა ღვინიაშვილი) მიმეყვანა. სიმღერის პედაგოგთან ისე მივედით, რომ ერთი სიმღერაც არ გვქონდა მომზადებული. ირმამ ანანო თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა და ურთულესი სიმღერა „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“ ამღერა. პედაგოგი აღფრთოვანებული დარჩა: ამ ბავშვს ხმის იმხელა დიაპაზონი აქვს, მასთან მუშაობას აუცილებლად დავიწყებო. ასე მოვხვდით ირმა ღვინიაშვილთან. იმის შემდეგ, ანანო ირმას საყვარელი მოსწავლეა. სხვათა შორის, რვა თვეა, რაც ანანოს სიმღერის პედაგოგი კიევში ცხოვრობს და იქ ლექციებს ერთ-ერთ მუსიკალურ აკადემიაში კითხულობს. ასე რომ, „იურმალის“ კონკურსისთვის მოსამზადებელი პერიოდი, ანანომ ფაქტობრივად, დამოუკიდებლად გაიარა. დროდადრო, ირმა ინტერნეტით კიევიდან უკავშირდებოდა და „სკაიპით“ გაკვეთილებს უტარებდა...

— მუსიკალური განათლება არა აქვს ანანოს?

— რვა წლის იყო ანანო, როდესაც კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა ათწლედში გამოცდები წარმატებით ჩააბარა და საფორტეპიანო განხრით ჩაირიცხა. მოგვიანებით, საგუნდო განყოფილებაში გადავიდა, ახლა ვოკალური განხრით სწავლობს. ვოკალის კარგი პედაგოგი (დოდო დიასამიძე) ჰყავს, რომელიც თავის მხრივ, ცდილობს ანანო საოპერო ხელოვნებისკენ გადაიბიროს, რადგან მეცო-სოპრანოა. მაგრამ, ანანოს ჯერჯერობით, ესტრადა უფრო მოსწონს...

— როგორც ვიცი, „იურმალის“ გარდა, ანანო ბევრი სხვა კონკურსის გამარჯვებული და ლაურეატია...

— ანანო დიდ სცენაზე პირველად ოთხი წლის წინ გამოვიდა, როდესაც ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის თაოსნობით, საბავშვო მუსიკალური კონკურსი — „ოქროს დისკი 2005“ გაიმართა. ბატონ ბადრისთან ერთად, პროექტზე მუშაობდნენ — გია მაჭარაშვილი, მიშა ზაქარეიშვილი, ნოდარ ნიკოლაიშვილი და სხვები. იმ კონკურსზე ანანომ პირველი ადგილი დაიკავა. გოგი დოლიძის სახელობის ფესტივალის ლაურეატი გახდა 2006 წელს, ანანო სხვა ნიჭიერ ბავშვებთან ერთად, ორ კვირით, გერმანიაში, ბახის სკოლაში მიიწვიეს. ქართველმა ბავშვებმა იქაურ მუსიკალურ სასწავლებლებში კონცერტები გამართეს და ამით, კიდევ მეტი სასცენო გამოცდილება შეიძინეს. იმავე წელს, ანანომ მონაწილეობა მუსიკალურ კონკურსში — „სლავიანსკი ბაზარ“ მიიღო, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. 2007 წელს, უკრაინაში, კონკურსში „ბროლის ტოროლა“ მონაწილეობდა, სადაც გრან-პრი, პირველი ადგილი და პრიზი „მაყურებელთა სიმპათია“ მიიღო. იმავე წლის ზაფხულში, ანანო ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში გაემგზავრა, სადაც გამოდიოდა კონკურსზე „ჯადოსნური სიმღერა“. ამ კონკურსიდანაც გრან-პრით დაბრუნდა. იმ დროს, საქართველოში საბავშვო „ევროვიზიისთვის“ შიდა შესარჩევი ტური ტარდებოდა და იმ ტურშიც მონაწილეობდა და თორმეტ ფინალისტს შორის ანანოც მოხვდა. 2008 წელს, უკრაინაში ერთ-ერთ კონკურსზე ერთი ქართული და ერთიც უკრაინული სიმღერა „ტობი“ შეასრულა (სხვათა შორის, ამ სიმღერას ესტრადის ვარსკვლავი თინა კაროლი მღერის). როდესაც ანანო კონკურსზე ამ სიმღერას ასრულებდა, დარბაზში თინა კაროლის მეგობარი და მისი სიმღერების ავტორი იჯდა. ანანოს გამოსვლის შემდეგ მოითხოვა: ეს სიმღერა დისკზე ჩამიწერეთ, თინას უნდა მოვასმენინო, მის სიმღერას ბავშვები როგორ მღერიან და თან უცხო ქვეყნის წარმომადგენლებიო. იმ კონკურსიდანაც გრან-პრი ჩამოიტანა.

— „ახალი ტალღის“ საბავშვო კონკურსზე როგორ მოხვდით?

— შემთხვევით გავიგე, რომ წელს პირველად, ეს კონკურსი საერთაშორისო მასშტაბით იმართებოდა. შესარჩევი ეტაპი ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. საორგანიზაციო კო-

მიტეტში ანანოს ფოტო და ვიდეომასალა, მონაცემები, ანკეტა გავგზავნეთ... როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, 5000-მდე განაცხადი შევიდა. რა თქმა უნდა, კასტინგისთვის, სადაც ბავშვებს ცოცხლად უნდა ემღერათ, მხოლოდ ათასამდე კონკურსანტი შეირჩა, საქართველოდან კი — ცხრა ბავშვი. აღმოჩნდა, რომ მოსმენა მოსკოვში იმართებოდა, ჩვენს ბავშვებს კი, გართულებული სავიზო რეჟიმის გამო, რუსეთში ჩასვლა არ შეეძლოთ. ამიტომ, ჟიური ალექსანდრე რევზინის, ალექსანდრე რუმიანცევისა და იგორ კრუტოის შემადგენლობით, ქართველი კონკურსანტების მოსასმენად და შესარჩევად კიევში ჩავიდა. ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ საქართველოს სახელით, კონკურსში „ახალი ტალღა 2009“ მონაწილეობას ანანო მიიღებდა. დაგეგმილი იყო, რომ კონკურსი ნოემბერში გაიმართებოდა, მაგრამ ვადებმა გადაიწია და „საბავშვო იურმალა“ 21-23 დეკემბერს ჩატარდა. კონკურსის დაწყებამდე მონაწილეებს ორი კვირის განმავლობაში ამზადებენ. ამიტომ, მოსკოვში 10 დეკემბერს ჩავფრინდით. კონკურსის მონაწილეები და მათი თანმხლები პირები, მაღალი კლასის სასტუმროში — „ბოროდინო ჰოლში“ დაგვაბინავეს (კომპანია, რომელიც ამ კონკურსის ორგანიზატორია, კონკურსანტების და მათი თანმხლები პირის ცხოვრების, კვების და ტრანსპორტირების ხარჯს თავად ანაზღაურებს).

— საკონკურსო სიმღერებთან დაკავშირებით თუ იყო რამე განსაკუთრებული მოთხოვნები?

— ჩვეულებისამებრ, კონკურსზე გამგზავრებამდე, საორგანიზაციო კომიტეტში რამდენიმე სიმღერას გზავნი და ისინი არჩევენ, რომელია მათგან მათთვის მისაღები. კონკურსის წესდებით, ერთი სიმღერა ანიმაციური ფილმიდან უნდა იყოს და ერთიც — ორიგინალური სიმღერა. ქრონომეტრაჟით სიმღერა სამ წუთს არ უნდა აღემატებოდეს. მოკლედ, დავიწყეთ თავის მტვრევა იმაზე, თუ რა უნდა ემღერა ანანოს. გამახსენდა, სიმღერა ანიმაციური ფილმიდან „მადაგასკარი“ (ეს ლუი ამსტრონგის ცნობილი სიმღერის საუნდტრეკი გახლავთ). პაატა ფაცურიას და ბექა ნიკოლაიშვილის დახმარებით ამ კომპოზიციის ჩვენეული ვერსია შევქმენით და ნამუშევარმა კონკურსზე დიდი მოწონება დაიმსახურა. მეორე სიმღერა, რომელიც ჟიურიმ მოსკოვში ჩასვლამდე დაგვიმტკიცა, ავთო ბადუაშვილის „ლამაზი ზღაპარი“ იყო, მაგრამ პირველივე რეპეტიციაზე, ალექსანდრე რევზინმა ამ სიმღერის შეცვლა მოითხოვა და ანანოს უთხრა: ხვალ „მინუსს“ მოგიტანენ და „სულიკოს“ შეასრულებო. არ დაიჯერებთ და მანამდე ანანოს „სულიკო“ ნამღერი არასდროს ჰქონდა. ისე ვინერვიულეთ, რომ ტექსტიც კი ვერ გავიხსენეთ და მეგობრებმა თბილისიდან „მესიჯით“ გამომიგზავნეს.

— რამდენი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა კონკურსში?

— ათი ქვეყნის თვრამეტი მონაწილე გამოდიოდა. პირველ საკონკურსო ქვეჯგუფში 8-12 წლის ბავშვები იყვნენ, ხოლო მეორე ქვეჯგუფი, რომელშიც ანანო მონაწილეობდა — 13-15 წლის. საქართველოს სახელით მხოლოდ ანანო გამოდიოდა. საკმაოდ კარგი კონკურსანტები იყვნენ, ყველას საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. რეპეტიციებს დიზაინერები, ვიზაჟისტები, სტილისტებიც ესწრებოდნენ, რომ კონცერტისთვის ბავშვებისთვის სახასიათო სასცენო სახე შეექმნათ.

ანანო:

— ბავშვებთან ალექსანდრე რევზინი ბევრს მუშაობდა. გვეუბნებოდა: ადამიანის სხეულის ნორმალური ტემპერატურა 36,6 გრადუსია, მაგრამ როდესაც სცენაზე გამოდიხარ, სიცხე 39 გრადუსამდე უნდა გქონდეს, რომ მაყურებელს შენი ენერგია გადასცეო...

ნანა:

— ანანოს კონკურსისთვის ახალი კაბები შევუკერეთ და მოსკოვში ისე ჩავედით, მაგრამ რევზინმა საკონცერტოდ არც ერთი კაბა არ დაამტკიცა. შემდეგ, თვითონვე შეარჩია ანანოსთვის გოტიეს ორი კაბა. ამის გამო, კონკურსის ორგანიზატორები, ანანოს ხუმრობით გოტიეს ქართულ სახესაც ეძახდნენ. ამ კონკურსამდე, დიდ სცენაზე ანანოს მიერ შესრულებული სიმღერა არასდროს მომისმენია. ყოველთვის საოცრად ვნერვიულობ, ხოლო როდესაც ჩემი შვილის გამოსვლის ჯერი დგება, დარბაზიდან გავდივარ. „იურმალაზე“ კი გამაფრთხილა: სცენაზე რომ გამოვალ, დარბაზში იჯდები, თუ

ანანოს ხუმრობით გოტიეს ქართულ სახესაც ეძახდნენ

არ იქნები, სიმღერას შევწყვეტო. რა უნდა მექნა, დავრჩი, მაგრამ ცალ თვალზე საქართველოს დროშა ავიფარე და ცალზე — ფოტოკამერა. კონკურსანტებს ცხრა კაცისგან შემდგარი ჟიური აფასებდა. მათ შორის, 2009 წლის „იურმალის“ გამარჯვებული — ჯამალა, ტიმატი, ირინა დუბცოვა, ირინა ნაჩალოვა, ალსუ, მაქს ფადეევი, იგორ კრუტოი, სერგეი ლაზარევი და გლუკოზა. ჟიურის თავმჯდომარე იგორ კრუტოი გახლდათ. კონკურსი ბავშვებთან ერთად ლერა კუდრავცევას მიჰყავდა და როდესაც მან იყვირა: ანანოს ყველა თერთმეტ ქულას უწერსო, სიხარულისგან ვკიოდი... კონცერტამდე, დარბაზის ფოიეში, მაყურებლებს იმ ქვეყნების დროშებს ურიგებდნენ, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებიც კონკურსზე გამოდიოდნენ. მეორე საკონკურსო დღეს, როდესაც ანანო „სულიკოს“ ასრულებდა, თითქმის მთელ დარბაზს ხელში საქართველოს დროშა და ანთებული სანთებელები ეჭირათ და ერთად „სულიკოს“ მღეროდა. დაჯილდოების ცერემონიაზე, მთავარი პრიზი ანანოს იგორ კრუტოიმ გადასცა და ჰკითხა: — რამეს ხომ არ გვეტყოდიო. ანანომ მხოლოდ იმის თქმა მოახერხა: — ბედნიერი ვარო, ჯილდოს აკოცა და ატირდა. კონცერტის შემდეგ მასთან მაყურებელი მოდიოდა, მადლობას უხდიდა და კოცნიდნენ; ქართული სიმღერა ჩვენ ძალიან გვიყვარს, შენ ჩვენში საოცარი გრძნობები გააღვიძეო. კულისებში, ბავშვებს ვალერია და ანჟელიკა ვარუმი ამხნევებდნენ და ეფერებოდნენ.

— მეორე ადგილზე ვინ გავიდა?

— მეორე ადგილზე გავიდა უკრაინელი მაშა სტასიუკი, მესამე ადგილი კი გაინაწილეს — რუსმა ლიამ (საკონცერტო სახელი) და უკრაინელმა ანგელინა შალიმოვამ.

— ანანო, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— კონკურსის შემდეგ ბევრი შემოთავაზება მივიღე, როგორც რუსეთიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან. როგორც კონკურსის გამარჯვებულს სერტიფიკატი გადმომცეს, რაც იმას ნიშნავს, 2010 წლის ივლისში, უფროსების „იურმალაზე“ სტუმრის სტატუსით ვარ მიწვეული. იქ ორ ან სამ სიმღერას ესტრადის ცნობილ ვარსკვლავთან ერთად შევასრულებ. შესაძლოა, ეს ლაიმა ვაიკულეც იყოს. მომავალ წელს, საბავშვო იურმალაზეც ვარ სტუმრის სტატუსით დაპატიჟებული. მომავალში ალბათ სხვა საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებშიც მივიღებ მონაწილეობას და საქართველოს კიდევ ბევრ გამარჯვებას მოვუტან. ■

მუსიკა, შამპანური და „ბომონდური“ ფოტოგამოფენა — საახალწლო განწყობილება

განახლებული „ბომონდისგან“

საახალწლო განწყობილების შესაქმნელად, სასიამოვნო მუსიკისა და შამპანურის თანხლებით, ჟურნალმა „ბომონდმა“ ფოტოგამოფენა მოაწყო. ფოტოები სადღესასწაულო ხასიათის გახლდათ და მათზე ულამაზესი მოდელები იყვნენ აღბეჭდილნი. საინტერესო ვიქტორინებიც გაიმართა და რამდენიმე სტუმარმა პრიზის მოპოვებაც მოახერხა.

ეთო ყორღანაშვილი

მარიამ ჩხიკვიშვილი:

— 3-4 წლის წინ, სამოდელო სააგენტო „სლაიდის“ სკოლაში მივედი, 1 წლის განმავლობაში, ვისწავლე, ვივარჯიშე და საბოლოოდ, სააგენტოში გადამიყვანეს. მერე იყო ჩვენებები, ფოტოსესიები... ფოტოკამერის წინ მუშაობა ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით — როცა ფოტოგადაღება ქუჩაში მიმდინარეობს. სიცივისგან იყინები, ფოტოსესიას კი დასასრული არ უჩანს (*იცინის*). ყველაზე მაგარი ფოტოები სწორედ ასეთ დროს გამოდის! ზოგ სურათზე ჩემს თავს არ ვგავარ — ესეც საინტერესოა. კამერის წინ პოზირებისას იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ მოვირგო კონკრეტული იმიჯი. ასეთ დროს მსახიობიც ხარ. „სლაიდიდან“ ჯერ „ბომონდის“ გარეკანზე მოვხვდი, მერე კი ჩემი ფოტოები ჟურნალის ფურცლებზეც ხშირად იბეჭდებოდა. კარგია, დღეს რომ გამოფენა მოეწყო — მომეწონა. ასეთი სასიამოვნო საღამოები უფრო ხშირად თუ გაიმართება, უკეთესი იქნება.

კრისტი:

— გამოფენაზე ულამაზესი, საახალწლო ხასიათის ფოტოებია წარმოდგენილი. ჟურნალ „ბომონდთან“ დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. მასში ჩემი ფოტოები ჯერ კიდევ მაშინ იბეჭდებოდა, ვიდრე „გასუქდებოდა“. ახლა ჟურნალს ახალი რედაქტორი — თეა აგლაძე ჰყავს და მოდაზე უფრო დიდი აქცენტი კეთდება. „ბომონდისთვის“ ერთი პროექტი მეც მაქვს. ეს იქნება ე.წ. „ვირტუალური სააგენტო“. ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა, მაგრამ შეიძლება, მალე ჟურნალის ერთ-ერთი თანამშრომელი მეც გავხდე.

— ჟურნალისტური გამოცდილება გაქვს?

— პრესაში არ მიმუშავია, მაგრამ ერთ-ერთ რადიოში საავტორო გადაცემა — „მოდა და კრისტი“ მიმყავდა. სამწუხაროდ, გადაცემამ მხოლოდ 6 თვეს გასტანა — ომი დაიწყო და ვეღარ განვაგრძეთ... პრინციპში, „ბომონდში“ ჟურნალისტი არ ვიქნები, უფრო სხვა კუთხით ვიმუშავებ... მინდა, ჩემს საყვარელ ჟურნალს ახალი წელი მივულოცო და ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო!

ჟურნალ „ბომონდთან“ დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს

საშა ჰრიშვინი, *ფოტოგრაფი, „ბომონდის“ მოდის განყოფილების რედაქტორი:*

— „ბომონდში“ სრულიად შემთხვევით მოვხვდი: სანქტ-პეტერბურგიდან თბილისში გამომგზავრების შემდეგ, სააგენტო „სლაიდის“ ერთ-ერთი მოდელი გოგონა გავიცანი. „სლაიდის“ მფლობელი გიგა აგლაძე გახლავთ. მაშინ „ბომონდის“ რედაქტორიც გიგა იყო და მოდის განყოფილების ხელმძღვანელობა შემომთავაზა. მას მერე 1 წელი გავიდა. ჩემს ფოტოობიექტივში ბევრმა ცნობილმა სახემ გაიარა. ფოტოსესიების მოწყობა ძალიან საინტერესო, მაგრამ რთული პროცესია: როგორი პროფესიონალიც უნდა იყოს, ძნელია, ადამიანს აუხსნა, რომ ზუსტად ისეთი იმიჯი მოირგოს, როგორიც ფოტოხელოვანს უნდა და ხელს აძლევს. შესაძლოა, ამას 3-5 საათი დასჭირდეს. საკუთარი თავის „გაპიარება“ არ მიყვარს, მაგრამ არ დაგიმალავ და გეტყვი: ნამდვილად მსიამოვნებს, როცა ჩემი ნამუშევრების მიმართ დიდ პატივისცემას და მოწონებას გამოხატავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. სამსახურის გარდა, მე და „ბომონდის“ ახალ რედაქტორს — თეა აგლაძეს ერთმანეთთან მეგობრობაც გვაკავშირებს. ჟურნალთან დაკავშირებით, ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ „ბომონდმა“ ახალი ცხოვრება დაიწყო!

თეა აგლაძე, *„ბომონდის“ რედაქტორი:*

— ფოტოსესისა ხშირად ვმართავთ. ყველაზე ლამაზი, სადღესასწაულო ხასიათის სურათები შევარჩიეთ და გამოფენა მოვაწყვეთ — სასიამოვნო მუსიკისა და შამპანურის თანხლებით. გვინდოდა, რომ საახალწლო განწყობილება შეგვექმნა და მგონი, მოვახერხეთ. ყველას ვულოცავ ახალ წელს და სიყვარულს ვუსურვებ! მინდა, „ბომონდი“ კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის საყვარელი ჟურნალი გახდეს, რადგან ის თქვენი იმიჯის მოდური დეტალია! ■

ნამდვილი რევოლუცია
და წინასაახალწლო შოკი ქართველი ქალბატონებისთვის

ლალი ფაცია

მას მერე, რაც ხატია შამუგია ისეთი ცნობილი კომპანიის მარკეტინგისა და პიარის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა, როგორიც „ისი პარია“, შეიძლება ითქვას, რომ თავით არის გადაშვებული პარფიუმერიულ სამყაროში. როგორც თვითონ ამბობს, ის ამ სამყაროში ცხოვრობს; ამიტომაც არის, რომ ჟურნალისტებისთვის მოწყობილი საპრეზენტაციო ღონისძიებებიც ტრადიციად დაამკვიდრა, დროდადრო ყოფილი მუსიკალური წამყვანი ჟურნალისტებს საქართველოში ახალ-ახალი პარფიუმერიული ბრენდების შემოსვლის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის და „გვანათლებს“. მან საახალწლოდ, „მერიოტი-თბილისში“ კვლავაც დაგვრაზმა და გვაუწყა, რომ მისმა კომპანიამ პარფიუმერიულ ბაზარზე ისეთი ლუქს-ბრენდი შემოიტანა, როგორიც „სისლეი-პარიზია“.

როგორც იმ დღეს მისგან და სპეციალურად ამ დღისთვის საგანგებოდ პარიზიდან ჩამოსული სტუმრისგან, ბატონი სებასტიანისგან (საერთაშორისო ტრენერი) შევიტყვეთ, საქართველოში ამ ბრენდის პროდუქციის გამოყენების შედეგად ქალბატონები აღარ დაბერდებიან... რამდენიმე სპეციალური სუნამოს გარდა, „სისლეის“ აქვს სახის მოვლის სხვადასხვა საშუალება — კრემი, საცხი... გამოიყენება დეკორატიულ კოსმეტიკაშიც (მაკიაჟი). ასე რომ, ხატიას თქმით, საქართველოს პარფიუმერიულ ბაზარზე ნამდვილი „რევოლუცია“ მოხდა.

ხატია:

— ეს გახლავთ უძვირფასესი ბრენდი, რომელიც მხოლოდ ფიტოკოსმეტიკაზეა დამზადებული... „სისლეი“ საოჯახო ბიზნესის შედეგად შეიქმნა, მას სათავეში მისტერ ორნანდო და მისი პოლონელი დიდგვაროვანი მეუღლე უდგანან. ბრენდი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან არსებობს და უდიდესი ტრადიცია აქვს. თითოეული კრემის გამოცემას ისინი 10-12 წელს ანდომებენ, რადგანაც ის დაახლოებით, 500-ზე მეტ ადამიანზე მაინც უნდა გაისინჯოს, ლაბორატორიულად შემოწმდეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ამა თუ იმ კრემისა თუ საცხის დამტკიცება. მომხმარებლის მიმართ ისინი ძალზე ერთგულები და მგრძნობიარენი არიან. მათ აქვთ პრეტენზია — რომელი ქვეყნის ბაზარზეც შევლენ, იქ აუცილებლად პირველები იყვნენ. ამიტომ, ჩვენს კომპანიას დიდი ხანი დასჭირდა მათთან მოსალაპარაკებლად, რადგანაც „სისლეი“ ყველა ქვეყანაში არ შედის.

— რაკი ჩვენთან შემოვიდნენ, ესე იგი, საქართველომ დააკმაყოფილა მათი გემოვნება და მოთხოვნები, არა?

— როდესაც აქ ჩვენი კომპანიის სილამაზის ცენტრი ნახეს, გადაწყვიტეს, რომ იქ „სისლეის კოსმეტოლოგიური ოთახი“ გახსნილიყო; სპეციალურად ჩამოსულმა სტუმარმა — ბატონმა სებასტიანმა ჩვენს კოსმეტოლოგს ტრენინგი ჩაუტარა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემსახუროს ის კლიენტებს — გაუწმინდოს სახე, გაუკეთოს მასაჟი, მაკიაჟი... იმ ოთახში თავადვე, ორ ცნობილ ადამიანს — ლელა წურწუმიასა და თეონა თავართქილაძეს ჩაუტარა ყველა აღნიშნული პროცედურა. როგორც გაირკვა, ლელა და თეონა თურმე დიდი ხანია, ამ ბრენდის სუნამოს ხმარობენ, — უბრალოდ, აქამდე საქართველოში მისი შეძენის საშუალება არ ჰქონდათ. სებასტიანმა ლელასა და თეონას, გარდა იმისა, რომ „ჯადოსნური“ პროცედურები ჩაუტარა, გარკვეული რეკომენდაციებიც მისცა — თუ როგორი კრემები ესაჭიროება მათი კანის ტიპს. უნდა ვთქვა, რომ ისინი შოკში არიან, რადგანაც მათი კანი საგრძნობლად გაუმჯობესდა... ასევე მოვიწვიეთ ცნობილი მოდელი და „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის ამინდის წამყვანი, ლიკა ქორქია; მას პროფესიონალმა სპეციალისტმა — ანუკა მურვანიძემ დეკორატიული კოსმეტიკით მაკიაჟიც გაუკეთა...

— თვითონ თუ გახდი ამ ბრენდის მომხმარებელი?

— უკვე დავიწყე მისი მოხმარება და მინდა ვთქვა, რომ მეც შოკში ვარ.

— ასე მშვენივრად რომ გამოიყურები, ამბობენ, იმის შედეგია, რომ ყოფილ ქმარს ურიგდებაო, მართალია?

— ოოო, ეს ჭორები, გაუთავებელი ჭორები (*იცინის*)!.. ქმარს რანაირად შევურიგდები, არ ვიცი, ის ამერიკაშია, მე კი — აქ... ჩემს პირად ცხოვრებაში ნამდვილად, არაფერი ხდება და საკუთარი თავისთვის ამიტომაც ვიცლი უფრო მეტად...

თაპო მესხი, *„პოსტსკრიპტუმის“ კორესპონდენტი:*

— „სისლეის“ წარმომადგენლის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის „მსხვერპლი“ მეც აღმოვჩნდი, რადგანაც ჩვენი გადაცემისთვის სიუჟეტს ვაკეთებდი. ასე რომ, თვითონ სებასტიანმა გამიწმინდა სახე, გამიკეთა მასაჟი, ჩამიტარა სპეციალური სუნთქვითი ვარჯიშები და გამიკეთა მაკიაჟი... რაღაც სხვა სამყაროში გადავინაცვლე. ეს ნამდვილი საოცრება იყო. არ ვაჭარებებ. ეს ყველაფერი გუშინ მოხდა და დღეს დილას რომ გავიღვიძე, ნამდვილი „კრასავიცა“ ვიყავი... ■

ვარსკვლავების საახალწლო სტილი

პერის ჰილტონი ახალი წლის შესახვედრად მზად არის

ახალი წლის ზეიმი სწორედ რომ მისი მთავარი გმირის — მეტალის ვეფხვის შესაფერისი — ექსცენტრიკული და ელვარე იქნება. საღღესასწაულო ღამის შესაბამისი ტანსაცმლის შესაქმნელად სტილისტები მბზინვარე ფერების — ოქროსფრისა და ნარინჯისფრის, აგრეთვე ზოლებისა და მტაცებელი ცხოველების აგრესიული შტრიხების გამოყენებას გვირჩევენ.

ჰოლივუდში ეს რჩევები ერთ-ერთმა პირველმა პერის ჰილტონმა შეისმინა. მაღალი საზოგადოების წარმომადგენელმა ჯერ კიდევ საახალწლო ალიაქოთის დაწყებამდე რამდენიმე ნივთი შეიძინა, რომელიც მომავალი ვეფხვის წლის აგრესიულ ხასიათს შესანიშნავად გამოხატავს. ფეხსაცმელი მაღალ პლატფორმაზე, ტყავის ქურთუკი და შემოტმასნილი მოკლე ქვედაბოლო — ასეთია პერისის სამოსი, რომლითაც ის მეგობრებთან ერთად ახალ წელს შეხვდება. ჰილტონების დინასტიის მემკვიდრის ელვარე იერს შესანიშნავად შეავსებს დიდი საყურე და Jimmy Choo for-ის ფირმის პაწია კლატჩი (მეტალისსახელურიანი ჩანთა), რომელსაც კაშკაშა ვარსკვლავი ამშვენებს.

ახლა კი იმის შესახებ თუ რა თანხა დაუჯდა ჰილტონს საახალწლო სამოსის შეძენა: H&M-ს კლატჩი — 270 დოლარი, Oli-ს ქვედაბოლო — 100 დოლარი, Oasis-ის ჟაკეტი — 360 დოლარი, Accessorize-ს ფირმის საყურე — 180 დოლარი, DKNY-ს ფირმის ბოტილიონები — 590 დოლარი.

როგორია რიზ უიზერსპუნის საახალწლო იერი

როდესაც საახალწლო სამოსის შერჩევას დაიწყებთ, ელეგანტური რიზ უიზერსპუნის რჩევებიც გაითვალისწინეთ, რადგან ის საოცრად გემოვნებიანი ქალბატონია. მისი სამოსი საახალწლო წვეულებისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილია, მით უმეტეს, რომ კარს მეტალის ვეფხვის წელი მოგვადგა!

„ყველაფერი ელვარე და მბზინვარე წლების განმავლობაში საახ-

ალწლოდ „კლასიკურ შავ ფერად“ გადაიქცა. გირლანდები და ფერადი ბუშტები ჩვენს ინტერიერს სადღესასწაულო იერს მატებს, ხოლო ელვარე სამკაულებს ჩვენს სამოსში „ზამთრის ზღაპრული“ შეგრძნება შემოაქვს“, — აღნიშნავს რიზ უიზერსპუნი, რომლის ძვირფასი საახალწლო კაბის ალტერნატივად ეფექტური ვერცხლისფერი ტოპი და რუხი, შავი შიფონის ნაჭრებისგან შეკერილი კომბინირებული ქვედაბოლო აღმოჩნდა. ამ სამოსს შესანიშნავად შეავსებს სადა, მოკრძალებული აქსესუარები: შავი ფერის ღია ფეხსაცმელი დაბალ პლატფორმაზე და საღამოს პატარა ჩანთა. მოხდენილი სამკაულები კი მის სადღესასწაულო იერს კიდევ უფრო მდიდრულსა და დახვეწილს გახდის.

ახლა კი იმის შესახებ თუ რა თანხა დაუჯდა უიზერსპუნს საახალწლო სამოსის შეძენა:

Forever21-ის ელვარე ტოპი — 140 დოლარი, Religion-ის ქვედაბოლო — 270 დოლარი, Topshop-ის ღია ფეხსაცმელი — 430 დოლარი, Accessorize-ს კლატჩი — 130 დოლარი, სამკაულების კომპლექტი „გრაცია“ 90 დოლარი.

შარლიზ ტერონი საახალწლო სამოსში ეთნოთემატიკას ირჩევს

ვეფხვის წელიწადის შესახვედრად საუკეთესო ვარიანტი ზოლიანი სამოსი და ცხოველის პრინტია (ქსოვილზე დაბეჭდილი სურათები). ამ სამოსის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მეტისმეტად ჩვეულებრივია, ახალი წელი კი სწორედ ის დროა, როდესაც ადამიანი ფანტაზიას გასაქანს აძლევს და ახლის ძიებას იწყებს. სწორედ ამიტომ, საახალწლოდ სტილის ძიების ნებისმიერი მცდელობა დასაშვებია. მაგალითისთვის შეგიძლიათ, შარლიზ ტერონს მიჰბაძოთ — მას ხომ არატრივიალური საახალწლო სამოსის შერჩევის განსაკუთრებული ნიჭი აქვს!

„საახალწლო სამოსის უამრავი იდეა არსებობს. შეგიძლიათ, ხალხი ინგლისის დროშის ფერებში შეკერილი კოსტიუმით გააკვირვოთ, შეგიძლიათ, 70-იანი წლების სტილის მოკლე ქვედაბოლო და პლასტმასის ბიჟუტერია შეარჩიოთ, შეგიძლიათ, XIX საუკუნის რომანტიკული გმირის სახით მოევლინოთ საზოგადოებას, ან ჩემსავით ეთნოთემატიკას მიმართოთ“, — აღნიშნავს შარლიზ ტერონი, რომელიც მაღალი საზოგადოების საშობაოდ მოწყობილ ერთ-ერთ საღამოზე სადა, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი, ყვითელი სამოსით გამოცხადდა. მსახიობმა ჩვეულებრივი კაბა სადღესასწაულო სამოსად გადააქცია და ეს ოქროს აქსესუარების, პატარა ელვარე კლატჩის, ოქროსფერი ბიჟუტერიისა და მაღალქუსლიანი დაწნული ღია ფეხსაცმლის დახმარებით მოახერხა.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა თანხა დაუჯდა ტერონის საახალწლო სამოსის შეძენა: Antik Batik-ის კაბა — 850 დოლარი, Monsoon-ის ფირმის ქამარი — 220 დოლარი, Top Shop-ის ფეხსაცმელი — 420 დოლარი, Accessorize-ს კლატჩი 180 დოლარი, ბეჭედი — 50 დოლარი.

■

ცხოვრება

„მე დედასთან ცხოვრება მინდა“

წყნეთის ბავშვთა სახლის ეზო სოფლის ერთ უბანს მოგაგონებთ. ეზოში რამდენიმე, სოფლის ტიპის შენობა დგას, ადმინისტრაციული შენობის გვერდით ბრეზენტგადაფარებული, ძველი მანქანაა, ეზო მოვლილია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ დასუფთავებული, თორემ განსაკუთრებულად მოვლილი — არა. სიმართლე გითხრათ, იმ სიტუაციას, რომელიც იქ დამხვდა, არ ველოდი. ერთ-ერთ ჯგუფს ვესტუმრე, სადაც 8-10 წლის ბავშვები არიან თავმოყრილი.

მარი ჯაფარიძე

ბავშვები ხალისით შემხვდნენ, გარშემო შემომეხვივნენ და ინტერესით ელოდნენ, რას ვეტყოდი.

17 ბავშვის მზერამ დამაბნია, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— როგორ ხართ? — დავსვი პირველი კითხვა.

— კარგად, — ერთხმად მიპასუხეს ბავშვებმა.

ოთახს თვალი მოვავლე. ჩაშავებული და დაბზარული ჭერი და კედლები... უხსოვარი დროის კარფანჯარა... ისინი ხომ მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან... სახელმწიფოს კი სახსრები მათთვის არა აქვს...

თვალწინ ახალაშენებულ-გარემონტებული, გაკრიალებულ-გაპრიალებული, პოლიციის შენობები დამიდგა, რომელსაც წარამარა პომპეზურად ვხსნით...

და ნუთუ შეიძლება, რომ ბავშვებმა ამ პირობებში იცხოვრონ და კარგად იყვნენ? თუმცა სითბო, სისუფთავე და საჭმელი აქვთ და ისინიც კმაყოფილები არიან...

მასწავლებელმა, ანა აზაროვამ ბავშვები დასვა და სათითაოდ გამაცნო.

— რაზე ვილაპარაკოთ? — არჩევანი პატარებს მივანდე.

— ახალ წელზე, — ისევ ერთხმად მიპასუხეს.

— თოვლის ბაბუა რომ არსებობს, ხომ იცით?

— დიახ!

— თხოვნები გაუგზავნეთ?

— ჯერ არა!

— მე არ გამიმხელთ, რას სთხოვთ თოვლის ბაბუას?

ყველამ სათითაოდ გამცა პასუხი.

— მე მინდა, რომ საქართველო გამარჯვებული იყოს და დედასთან წავიდე.

— მე ბურთი მინდა და კიდევ ის, რომ დედასთან ვიცხოვრო.

— მეც დედასთან მინდა ცხოვრება და კიდევ, სასკოლო სახელმძღვანელოები მინდა, რომ ვისწავლო...

— მე მინდა, რომ თოვლის ბაბუამ თოფი მომიტანოს.

— მე მინდა, რომ ჩემი ძიძები კარგად იყვნენ.

— მე სახლში მინდა წასვლა...

— მე დედასთან ცხოვრება მინდა...

— მე დედასთან ცხოვრება მინდა...

— მე დედასთან ცხოვრება მინდა...

— მე მინდა, რომ დედა ვნახო, როგორია, — ეს 9 წლის აკაკი მკრტიჩიანია...

ბიჭუნას თვალები ცრემლით აქვს სავსე და თავს ხრის, რადგან თავისი ცრემლის რცხვენია. სახეზე ხელებს იფარებს და ჩუმად ტირის...

მას დედა არასოდეს უნახავს, არ იცის, როგორია, მაგრამ ის კი ზუსტად იცის, რომ დედამისი ყველაზე ლამაზია.

...და ელის, როდის დადგება ის მშვენიერი დღე, როცა ლამაზი ქალი მისი ჯგუფის კარს შეაღებს და ეტყვის: აკაკი, მე დედაშენი ვარ, ავად ვიყავი, ახლა გამოვჯანმრთელდი და შენს წასაყვანად მოვედიო... ალბათ ყველა უცხო ადამიანის დანახვაზე პატარა გული გამალებით უცემს და ამ სიტყვების გაგონებას ელის...

თვალზე მომდგარი ცრემლი შეუმჩნევლად მოვიწმინდე, ყელში გაჩხერილი ბურთი უკან გადავაგორე და სასაუბრო თემა შევცვალე.

— მოდი, ახლა ის მითხარით, რომ გაიზრდებით, ვინ უნდა გამოხვიდეთ?

— მასაჟისტი.

— პოლიციელი, რადგან თოფი მიყვარს.

— ექიმი, რომ ადამიანები გადავარჩინო.

— ფეხბურთელი.

— კარატისტი.

— მხატვარი.

— მომღერალი.

— ჯარისკაცი.

— პოეტი.

— მოჭიდავე.

— რომ გაიზრდებით, იმუშავებთ და ბევრი ფულიც გექნებათ. საინტერესოა, ამ ფულს რაში დახარჯავთ? — დავსვი შემდეგი კითხვა და ბავშვებს ოცნების საშუალე-

ბა მივეცი.

— ღარიბებს დავურიგებდი და რაც დამრჩებოდა, ჩემთვის დავხარჯავდი.

— გაჭირვებულ ბავშვებს დავურიგებდი.

— ვინც ავად იქნებოდა, იმას ვუმკურნალებდი.

— დიდ სახლს ავაშენებდი.

— დედას ვუმკურნალებდი და კარგად იქნებოდა.

— აქ მოვიდოდი, ძიძებს მივცემდი, ბავშვთა სახლს დავეხმარებოდი, გავარემონტებდი და ბავშვებს ბევრ კანფეტებს მოვუტანდი.

— ჯერ სახლს ავაშენებდი და მერე დედიკოს მივეხმარებოდი, რომ ცუდად არ იყოს.

— სასახლეს ავაშენებდი და ყველა ერთად ვიცხოვრებდით.

— მე ბავშვთა სახლს და საავადმყოფოს ავაშენებდი, სადაც გაჭირვებულ ხალხს უფასოდ ვუმკურნალებდი.

ამის შემდეგ ბავშვებს არც 5 ლარის „დახარჯვა“ გასჭირვებიათ და ისიც მეგობრებს გაუნაწილეს, მაგრამ ვინაიდან ჩვიდმეტი ბავშვისა და ძიძებისთვის განაწილებული 5 ლარი მეტისმეტად მცირე თანხა გამოდის, უმეტესობამ ამ ფულით კანფეტების ყიდვა ამჯობინა, რომ ყველას თანაბრად შეხვედროდა.

ყველაზე მეტად კი იმან გამაოცა, რომ აღმზრდელი თვითონაც ბავშვთა სახლში აღზრდილი აღმოჩნდა.

ანა აზაროვა:

— მე თვითონ კარდანახის ბავშვთა სახლში გავიზარდე. 9 თვის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა და დედამ ჯერ კოჯორში მიმიყვანა, იქიდან კი კარდანახში გადამიყვანეს.

— დედა განახულობდათ?

— იშვიათად მოდიოდა. დედის სითბო ისე მენატრებოდა, რომ როცა მოდიოდა, სიხარულით ჭკუაზე არ ვიყავი... უდედოდ გაზრდა ბავშვისთვის დიდი ტრავმა და ტრაგედიაა. მხოლოდ იმაზე ოცნებობ, რომ დედის გვერდით იყო.

— ახლა როგორ ცხოვრობთ?

— უკვე 7 წელია, გათხოვილი ვარ. შვილი არ მყავს. დედასთან და ქმართან ერთად ვცხოვრობ.

— დედას აპატიეთ?

— საპატიებელი არაფერი ჰქონდა. გაჭირვებული ადამიანი თავის და შვილების გადარჩენაზე ფიქრობს. დედაჩემმა ჩემს გადასარჩენად ეს გზა მოძებნა... ამ ბავშვების ძალიან კარგად მესმის, ალბათ იმაზე კარგად, ვიდრე სხვებს. ვიცი, რა სტკივათ, რა უხარიათ, რა თემაზე შეიძლება მათთან ლაპარაკი, რომ გული არ ეტკინოთ, როგორ უნდა მოვექცე და რა დროს რას ფიქრობენ, ისიც კი ვიცი. ღამით, საწოლში რაზე ფიქრობენ, ისიც... სულ მინდოდა, რომ ბავშვთა სახლში მემუშავა და ეს ოცნება ავიხდინე.

— დედასთან თუ ლაპარაკობთ ხოლმე იმ წლებზე, რომლებიც მის გარეშე გაატარეთ?

— დედაჩემი ახლა 69 წლისაა. მასთან ამ თემაზე არ ვლაპარაკობ. მე თვითონ გავურბივარ. ვერც ჩემს ტკივილს ვუზიარებ ბოლომდე... ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა არაა, როგორიც ჩვეულებრივ დედა-შვილს შორის უნდა იყოს.

— თუ შეგიძლიათ, გულწრფელად მიპასუხოთ — დედის წინაშე ახლა მოვალეობას იხდით თუ გიყვართ?

— მიყვარს დედა და სულ იმის მეშინია, როდესაც აღარ მეყოლება, მერე მთლად უპატრონოდ დავრჩები. მე ხომ დედის სითბო ყოველთვის მაკლდა... მოვალეობას არ ვიხდი. ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებ. ყველა შვილს უნდა შეეძლოს პატიება...

ანა
აზაროვა

შემდეგ ქალბატონი ანა პიანინოს მიუჯდა და საოცრად სევდიანი სიმღერა იმღერა, რომელიც ადრე, ბავშვთა სახლში ცხოვრების დროს, მეგობრებთან ერთად დაუწერია. უბრალო ტექსტსა და მარტივ მელოდიაში უდიდესი ტკივილია ჩაქსოვილი:

„ჩემო კეთილო, ჩემო ლამაზო,
სად დამეკარგე, დედა?
დედავ, ძვირფასო, დედავ, უკვდავო,
საით გეძებო, ნეტავ...
დავდივარ, გეძებ, ფიქრი შენთან მაქვს,
და ვერ ვიძინებ, დედავ.
ნეტავ იცოდე, როგორ დაკოდე,
პატარა გული, დედავ.
რომ გავიზრდები, მაინც გიპოვი,
რომ შენი სახე ვნახო,
რომ გავიზრდები, მაინც გიპოვი
და მაგ იმედით ვხარობ“.

ბავშვებთან ერთად მეც ვტიროდი... ისინი ალბათ იმიტომ, რომ საკუთარ ამბავს ისმენდნენ, მე კი იმიტომ, რომ უძლური ვიყავი, რაიმე მეღონა და მათი დარდი შემემსუბუქებინა.

საოცარი თვალები აქვთ ამ ბავშვებს: სუფთა, კრიალა, ლამაზი... საოცარი გულები: კეთილი, სათნო, სიყვარულით სავსე...

დამშვიდობებისას რიგში ჩადგნენ საკოცნელად. მხოლოდ ლოყაზე კი არ მკოცნიდნენ, გულში მიკრავდნენ და თავის წილ სითბოს თან მატანდნენ...

— მომენატრები, მარი დეიდა, — ერთმა ბიჭუნამ ყურში ჩამჩურჩულა...

მეც მომენატრებით, ბავშვებო და უკვე მენატრებით კიდეც... ვიცი, რომ ანა მასწავლებელი წაგიკითხავთ თქვენზე დაწერილ ამბავს...

ახალ წელს გილოცავთ! ყველა თქვენი ოცნება ახდენილიყოს 2010 წელს!

■

„მხატვარი“ ტარაკნები და დაბალხელფასიანი ქმრები ანუ ვინ მოკლა თოვლის ბაბუა?

არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ბაზარში საყიდლებზე სიარული სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი წლის წინ ბაზარში წასვლა ისევე აუცილებელია, როგორც გოზინაყის, საცივისა და ოლივიეს გაკეთება. ჰოდა, ვერც მე ავუარე ამ „პროცედურას“ გვერდი და ბაზარს ვეწვიე. სიმართლე გითხრათ, იქაურ ფასებზე ლაპარაკს არ ვაპირებ. უბრალოდ, უამრავ საინტერესო ადამიანს გადავეყარე და არანაკლებ საინტერესო დიალოგებს შევესწარი და ამის შესახებ ვაპირებ „სიტუაციის“ დაწერას.

მარი ჯაფარიძე

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვერ ვნახე (მოგეხსენებათ, დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე ეს რაოდენ რთულია). თანაც, „მე მიყვარს თბილისი“ არ მაქვს მიკრული საქარე მინაზე და იოლი შესაძლებელი იყო, ვიდრე ნიგვზის, მანდარინისა თუ ვაშლის გამყიდველს ფასზე მოვურიგდებოდი, ჩემი მანქანა საჯარიმოზე გადაეყვანათ და მერე მისი „ტყვეობიდან“ გამოსახსნელად, 60 ლარი დამჭირვებოდა (ნახევარი ინდაურის ფასია, ბატონო!)... მოკლედ, ერთ, შედარებით თავისუფალ ადგილზე გავჩერდი და ის იყო, გადმოსვლას ვაპირებდი, რომ საპატრულო მანქანა „მოვარდა“, „მიგალკებითა“ და სირენით.

— გაიყვანე მანქანა, — ჩასძახა მკაცრად მიკროფონში.

რაღას ვიზამდი?! დავქოქე და ის იყო, გამოვედი, რომ პატრულის თანამშრომელი ჩემს ფანჯარას „მოასკდა“.

— კი, მაგრამ რომ გეუბნები, გაიყვანე-მეთქი, არ გესმის?!

— გავიგონე და აკი გავდივარ კიდეც.

— აბა, დაბრუნდი უკან და საბუთები წარმომიდგინე! მაინცდამაინც მანქანიდან უნდა გადმომიყვანო ამ სიცივეში?! — ძალიან გაბრაზებული ჩანდა პატრული.

— ჯერ ერთი, მაშინვე დავიძარი, როგორც კი დამიძახე. „ვერტალიოტი“ კი არაა, რომ ჰაერში ადგილიდან ავიწიო, პეპელაა, პე-პე-ლა! — მიმინოს სიტყვები გავიმეორე, მაგრამ პატრული ხუმრობის გუნებაზე არ იყო, როგორც ჩანდა... — თანაც, მშვენიერი თბილი ქურთუკი გაცვია, — ვანიშნე უნიფორმაზე, — და გარეთაც არ შეგცივდება, — არ ვისვენებდი მე.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ. აბა, აქ ჩაუბერე, ერთი, — მომიშვირა ტესტერი.

რა მენაღვლებოდა, რა?! ჩავუბერე...

— ჰო, ფხიზელი კი ყოფილხართ, — რატომ გაუკვირდა, არ ვიცი, — ამიტომ ახლა გაპატიებთ (მადლობა პატრულს) და არ დაგაჯარიმებთ, — საბუთები გამომიწოდა და სასწრაფოდ გაიქცა იქვე, შორიახლოს, ერთმანეთს დარეული მთვრალი მოჩხუბრების დასაშოშმინებლად.

მე სხვაგან გადავინაცვლე, მაგრამ უკანა ხედვის სარკეში ვუყურებდი, როგორ ამტვრევდა თავყბას ერთმანეთს რამდენიმე მამაკაცი და როგორ ცდილობდა პატრული მათ გაშველებას.

რაც მძღოლი გავხდი, მას შემდეგ „ფხიზელ ცხოვრებას“ ვეწევი. 2 წელია, წვეთი სასმელი არ დამილევია. ჰოდა, ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ უამრავი უცნაური აზრი მომდის თავში.

მაგალითად, რატომაა, რომ ნასვამი მძღოლი სახიფათოა, ნასვამი ქვეითად მოსიარულე კი — არა? ახლა პატრული რომ მოჩხუბრებს აშველებს, ისინი ქვეითად მოსიარულეები კი არიან, მაგრამ ვითომ სახიფათონი არ არიან? ხომ შეიძლება, ერთმა მეორე დაასახიჩროს, დაჭრას, მოკლას...

ნუ, მოკლედ, ამ კანონს ვერაფერს გაუგებ... იდეა მაქვს, რომელიც ხელისუფლებას უნდა მივაწოდო: ოდნავ ნასვამ მძღოლებს მისცენ საჭესთან ჯდომის უფლება, მაგრამ საიმისოდ, რომ სხვები მოერიდონ და ყველამ იცოდეს, რომ საჭესთან ნასვამი მძღოლია, მანქანას ამ დროს სპეციალური, განსხვავებული ფერის (მაგალითად, — მწვანე) „მიგალკა“ დაუყენოს.

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ჩემს იდეაში რაღაც ლოგიკა დევს. ნუ, ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, 1-ელ და 2 იანვარს ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან ჯდომა დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს...

სხვა იდეებიც მაქვს, რომელიც ასევე შემიძლია, მთავრობას მივაწოდო. მაგალითად, რადგან „ნაციონალებს“ დიდი სურვილი აქვთ, დაგვიმტკიცონ, რომ საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობა სწორედ მათ უჭერს მხარს, ახალი წელი საამისოდ შესაფერისი დროა — შეუძლიათ, გამოაცხადონ: „ყველამ, ვინც „ნაციონალებს“ მხარს გვიჭერთ, 31 დეკემბერს, ზუსტად ღამის 12 საათზე ააფეთქეთ თქვენი პეტარდები!“ ან პარლამენტმა კანონში ცვლილება შეიტანოს და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მას მიანიჭოს, ვისაც პრეზიდენტად მუშაობის მინიმუმ, 5-წლიანი სტაჟი აქვს.

მაგრამ ახლა თავი დავანებოთ ჩემს იდეებს და ძირითად თემას დავუბრუნდეთ.

შევერიე დახლებს შორის მოსიარულეებს და ჩემი ყურადღება წინ მიმავალმა ცოლ-ქმარმა მიიპყრო. ქალი გაბრაზებული იყო და ხმამაღლა ლაპარაკობდა:

— იცი, რას გეტყვი?!ის ხომ არ დაგეზარა, რომ გამთენიისას მობრძანდი სახლში?! 2 საათი იყო, რომ დაგირეკე და გკითხე, როდის მოხვალ-მეთქი და მითხარი, სამის შემდეგო. არადა, დილის 7 საათზე დაბრუნდი.

— ჰო, კი გითხარი, სამის შემდეგ-მეთქი, მაგრამ მესამეს შებმა და დათანხმება ძალიან გამიჭირდა, — გაიც-

ინა მამაკაცმა და გვერდში მუჯლუგუნი მიიღო.

დავფიქრდი — თურმე რამდენი საინტერესო რამის გაგება შეიძლება გამვლელებისგან! მით უმეტეს, ახლა, როცა საახალწლოდ ბაზარში „ოჯახურ მსვლელობებს“ აწყობენ.

აგერ, ახალგაზრდა გოგო და ბიჭი მიდიან ჩემ წინ. საუბრიდან მივხვდი, რომ შეყვარებულები არიან და საღამოს მეგობრებთან ერთად ქეიფს აპირებენ. ბაზარში კი პროდუქტის საყიდლად არიან წამოსული. ცოტა ხნის შემდეგ წაკინკლავდნენ.

— გოგო, როგორ დაგიმტკიცო, რომ ამ დედააფეთქებულ მობილურში ჩაწერილი „ნანა ბ“ ბებიაჩემია — ნანა ბებია და არა ბოზი ნანა?!. — ხელების ქნევით ლაპარაკობდა ბიჭი, მაგრამ ეჭვიან შეყვარებულს არაფრის დიდებით არ უნდოდა ამის დაჯერება.

— ქალო, რა ამბავია?! ამდენ ფულს რაში მაყრევინებ?! — ბრაზობდა შუა ხნის მამაკაცი. — ხომ ხედავ, ქვეყანაში კრიზისია. ნაძვის ხე 50 ლარი რა ამბავია?! 4 შვილი გვყავს, რძალი და 2 შვილიშვილი. ყველას რომ საჩუქრები ვუყიდოთ, ახალ წელს რა ვჭამოთ?!

— ენა გააჩუმე და ძუნწი ნუ ხარ, — არც ქალი ჩამორჩებოდა, — ახალ წელს ყველანი საჩუქრებს რომ ელოდებიან, რა პასუხს გასცემ, ერთი?!

— რა პასუხს გავცემ? 12-ს რომ 10 წუთი დააკლდება, გარეთ გავალ და თოფს გავისვრი. მერე შემოვბრუნდები და ვეტყვი, რომ შემთხვევით თოვლის ბაბუა მოვკალი და საჩუქრებს ვეღარ მიიღებენ.

— რა უვარგისიც ახალგაზრდობაში იყავი, ისევ ის უვარგისი დარჩი, — ხელი ჩაიქნია ქალმა, — 3 კილო ნიგოზი ამიწონეთ, — მიუბრუნდა გამყიდველს.

— ამდენი ნიგოზი რად გინდა, ქალო, ქორწილი გვაქვს?! — ამოიკვნესა კაცმა, აწონილი ნიგოზი ჩამოართვა, ფული გადაიხადა და ბუზღუნ-ბუზღუნით გზა განაგრძო.

— ფული რომ გონივრულად დახარჯო, ამისთვის მხოლოდ ფული და ჭკუა არაა საკმარისი, ქალი არ უნდა გახლდეს თან, — საკმაოდ შორიდან მომესმა მამაკაცის ხმა, მაგრამ ამ სიტყვების ავტორი ვერ დავინახე. ხალხის ნაკადმა სხვა რიგში გადამიყვანა.

— ჩვენმა მეზობელმა ახალი მანქანა იყიდა, შენ კი საახალწლოდ გოჭი ვერ გიყიდია, — ეს უკვე სხვა წყვილი იყო და როგორც ჩანს, ქალი ქმარს დაბალი ხელფასის გამო საყვედურობდა.

— რა მანქანა იყიდა? — მამაკაცი ალბათ იმის გარკვევას ცდილობდა, რამდენად წარმატებული იყო მათი მეზობელი.

— უზარმაზარი მანქანაა, „ნისანი“. მოდელი ვერ დავიმახსოვრე... ის ფილმი გახსოვს? ერთი ქალია, საყვარელი ჰყავს და იმ საყვარელს მერე თავს აჭრიან... იქ ერთ კაცს ჰქვია ამ „მოდელის“ სახელი...

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ლოგიკური ჯაჭვი აიგო: ქალი ფილმ „დედოფალ მარგოს“ გულისხმობდა. ის ჰერცოგ ნავარელს გაჰყვა ცოლად... მაშასადამე, მათ მეზობელს „ნისან ნავარა“ უყიდია... ყოჩაღ მეზობელს! არ ვიცი, „მცირეხელფასიანი“ ქმარი მიხვდა თუ არა, რა მანქანა იყიდა მათმა მეზობელმა, მაგრამ მე კი „დაუსწრებლად“ ვხვდები, რომ იმას საახალწლოდ არც გოჭის ყიდვა გაუჭირდება.

— ცხოვრებაში მხოლოდ ერთ ადამიანს ვცემ პატივს, — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა.

— ვის? — დაინტერესდა ცოლი.

— ვის და გაგარინს! დედამიწიდან რომ უნდოდა გაქცევა, იმიტომ...

— მე კი ნიუტონს უფრო დიდ პატივს ვცემ: დედამიწის მიზიდულობის კანონი დაადგინა და გაგარინსაც და ყველას დაუმტკიცა, რომ ვერსადაც ვერ გაიქცევიან, — იმედი გადაუწურა ცოლმა და ისე გულიანად გადაიკისკისა, რომ მივხვდი, საკუთარი ნათქვამით უზომოდ კმაყოფილი დარჩა.

— ტარაკნებმა შემჭამეს, ცარცი თუ არ ვიყიდეთ, საახალწლოდ გამზადებულ საჭმელებს სულ გაგვინადგურებენ, — წუწუნებდა ახალგაზრდა ქალი და მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას.

— ცარცი რად უნდათ, ქალო?! ხატვას დაიწყებენ და ჩვენ თავს დაგვანებებენ? — სრულიად სერიოზულად იკითხა მამაკაცმა (სავარაუდოდ — ქმარმა).

— საახალწლოდ თოვლის ბაბუა გამოვიძახოთ, ხომ? — შესცინა ტარაკნებთან მებრძოლმა ცოლმა.

— რას ამბობ, ქალო, თოვლის ბაბუის გამოძახება უფრო ძვირი ღირს, ვიდრე „პუტანკის“. ჯობია, „პუტანკა“ გამოვიძახოთ...

მამაკაცის ხმა უკვე საკმაოდ შორიდან მომესმა და კარგა ხანს გულიანად ვიცინე...

— ის თუ ნახე, ბარაკ ობამამ პირდაპირ ეთერში ბუზი რომ მოკლა? — ჰკითხა ერთმა კაცმა მეორეს.

— კი, ვნახე, როგორ არა.

— ჰოდა, თურმე ვანო მერაბიშვილი გაგიჟებულა ამის გამო...

— ამას რა აგიჟებდა?

— ვეღარ გაიგო, რა მოხდა იქ იმის შემდეგ, რაც ბუზი „წყობიდან გამოვიდა“.

მამაკაცები გულიანად ხითხითებდნენ და ისე მისეირნობდნენ, თითქოს ბაზარში კი არა, რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდნენ.

— გაიწიე ერთი, ნუ დასეირნობ, რა სასეირნო ადგილი აქაა?!. ქალო, რა ამბავია, მანდარინი — 2 ლარი, ხომ არ გაგიჟდი?! — ხანში შესულმა ქალბატონმა ჯერ ის 2 მამაკაცი გამოლანძღა, მერე — მანდარინის გამყიდველი.

— ნერვები აქვს ხალხს გაფუჭებული, ამ კრიზისისა და საკაშვილის გადამკიდე, — მშვიდად ჩაილაპარაკა მანდარინის გამყიდველმა და აღშფოთებულ ქალბატონს პასუხიც არ დაუბრუნა.

— ქალო, შენ გეკითხები, რა ამბავია, მანდარინი — 2 ლარი?! — არ ეშვებოდა მყიდველი.

— ქალბატონო, მე ასე მიღირს და თუ არ გინდა, წადი და სხვაგან იყიდე.

თითქოს ნებართვას ელოდაო, მხოლოდ ამის შემდეგ გაეცალა.

ბაზარი ჟრიამულობდა და ხმაურობდა... ზოგი მარტო დადიოდა, ზოგი ოჯახის წევრთან (ან წევრებთან) ერთად, ზოგი სიძვირის გამო წუწუნებდა, ზოგი — ჩანთების სიმძიმის გამო, მაგრამ ყველა ჭიანჭველასავით ფუსფუსებდა, ხორაგს შინ ეზიდებოდა და ახალი წლისთვის ემზადებოდა...

— მოკლედ, გაახურეს საქმე, თითქოს მარტო ახალ წელს უნდოდეს ადამიანს ჭამა, — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა, რომელიც ისეთ მძიმე ჩანთას მიათრევდა, რომ 2 ხელით ეჭიდებოდა და ხვნეშა-ხვნეშითა და სვენებ-სვენებით ძლივს მიიწევდა წინ.

ისე, მთლად არ ტყუის ეს კაცი... თქვენ რას იტყვით? ■

სურვილი სწორად უნდა ჩაიფიქრო

ზღაპარი ოქროს თევზის შესახებ ნანამ სხვა ბავშვებივით, ადრეულ ასაკში მოისმინა და ამის შემდეგ დაიჯერა, რომ სურვილების შემსრულებელი თევზი ნამდვილად არსებობს და უკვე „დიდ გოგოს“ სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ოქროს თევზი მის ბადეშიც გაეხვეოდა.

ერთ საღამოს, ძილის წინ ნანა კვლავ ოქროს თევზზე ფიქრობდა.

— რადგან თევზი ღარიბების სურვილებს ასრულებს, იქნებ ჩემი სურვილიც აასრულოს?

...და ოქროს თევზის დაჭერას არ დალოდებია, ისე ჩაიფიქრა: „მინდა, ყველაზე ლამაზი ვიყო, არასოდეს დავრჩე მარტო... რომ... ნუ, ისეთმა მამაკაცმა შემიყვაროს, რომელიც ყველაზე ლამაზი იქნება. ყველა ამბობდეს, რომ ძალიან ლამაზი წყვილი ვართ. არ მინდა თეთრ ცხენზე ამხედრებული უფლისწული. უბრალო, კარგი ადამიანი მინდა და მას უნდა ერქვას“...

ნანამ უამრავი სახელი გადაარჩია გონებაში და რატომღაც, „გოგაზე“ შეჩერდა. მერე გაახსენდა, რომ „ულამაზო“ გოგაც არსებობს (წინა დღეს ნახა) და სურვილი გადააკეთა — „ლამაზი სახელი ჰქონდეს და მისი სახელი 4 ასოსგან შედგებოდეს“.

ან ის ღამე იყო განსაკუთრებული, ან გოგონამ ჩაიფიქრა მთელი გულით... გავიდა დრო და ნანას სურვილი აუსრულდა.

ის ქუჩაში მიდიოდა... კი არ მიდიოდა, მირბოდა. ორივე ხელში მძიმე ცელოფნის პარკი ეჭირა. შინ დივანზე წამოწოლილი, მშიერი და ეჭვიანი ქმარი და უამრავი ოჯახის საქმე ელოდა.

— აქამდე სადა ხარ? ისეირნე? — ჰკითხა გოგამ.

ნანა ატირდა. უნდოდა, ქმრის ყველა სურვილი უსიტყვოდ აესრულებინა, ის კი საყვედურის მეტს არაფერს იმეტებდა ცოლისთვის. ამდენი დაძაბულობისა და დაღლილობისგან ნანა ნერვიული გახდა. უძილობამ კვალი დააჩნია და მისი სილამაზე ნელ-ნელა სადღაც გაქრა.

ერთხელ, შუაღამისას ნანას გაელვიძა. გარედან შემოსული სინათლე ჭერს ანათებდა და მასზე ფანჯარასთან მდგარი ხის ტოტების ჩრდილი ჩანდა. ქალი ჭერს უყურებდა და ფიქრობდა: „ყველაფერი მომბეზრდა — რეცხვა, უთოობა, სახლის დალაგება!.. რა ლამაზი ვიყავი!.. ახლა?.. ქმარს ბაზრის დედაკაცივით ვეჩხუბები... ყველაფერი უკან-უკან მიდის“.

ყველა მამაკაცი გაახსენდა, ვინც მას გულსა და ხელს სთხოვდა.

რატომ არ აირჩია მალხაზი? მისი სახელი 7 ასოსგან შედგებოდა და ამიტომ დაიწუნა. „ნამდვილი სულელი ხარ“, — უთხრა საკუთარ თავს და საწოლზე გაშხლართულ, ლამაზ ქმარს შეავლო თვალი.

ნანა კარგა ხანს უყურებდა ჭერს, შემდეგ ადგა და ფანჯარაში გაიხედა. ცაზე სავსე მთვარე ჩანდა... სავარძელში ჩაჯდა, მოიკვანტა და დაიჩურჩულა:

„მოხუცმა მებადურმა ვარცლი ინატრა... მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი იქნებოდა ვარცლი. მთავარი იყო, რომ მის დედაკაცს აღარ ებუზღუნა. მებადურს ალბათ ცოლი უყვარდა და მისი სურვილებიც იცოდა, მაგრამ ადამიანმა თავისი სურვილი უნდა ჩაიფიქროს. ნებისმიერ ბაყაყს შეუძლია, ლამაზ ქალად გადაიქცეს, მაგრამ ტყავის გაძრობა ძალიან ძნელი და მტკივნეულია. ამიტომ ყველა ვერ რისკავს, — სხვა ზღაპარი გაახსენდა ნანას და ახალი სურვილი ჩაიფიქრა: მინდა, რომ ჩემი ესმოდეთ, არ დავრბოდე მთელი დღე ერთი მაღაზიიდან მეორეში, შემდეგ ბაზარში და შინ დაბრუნებული მთელ საღამოს სამზარეულოში არ ვატარებდე. დავიღალე, გვერდით ძლიერი მამაკაცი მჭირდება. აი, ჩემი მეგობრის, მადონას ქმარს როგორი „პარტყუნა“ ყურები აქვს, მაგრამ ცოლი ძალიან უყვარს. მშურს კიდეც მისი. არასოდეს ეტყვის ცოლს, რომ გასუქდა... ისეთი უყვარს, როგორიც არის. მე კი როგორ გავხდი, ძვალი და ტყავი ვარ დარჩენილი. არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. კიდევ ცოტაც და ბებერ ქალს დავემსგავსები. მე კი დროზე ადრე დაბერება არ მინდა. მორჩა! გოგას არც ერთ ძმაკაცს შინ არ შემოვუშვებ! მომბეზრდა მაგათი ხორხოცი და ქეიფი. ნორმალური ოჯახი მინდა! უფლისწულზე უარის თქმა გაცილებით იოლია, ვიდრე მთელი ცხოვრება ბაყაყად დარჩენა“...

და ნანას რატომღაც გაახსენდა რიცხვი — 7. ეს რიცხვი საიდანღაც „მოფრინდა“ და სურვილს „აეწება“. სურვილი კი „გაფრინდა“ და ასრულება დაიწყო.

ერთ მშვენიერ დღეს გოგამ გამოაცხადა, რომ ოჯახიდან წასვლას აპირებდა. ნანა არ შეწინააღმდეგებია. მხოლოდ ტანისამოსის ჩალაგებაში დაეხმარა და წასვლისას უთხრა:

— ხომ იცი, უკან მოსასვლელი გზა აღარ არსებობს. ვიცი, რომ სხვასთან მიდიხარ და გაუფრთხილდი იმ სხვას...

„სურვილის ჩაფიქრებასაც ცოდნა უნდა, — ფიქრობდა მარტო დარჩენილი ნანა, — დასრულდა „ბედნიერების“ 7 წელი და ახალი ცხოვრება იწყება. ადამიანი ჯერ კარგად უნდა დაფიქრდეს და სურვილი მერე ჩაიფიქროს“.

...და მან ჩაიფიქრა, როგორ შეხვდებოდა ახალ წელს მთავარ მოედანზე... ცხადად წარმოიდგინა დანისლული ცა, მორთული რუსთაველის ქუჩა, ირგვლივ უამრავი ადამიანი... 12 საათი ახლოვდება... თოვს... ფიფქები თმაზე ეცემა... „მე მინდა... ძალიან მინდა, ბედნიერი ვიყო, მაგრამ როგორ ჩავიფიქრო ეს სურვილი, რომ ამიხდეს?“

ამბობენ, ახალი წლის მობრძანებამდე დარჩენილი ბოლო 2 საათი ყველაზე ჯადოსნურია და თუ ამ დროს ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან სურვილს ჩაუთქვამ, აუცილებლად აგისრულდებაო.

ნანა ცენტრალური მოედნისკენ მიიჩქაროდა და ჯერ კიდევ არ იცოდა, სურვილი როგორ უნდა ჩაეფიქრებინა...

მას უკვე ყველაფერი ჰქონდა: სამსახურში კარგი თანამდებობა, კარგი ხელფასი, მეგობრები... არც მამაკაცებისგან აკლდა ყურადღება, ახლა კი უკვე თავისუფალიც იყო... მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, როცა ქმარი ჰყავდა, მაშინაც მარტოობის განცდა არ ტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ადამიანთან უწევდა კონტაქტი. თუმცა, თუ რომელიმე მისი მეგობარი ამას აღნიშნავდა, ნანას გული მოსდიოდა...

აი, ახლაც, ნაძვის ხესთან დგას და სურვილის ჩაფიქრებას ცდილობს... ჯერ ყველასთვის სთხოვა ბედნიერება... მთელი ქალაქისთვის, მთელი ქვეყნისთვის... „ასეთი პრობლემები მარტო მე არ მაწუხებს“, — გაიფიქრა ქალმა. სხვებზე ფიქრი მისი თვისება იყო... იქნებ სწორედ ამიტომ გრძნობდა თავს მარტოსულად, რომ გამუდმებით სხვებზე ფიქრობდა და ზრუნავდა?

ის ახალ წელს მეგობართან უნდა შეხვედროდა, რადგან შინ გოგა და მისი მეგობრები აღარ ელოდნენ... იმიტომ ოხრავდა, რომ წინასწარ იცოდა, როგორ ჩაივლიდა ახალი წლის ღამე — მხიარულად, მაგრამ ჩვეულებრივად,

დიდი ხნის წინ შემუშავებული სცენარის მიხედვით: იქნება უამრავი კერძით გადატვირთული სუფრა, უამრავი სადღეგრძელო, საგანგებოდ შეძენილი ტანისამოსის „პაკაზი“ და გამთენიისას, აი, ამ ნაძვის ხესთან მოსვლა... დილით — უძილობისგან დაწითლებული თვალები და თავის ტკივილი. ნანამ კიდევ ერთხელ ამოიოხრა და გამობრუნდა.

უეცრად, მოხუც ქალს შეეჩეხა, რომელსაც ხელში მზისფერი ფორთოხლებით სავსე პარკი ეჭირა.

— მაპატიეთ, ვერ დაგინახეთ, — ბოდიში მოუხადა მოხუცს და ძირს დაფანტული ფორთოხლების ასაკრეფად დაიხარა. „მზეები“ მოაგროვა, ისევ ცელოფანში მოათავსა და ქალს გაუწოდა.

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს და ახალ წელს გილოცავთ.

— მეც გილოცავ, — უპასუხა ქალმა და ჭკვიანი თვალებით შეხედა.

პარკიდან ერთი ფორთოხალი ამოიღო და ნანას გაუწოდა.

— აი, ეს გამომართვი და ბედნიერებას მოგიტანს. ბედნიერება აქვე, ახლოსაა და გვერდს ნუ აუქცევ... შენიშნე ის და თან წაიღე...

ნანამ ფორთოხალი სახესთან მიიტანა და მისი არომატი შეისუნთქა. როდესაც ქალისთვის მადლობის თქმა დააპირა, ის გვერდით აღარ იდგა. ნანამ მხრები აიჩეჩა და იგრძნო, რომ მეგობართან წასვლა აღარ უნდოდა. რაღაც უხილავმა ძალამ აიძულა, რუსთაველის გამზირს ფეხით გაჰყოლოდა.

„რაც არის, არის, კარგა ხანია, ახალ წელს მარტო არ შევხვედრივარ. უკვე 11 საათია, ახლა ტაქსის გავაჩერებ და შინ წავალ. მეგობრებს კი ხვალ ვნახავ“, — გაიფიქრა ქალმა.

გაჩერებასთან ახლოს, მიწაზე მამაკაცი გაშხლართულიყო. გულაღმა ეგდო და ხელები უკან ჰქონდა გადაყრილი.

„უკვე მოუსწრია გამოთრობა... აი, ასეთი ქმარი რომ გეყოლება, ნამდვილი უბედურება ისაა“, — მამაკაცს ამრეზით დახედა და გვერდი აუარა. გასცდა თუ არა მას, უეცრად, ფორთოხალი ხელიდან გაუვარდა და მამაკაცთან მიგორდა.

ჯერ გზის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ მერე მოხუცის სიტყვები გაახსენდა, — ეს ფორთოხალი ბედნიერებას მოგიტანსო, რომ უთხრა და გადაწყვიტა, თავისი კუთვნილი „მზე“ აეღო. დაიხარა. თან მამაკაცის სახეს აკვირდებოდა. მას კარგად ეცვა, სასმლის ნაცვლად, ძვირფასი სუნამოს სურნელი ასდიოდა, ცხვირიდან კი სისხლი მოჟონავდა.

ნანამ ფორთოხალს ხელი სტაცა და წამოდგა. მიიხედ-მოიხედა... ხალხი მხიარულად მიდი-მოდიოდა და არც მისთვის და არც მიწაზე დაგდებული მამაკაცისთვის არავის ეცალა. ამ დროს კაცი შეირხა და დაიკვნესა. ნანა შეხტა. შემდეგ მამაკაცმა თვალები გაახილა...

— წამოდგომას შეძლებთ? — ჰკითხა და ხელი გაუწოდა.

მამაკაცი მის თითებს ჩაებღაუჭა და გაჭირვებით წამოდგომა სცადა, მაგრამ წამოიწია თუ არა, მაშინვე წაბარბაცდა, თავბრუ დაეხვა და ნანას ხელი რომ არ შეეშველებინა, ისევ მიწაზე გაიშხლართებოდა.

— ცუდად ხართ? — ჰკითხა ქალმა. — რა დაგემართათ? „სასწრაფოს“ გამოვუძახო?

— არა, არა, — მამაკაცმა უარის ნიშნად, თავი გააქნია.

— მაშინ, ჩემთან წამოდით, ასე სად წახვალთ?

ნანამ ტაქსის ხელი აუწია, მამაკაცი გაჭირვებით ჩასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და თავისი მისამართი უკარნახა.

კაცს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მის ნებას დაჰყვა და მეორე სართულის კიბეზე რის ვაი-ვაგლახით ავიდა...

იმ ღამით მამაკაცს მაღალი სიცხე მისცა. როგორც ჩანს, მიწაზე წოლისგან გაცივდა. ნანამ საწოლამდე ძლივს მიათრია და მთელი ღამე გვერდიდან არ მოსცილებია. მამაკაცი სიცხისგან იწვოდა, ის კი ძმრიან და არყიან საფენებს მკერდზე აფენდა, წამლებს ასმევდა და შუბლზე მომდგარ ოფლს წმენდდა.

ახალი წელი გადაავიწყდა...

„სასწრაფოს“ გამოძახებაც უნდოდა რამდენჯერმე, მაგრამ რადგან მამაკაცმა ექიმის დახმარებაზე თავიდანვე უარი თქვა, ახლა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აღარ წავიდა.

როდესაც გამთენიისას ავადმყოფს სიცხემ უკლო, მამაკაცმა თანაბრად სუნთქვა დაიწყო და დამშვიდდა, ნანას მაშინღა გაახსენდა, რომ იმ ღამით ახალი წელი დადგა...

სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში გაუხარდა კიდეც, ახალ წელს ასე რომ შეხვდა.

შალვას დილით გაეღვიძა, მაგრამ თვალების გახელას არ ჩქარობდა. ეჩვენებოდა, რომ უწონობის მდგომარეობაში იყო და თავს ძალზე მსუბუქად გრძნობდა. „იქნებ უკვე მოვკვდი და ახლა ანგელოზებთან ვარ?“ — გაიფიქრა მან. გული შეეკუმშა. გაახსენდა, როგორ გადაეყარა ქუჩაში 3 უცნობს, როგორ მოუხდა მათთან შელაპარაკება და როგორ სთხლიშა ერთ-ერთმა მათგანმა მუშტი. არ ახსოვდა, რამდენი საათის განმავლობაში იწვა მიწაზე... გამვლელები გულგრილად უვლიდნენ გვერდს, მას კი თავის წამოწევაც არ შეეძლო. ისიც ახსოვდა, რომ შემდეგ ხან სცხელოდა, ხან სიცივისგან იყინებოდა. შემდეგ აღარაფერი ახსოვდა... ვიღაცის ნაზი და მზრუნველი ხელების შეხების გარდა...

მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ცოცხალია და თითქოს მის სხეულში რაღაც მელოდია ჩაიღვარა...

თვალები ნელა გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა. მის საწოლთან, სავარძელში ახალგაზრდა ქალს ეძინა. უყურებდა მის დახუჭულ თვალებს და ცდილობდა, გამოეცნო, როგორი ფერის იქნებოდა ეს თვალები... სხეულში ჩაღვრილი მელოდია კი ძლიერდებოდა და სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა...

ცოტა ხნის წინ მამაკაცს ეჩვენებოდა, რომ ამ მელოდიას ვერასოდეს გაიგონებდა...

ქალმა თითქოს დაჟინებული მზერა იგრძნო. თვალები გაახილა და „პაციენტს“ გახედა.

ღამით მან მამაკაცის სახის ნაკვთები კარგად ვერ გაარჩია. მხოლოდ მაგრად მოკუმული ტუჩები, გაცრეცილი სახე და წვეტიანი ცხვირი დაამახსოვრდა. ახლა კი უყურებდა მას და ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდა.

მისი ჩახლეჩილი ხმა და მორიდებული ღიმილიც კი ძალიან ახლობლად მოეჩვენა.

— სად ვარ? — იკითხა მამაკაცმა.

ნანამ იცოდა, რომ ეს უცნობი მამაკაცი ძალიან კეთილი და საიმედო ადამიანი იყო... ამას გრძნობდა... ისიც ზუსტად იცოდა, რომ მის გულში ნანასთვის თავისუფალი ადგილი იყო.

— გამარჯობა, ახალ წელს გილოცავ! — გაუღიმა მამაკაცს.

შემდეგ დიდხანს უყვებოდა, რა მოხდა ახალი წლის ღამეს... როგორ მოიყვანა სახლში, როგორ ებრძოდა სიცხეს, როგორ ასმევდა წამლებსა და მურაბიან ჩაის, ის კი უარზე იყო...

შალვას სახეზე კეთილი ღიმილი ეფინა და ქალის ხელი ხელში ეჭირა. თითქოს ეშინოდა, არსად წასულიყო.

ნანას წინააღმდეგობის მიუხედავად, საღამოს შალვა წამოდგა და გარეთ გასვლა გადაწყვიტა...

ნანაც თან გაჰყვა... მათ განათებულ რუსთაველზე გაისეირნეს...

საპირისპირო მხრიდან მოხუცი ქალი მოდიოდა, რომელსაც პარკში მზისფერი ფორთოხლები ეყარა. ქალმა წყვილს ჩაუარა და ნანას გაუღიმა...

ნანამ ხელი დაუქნია და თვალი გააყოლა...

მოხუცმა მარტო მიმავალი, ახალგაზრდა ქალი გააჩერა და ნანამ დაინახა, როგორ ჩაუდო ხელში ერთი „მზე“...

— გოგონა, აიღე ფორთოხალი, ის ბედნიერებას მოგიტანს...

■

კრიმინალური კურიოზები

კურიოზები სასამართლო პრაქტიკიდან

თეა ხურცილავა

ადვოკატ ციცინო ცხვედიანს საზოგადოება კარგად იცნობს. მის დასაცავ კლიენტებს ძირითადად, სამოქალაქო დავები აქვთ გადასაწყვეტი. ბუნებრივია, მონაწილეობა უამრავ დავაში მიუღია, ბევრი ადამიანის ინტერესი დაუცავს. როცა ადვოკატი საქმის განხილვაში მონაწილეობ, ალბათ, ნაკლებად ფიქრობ კურიოზულ შემთხვევებზე, თუმცა, როგორც ჩანს, გარკვეული დროის შემდეგ შენ თვალწინ მომხდარი ფაქტები, იუმორის განწყობაზე გაყენებს და მას სხვა თვალით უყურებ. ხშირად, თურმე, სასამართლოში ისეთი ამბებიც ხდება, რომ მომხდარი ანეკდოტსაც კი ემსგავსება. ისიც ფაქტია, ციცინო ცხვედიანის კლიენტები, ხშირად საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეები არიან, მაგრამ, როგორც წესი, ქალბატონი ციცინო, მათ ვინაობას არასდროს ამხელს, რადგან მის დასაცავებს მათი ოჯახური დავების სააშკარაოზე გამოტანა არ სურთ. ეს მათი უფლებაა და ამ უფლებას, ვერავის წავართმევთ.

ქალბატონ ციცინო ცხვედიანს მართლაც საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. საადვოკატო პრაქტიკიდან მხიარული ეპიზოდების გახსენება ვთხოვეთ და საინტერესო ამბები ღიმილით გაიხსენა.

შენი ძროხისთვის მაკოცნინე...

წლების წინ — მაშინ აბიტურიენტი, ასევე აბიტურიენტ მეგობარ გოგონებთან ერთად სტუმრად ტყიბულში ჩავედი და ახალ წელს იქ შევხვდი. მასპინძლებს ეზოიანი სახლი ჰქონდათ და დიდი ბომბორა ნაგაზიც ჰყავდათ. ძალიან მიყვარს ცხოველები და ძაღლს მოფერება დავუწყე, წამოსვლისას კი შუბლზე ვაკოცე, რაზეც იქ მყოფ სტუმარ ვაჟებს სიცილი აუტყდათ. იმ წელიწადს იურიდიულ ფაკულტეტზე ვაბარებდი და მოვეწყვე. ჩვენს ტყიბულელ მასპინძელ თენგოს თავისი ძმაკაცებისთვის უთქვამს, ახალ წელს სამი სტუმარი გოგო რომ მყავდა, ერთ-ერთი იურიდიულზე მოეწყოო. იმ დროს, იურიდიული ფაკულტეტი, მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა და იქ მოწყობა სასწაულის ტოლფასი იყო. ბიჭები დაინტერესებულან, რომელია ის გოგოო. თენგო დაფიქრდა და მკვეთრად განმასხვავებელი სხვა ნიშანი რომ ვერ იპოვა, უთხრა: ძაღლს რომ აკოცა, ის გოგო, იურიდიულზე მოეწყოო.

რამდენიმე დღის შემდეგ სახლში თენგოს ერთი ძმაკაცი მიადგა და ჰკითხა, ძროხა ხომ არა გყავთო. თენგომ დაუდასტურა — კი, გვყავსო.

— ე, ბიჭო, მაკოცნინე შენს ძროხაზე, რა იქნება, — სთხოვა ძმაკაცმა.

— რა ვქნა? — დაიბნა თენგო.

— რა და, იმ შენმა სტუმარმა შენს ძაღლს რომ აკოცა, იურიდიულზე ხომ მოეწყო. სამი წელია ვეტერინარულზე ვიჭრები, კაცი არა ხარ? მაკოცნინე შენს ძროხაზე, იქნებ მეც მეშველოს რამე, — შეეხვეწა ძმაკაცი.

„გოიმი“ ბებია

ერთ საქმეში ყოფილი რძალ-დედამთილი ბინის გამო დავობდნენ. მე რძალს ვიცავდი. პროცესი ჩვენ მოვიგეთ. რძლის გულშემატკივრებთან ერთად გარეთ გამოვედი და საუბარი შემდგომ მოქმედებებზე დავიწყეთ. ამ დროს სასამართლოს შენობიდან დედამთილი გამოვარდა, რომ დაგვინახა, ლანძღვა-გინება დაიწყო და სამი თითის კომბინაცია გვაჩვენა. მოხუცი ქალისგან ეს ისეთი მოულოდნელი ჟესტი იყო, რომ სიცილი ამიტყდა, რძლის გულშემატკივრები კი გაბრაზდნენ და ქალისკენ, საცემრად, გაიწიეს.

— დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, გოიმია, თორემ ახლა ვინ აჩვენებს სამ თითს, მოდაში შუა თითის ჩვენებაა, — შევაჩერე რძლის გულშემატკივრები.

ისინი შეჩერდნენ და მალევე გადაიხარხარეს. ალბათ შუათითაშვერილი ბებია წარმოიდგინეს. ისე გულიანად იცინოდნენ და სიტუაციაც ასე განიმუხტა.

მაზოხისტი მოწინააღმდეგე

ერთ სამოქალაქო საქმეში დედაშვილი ბინაზე დავობდა. მე შვილის — ახალგაზრდა ქალის ინტერესებს ვიცავდი. მოწინააღმდეგე, ანუ დედა, ცდილობდა წონასწორობიდან გამოვეყვანე, მაგრამ არ ავყევი და, პირიქით, იმდენი მოვახერხე, რომ მხარეები შევარიგე. როგორც ჩანს, ამ ქალბატონს ჩემზე გული მოუბრუნდა, მომიახლოვდა და წვრილი, წიკვინა ხმით მითხრა:

— უიმე, ქალბატონო ციცინო, თქვენ არც ისეთი ცუდი ადამიანი ყოფილხართ, მე რომ მეგონეთ.

ასეთ „კომპლიმენტზე“ გამეღიმა და ხუმრობით ვუპასუხე:

— ქალბატონო ლეილა, მე საერთოდ არ ვარ ცუდი ადამიანი.

— მართალი ხართ, ქალბატონო ციცინო, მე თქვენთან ვტყუი, მცემეთ, რა, ქალბატონო ციცინო, მცემეთ, რა... — ამ სიტყვებით მაჯაში ხელი წამავლო და სანამ გონს მოვეგებოდი, ჩემი ხელის მტევანი ლოყაზე რამდენჯერმე გამეტებით გაიტყლაშუნა...

საბრალო ბრალდებული

თბილისის საოლქო სასამართლოში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ქალბატონისთვის აღკვეთი ღონისძიების — პატიმრობის არასაპატიმრო ღონისძიებით შეცვლას ვითხოვდი. ქალბატონს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვაში ედებოდა და სასჯელი ამ დანაშაულისთვის ათი წლიდან იწყებოდა.

შუამდგომლობა დავასაბუთე, რატომ უნდა შეეცვალათ აღმკვეთი ღონისძიება და ინტუიციით ვიგრძენი, რომ ჩემმა სიტყვამ მოსამართლეებზე შთაბეჭდილება მოახდინა

— აბსოლუტურად ვიზიარებ ქალბატონი ციცინოს პოზიციას, რომ ორი შვილის დედის, სამი შვილიშვილის ბებიის, პატიმრობაში ყოფნა მართლაც მძიმეა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დანაშაულისთვის სასჯელი ათი წლიდან იწყება, თუ მას ახლა პატიმრობიდან გავათავისუფლებთ, მაგრამ სასამართლოზე დანაშაული დაუმტკიცდება, ის ხელახლა უნდა დააპატიმრონ და მერე უფრო ცოდო იქნება, — განაცხადა თავისი მოსაზრება პროკურორმა.

ვიგრძენი, რომ მოსამართლეები ახლა პროკურორის პოზიციისკენ გადაიხარნენ, მაგრამ რა მექნა, ყვე-

ლა სამართლებრივი ნორმა, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა, შუამდგომლობაში მითითებული მქონდა და იგივეს ხომ არ გავიმეორებდი.

— მაშინ, მით უმეტეს. ეს ქალბატონი თითქმის მთელი წელია ზის, თუ მას დანაშაულის ჩადენა დაუმტკიცდება და სასამართლო ათ წელს მიუსჯის, გადაბმულად რომ იჯდეს, უფრო ცოდო არ არის? მანამდე მაინც, ცოტა ხანს სუფთა ჰაერი ისუნთქოს, — მოვნახე ახალი „არგუმენტი“.

მოსამართლეებს ამ „არგუმენტზე“ გულიანად გაეცინათ და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს კლიენტს პატიმრობა მართლაც შინაპატიმრობით შეუცვალეს.

სად არიან ლეკვები?

ერთ დღეს ოფისში კინოლოგიის სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გვესტუმრა, საოცარი იუმორის

მქონე პიროვნებაა. იგი ძალიან კარგად ბაძავს ძაღლებს, მაგრამ მაშინ არც მან და არც ჩემმა კოლეგებმა არ იცოდნენ, რომ მეც ასევე კარგად ვბაძავ ლეკვებს. საქმიანი საუბარს რომ მოვრჩით, ჩემმა სტუმარმა ხუმრობით დაიყეფა, მას მეც ყეფით ვუპასუხე. ამ დროს ოთახში სახეგაბადრული ადვოკატი ია რეხვიაშვილი შემოვარდა და იკითხა:

— ლეკვები? სად არიან ლეკვები?

ორ ხმაში აყეფებული სტუმარ-მასპინძლის დანახვაზე იას ენა ჩაუვარდა და ოთახიდან ჩუმად გავიდა.

ზრდილობიანი განსასჯელი

ადვოკატ ოთარ სუყაშვილთან ერთად ეროვნებით აზერბაიჯანელ განსასჯელს ვიცავდი. კანონის გათვალისწინებით, მოსამართლემ, ჩვენს განსასჯელს ჰკითხა: ცნობდა თუ არა წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ. პატიმარმა იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ დიახ ან არა — ეპასუხა, ფაქტობრივად ჩვენების მიცემა დაიწყო და აღარ ჩერდებოდა.

— საკმარისია, ბატონო მამედ, მე მხოლოდ ის გკითხეთ, თავს დამნაშავედ ცნობდით თუ არა, დაბრძანდით, — შეაწყვეტინა სიტყვა განსასჯელს მოსამართლემ და დაამატა, — გმადლობთ.

— არაფერს, — თავაზიანად უპასუხა მამედმა და დაჯდა.

ვის დარჩეს ბავშვი?

განქორწინებული ცოლ-ქმარი ბავშვის მიკუთვნებაზე დავობდა. ცოლმა სარჩელი აღძრა და ქმრისათვის მამობის უფლების ჩამორთმევა მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ ის ქრონიკული ნარკომანი იყო. ქმარმაც არ დააყოვნა და შეგებებული სარჩელი აღძრა — ცოლისთვის დედობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით და მიუთითა: ეს ქალი გიჟია და, შესაბამისად, შეურაცხადი. ცოლს მე ვიცავდი, ხოლო ქმარს — ადვოკატი მიშა ჯმუხაძე. ექსპერტიზის ჩატარება მოვითხოვე — იმ კაცის ქრონიკული ნარკომანობის დასადგენად. მიშამ კი — ფსიქიატრიული ექსპერტიზა — ცოლის შეურაცხადობის დასადგენად. გაოგნებულმა მოსამართლემ შუამდგომლობა ორივეს დაგვიკმაყოფილა და მერე სამივე, მე, მიშა და მოსამართლე დიდი ინტერესით ექსპერტიზების პასუხს ველოდით. პასუხი ასეთი იყო: კაცი მართლაც ნარკომანი აღმოჩნდა, მაგრამ — არა ქრონიკული, ქალს გაქანებული ნევროზი ჰქონია, მაგრამ გიჟი ნამდვილად არ აღმოჩნდა. მოკლედ, გადარჩა ის ბავშვი მშობლების დაკარგვას, თორემ ალბათ ადვოკატებს — მე და მიშას მოგვიწევდა ამ ბავშვზე მზრუნველობის აღება.

თანაგრძნობა

ერთ სამოქალაქო საქმეში მოწინააღმდეგე მოხუცი გვყავდა, მაგრამ ძალიან აგრესიული ქალბატონი. მას მეტად სუსტი პოზიცია ჰქონდა და ყველა ურჩევდა მორიგებას. ის კი პოზიციას არ იცვლიდა და სასტიკ უარზე იყო. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზეც მოსამართლე შეეცადა, იგი დაერწმუნებინა, რომ მისთვის სჯობდა მორიგება. უთხრა, რომ სასამართლო სხდომა გადადო და ეს დრო მას, მოსაფიქრებლად გამოეყენებინა. დარბაზიდან გამოსასვლელად მოვემზადე, მაგრამ ეს ქალბატონი მოსამართლეს არ ეშვებოდა და შესჩიოდა, მოწინააღმდეგემ, ანუ ჩემმა კლიენტმა თუ რა დღეში ჩააგდო. მოსამართლე აშკარად უკვე მომდევნო საქმეზე ფიქრობდა და ამ ქალბატონს უგულისყუროდ უსმენდა, შიგადაშიგ კი ზრდილობისთვის ეთანხმებოდა, კი ბატონოო.

— ამ დღეში ყოფნას, სჯობდა მეც მაშინ მოვმკვდარიყავი, ჩემი და რომ მოკვდა, — განაცხადა ქალმა.

— კი, ბატონო, — მაშინვე დაეთანხმა მოსამართლეც.

კიდევ კარგი, იმ ქალბატონს სმენა დაქვეითებული ჰქონდა და ვერ გაიგონა, როგორ „უთანაგრძნო“ მოსამართლემ.

„მე გახლავართ სექსუალური ტერორის მსხვერპლი“

სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვაში ვმონაწილეობდი. ჩემი დასაცავი მამაკაცი ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო. ძალიან ემოციური ადამიანია. პროცესის დაწყებამდე დავარიგე, რომ ემოციებს არ აჰყოლოდა და თავი მშვიდად დაეჭირა. ისიც შემპირდა, რომ ასე მოიქცეოდა. სასამართლო პროცესზე მამობის დადგენა უნდა მომხდარიყო. სხდომა დაიწყო და ჩემს კლიენტს სიტყვა მისცეს. ისიც ადგა და განაცხადა:

— ბატონო მოსამართლენო, მე გახლავართ სექსუალური ტერორის მსხვერპლი!

— ვინ ბრძანდებით? — ყურებს არ დაუჯერეს მოსამართლეებმა და ერთმანეთს გადახედეს.

— დიახ, ამ ქალბატონის მხრიდან სექსუალური ტერორის მსხვერპლი, — დააზუსტა ჩემმა კლიენტმა, — არასწორია, სისხლის სამართლის კოდექსით გაუპატიურების სუბიექტად მხოლოდ ქალი რომ ითვლება, მე ვარ ამ ქალის ძალადობის მსხვერპლი.

— ძალიან საინტერესოა, მოყევი ერთი, თუ კაცი ხარ, — დაინტერესდა მამაკაცი მოსამართლე.

სხდომის დარბაზში ფხუკუნი ატყდა.

ჩემი კლიენტი დეტალურად მოჰყვა როდის, სად, რა ვითარებაში გაიცნო ეს ქალი, რა ურთიერთობა ჰქონდათ შემდეგში, როგორ აღმოჩნდნენ ვიღაც ახლობლის ოჯახში, როგორ დაწვა მთვრალი დასაძინებლად, როგორ დაიძინა...

— და ამ დროს გამომაღვიძა ყინულივით ცივი სხეულის შეხებამ...

— საკმარისია!.. — იკივლა გაუთხოვარმა მოსამართლე ქალმა.

დარბაზი კი იცინოდა.

— მერე რა მოხდა? — დაინტერესდა კაცი მოსამართლე.

— მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, იმპოტენტი კი არ ვიყავი, — იუკადრისა ჩემმა კლიენტმა.

დარბაზი უკვე ხარხარებდა... ■

„სიყვარულის შენარჩუნებისთვის მხოლოდ სიტყვები არ კმარა“

რის დათმობა უწევთ ქალებს, ოჯახი რომ არ დაინგრეს? მტკივნეულ საკითხებზე თვალების დახუჭვა და წაყრუება არაა იოლი საქმე. ბევრჯერ გვითქვამს (და ძალიან გვინდა, დავიჯეროთ), — პატიება დიდი ნჭია და თუ ადამიანი დიდსულოვანია, ყველაფრის მიტევება შეუძლიაო, — მაგრამ საინტერესო ისაა, პატიების შემდეგ ის ურთიერთობა და გრძნობა, რომელიც ადრე იყო, უცვლელი რჩება?.. ხომ არ აკლდება ერთსაც და მეორესაც ძალა და „ფერი“? სწორედ ამ თემას ეხება წერილი — „ჩვენი დამსახურებაა, რომ ოჯახები შევინარჩუნეთ“, რომელიც 2007 წლის ნოემბერში დაიბეჭდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“.



მარინა გაგუნაშვილი

ამბავი პირველი „დიდი დეპრესიის“ დროს

თიკო და ნინო პატარაობიდანვე მეგობრობდნენ. მათ დაახლოებას კი დედების ურთიერთობამ შეუწყო ხელი. ისინიც დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

თიკომ უნივერსიტეტში, ისტორიულზე გააგრძელა სწავლა, ნინომ კი — კონსერვატორიაში, საფორტეპიანო ფაკულტეტზე.

ერთხელ, მეგობრის დაბადების დღეს, ორი ძმაკაცი — ზაზა და დათო გაიცნეს. ახალგაზრდებს მაშინვე მოეწონათ ერთმანეთი. მერე შეხვედრები გახშირდა და ყველამ გაიგო, რომ ზაზას თიკო მოსწონდა, დათოს კი — ნინო.

ზაზა საოცრად რომანტიკული იყო, არ მალავდა თავის გრძნობას თიკოს მიმართ. დათო კი უფრო თავშეკავებული გახლდათ. ცოტა არ იყოს, ნინოს ეს სწყინდა, მაგრამ მის გრძნობაში ეჭვი არ ეპარებოდა.

მშობლები შვილების არჩევნის წინააღმდეგნი არ იყვნენ და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გაიპარნენ. მათი ასეთი ნაბიჯი მშობლებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თიკოს და ნინოს დედები შვილებზეც განაწყენდნენ და სიძეებზეც, — გასაპარი რა გჭირდათ, ყველამ ვიცოდით თქვენი სიყვარულის შესახებ და არ სჯობდა, ტრადიციულად გაგვეკეთებინა ყველაფერიო?.. მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარიყო და რაღა აზრი ჰქონდა კომენტარებსა და რეპლიკებს?

...ორი თვის შემდეგ ერთად გადაიხადეს ქორწილი. თიკოსა და ზაზას მალე შეეძინათ შვილი, ნინოსა და დათოს — არა. ნინომ სად არ იმკურნალა, მაგრამ არანაირი შედეგი არ მოიტანა მკურნალობამ. გვიან დადგინდა, რომ უშვილობა დათოს ბრალი იყო. დათო ძალიან განიცდიდა ამას, ცოლი ამშვიდებდა — ვიშვილოთ ბავშვი და გავზარდოთ, ჩვენი შვილი ეგ იქნებაო... ამასობაში თიკოსა და ზაზას უკვე სამი შვილი — ლუკა, ქეთი და ლევანი შეეძინათ. ერთ მშვენიერ დღეს კი თიკო ნინოს გამოუტყდა — მეოთხეზე ვარ ორსულად, გავაჩენ და თქვენ მოგაშვილებთ, ეს გადაწყვეტილება მე და ზაზამ ერთად მივიღეთო. ნინოსთვის ეს მოულოდნელი, დიდი სიხარული იყო და ბედნიერებისგან ატირდა.

გაჩნდა გოგონა — მარიამი. გადაწყდა — როცა მარიამი 17 წლის გახდებოდა, ნინო სიმართლეს გაუმხელდა. ზაზა და დათო სულ ერთად იყვნენ, შესაბამისად — მათი ცოლებიც და შვილებიც. ასე რომ, ამ რთულმა ამბავმა ნაკლები ტკივილითა და დარდით ჩაიარა.

როცა სამაჩაბლოსა და მერე აფხაზეთში ომი დაიწყო, ზაზა თბილისში აღარ გაჩერდა, მას დათოც მიჰყვა... ღვთის ნებით, ორივე გადარჩა, მხოლოდ დათო იყო ფეხში დაჭრილი.

შემდეგ დაიწყო შიმშილის, სიცივის, უშუქობისა და დიდი დეპრესიის პერიოდი. ზაზამ აიჩემა, — აქ ლეშივით გდება არ შემიძლია, რუსეთში უნდა წავიდე და რაიმე საქმე წამოვიწყოო. დათო არ ეთანხმებოდა. მას ერჩივნა, აქ თუნდაც გაჭირვებული ყოფით, ცოლ-შვილის გვერდით ყოფილიყო, ვიდრე მათგან შორს, მატერიალურად წელგამართული. დათო დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში 4-5 წელიწადში სიტუაცია დალაგდებოდა. ეს ზაზას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა...

ზაზამ მოსკოვთან ახლოს, მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. თავიდან თითქოს კმაყოფილი ჩანდა, ცოლ-შვილსაც უგზავნიდა ფულს და დათოსაც ეხმარებოდა. გავიდა 3 წელი და როგორც იმედოვნებდა, მთლად ისე ვერ ააწყო საქმე. ვერც „დიდი ფულის“ დაგროვება შეძლო, ვერც თავისთან წაიყვანა ცოლ-შვილი და ჩამოსვლასაც აჭიანურებდა. რაც შეეხება დათოს, იგი „ტაქსაობდა“. ერთხელ დააყაჩაღეს და თავში ისე ჩაარტყეს, რომ ტვინის შერყევა მიიღო... მერე ხან ავტოსამრეცხაოში მუშაობდა, ხან მაღაზიაში მომმარაგებლად, მაგრამ გასამრჯელო ყველგან მიზერული ჰქონდა და ყველაფერს თავი დაანება.

თიკოს ძალიან გაუჭირდა ზაზას გარეშე ყოფნა, ამიტომ ნინომ გადაწყვიტა, დათქმულზე ადრე გაემხილა მარისთვის სიმართლე და ამით მაინც გაეხალისებინა მეგობარი. მარი მაშინ 15 წლის იყო.

ნინო: „იოლად მიიღო ეს ამბავი-მეთქი, ვერ ვიტყვი. თუმცა სიმართლეს დიდი, ზრდასრული ადამიანივით შეხვდა! არც ერთი ჩვენგანისთვის არ უსაყვედურია. მაშინვე ის მთხოვა, — თიკოსთან წავიდეთო. თავის ნამდვილ დედას დანახვისთანავე გადაეხვია და უთხრა, — მე უკვე ყველაფერი ვიცი და არაფრის თქმა აღარ არის საჭირო, ძალიან მიყვარხარო! თიკო ემოციებს ველარ თოკავდა, გიჟივით, ხან იცინოდა, ხან — ტიროდა“...

დიდი ფინანსური კრიზისის დროს, დათო შინ იყო; გამოაცხადა, — დეპრესიაში ვარ და თავი დამანებეთო. ოჯახის საქმე და ყველა პრობლემის მოგვარება ნინოს კისერზე იყო. გული სტკიოდა „დეპრესიაში ჩავარდნილ“ ქმარზე, მაგრამ რა ექნა? თვითონაც იგივეს ხომ არ გამოაცხადებდა და დაჯდებოდა გულზე ხელდაკრეფილი! იძულებული იყო, ემოქმედა: ხან ნამცხვრებს აცხობდა და მაღაზიებში აბარებდა, ხან ოჯახებში დადიოდა და სახლს ალაგებდა. მერე, უკვე მოგვიანებით, ზოგიერთ მშობელს სურვილი გაუჩნდა მის შვილს ფორტეპიანოზე დაკვრა ესწავლა და როცა კერძო მოსწავლეები აიყვანა, სხვა საქმეს თავი დაანება. არც თიკო იყო კარგ დღეში, ისიც წვალობდა, მეგობარს კი ამშვიდებდა: მართალია, დათო არაფერს გიკეთებს, მაგრამ შენ მაინც იმედიანად ხარ, გვერდით რომ გეგულებაო... თიკო ძალიან განიცდიდა ზაზას გარეშე ყოფნას.

როგორც იქნა, ზაზასაც ეღირსა შინ დაბრუნება, მაგრამ თიკოს დიდი „სიურპრიზი“ ელოდა...

ამგავი მეორე
მოულოდნელი და
გამაოგნებელი „სიურპრიზი“

ერთ მშვენიერ დღეს, ზაზამ ოჯახში დარეკა და თიკოს ახარა: რაღაც თანხას თავი მოვუყარე, აქ ყოფნა აღარ შემიძლია და უნდა ჩამოვიდეო. თიკომაც, — დაანებე ყველაფერს თავი, რაც გვაქვს, ის ვიმყოფინოთ, ღმერთი არ გაგვწირავსო... ძალიან უხაროდა, რომ ამდენი წლის განშორების შემდეგ კვლავ ზაზასთან ერთად იქნებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მისი ქმარი პატარა ბუთხუზა ბიჭთან ერთად დაბრუნდა შინ. ეს იმდენად მოულოდნელი და გამაოგნებელი „სიურპრიზი“ აღმოჩნდა თიკოსთვის (და არა მხოლოდ მისთვის!), რომ კარის ზღურბლთან მდგარს ღიმილი სახეზე შეეყინა. კარგა ხანს იდგა ასე, გაშეშებული. მერე ისევ ზაზამ დაარღვია სიჩუმე: თიკო, ტელეფონში ვერ გითხარი... ეს ჩემი შვილია, მიშო ჰქვია, დედამისთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, როგორც კაცს — ქალთან, არ მეგონა, თუ ჩემგან ბავშვს გააჩენდა... როცა გაიგო, თბილისში დაბრუნებას ვაპირებდი, მიშო მე მომიგდო, თვითონ კი სხვა კაცს გაეკიდაო, — ბორძიკით ლაპარაკობდა ზაზა. ძალიან უჭირდა თიკოსთან, შვილებთან და სხვა ახლობელთან ურთიერთობა ამის გამო, მაგრამ რა ექნა?! საკუთარ შვილს ისიც ხომ არ გადააგდებდა! თანაც, თიკოს დიდსულოვნების იმედი ჰქონდა...

ნინო: „მიშო ისეთი საყვარელი იყო (ახლაც უზომოდ გვიყვარს ყველას), ისეთი ინტერესითა და ხალისით მოგვჩერებოდა ყველას, რომ მაშინვე თბილად მივიღეთ. თიკო მოეფერა პატარას, აბა, სხვა რა უნდა ექნა?! ბავშვის რა ბრალი იყო, რომ ამქვეყნად გაჩნდა?! ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგა და გაგრძელდა. თქვენ მკითხავთ, — სირთულეები დიდ სიყვარულს ანელებსო? მე გიპასუხებთ: გააჩნია, ამ სირთულეებს როგორ გადაიტანს ან რანაირად დასძლევს ადამიანი. თუ მან პრობლემების გადალახვისას ღირსებას თვალი მოუხუჭა, რა თქმა უნდა, სიყვარულიც ნელდება და ფერმკრთალდება... დღეს უკვე ნაკლებად მჯერა, რომ სირთულეებთან ჭიდილში გრძნობა თავის ძალასა და სილამაზეს ინარჩუნებს. მეც და თიკოც მშობლების ნებიერები ვიყავით. ორივეს ისე გვიყვარდა ქმრები, მათ გვერდით არაფრის გვეშინოდა. მერე ცხოვრებამ ერთიც გადაასხვაფერა და მეორეც. მართალია, დათოს ჩემთვის სხვა ქალთან არ უღალატია, მაგრამ განა მარტო ეგაა ღალატი?! ჩემმა მეუღლემ ყველაზე მძიმე პერიოდში რომ გამომიცხადა, — დეპრესიაში ვარ, თავი დამანებე, შენ რაც გინდა, ის ქენიო, — ეს არაა ღალატი?! ჩვენ ხომ მათი თანადგომა გვჭირდებოდა!.. სამაჩაბლოშიც და აფხაზეთშიც უშიშარ მებრძოლებად იყვნენ მიჩნეულები, მაგრამ ფაქტია, ცხოვრებისეული დაბრკოლებები ვერ გადალახეს“...

— **და მაინც, პატიება ხომ შეძელით?**

— მეც და თიკომაც დიდსულოვნად ვაპატიეთ მათ, მაგრამ იმის დავიწყება, რაც ჩაიდინეს, ვერ შევძელით. ჩვენ მაინც გვიყვარს ისინი, მაგრამ ეს უკვე სხვანაირი სიყვარულია — ეს უფრო საერთო საზრუნავი, ცოლქმრული მოვალეობები და ურთიერთშეჩვევაა. ჩვენ, ქალებს რატომღაც გვინდა, მთელი ცხოვრება გაგვყვეს ის გატაცება და აღმაფრენა, რომელიც თან ახლავს პირველ დიდ სიყვარულს, მამაკაცებს კი მიაჩნიათ, რომ ეს შეუძლებელია... ალბათ ამიტომაც ეძებენ ხოლმე „ახალ განცდებსა“ და „გრძნობებს“. სამწუხაროდ, სიყვარული, როგორც უნდა ეცადო, დროთა განმავლობაში მაინც ნელდება.

— **თქვენი მეუღლეები თუ გრძნობენ ამას?**

— გრძნობენ, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არც ერთი ლაპარაკობს, არც მეორე. ნეტავ, განახვათ და მოგასმენინათ, რა აღტაცებით წარმოთქვამენ ჩვენს სადღეგრძელოებს გაშლილ სუფრასთან, რამდენს გვაქებენ და გვეფერებიან, მაგრამ...

— **მაგრამ თქვენზე ეს აღარ მოქმედებს, არა?..**

— ცარიელი სიტყვები, რაოდენ აღმატებულ ხარისხშიც უნდა იყოს, არაფერია, თუ ამას ქმედებაც არ მოჰყვა. ურთიერთობა რომ არ გამწვავდეს და შვილებიც არ დაიჩაგრონ, ქალები თავს ვიტყუებთ, გვჯერა მათი... ეგაა და ეგ!

■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

სამყარო

2010 წლის მოდის ტენდენციები — აქსესუარი, სუნამო, ვარცხნილობა

მოდურ ტანისამოსთან გემოვნებიანად შეხამებული ჩანთა, სამკაული, სათვალე, ვარცხნილობა და ამას დამატებული, სასიამოვნო სურნელი, ქალს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. მოდაშია დიდი და მასიური, ავანგარდული, ფერადი და ძვირფასი ქვებით, მბზინავი ლითონით შექმნილი ყელსაბამი, საყურე, სამაჯური, ბეჭედი, ლითონის გიგანტური კოლიე. აქტუალურია ჯაჭვის სამკაულები, რასაც ცნობილი დიზაინერების ნამუშევრებში 2010 წელს მრავლად შევხვდებით.

თამთა დადეშელი

ავთო ცქვიტინიძე, *დიზაინერი:*

— მოდურია დაგვირისტებული ჩანთები ჯაჭვის სახელურით, რასაც კოკო შანელს უნდა ვუმადლოდეთ. აქტუალურია სხვადასხვა აქსესუარით, ჯაჭვითა და მარგალიტით გაფორმებული „სუმოჩკები“. მოკლედ, წელს საკმაოდ მომხიბვლელად და მისაღებად გამოიყურება ის სტილი, რომელიც ადრე მიუღებელი იყო. ასეთი ჩანთები შეგიძლიათ ნებისმიერ სტილს მოუხდინოთ.

სათვალეების მოდა წელს დიდად არ შეცვლილა. მას ძირითადად არა აქტუალურობის, არამედ ფორმის მიხედვით ირჩევენ.

თინა ჭუჭულაშვილი, *„რონიკოს“ პიარ-მენეჯერი:*

— საქართველოში მსოფლიოში ცნობილი ბევრი ბრენდია წარმოდგენილი და თითოეული მათგანი საკუთარ დიზაინზე მუშაობს, ცდილობს შექმნას ყველაზე თანამედროვე, მოდური აქსესუარი. თვლებით გაფორმებული, ქალის სათვალეები კვლავაც აქტუალურია... რაც შეეხება მამაკაცებს, „რეიბანი“ ისევ მოდურად მიიჩნევა. ის პოპულარულია მთელ მსოფლიოში და ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. აქტუალურია ავიატორის სტილის სათვალე, ახალი დიზაინით შექმნილი „ქარავანი“, რომელიც მოოქრულია — თეთრი და ყვითელი ოქროთია დაფარული.

— რა ფერის ჩარჩოებია მოდაში?

— ყველაზე დიდი ფერთა გამა ისევ „რეიბანს“ აქვს წარმოდგენილი. აქ მრავალფეროვანი არჩევანია, მაგრამ შედარებით აქტუალურია სხვადასხვა ფერის, კომბინირებული ჩარჩოები. რაც შეეხება ფორმას, მოდაშია საშუალოზე დიდი სათვალე. საქართველოში გემოვნებიანი მომხმარებელია. თითოეულმა ზუსტად იცის, რა მოსწონს და რა უხდება მის სახეს. მოდაში შეიძლება, ბევრი რამ იყოს, მაგრამ ადამიანს არ უხდებოდეს.

— მინის შეფერილობაზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— აქტუალურია გარდამავალი

ფერები, მით უმეტეს, ზამთრის სეზონზე, როცა კაშკაშა მზე არ გაწუხებს. რაც შეეხება მასალას, ეს არის არაორგანული მინა, ე.წ. პლასტიკი. ყველა სათვალეს ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი ფენა აქვს. მხედველობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხარისხიანი სათვალე ვატაროთ. ის უნდა იყოს როგორც კომფორტული, ისე მოდური და თანაც, უნდა გვიხდებოდეს.

სუნამო სპირტიანი სურნელოვანი ნივთიერებებისა და პარფიუმერიული კომპოზიციების ნარევია. მას, როგორც არომატულ საშუალებას, დიდი სიამოვნებით იყენებენ არა მარტო ქალბატონები, არამედ მამაკაცებიც.

ხატია შამუგია, *„ისი პარის“ მარკეტინგისა და პიარის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:*

— ქალბატონებს სიამოვნებას ანიჭებს სახის მოვლის საშუალებების, დეკორატიული კოსმეტიკისა თუ სუნამოების შეძენა.

— უფრო მეტად, რომელ ბრენდებზეა მოთხოვნილება?

— როგორც ყოველთვის, მოთხოვნა სიახლეებზე მეტია. საქართველოში შემიძლია, „ბესტსელერად“ დავასახელო ჩვენი ექსკლუზიური ბრენდი — „ნარცისო როდრიგესი“. თუ ადამიანი რომელიმე კონკრეტული სუნამოს ერთგული არ არის, სიახლეებს ამჯობინებს. ქართველები ყოველთვის ცდილობენ, მსოფლიო ტენდენციებს არ ჩამორჩნენ. სუპერლუქსბრენდებია: — Shanel, Iv Sen loran, Shopard, Hermes თუ Sisley, ასევე ახალგაზრდული ბრენდები, რომლებიც თინეიჯერებისა და სტუდენტების დიდ მოწონებას იმსახურებს — „ნაომი კემბელი“, „კრისტინა აგილერა“, „ავრილ ლავინი“. ძალიან მოდურია dolce & gabanas ცალკე ხაზი DNG.

მამაკაცის სუნამოებშიც ბევრი სიახლეა. დიდი მოთხოვნაა „ნარციისო როდრიგესზე“, „კაროლინა ჰერერას“ ბოლო სუნამოზე — CH Men. ძალიან მოსწონთ Burberry-ის The Beat Men და რა თქმა უნდა, Shanel.

მკვეთრი მაკიაჟი მოდაში აღარაა. რადგან ვეფხვის წელია, უფრო ყავისფერი და ოქროსფერი იქნება აქტუალური.

სწორად შერჩეული ვარცხნილობა, წარმატებისა და სილამაზის გარანტიად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მხრივ მოდა ძალიან ხშირად, სეზონურად იცვლება.

ლია ფანცულაია, *სალონ Franck Provost-ის სტილისტი:*

— 2010 წლის ზამთრის ვარცხნილობების კოლექციას „ქერა ბოჰემა“ ჰქვია. აქტუალურია ღია ფერის თმა, მოკლე ვარცხნილობა. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როცა ადამიანი იმიჯის შეცვლას გადაწყვეტს, პირველ რიგში, მან საკუთარი სახის ფორმა უნდა გაითვალისწინოს და არა — მოდის ტენდენციები.

— სწორი თმა უფრო მოდურია თუ ხვეული?

— ოდნავ ხვეული თმა ანუ რეტროს სტილია მოდაში. ასევე აქტუალურია მელირებაც.

— თმის დაგრძელებას ხშირად გთხოვენ?

— ყოველთვის ვერიდები იმის გაკეთებას, რაც თმას აფუჭებს. დაგრძელებული თმა მოსავლელადაც ძნელია. საერთოდ, კლიენტები ჩვენს რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებენ. ახალი კოლექციები ყოველთვის მონიტორზე ტრიალებს და ამ ვარცხნილობების გათვალისწინებით, ვცდილობთ, კლიენტების ცხოვრებაში რაღაც სიახლე შევიტანოთ. ■

ბადრიჯნის პინგვინი, ბანანის ცხვი და გოგრის ვეფხვი ანუ კულინარიული ფანტაზიები

საახალწლოდ დიასახლისები განსაკუთრებულად ემზადებიან, ყიდულობენ პროდუქტს და გემრიელი კერძების მომზადების გარდა, საახალწლო სუფრის დიზაინზეც ზრუნავენ. ჩვენი რესპონდენტი — კახა დაუშვილი პროფესიონალი კულინარია, მაგრამ კერძების მომზადების გარდა, სუფრის დეკორაციების კეთებითაცაა გატაცებული.

ნათია ჟვანია

— კახა, მზარეულის პროფესია რატომ აირჩიე?

— მზარეულობაზე არასოდეს მიოცნებია. უბრალოდ, სამსახურის დაწყება მსურდა, ერთ-ერთ პიცერიაში კი ვაკანსია იყო გამოცხადებული და გასაუბრებაზე მივედი. მაშინ არაფრის მომზადება არ ვიცოდი. პიცის გამოცხობა მასწავლეს და ცოტა ხანს პიცის მცხობლად ვიმუშავე, მერე კი სამზარეულოში, მზარეულად გადავედი, სადაც სხვადასხვა იტალიურ კერძს ვამზადებდი. მგონი, ეს საქმე კარგად გამომდიოდა და ამიტომაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ, პიცერიის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, კულინარიის შესასწავლად იტალიაში გავემგზავრე.

— რომელ ქალაქში გაემგზავრე და სად სწავლობდი კულინარიას?

— ქალაქ ფელტრეში ვიყავი და ვენეტოს კულინარიის კოლეჯში ექვსთვიანი კურსები გავიარე. რასაკვირველია, მხოლოდ იტალიურ სამზარეულოს ვსწავლობდით. მერე იქაურ იტალიურ რესტორანში ოთხთვიანი პრაქტიკა გავიარე. სხვათა შორის, რესტორანში მუშაობისას მეტი რამ ვისწავლე, ვიდრე — სასწავლებელში.

— იტალიელები მოგეწონნენ?

— ძალიან. სტუმართმოყვარე და შრომისმოყვარე ხალხია. ადამიანს სწორედ მისი შრომისმოყვარეობით აფასებენ. მათგან მართლა ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.

— ძალიან მაინტერესებს, როგორია მათი კვების რაციონი? მართლა გამუდმებით მაკარონსა და პიცას ჭამენ?

— რა თქმა უნდა! მათი ძირითადი საკვები პიცა და სპაგეტია, რომლის დაახლოებით, 500-600 სახეობა მაინც აქვთ. დღე ისე არ გავა, სპაგეტი რომ არ ჭამონ, უფრო მეტიც, მას დღეში რამდენჯერმე მიირთმევენ, ოღონდ, სხვადასხვანაირი სოუსით მომზადებულს.

— სპაგეტი კალორიული არ არის?

— რასაკვირველია, ძალიან კალორიულია.

— ეი. იტალიელების უმრავლესობა მსუქანია?

— არა, სულაც არ არიან მსუქნები. ისინი ბევრს არ ჭამენ და კალორიებს აკონტროლებენ.

— პირადად შენ, რომელი იტალიური საჭმელი მოგწონს?

— ძალიან მიყვარს სპაგეტი „კარბონარა“, რომელიც ვიჩინით, კვერცხის გულითა და ე.წ. „სლივკებით“ მზადდება. „სლივკი“ დაახლოებით იგივეა, რასაც ჩვენთან ნაღებს ეძახიან. დამერწმუნეთ, ძალიან გემრიელია.

— ქართული კერძების მომზადება თუ გეხერხება?

— სიმართლე გითხრა, ქართული კერძების მომზადება არ მიცდია, მათ ყოველთვის დედა ამზადებს. როცა შინ მარტო ვარ, კვერცხს ან კარტოფილს ვწვავ. მხოლოდ ერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა „ჩაქაფული“ მოვამზადე. ჩვენი პიცერიის ადმინისტრატორს სტუმრები ჰყავდა და მთხოვა, — „ჩაქაფული“ გააკეთეო. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არ მქონდა და მისი მომზადება არც არავისგან მისწავლია, ჩემი „ჩაქაფული“ მაინც ყველას ძალიან მოეწონა.

მზარეულობაზე არასოდეს მიოცნებია

— იტალიელები ახალ წელს როგორ ხვდებიან? რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია ხომ არ აქვთ?

ბადრიჯნის პინგვინი

— სამწუხაროდ, ჩემი იქ ყოფნა ახალ წელს არ დაემთხვა და შესაბამისად, მათი ტრადიციების შესახებ არაფერი ვიცი. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს პიცა, სპაგეტი „პასკა“, რომელშიც იტალიური სანელებლები, „ცუკატები“ ყრია. რაც მთავარია, მათი სუფრა აუცილებლად, დეკორატიულადაა გაფორმებული.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, სუფრის დეკორაციებს შენც არაჩვეულებრივად ამზადებ. ამის გაკეთებაც კულინარიის კოლეჯში გასწავლეს?

— არა, ამის არანაირი კურსი არ გამივლია. უბრალოდ, იმ კოლეჯში ვიღაცები დეკორაციების გამოფენას აწყობდნენ და ორგანიზატორებს სურდათ, ამ გამოფენაში კოლეჯის სტუდენტებსაც მიეღოთ მონაწილეობა. დეკორაციის გაკეთება მასწავლებელმა შემომთავაზა. გამოფენა საღამოს 8 საათზე იწყებოდა. მე პირველ საათზე მივედი და ამიხსნეს, თუ რა როგორ უნდა გამეკეთებინა. შევეცადე, ამ საქმეშიც მეცადა ბედი და სხვათა შორის, ცუდი დეკორაცია არ გამომსვლია. მერე ამ საკითხით უფრო დავინტერესდი და შევიძინე ჟურნალები, სადაც ახსნილი იყო, მსგავსი რაღაცები როგორ უნდა გამეკეთებინა. მოკლედ, ყველაფერი დამოუკიდებლად ვისწავლე.

— ახლა პიცერიაში კერძებს თუ აფორმებ?

— რა თქმა უნდა! ნებისმიერი კერძი, რომელიც კლიენტთან მიდის,

საზამთროსგანაც ულამაზესი ყვავილი კეთდება

ბოსტნეულით ვარდები და სხვა ყვავილები მზადდება

ლამაზად ფორმდება.

— ვთქვათ, მაქვს კარტოფილი, სტაფილო, კიტრი, ბადრიჯანი, ბოლოკი. ამ ინგრედიენტებისგან რისი გაკეთება შემიძლია?

— კარტოფილისგან ლამაზი სოკოები გამოდის, ბადრიჯნით პინგვინებს ვაკეთებ ხოლმე, დანარჩენი თქვენ მიერ ჩამოთვლილი ბოსტნეულით კი ვარდები და სხვა ყვავილები მზადდება. ყველაზე მარტივი გასაკეთებელი ლიმონის გოჭი და ბანანის იხვია.

— ახლა ვეფხვის წელი მოდის. თუ არის შესაძლებელი, რომელიმე ბოსტნეულისგან, საახალწლო სუფრის გასაფორმებლად, ვეფხვი გავაკეთოთ?

— სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. ჩემი აზრით, გოგრისგან შეიძლება, ვეფხვის თავი დავამზადოთ. ბოსტნეულისგან მთლიანი ვეფხვის გაკეთება, მგონი, შეუძლებელია.

— რას გვირჩევ, საახალწლო სუფრა როგორ მოვრთოთ?

— მოგეხსენებათ, ზამთრის მიუხედავად, ბაზარში ნებისმიერი რამის ყიდვაა შესაძლებელი. ამიტომ გირჩევთ, შეიძინოთ პატარა ნესვი და გაჭრათ შუაზე. მის შუაგულში დაამაგრეთ სანთელი, შემდეგ კი ის კიტრის, სტაფილოსა და ბოლოკისგან დამზადებული ყვავილებით მორთეთ. ასეთი რამ უამრავჯერ გამიკეთებია და მერწმუნეთ, ძალიან ლამაზია. კიდევ, ანანასს გადააჭერით თავი, გული ფრთხილად ამოაცალეთ და დაჭერით წვრილად. შეურიეთ ასევე წვრილად დაჭრილი კივი და ბანანი, შემდეგ კი ეს ყველაფერი ანანასისგან დამზადებულ „კალათში“ მოათავსეთ. გარდა იმისა, რომ ის სუფრას გაგილამაზებთ, ძალიან გემრიელიცაა. ანანასისგან თუთიყუშების გაკეთებაც შეიძლება: ყვავილიანი ანანასი თხელ ნაჭრებად უნდა დაჭრათ. ყვავილი კუდი იქნება, თავი კი სტაფილოსგან მზადდება. საზამთროსგანაც ულამაზესი ყვავილი კეთდება, მაგრამ ეს საკმაოდ რთული პროცესია და ერთ საათს მაინც წაგართმევთ.

— მარხვის მიუხედავად, ბევრი ოჯახის სუფრას გოჭი აუცილებლად დაამშვენებს. არის თუ არა შესაძლებელი, ეს გოჭიც გავაფორმოთ?

— პირში ბოლოკი არ ჩაუდოთ (*იცინის*). იმედია, სუფრასთან მთლიან გოჭს არ მიიტანთ, მას ალბათ, დაჭრით. თუ გინდათ, თამადას გოჭის თავი მიართვათ, ის ყვავილებით მორთეთ — ირგვლივ ბოსტნეულისგან დამზადებული ყვავილები შემოუწყვეთ — ლამაზიც იქნება და ორიგინალურიც.

— შენ მიერ გაკეთებული დეკორაციების გამოფენას ხომ არ აპირებ?

— გამოფენას აუცილებლად მოვაწყობ. ვცდილობ, ამ საქმეში ცოდნა კიდევ გავიღრმავო. ინტერნეტშიც ვეძებ რაღაცებს და ვსწავლობ. ძალიან მინდა, მომავალში ჩემი ნამუშევრები ხალხმაც ნახოს. ■


ლიმონის გოჭები

ბოსტნეულის თუთიყუშები

მადლიანი საქმე და ხატმწერის სულიერი აღმაფრენა

ღმერთი ზოგს უხვად დააბერტყავს თავის კალთას, მრავალმხრივი ნიჭით აჯილდოებს. ხატწერის უნარი ყველაზე მადლიანი ნიჭია და ამიტომაც, ის მხოლოდ გამორჩეულებს აქვთ. ნიკოლოზ ბერუაშვილი სწორედაც რომ ღვთის რჩეულია, ღვთიური საქმისთვის გაჩენილი.

„ხატვის დროს აუცილებელია სიჩუმე და ჯარგი, მზიანი ამინდი...“

თამუნა კვირკველია

— ხატვის ნიჭი ჩემში მასწავლებელმა აღმოაჩინა. სამხატვრო სასწავლებელში არასდროს მისწავლია. მართალია, აკადემიაში სწავლის გაგრძელება ძალიან მინდოდა, მაგრამ დედამ

მაიძულა, სტომატოლოგიურზე ჩამებარებინა. ხატების წერას მას შემდეგ მივყავი ხელი, რაც ეკლესიაში დავიწყე სიარული. თითოეული ჩემი ნამუშევარი ძალიან მიყვარს. მათზე დიდი სიყვარულით და მონდომებით ვმუშაობ. ხატებთან განშორება საოცრად მიჭირს, მაგრამ თავს იმით ვიმხნევებ, რომ ჩემი ნამუშევრები ეკლესიაშია.

— გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც რაღაცის დახატვა გნდომებიათ და არ გამოგსვლიათ?

— საბოლოოდ, ყოველთვის გამომდის ის, რისი დახატვის სურვილიც მაქვს, მაგრამ სირთულეები, რა თქმა უნდა, არის. ახლომხედველი ვარ და ფუნჯით პატარა დეტალების გამოყვანა, პატარა სახეების ხატვა ძალიან მიჭირს.

— რას გრძნობთ, როდესაც მუშაობას ასრულებთ?

— რაღაცის შექმნის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ზოგჯერ, უკმაყოფილოც ვრჩები... ხატვა სულის აღმაფრენაა და თუ ამ დროს ჩემს საქმიანობაში ვინმე ჩაერევა, ეს ძალიან მაღიზიანებს. ხატვის დროს აუცილებელია სიჩუმე და კარგი, მზიანი ამინდი (*იცინის*). ვიცი, დიდ სიწმინდეს ვეხები, ძალიან ფაქიზსა და ფრთხილ თემას. ჰოდა, ვცდილობ, მაქსიმუმი გავაკეთო, ბოლომდე დავიხარჯო. მერწმუნეთ, ადამიანის ნებისმიერი მცდელობაც კი ფასდება უფლის მიერ.

— ხატწერისას ძირითადად, რა მასალას იყენებთ?



— ხეზე „შპაკლს“ ვადებ, ვაშრობ და მერე ვიწყებ ხატვას. სხვა მხატვრებისგან განსხვავებით, ხატვისას კვერცხის გულში გახსნილ ძმარს კი არ ვიყენებ, არამედ დაფქულ კვერცხის ნაჭუჭს ვასხამ ძმრის ესენციას და შემდეგ ვურევ კვერცხის გულს. ძმარში გახსნილი კვერცხი ბოლომდე ერთგვაროვანი ვერ გახდება და ამიტომაც, სურათი ალაგ-ალაგ შრება. ჩემი მეთოდით მუშაობა უფრო ადვილია.

— თქვენი აზრით, ქართველები სულიერებაზე რამდენად ვზრუნავთ?

— ვფიქრობ, ერთი შეხედვით, ქართველი საზოგადოება მაღალ სულიერ საფეხურზე დგას, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაა — ეს ყველაფერი მოჩვენებითია.

— დაბოლოს, რაზე ოცნებობთ?

— ნათქვამია: ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობსო. მეც მინდა, ჩემი სიტყვა ვთქვა ქართულ ხელოვნებაში; მსურს, ბოლომდე დავიხარჯო და რაიმე განსაკუთრებული შევქმნა... ისე, ისიც ხომ თქვა ვიღაც ბრძენმა, — ოცნებას კაცი არ მოუკლავსო (*იცინის*). ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ჰენრი ფორდის მუზეუმი მიჩიგანში მდებარეობს.

2. სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში 46 უნივერსიტეტია.

3. ტყავის სალონი ავტომობილ „ფერარისთვის“ ხელით იკერება.

4. სახელგანთქმული გზა №66 ჩიკაგოდან სანტა-მონიკამდეა გადაჭიმული.

5. ძუძუმწოვართა შორის ყველაზე პატარა მოცულობის ფილტვები ადამიანს აქვს.

6. „რუსკი ჰელოუინ ს ვისტრელომ ავრორი ზაკონჩილსა“, — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.

7. მუსიკა ანიმაციური ფილმისთვის — „ვარდისფერი პანტერა“ ჰენრი მანჩინის დაწერილია.

8. ფეხბურთის ბურთის შესაკერად ხელოსანს 15 მეტრი სიგრძის ნეილონის ძაფი სჭირდება.

9. 1952 წელს ალბერტ აინშტაინს ისრაელის პრეზიდენტობა შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა.

10. ძაღლს შეუძლია ადამიანის მიერ ერთი კვირის წინ დატოვებული, ერთი თითის ანაბეჭდით აიღოს გეში.

11. „პოდნიატაია გალავა პოდაროკ დლია სნაიპერა“, — ამბობდნენ ავღანეთში მომსახურე საბჭოთა ჯარისკაცები.

12. სპილო ფეხისგულზე მდებარე ბალიშების დახმარებით 16 კმ-ით დაშორებული ობიექტის ვიბრაციას გრძნობს.

13. მუზეუმი „ალბერტ ჰოლი“ ინგლისის დედოფალმა, ვიქტორიამ ააშენა და მეუღლის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი უწოდა.

14. კვებეკის ერთ-ერთ პარკში ჟანა დ'არკის ძეგლი დგას, რომლის აღმართვის საფასური თავის დროზე ერთმა შეყვარებულმა წყვილმა გადაიხადა.

15. ორლულიან სანადირო თოფს, რომელსაც ლულები ვერტიკალურად აქვს განლაგებული, ბოკფლინტი ჰქვია. ასეთი თოფი პირველად ჯონ მოსე ბრაუნინგმა დაამზადა.

16. მარილის საბადოებით ცნობილი პოლონეთის ქალაქი ველიჩკო კათოლიკური ტაძრითაც არის განთქმული. ეს ტაძარი მიწის ქვეშ, ერთ-ერთ შახტაში, პირდაპირ მარილშია გამოკვეთილი.

17. ვან გოგს ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა თვითგვემისაკენ მიდრეკილება. იგი საკუთარი ხელით იჯოხავდა თავს. პანსიონატში სპეციალურად იგვიანებდა, რათა ბინა დაკეტილი დახვედროდა და იძულებული გამხდარიყო, ღამე ქუჩაში გაეთია.

ინტერიერი

ინტერიერი, რომელიც ზამთარში გაგათბობთ

წელიწადის ამ დროს, როცა გარეთ ყინვა და ქარია, მზე კი იშვიათად თუ გამოანათებს, ადამიანებს ძალიან აკლიათ სითბო და სინათლე. ამიტომაცაა, შინ ასე რომ მიეჩქარებათ — იქ ხომ სითბო და სიმშვიდე ელის. მართალია, ცივი ამინდის შეცვლა ადამიანის ძალებს აღემატება, მაგრამ საკუთარი სახლის უფრო მყუდროდ მოწყობა და ამ გზით მისი კიდევ უფრო გათბობა, ყველას შეუძლია.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას ოჯახის ინტერიერთან დაკავშირებით:

„თბილი“ ფერები

ფერი ადამიანზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. სხვადასხვა ფერს ერთმანეთისგან განსხვავებული ემოციის, მათ შორის, სითბოსა და სიცივის შეგრძნების აღძვრაც შეუძლია. მართალია, ყოველი ადამიანი ფერს სხვადასხვანაირად აღიქვამს, მაგრამ რაღაც საერთო წესები მაინც არსებობს. თბილად მიიჩნევა სპექტრის ის ნაწილი, რომელშიც მეტი წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელია. ამიტომაც, თქვენი სახლის ინტერიერი უფრო მყუდროდ და კომფორტულად რომ მოგეჩვენოთ, იქ სწორედ ეს ფერები უნდა ჭარბობდეს. თანაც, საამისოდ გლობალური ცვლილებები კი არა, რამდენიმე აქცენტის გაკეთებაც სრულიად საკმარისია. მაგალითად, შეგიძლიათ, ტახტზე ბალიშები დააწყოთ, სავარძელზე რბილი პლედი მიაფინოთ და ცივი ფერის ფარდები თბილით (თანაც ისე, რომ ფარდების ფერი საერთო ინტერიერთანაც ჰარმონიაში იყოს) შეცვალოთ. ამ ეფექტის მიღწევაში ყავისფერი, აგურისფერი, ჩალისფერი და ოქროსფერი ტონების გამოყენება დაგეხმარებათ.

სასიამოვნო ქსოვილი

სახლის ინტერიერის გარდასაქმნელი ყველაზე ადვილი საშუალება ალბათ, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის — ფარდის, საწოლის გადასაფარებლის, ბალიშის, სუფრის შეცვლაა. წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნო იქნება, როცა ყინვიანი ამინდიდან შინ მისული თბილ, კუბოკრულ პლედში გაეხვევით ანდა რბილ, ფუმფულაგადასაფარებლიან ტახტზე წამოწვებით...

მძიმე და სქელი ფარდები მხოლოდ ფანჯრიდან შემოსულ ცივ ჰაერს კი არ შეაკავებს, ზამთრის სუსხისგან სახლის დაცვის შეგრძნებასაც შეგიქმნით. ამიტომაც კარგი იქნება, თუ ზამთარში ფარდებად ან გადასაფარებლად თბილი ტონალობის სქელ, რბილ და ხაოიან ქსოვილებს გამოიყენებთ. სიმყუდროვის განცდას შექმნის სელის ან ჭილობის ფაქტურის მქონე ქსოვილებიც, რომლებიც განსაკუთრებით, სამზარეულოს მოუხდება.

„რბილი“ სინათლე

ზამთარში დღის სინათლის ნაკლებობის ხელოვნური განათებით კომპენსირება გვიწევს, ამიტომაც თქვენს სახლში არსებულ სინათლის წყაროებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. შებინდებისას ჯობს, დღის სინათლის ნათურები გამოიყენოთ, ღამით კი მომცრო სანათები ან ტორშერები აანთოთ. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ეფექტის მიღწევა შეიძლება წითელი ანდა ნარინჯისფერი ტონების მქონე აბაჟურის გამოყენებით — ირგვლივ თბილი, ცეცხლის ანარეკლის მსგავსი სინათლე იღვრება.

მყუდრო ატმოსფეროს შექმნის ძალიან კარგი საშუალებაა სანთლების დანთებაც. შეიძლება, ისინი ლამაზ შანდლებზე დაამაგროთ ან მეტი უსაფრთხოებისთვის, უბრალოდ, ჭიქებში მოათავსოთ. მაგრამ ყველაზე თბილ და სასიამოვნო სინათლეს მაინც მოგიზგიზე ბუხარი აფრქვევს. აბა, რა სჯობს, ზამთრის გრძელ ღამეს, ბუხართან მთელი ოჯახი რომ მოიყრის თავს?!.

დეკორატიული ელემენტები

ნატურალური მასალისგან დამზადებული საგნები ინტერიერს დადებით ენერგეტიკას სძენს. ამიტომაცაა, რომ რაც უფრო „ეკოლოგიურია“ სახლი, იგი მით მეტ სითბოსა და სიხალისეს აჩუქებს თავის პატრონებს. მაგრამ მაინც, საეჭვოა, ვინმემ ამ მიზნით ინტერიერის გლობალური გარდაქმნა დაიწყოს.

თუმცა, ინტერიერის „გათბობა“ ზოგიერთი უმნიშვნელო დეტალის შეცვლითაც თავისუფლად შეიძლება. მაგალითად, საკიდრის ნაცვლად ორიგინალური (ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული), ტოტებიანი კუნძის გამოყენება, ხოლო ლარნაკის ნაცვლად მაგიდაზე დაწნული კალათის დადგმა შეგიძლიათ. განწყობილებას აგიმაღლებთ და ზაფხულსაც მოგაგონებთ ხის ჩარჩოში ჩასმული, მზიანპეიზაჟიანი სურათიც, კედლებზე მათი ნაკლებობა კი შეიძლება, ხის სანათებით შეავსოთ.

საოჯახო ფოტოები და სამახსოვრო სამშვენისები თქვენს სახლს სულიერი სითბოთი აავსებს. აუცილებლად გამონახეთ მწვანე მცენარეების — ცივ ზამთარში ზაფხულის სითბოსა და სიმწვანის განცდის — ადგილიც...

სურნელი

გარემომცველი სამყაროს ვიზუალური აღქმის გარდა, ჩვენთვის ყნოსვითი შეგრძნებებიც ძალზე მნიშვნელოვანია. ასე რომ, აანთეთ არომალამპა და სასიამოვნო არომატების სამყაროში ჩაიძირეთ.

ზამთარში განწყობილებას აგიმაღლებთ სანელებლების, წიწვოვანი მცენარეების სურნელი და სხვადასხვანაირი აღმოსავლური არომატი, მაგრამ ყველაზე მყუდრო ატმოსფეროს შემქმნელი და საოცრად მიმზიდველი სუნი მაინც, ახალგამომცხვარ ნამცხვარსა თუ სხვა ცომეულს აქვს... ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლვალილ

უბის წიგნაკიდან:

18. სილვესტერ სტალონე მოსამსახურეებს აიძულებდა, მის დანახვაზე თვალები დაეხარათ და იატაკს ჩაშტერებოდნენ. გათვალვის შიშით შეპყრობილ მსახიობს ეს ახირება ძვირად დაუჯდა — მოსამსახურეებმა სასამართლოში უჩივლეს და უზარმაზარი ჯარიმაც გადაახდევინეს.

19. ბილ გეიტსმა შიდსთან ბრძოლის ფონდში 29 მილიარდი დოლარი შეიტანა და იმ ასი ადამიანის სიაში შევიდა, რომელთაც XX საუკუნეში მსოფლიო ისტორიაზე გავლენა მოახდინეს. თუ გავითვალისწინებით იმას, რა ტემპით აგრძელებს იგი XXI საუკუნეში საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ბილ გეიტსს დიდი შანსი აქვს, რომ ამ სიაში XXI საუკუნეშიც მოხვდეს.

20. ეგვიპტური პირამიდები კარგი ორგანიზების გარეშე საერთოდ ვერ აშენდებოდა. შრომის ხარისხს ზედამხედველები სამშენებლო ბრიგადებს შორის მოწყობილი შეჯიბრებით აუმჯობესებდნენ. ქვითხუროები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უფრო მაღლა ასწევდა სამშენებლო ბლოკს, ვინ დადებდა უკანასკნელ ქვას სამუშაო დღის ბოლოს და ასე შემდეგ.

21. ჰიტლერი სიცოცხლის ბოლო დღეებში იმდენად იყო დასუსტებული, რომ ხელმოწერის ნაცვლად, საბუთებზე ბეჭედს არტყამდა. თვითმკვლელობისას იგი 56 წლის გახლდათ. მეცნიერებმა დაადგინეს, ფიურერს თავი რომც არ მოეკლა და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გაქცეულიყო, ჯანმრთელობა იმდენად ჰქონდა შერყეული, მაქსიმუმ ორი ან სამი წელიწადი თუ იცოცხლებდაო.

22. მიხაკის ხე, რომლის გაუშლელ კვირტებსაც ევროპაში სანელებლად იყენებენ, XV საუკუნეში ავსტრალიის ახლომდებარე კუნძულებზე პორტუგალიელმა ვაჭრებმა აღმოაჩინეს და მისი წყალობით არნახულად გამდიდრდნენ. პორტუგალიელები მტკიცედ ინახავდნენ საიდუმლოს და მიხაკით ვაჭრობაზე მონოპოლიის შესანარჩუნებლად, ცრურუკებსაც კი ადგენდნენ, რის გამოც, მეტოქეთა ხომალდები რიფებზე იმსხვრეოდა.

23. ვიკინგები სისასტიკით არც ერთ დამპყრობლებს არ ჩამოუვარდებოდნენ. საძულველი ტყვეებისადმი ისინი წამების უსასტიკეს მეთოდს — „სისხლიან არწივს“ იყენებდნენ. ვიკინგები სიკვდილმისჯილს იღლიის ჩაყოლებაზე ნეკნებს უმტვრევდნენ, ხორცს აჭრიდნენ და ჭრილობიდან ფილტვებს სანახევროდ გამოსჩრიდნენ. შედეგი შემზარავი სანახავი იყო — განაწამებ სხეულს თითქოსდა, სისხლიანი ფრთები ჰქონდა გამოსხმული.

მართლმადიდებელი ქრისტიანი და ახალი წლის აღნიშვნის საერო ტრადიცია

ახალი წლის დღესასწაულის მოახლოებისას ბევრ ადამიანს უჩნდება კითხვა — რატომ ვდღესასწაულობთ საქართველოში ჯერ ახალი წლის დღესასწაულს და შემდეგ შობას, როდესაც ევროპის ქვეყნებში ჯერ შობას ზეიმობენ, შემდეგ კი ახალი წლის დადგომას? ან რატომ აღვნიშნავთ ქართველები ახალ წელს ორჯერ — ახალი და ძველი სტილით?.. რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას ახალი წლის დღესასწაულის მიმართ, რომელსაც ახალი სტილით პირველ იანვარს აღვნიშნავთ? რატომ არის დამკვიდრებული გამოთქმა — „შობა-ახალი წელი“? აქვს თუ არა ახალი წლის დღესასწაულს რაიმე კავშირი ეკლესიასთან, სულიერებასთან? შევეცდებით, ამ და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებულ კიდევ რამდენიმე კითხვაზე ის პასუხები გაგცეთ, რომლებზეც შესაძლოა, დღემდე მხოლოდ კითხვები გიჩნდებოდათ...

ნაძვის ხე და ჩიჩილაკი, სანტა-კლაუსი და თოვლის ბაბუა

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი *(აბესაძე)*: — გამოთქმა — „შობა-ახალი წელი“ — მართებულადაა დამკვიდრებული, რადგან ჯერ იშვა მაცხოვარი და შემდეგ დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა. ამიტომ ჯერ შობის დღესასწაული უნდა ვიზეიმოთ და შემდეგში ახალი წელი — ქრისტესშობიდან კიდევ ერთი ახალი წელიწადის დაწყება, როგორც ეს ადრე, შუა საუკუნეებში ხდებოდა. ახალ წელს სახელმწიფოც აღნიშნავდა. ეს დღე ემთხვეოდა (როგორც მართებულია) მაცხოვრის წინადაცვეთის დღესასწაულს: შობიდან მერვე დღეს ძველი სჯულისამებრ, მაცხოვარი წინადაცვითეს. სწორედ ამ დღეს — იულიუსის კალენდრის მიხედვით, პირველ იანვარს (რასაც დღეს ძველ სტილს ვუწოდებთ) აღინიშნებოდა ახალი წელი.

რაც შეეხება ახალის წლის პირველ იანვარს აღნიშვნის ტრადიციას, ის სათავეს იღებს IX-X საუკუნეებიდან. ამ დრომდე წელიწადის ათვლა სექტემბრიდან იწყებოდა (მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადის ათვლას ახლაც ძველი სტილით — პირველი, ახალი სტილით — 14 სექტემბრიდან იწყებს, რაზეც ეკლესიური მსახურებითი სტილია აგებული. ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ). შემდეგ, უკვე გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც დასავლეთის სამყარომ კალენდარი შეცვალა (ის გრიგორიანული კალენდრის სახელწოდებითაა ცნობილი; იულიუსის კალენდარსა და გრიგორიანულ კალენდარს შორის 13-დღიანი სხვაობა გაჩნდა), დასავლეთის ქვეყნებში ყველა დღესასწაულის აღნიშვნა 13 დღით ადრე დაიწყო. ეს ცვლილება თავისთავად, შობისა და ახალი წლის დღესასწაულებსაც შეეხო, ამიტომაც არის, რომ ევროპის ქვეყნებში შობას ახალი სტილით 25 დეკემბერს აღნიშნავენ, ხოლო ამის შემდეგ — ახალი წლის დადგომას.

მოგვიანებით, აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ შორის — რუსეთი და საქართველოც გადავიდნენ დროის ათვლის ახალ სისტემაზე — გრიგორიანულ კალენდარზე, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ საერო მნიშვნელობით, მართლმადიდებელი ეკლესია კი კვლავ იულიუსის კალენდრის — ე.წ. ძველი სტილის ერთგული დარჩა, რადგან იულიუსის კალენდრით დაცულია ციკლურობა, რომელზეც მთლიანადაა აგებული საეკლესიო მსახურებები. იულიუსის კალენდრის მიხედვით, ქრისტეს შობის თარიღი სწორედ ძველი სტილით 25 დეკემბერია, რაც ახალი სტილის, ახალი კალენდარული სისტემის მიხედვით, 7 იანვარს ემთხვევა. შობის დღესასწაული ძველი სტილით 25 დეკემბერს უნდა ვიდღესასწაულოთ და ამას უნდა მოჰყვეს საეკლესიო მნიშვნელობით ახალი წელი.

— **დასავლური საშობაო დღესასწაული საბჭოთა სივრცეში მხოლოდ ახალი წლის დღესასწაულის სახით დამკვიდრდა...**

— თუ დავაკვირდებით, მთელ ევროპაში, სადაც ახალი წელი ახალი სტილით პირველი იანვარს აღინიშნება, საადღესასწაულო დღეები დაკავშირებულია არა იმდენად ახალ წელთან, არამედ შობასთან. ეს არის საშობაო დღესასწაული — იწყება 25 დეკემბერს და შემდეგ გადადის საახალწლო ზეიმში. საადღესასწაულო ატრიბუტებიც — ნაძვის ხე და სხვა — მიძღვნილია არა ახალი წლის, არამედ შობისადმი... საბჭოთა კავშირი ათეისტური სახელმწიფო იყო, ამიტომ შობის დღესასწაული საერთოდ გამოირიცხა და შობისადმი მიძღვნილი ტრადიციები და მიწიერად გამოხატული ატრიბუტები მთლიანად ახალი წლის დღესასწაულს დაუკავშირდა. ამგვარად, დასავლური შობის დღესასწაული საბჭოთა კავშირში მხოლოდ ახალი წლის ზეიმის სახით დამკვიდრდა (ახლით ახალი წლის დღესასწაულს ასეთი ზეიმურობით ჩვენში სწორედ საბჭოთა ტრადიციიდან გამომდინარე აღნიშნავენ) და აქედან გამომდინარე, სუფთა საერო დღესასწაული გახდა. თავისთავადაც, იმის გამო, რომ მართლმადიდებლები, იულიუსის კალენდრის მიხედვით, შობას ძველი სტილით — 25 დეკემბერს აღვნიშნავთ, ახლით ახალი წელი მხოლოდ საერო დღესასწაულია...

— **კრძალავს თუ არა ეკლესია ახალი სტილით ახალი წლის აღნიშვნას? ახალი სტილით პირველი იანვარი ხომ ყოველთვის, მარხვის პერიოდს ემთხვევა.**

— დღესასწაული განსაკუთრებული დღეებია, რომელსაც ადამიანები ზეიმით აღნიშნავენ. არსებობს საეკლესიო-სასულიერო და საერო დღესასწაულები. საეკლესიო დღესასწაულები იმ თარიღებთან და ბიბლიის ისტორიაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან ან წმინდანთა სახელებთანაა დაკავშირებული, რომელთაც ეკლესია უდიდეს პატივს მიაგებს; საერო დღესასწაულებით კი ქვეყნიურ, მიწიერ მოვლენებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მოვლენებს აღვნიშნავთ. საერო დღესასწაულებს სახელმწიფო აწესებს. ადამიანი უნდა ზრუნავდეს როგორც სულზე, ასევე ხორცზე, ამდენად, ეკლესია არ ეწინააღმდეგება და არ კრძალავს საერო დღესასწაულების აღნიშვნას, რომლებიც სახელმწიფოს მიერაა დაწესებული,

თუკი, რასაკვირველია, ისინი არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სარწმუნოებას, ადამიანის ქრისტიანული ცხოვრების წესს.

როგორც ვთქვით, ახალი წელი საერო დღესასწაულია. პირველ იანვარს კალენდარული ახალი წლის დაწყება, ქრონოლოგიურად ახალი წლის ათვლა აღინიშნება. ხელს არაფერი უშლის იმას, რომ კალენდარული წლის დაწყება ვიდღესასწაულოთ ახალი სტილით პირველ იანვარს. ამას ისიც მოწმობს, რომ ამ დღესასწაულის დადგომამდე საერო ხელისუფლებასთან ერთად, ყოველთვის გამოდის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და ულოცავს ქართველ საზოგადოებას. რაც შეეხება იმას, რომ ეს დღესასწაული არის მარხვის დროს: მარხვას შეიძლება, ასევე დაემთხვეს სხვა საერო დღესასწაულიც — დავუშვათ, 26 მაისი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე. მთავარია, როგორ აღნიშნავს ადამიანი საერო დღესასწაულებს ამ დროს, — ისე, როგორც ეს მარხვას შეეფერება თუ არა. ეს უკვე კონკრეტულად ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. ცხადია, ცოდვაა, თუ მარხვის პერიოდში დღესასწაულს სახსნილო სუფრით აღვნიშნავთ. ბუნებრივია, ახალი წლის დღესასწაულიც ისე უნდა აღვნიშნოთ, როგორც ეს მარხვას შეეფერება. რაც შეეხება იმას, რამდენად განლაღდება ადამიანი ამ დღეებში, — ქრისტიანი ამგვარ საქციელს ყოველთვის უნდა ერიდოს და იმდენად განლაღდეს, რომ მისი ქცევები ქრისტიანული ცხოვრების წესს არ გასცდეს; ეს არც მარხვაშია მისაღები და არც — ხსნილში.

— **ეკლესია წელიწადის ათვლას სექტემბრიდან იწყებს. თუკი საეკლესიო ახალი წელი ძველი სტილით, პირველი სექტემბერია, რატომღა ანიჭებს ეკლესია საეკლესიო მნიშვნელობას ძველით ახალ წელს, რომელსაც 14 იანვარს აღვნიშნავთ?**

— როგორც ვთქვით, ვიდრე ახალი წლის პირველ იანვარს აღნიშვნის ტრადიცია დამკვიდრდებოდა, IX-X საუკუნეებში, ამ დრომდე წელიწადის ათვლა სექტემბრიდან იწყებოდა — ანუ ხდებოდა წელთაღრიცხვის ათვლა სამყაროს შექმნიდან, რასაც ეკლესია დღემდე განაგრძობს. ახალი წლის პირველი იანვარს აღნიშვნის ტრადიცია კი X საუკუნიდან დამკვიდრდა. იულიუსის კალენდრის მიხედვით, ეს არის მაცხოვრის შობიდან ახალი წელთაღრიცხვის ათვლის დასაწყისი.

— **საიდან მომდინარეობს ნაძვის ხის ტრადიცია და რატომ მიიჩნევა ნაძვის ხე საშობაო ატრიბუტად?**

— არსებობს ასეთი გადმოცემა: როდესაც მაცხოვარი იშვა, მას მთელმა სამყარომ სცა თაყვანი — ანგელოზები უგალობდნენ, მწყემსებმა თაყვანი სცეს. მართალ იოსებსაც სურდა, გამოეხატა თაყვანისცემა ახალშობილი ქრისტეს მიმართ. რადგან ღარიბი დურგალი იყო, პატარა ნაძვის ხე მოჭრა და ახალშობილ მაცხოვარს მიართვა. ნაძვის ხე ვარსკვლავებით მორთო და თავზეც ვარსკვლავი დაადგა (ეს გადმოცემა დასავლეთის ეკლესიიდან მომდინარეობს — იმ დროიდან, ვიდრე რომის ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს გამოეყოფოდა). ამდენად, ეკლესია არ კრძალავს სადღესასწაულო დღეებში ნაძვის ხის დადგმას და მის მორთვას. რაც შეეხება ჩიჩილაკს, ის ქართული ტრადიციიდან მოდის, უშუალოდ ახალი წლის დღესასწაულს უკავშირდება და არა — შობას. ჩიჩილაკს გურიაში „ბასილის წვერებს“ უწოდებდნენ. ჩვენი წინაპრები ახალ წელს ძველი სტილით პირველ იანვარს აღნიშნავდნენ. ამ დღეს იხსენიება წმინდა ბასილი დიდიც, რომელიც საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. როგორც ჩანს, გაუთვითცნობიერებლად, ხალხმა ამიტომაც უწოდა ჩიჩილაკს „ბასილის წვერები“ (წმინდა ბასილი დიდ წვერს ატარებდა), მაგრამ ეკლესიისთვის ეს მიუღებელია: წმინდანის ამგვარად მოხსენიება დაუშვებელია! ჩიჩილაკი შეიძლება მივიღოთ მხოლოდ, როგორც სადღესასწაულო ნივთი, რომელიც უშუალოდ, ახალი წლის დღესასწაულს უკავშირდება.

დასავლეთის ქვეყნებში არსებული საშობაო ტრადიციით, საჩუქრებს წინდებში დებენ და ბუხართან კიდებენ. ამ ტრადიციას საფუძვლად უდევს ერთ-ერთი ეპიზოდი წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან: როდესაც წმინდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, შეიტყო, რომ ერთმა გაღატაკებულმა კაცმა, რომელსაც ქალიშვილების გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, მათი საროსკიპოში გაგზავნა განიზრახა, რათა ამ გზით ერჩინათ თავი. წმინდა ნიკოლოზი ღამით ჩუმად შეიპარა მათ სახლში და წინდებში გამოკრული ოქრო დაუტოვა; ამის წყალობით, მამამ სამივე ქალიშვილის გამზითვება შეძლო.

ამგვარად იხსნა წმინდა ნიკოლოზმა ისინი (ვიცით, რომ წმინდა ნიკოლოზი მოწყალების საქმეებითა და სასწაულმოქმედებით გამოირჩევა). სწორედ ეს სასწაული გახდა საფუძველი სანტა-კლაუსის სახით წმინდა ნიკოლოზის დამკვიდრებისა და თანდათანობით, დასავლეთ ევროპაში იგი შობა-ახალი წლის სიმბოლოდ აქცია. თუმცა ეკლესიისთვის მიუღებელია სანტა-კლაუსის სახით წმინდა ნიკოლოზის დამკვიდრება, მით უმეტეს, გაშარჟება, რაც სანტა-კლაუსის ქცევებსა და ქმედებებში ვლინდება ხოლმე.

რაც შეეხება თოვლის ბაბუას, ის ქართული წარმომავლობისაა. თეთრსამოსიანი წვეროსანი მოხუცი ბავშვებთან თამაშობს, თან რაღაც ამბებს უყვება, ტკბილეულსა და საჩუქრებს ურიგებს... ძველად ბაბუა, ოჯახის უხუცესი ძირითადად ზამთარში, ჭირნახულის დაბინავების შემდეგ იცლიდა ბავშვებისთვის. ის შვილიშვილებს ხან ეთამაშებოდა, ხან ბუხრის პირას დასვამდა და ზღაპრებს, სხვადასხვა ამბავს მოუთხრობდა... საჩუქრებისა და ტკბილეულის დარიგების ჩვეულებაც ძველი დროისაა — ძველად იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, რომ ხშირად, ბავშვებისთვის ტკბილეულისა და საჩუქრების შეძენას ვერ ახერხებდნენ, სადღესასწაულო დღეებში კი ყველა ცდილობდა, ბავშვებისთვის საჩუქარიც გაეკეთებინა და ტკბილეულიც ჰქონოდა... ეკლესიას არაფერი აქვს საწინააღმდეგო თოვლის ბაბუის ტრადიციის.

— **ჰოროსკოპის მიხედვით, ყველა წელიწადი რომელიმე ფრინველის ან ცხოველის წლად მიიჩნევა. რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ეს აღმოსავლური რელიგიებიდან მომდინარე ტრადიციაა, რაც ქრისტიანულ სარწმუნოებას ეწინააღმდეგება. თუკი ახალი წელი, რომელსაც ახალი სტილით პირველ იანვარს აღვნიშნავთ, საერო დღესასწაულია და მასში ქრისტიანობის საწინააღმდეგო არაფერია, ეკლესია მის აღნიშვნას არ გვიკრძალავს, მაგრამ ამ თუ იმ წლის რომელიმე ფრინველის ან ცხოველის წლად აღიარებას, სასტიკად ეწინააღმდეგება, რადგანაც ეს ღვთის საწინააღმდეგო ქმედებაა, ერთგვარი კერპთაყვანისმცემლობა და აღმოსავლური რელიგიების თანაზიარებაა. თუკი ვინმე უნებურად, თუნდაც გაუცნობიერებლად იქმოდა ამას, აუცილებლად აღსარების საიდუმლოს გზით უნდა მოინანიოს და განიწმინდოს ამ ცოდვისგან. ■

რატომ გადაშენდნენ გოლიათი ადამიანები

ლეგენდებსა და მითებში ხშირად იხსენიებენ გოლიათ ადამიანებს, ატლანტებს. ბაბილონში გათხრების დროს აღმოჩენილ თიხის ფირფიტაზე ეწერა, რომ ქურუმებს ასტრონომია სამხრეთ აზიიდან მოსულმა გოლიათებმა ასწავლეს, რომელთა სიმაღლე 4 მეტრი იყო. უწვერულვაშოებს თურმე, თმა მხრებამდე ჰქონიათ მოზრდილი. მათი სტუმრობა საკმაოდ რთული იყო, რადგან ერთ ჭამაზე 50 კაცის სამყოფს მიირთმევდნენ. XIX საუკუნეში მალაკას (ნახევარკუნძული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში) ტყეში იპოვეს გოლიათის კომბალი, რომელიც რამდენიმე ადამიანმა ძლივს დაძრა; ჩინეთში აღმოაჩინეს გულივერის იარაღები — კომბალი, დანა, ნაჯახი და თითოეული მათგანის წონა 4-დან 9 კგ-მდეა; არიზონაში ნაპოვნი ბრინჯაოს ცული კი 30 კგ-მდე იწონის.

გულივერებზე სამხრეთ აფრიკაშიც სმენიათ. გადმოცემის თანახმად, მათ ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდათ, რომ ერთმანეთს სოფლიდან სოფელში ელაპარაკებოდნენ, ხველებისას კი მცირე ცხოველებსა და ფრინველებს შორს გატყორცნიდა. ნადირობისას მოკლულ სპილოსა და ჰიპოპოტამს მხრებზე კრავივით მოიგდებდნენ და შინ მიჰქონდათ. 1936 წელს ცენტრალურ აფრიკაში არქეოლოგიური გათხრების დროს გერმანელმა ანთროპოლოგმა, ლარსონ კოლმა 12 გიგანტი ადამიანის ჩონჩხს მიაგნო. საინტერესო ისაა, რომ მათ ზედა და ქვედა ყბაზე კბილები ორ-ორ მწკრივად ჰქონდათ განლაგებული.



აღდგომის კუნძულზე ვულკანური ქანისგან გამოთლილია ადამიანისგამოსახულებიანი 50 უზარმაზარი ქანდაკება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს ქანდაკებები გულივერების მიერაა გამოთლილი და არაა გამორიცხული, რომ სხვა ნაგებობები, მათ შორის, პირამიდები მათი აგებული.

გიგანტების შესახებ უამრავი ისტორიული დოკუმენტი არსებობს. მაგალითად: 1520 წელს მაგელანის გემი პატაგონიის (სამხრეთ ამერიკის ნაწილი) ნაპირს მიადგა. ეკიპაჟს გულივერები შეეგებნენ. 1858 წელს ადმირალ ბირონის გემი პატაგონიის პორტში შევიდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ადმირალის თქმით, მამაკაცები სიმაღლეში 2,1, ხოლო ქალები 1,8 მ იყვნენ; 1577 წელს შვეიცარიის გამოქვაბულში ადამიანის ძვლებს მიაგნეს. ჩონჩხის აწყობის შემდეგ, ადგილობრივმა ექიმმა პლაშერმა განაცხადა, რომ იგი 4,6-მეტრიან ადამიანს ეკუთვნოდა. აღმოჩენა ლიუცერნის უნივერსიტეტში ინახება; 2002 წელს ტუნისში არქეოლოგიური გათხრების დროს, ქვის სარკოფაგში ორი მამაკაცისა (ჩვეულებრივი სიმაღლის) და ქალის ჩონჩხს მიაგნეს. ქალის სიმაღლე 2,3 მ იყო. არქეოლოგების აზრით, სარკოფაგში დედა და შვილები განისვენებდნენ; 1966 წელს ინდოეთის სოფელ ოკხაში (დელის მახლობლად) არქეოლოგებმა გულივერის ჩონჩხს მიაგნეს, რომლის სიმაღლეც — 4, ხოლო გულმკერდის ძვლის სიგრძე 1 მ იყო. გულივერების ჩონჩხები აღმოჩენილია ავსტრალიასა და ჩინეთში.

ერთ-ერთი შუმერული ლეგენდის თანახმად, უცხოპლანეტელები დედამიწელი ქალებით მოიხიბლნენ, მათზე დაქორწინდნენ და გიგანტი შვილებიც ეყოლათ, მაგრამ შთამომავლები ისეთი აგრესიულები გაიზარდნენ, რომ მათ გასაწყვეტად წყალდიდობა მოახდინეს. გულივერების უდიდესი ნაწილი სწორედ მაშინ დაიღუპა, ზოგიერთი კი გადარჩა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ისინიც გადაშენდნენ.

გიგანტები დღესაც იბადებიან. ამერიკელი რობერტ ვადლოუს სიმაღლე 2 მ და 72 სმ იყო, ჩინელი ბაო სიშუნი 2,36 სმ, უკრაინელი ლეონიდ სტადიკი 2,57 სმ, ხოლო თურქი სულთან კოსენი — 2,47 სმ გახლავთ. ■

დამტვრეული თითების ტრადიცია

ჩინური ტრადიციის მიხედვით, ქალს რაც უფრო პატარა ტერფი აქვს, მით უფრო ლამაზია. საქმროს მშობლები არ ინტერესდებოდნენ გასათხოვარი გოგონას მზითვით, ხასიათითა და წარმომავლობით, მხოლოდ მისი ფეხის ზომას კითხულობდნენ. მოკლედ, პატარა ტერფის მქონე ღარიბ გოგონას ყოველთვის ჰქონდა შანსი, მდიდარ მამაკაცს გაჰყოლოდა ცოლად, ჩვეულებრივი ტერფის მქონეს კი მხოლოდ მოახლედ თუ დაიყენებდნენ. ტერფის დეფორმირების ტრადიცია ჩინეთში 1950 წლამდე, 1000 წლის მანძილზე არსებობდა. 3 წლის შესრულებისთანავე, ჩინელ გოგონებს ტერფებს ქსოვილით, მჭიდროდ უხვევდნენ, რამდენიმეწლიანი წვალებისა და ტკივილის შემდეგ კი ისინი გადაადგილებას ახერხებდნენ, მაგრამ შორ მანძილზე სიარული მაინც უჭირდათ. ჩინელები ფეხსაცმელს თავად იკერავდნენ. ქალს დაახლოებით, 30 წყვილი ფეხსაცმელი უნდა ჰქონოდა და მისი შიშველი ფეხების ნახვა მხოლოდ ქმარს შეეძლო. კომუნისტების ბრძანებით, ჩინელმა ქალებმა ფეხებიდან დოლბანდები შეიხსნეს, მაგრამ ზოგიერთ პროვინციაში ტერფების დეფორმირების ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი. ■

პირველი ტელეფონი და მობილურით აკრებილი რომანი



პირველი ტელეფონი 1876 წელს, ალექსანდრ ბელმა აშშ-ში დააპატენტა. მას „მოლაპარაკე ტელეგრაფს“ ეძახდნენ. პირველი საერთაშორისო საუბარი ნიუ-იორკსა და ლონდონს შორის, ტრანსოკეანური სატელეფონო კაბელის მეშვეობით 1927 წელს შედგა. მობილური ტელეფონის გამოგონებამ ჩვეულებრივი აპარატი ყველას დაავიწყა. მობილური უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა და საოცრად პოპულარულიც გახდა.

1983 წლის 6 მარტს გაყიდვაში პირველი პორტატული ფიჭური ტელეფონი კომპანია „მოტოროლამ“ გამოუშვა. მის დამზადებაზე 100 მლნ დოლარი დაიხარჯა. პირველი ტელეფონი 794 გ იწონიდა და 3.995 დოლარი ღირდა. ფიჭური ტელეფონების შექმნის იდეა პირველად 1946 წელს გაჩნდა. სატელეფონო კომპანიამ ტელეფონისა და რადიომიმღების „შეჯვარებით“ პირველი გადასაადგილებელი ტელეფონი დაამზადა. მას ძირითადად, მძღოლები იყენებდნენ. 12 კგ-იანი აპარატი საბარგულში მონტაჟდებოდა, კაბელით მასზე მიერთებული ყურმილი — სალონში, ხოლო ანტენა — საბარგულზე. 1978 წელს ნიუ-იორკის 545 კლიენტს უკვე ჰქონდა ასეთი აპარატი, შემდეგ მობილური ტელეფონი სატარებლად უფრო მოსახერხებელი გახდა და 1990 წელს 11 მლნ ადამიანის ჰქონდა ფიჭური ტელეფონი (2007 წლის მონაცემებით, მობილურების მფლობელთა რიცხვი 2,15 მლრდ-მდე გაიზარდა).

დღეს მობილური ტელეფონით ვერავის გააკვირვებ. ცოტა ხნის წინ კანში გამართულ მილიონერების აუქციონზე შვედურმა კომპანიამ ყველაზე ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი Piece Unique გამოიტანა. ოქროთი ხელნაკეთი აპარატი ბრილიანტებითაა გაფორმებული. იგი ერთ-ერთმა ბიზნესმენმა 1,2 მლნ დოლარად შეიძინა.

დაბოლოს, სტატისტიკის მიხედვით, კორეელი თინეიჯერი წელიწადში 20 ათას sms-ს გზავნის (დღეში დაახლოებით, 60-ს); მრავალ ქვეყანაში ოპერატორები აბონენტებს მობილურებით აცნობებენ მოსალოდნელი საფრთხის (შტორმი, მიწისძვრა) შესახებ; იაპონელებმა მობილური ტელეფონით რომანების წერა დაიწყეს — 2007 წელს ათი გაყიდული რომანიდან ხუთი მობილურზე იყო აკრებილი; ესტონეთში კი არჩევნებზე ხმის მიცემა უკვე ტელეფონის მეშვეობითაც შეიძლება.

■

ქვის მფრინავი თეფშები

ჩინეთის პროვინცია ცზიანსის სოფელ ხუანგუში ქვანახშირის ახალი შახტის გათხრისას, მუშებმა უცნაური ფორმისა და ზომის ქვას მიაგნეს. შუაგულში ამობურცული ქვის დისკი ძალიან ჰგავს მფრინავ თეფშს. იგი დიამეტრით 3 მეტრია და 400 კგ-ს იწონის. გათხრებისას სულ ათ ქვის მფრინავ თეფშს მიაგნეს. სხვათა შორის, ასეთივე ქვები 1938 წელსაც აღმოაჩინეს: არქეოლოგთა ჯგუფმა ტიბეტის მახლობლად, 716 სამარხი იპოვა. ადამიანის მსგავსი არსებების გვამების სიმაღლე 115 სმ იყო და თითოეულ მუმიას ფეხებთან ქვის დისკი ედო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს მუმიები ქვებთან ერთად გაქრა. მეცნიერებმა ვერც თეფშებსა და იმ დასკვნას მიაგნეს, სადაც აღმოჩენის ადგილი იყო მითითებული. ამიტომაც, ამ ამბავს დიდი ხნის მანძილზე, მითად მიიჩნევდნენ, ახლა კი კვლევები გაგრძელდა. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ უცხოპლანეტელები ჩინეთში სწორედ ქვის მფრინავი თეფშებით მოფრინდნენ, ზოგიერთის აზრით კი დისკის ფორმის ქვებს ადამიანები საბრძოლველად იყენებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ძველმა ბერძნებმაც ხომ იცოდნენ ქვის დამუშავება და სწორედ მათ შეამჩნიეს, რომ ქვის სასროლი იარაღი დისკის ფორმის ქვას უფრო შორს ისროდა, ვიდრე სფეროს ფორმისას. ■



„დაგვიდეგოდეთ ნატვრის ახდენა...“

აი, ახალი წელიც კარს მოგვადგა... ბევრი ჩვენგანი 31 დეკემბერს ღამეს ჩვეულებრივი ცდუნების წინაშე დგება და ახალი წლის პირველსავე დღიდანვე, საკუთარ თავს სრულიად ახალ ცხოვრებას ჰპირდება. სტანდარტულ საახალწლო სურვილებში, პირველ რიგში იგულისხმება, რომ ყველაფერი ცუდი და უსიამოვნო ძველ წელს გავატანოთ და 1-ელი იანვრის ღამეს იმედითა და ნატვრით შევხვდეთ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ახალი წლის შესახვედრად მხოლოდ გოზინაყი, საცივი და შამპანური არ კმარა. ეს ყველაფერი რომ შეირგოთ, სასურველია, სადღესასწაულო განწყობილება შეიქმნათ და იგი არა მარტო საახალწლო ღამეს, არამედ რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ.

თურმე ჩვენი მხიარულება — სიცილი, ცეკვა თუ სიმღერა, არც მეტი და არც ნაკლები, ქიმიურ ნივთიერებაზე — ენდორფინზე ყოფილა დამოკიდებული. ეს ნივთიერება კი ტვინმა რომ გამოყოს, პროვოცირებაა საჭირო.

როგორ შეიქმნათ საზეიმო განწყობილება

საამისოდ, პირველ რიგში, უნდა იცოდეთ, რა ცვლილებები ხდება ადამიანის ორგანიზმში, როცა ის კარგ ხასიათზეა. ამ დროს ტვინი გამოყოფს ორგანულ ნივთიერებას. ე.წ. ენდორფინს, რომლის ზემოქმედება აისახება ადამიანის გარეგნობაზე, ქცევაზე და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, უსაყვარლესი ადამიანის დანახვა, საქმეში წარმატება, ფულის მოგება... თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ ადამიანს მაინც ეცვლება მიმიკა, საუბრის მანერა, გულის ცემის რიტმიც კი. რა ხდება? — შესაძლოა, ეს სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვანაირად ახსნას. სინამდვილეში კი ტვინმა ორგანიზმისთვის ნარკოტიკის მსგავსი ნივთიერების (ენდორფინის) მიწოდება შეწყვიტა და შესაბამისად, ამაღლებული განწყობილებაც გაქრა. როგორ უნდა მოვიქცეთ, კარგი გუნება რომ შევინარჩუნოთ? — აუცილებელია ახალი „გამაღიზიანებლის“ მოძებნა და ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რადგან ჩვენს ორგანიზმში „ნარკოტიკის“ გამოყოფას ჩვენვე ვაკონტროლებთ. ერთი სიტყვით, ჩვენს კარგ ხასიათზე ყოფნის პროვოცირება ჩვენსავე ხელშია. ეს რომ გამოგვივიდეს, პირველ რიგში, კარგად უნდა ვიცნობდეთ საკუთარ თავს. მაშ ასე, ენდორფინი გამოიყოფა, როცა: ადამიანს რაღაცის მიმართ ინტერესი აქვს; როცა სიახლის მოლოდინშია; როცა სასიამოვნო ამბის გაგებას ესწრაფვის; როცა რაღაც ახალს გეგმავს და სიტუაციის ბატონ-პატრონია; როცა მიზნისკენ მიმავალ გზაზე აქტიურობს და პიროვნული ზრდის მოთხოვნილება აქვს.

ფერები, მელოდია და მუსიკა

რომელი ფერი როგორ მოქმედებს ადამიანზე, ეს ზოგადად ცნობილია, მაგრამ შეიძლება კონკრეტულ ადამიანთან ზოგადი პრინციპები არ გამოდგეს. მაგალითისთვის, სადღესასწაულო განწყობილება ასოცირდება ღია ფერებთან, ენერგიულობა — წითელთან, თეთრი — სისუფთავესთან. თუმცა არ არის გამორიცხული, იგივე წითელი ფერი ვინმეში უარყოფით ემოციას იწვევდეს, ვინაიდან უსიამოვნო ამბავს აგონებდეს.

რაც შეეხება მუსიკას, აქაც ზუსტად იგივე რამ ხდება. არსებობს მელოდიები, რომლებიც კარგ განწყობილებას მომენტალურად უზრუნველყოფს და — პირიქით. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ დადებითი ემოცია შეიძლება ისეთმა მელოდიამაც შეგვიქმნას, რომელიც ზოგადად მხიარულებასთან არ ასოცირდება. ის სიმღერა კი, რომელიც ადამიანის ცხოვრების საუკეთესო პერიოდს უკავშირდება, მასზე ყველაზე დადებით გავლენას ახდენს. რაც შეიძლება ხშირად მოუსმინეთ თქვენს საყვარელ სიმღერებს და უპირატესობა მიანიჭეთ იმ ფერებს, რომლებიც ენდორფინის გამოყოფაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

ახალი წელი — დღესასწაულთა მეფე

ერთ-ერთი დღესასწაული, რომლის მოახლოება ნებისმიერ ადამიანს ახალისებს, ახალი წელია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალ წელს აქვს თავისი რიტუალური მხარე (ნაძვის ხის მორთვა, გოზინაყის, საცივის მომზადება, ახლობლებთან სტუმრობა და მილოცვა...), რომელთა შესრულება დადებითი განწყობილების თანხლებით ხდება.

ახალი წლის დღესასწაულს „ავტომატურ რეჟიმში“ კარგ ხასიათზე მოჰყავს ადამიანი — ანუ არავინ სვამს კითხვას: რატომ უნდა ვიყო მხიარულად, ან რატომ უნდა მოვრთო ნაძვის ხე ბრჭყვიალა სათამაშოებითო? — რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, ყველანი ამ რიტუალს ვასრულებთ. ბევრი ამბობს, ახალი წელი ბავშვობასთან მაბრუნებსო. ე.ი. რა ხდება? — ყველა ბავშვი ახალ წელს საოცრებებს ელის და ეს მოლოდინი დიდობაშიც არ ქრება. მაშ, მორთეთ ნაძვის ხე, გაშალეთ საახალწლო სუფრა და ნატვრაც ჩაუთქვით. გახსოვდეთ, საახალწლო განწყობილება გადამდებია.

დაივიწყეთ ძველი წყენა

ერთი რამ უდავოა — დღესასწაულებზე ადამიანები უფრო მიმტევებლები ხდებიან, ივიწყებენ წყენას და მზად არიან, ერთმანეთს სიკეთე უსურვონ. ერთმანეთის ლხინის გაზიარებაც ერთგვარი რიტუალია. როგორც ამბობენ, ქვეყნად უკვალოდ არაფერი იკარგება — ანუ თუ დადებითი ენერგიის გამცემი ხარ, ის აუცილებლად დაგიბრუნდება. დღესასწაულს თან ახლავს დადებითი ენერგიის გაცვლა. მოკითხვამ, დალოცვამ, საჩუქარმა უხალისოდ მყოფ ადამიანსაც კი შეიძლება ხასიათი გამოუკეთოს, დადებითი ემოცია გაუძლიეროს — ე.ი. ისიც არ დავიწყებიათ, ახსოვთ და უყვართ. ასე რომ, დაეხ-

მარეთ ერთმანეთს დადებითი ემოციის „პროვოცირებაში“, ნუ დაგენანებათ თბილი სიტყვები.

რაც შეეხება სასმელს...

სასმელიც სადღესასწაულო რიტუალის ნაწილია, თუმცა განწყობილების შეცვლა სულაც არ არის დამოკიდებული მიღებული სასმლის რაოდენობაზე. აქ სხვა რამეს — დალოცვასა და ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნების რიტუალს ექცევა ყურადღება. და, რაც ყველაზე მთავარია: სასმელი, სადღეგრძელო იძლევა მუხტს საიმისოდ, რომ თანამესუფრეს მიეხმატკბილო. სასმელი ერთმანეთის დადებითად შეფასებაშიც „გვეხმარება“, შექება კი ადამიანს ახარებს.

ქალი და მამაკაცი

სადღესასწაულო განწყობილება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზეც დადებითად მოქმედებს, ვინაიდან ყველანაირ დღესასწაულს თან ახლავს სიახლე — იქნება ეს ინტერიერის, სუფრის დიზაინი, ულტრათანამედროვე ჩაცმულობა, ახლებური ვარცხნილობა, განსაკუთრებული მაკიაჟი თუ სხვა. მაგრამ ქალმა სიახლე არა მარტო სუფრაზე, არამედ ინტიმურ უთიერთობაშიც უნდა შეიტანოს. როდესაც ბინის ინტერიერს შეცვლით, არც საწოლი ოთახი დაგავიწყდეთ: კედლებზე ჩამოკიდეთ წითელი და ოქროსფერი სათამაშოები, საწოლები ლამაზი ბალიშებით მორთეთ.

ასე რომ, იმხიარულეთ, იხალისეთ. თავად თუ არ შეუქმენით საკუთარ თავს საზეიმო განწყობილება, სხვა ძნელად თუ მოახერხებს ამას. ბოლოს და ბოლოს, თუ მხიარულების ინიციატორი არ იქნებით, ის დადებითი მუხტი მაინც მიიღეთ, რომელსაც სხვები გაჩუქებენ. ■

ინდაურის საცივი



მასალად საჭიროა: ერთი ინდაური, 600 გ ნიგოზი, 5 თავი ხახვი, 1 ჩ/კ უცხო სუნელი, 4 კბილი ნიორი, 1 ჩ/კ ზაფრანა, 1-2 ჩ/კ დარიჩინი; ძმარი, წიწაკა და მარილი — გემოვნებით.

გასუფთავებული, გარეცხილი ინდაური მოათავსეთ ქვაბში. დაასხით წყალი ისე, რომ დაიფაროს და ხარშეთ. ადუღებისას მოხადეთ ქაფი. მოხარშული ინდაური ამოიღეთ ქვაბიდან და მოაყარეთ მარილი.

ბულიონს მოხადეთ ცხიმი, მოათავსეთ პატარა ქვაბში (უმჯობესია — მინის), დაუმატეთ წმინდად დაჭრილი ხახვი და მოშუშეთ.

ნიგოზი 2-3-ჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დანაყეთ ნიორი, უცხო სუნელი, წიწაკა. ზაფრანა, დაუმატეთ ძმარი, დარიჩინი (დანაყილი) და ყველაფერი ეს აურიეთ ინდაურის ნახარშის მესამედში. ამასვე დაუმატეთ მოშუშული ხახვი, ადუღეთ 8-10 წუთი. ინდაური დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად და ჩააწყვეთ ქვაბში. ათიოდე წუთის დუღილის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან. ■

გოზინაყი

მასალად საჭიროა:

1 კგ თეთრი ნიგოზი, 800 გ თეთრი თაფლი, ნახევარი ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი.

მომზადების წესი:

მჭრელი დანით თხლად დაჭერით ნიგოზი, მოათავსეთ ჰაერღუმლის ტაფაზე და შედგით წინასწარ გახურებულ და შემდეგ ჩამქრალ გაზქურაში. გაზქურა რომ გაცივდება, გამოიღეთ ტაფა და შეგრილებულ ნიგოზს კანი სულის შებერვით მოაშორეთ, თან ფრთხილად ურიეთ ქაფქირით ან ბრტყელი დანით. თუ ნახავთ, რომ კანი ბოლომდე არ მოშორდა, იგივე გაიმეორეთ.

ბრტყელძირიან ქვაბში ან სპეციალურ საგოზინაყე ტაფაზე მოათავსეთ თაფლი, დადგით ძალიან დაბალ ცეცხლზე (ძლივს რომ ბუუტავდეს, თორემ თაფლი სწრაფად აქაფდება და გაშავდება) და გამუდმებით ურიეთ ხის კოვზით. თაფლის მოხვეწას სულ ცოტა, ერთი საათი მაინც სჭირდება. შუა პროცესში ჩაყარეთ შაქარი და კვლავ გამუდმებით ურიეთ. ცივწყლიან ჭიქაში ჩაუშვით თაფლის რამდენიმე წვეთი და მაშინვე ამოიღეთ. თუ კარამელივით ხრაშუნა იქნება, თაფლი მზადაა. შემდეგ თაფლში ნელ-ნელა ჩაყარეთ ნიგოზი, მოხერხებულად და ენერგიულად ურიეთ (2-3 წუთის განმავლობაში), სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ მომზადებულ სველ ფიცარზე, თანაბრად გააბრტყელეთ და მაშინვე დაჭერით. ■

ხაჭაპური

მასალა ცომისთვის:

5 ჩ/ჭ ფქვილი, 1 ქილა მაწონი, 1 ქილა არაჟანი და ნახევარი ჩ/კ ლიმონმჟავა (ან სოდა ძმრით), 2 ს/კ ზეთი.

ცომის მომზადება:

მაწონი და არაჟანი მოათავსეთ თასზე, ჩაყარეთ ლიმონმჟავა, დაუმატეთ სოდა, ზეთი, შეაზილეთ ფქვილი და დადგით თბილ ადგილას 2 საათით.

1 კგ უმარილო ყველი გარეცხეთ, დაუმატეთ 10 გ კარაქი და 5 კვერცხი. კარგად აურიეთ და გაყავით 5 ტოლ ნაწილად.

გაფუებული ცომი დააგუნდავეთ, გაყავით 5 ტოლ ნაწილად, გააბრტყელეთ, ჩადეთ ყველი და გამოაცხვეთ გაზქურის ღუმელში. გამოღებისთანავე გადაუსვით კარაქი და მოათავსეთ ხის ფიცარზე. ■

საახალწლო ნუგბარი „ფიფქი“

4 კვერცხი კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ 1 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი, ისევ ათქვიფეთ და დაუმატეთ ცოტა ვანილი. ეს მასა მურაბის კოვზით ამოიღეთ და ჩაყარეთ ცეცხლზე შედგმულ მდუღარე რძეში, ოღონდ ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებოდეს. 3-4 წუთის შემდეგ „ფიფქები“ ქაფქირით ამოიღეთ და ჩაღრმავებულ ფაიფურის ლანგარზე დააწყვეთ.

კრემის მომზადება:

2 კვერცხის გულისა და 3 ს/კ შაქრის ფხვნილისგან გააკეთეთ გოგლიმოგლი, დაუმატეთ 2 ს/კ ფქვილი და მიღებული მასა გახსენით 3 ჩ/ჭ რძეში, რომელშიც „ფიფქები“ მოიხარშა. წამოადუღეთ, თან განუწყვეტლივ ურიეთ. გააცივეთ, მოასხით „ფიფქებს“ და შედგით რამდენიმე საათით მაცივარში.

სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ მოასხათ მურაბის წვენი ან გააფორმოთ ფორთოხლით ან ანანასით. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ***ნინო ჩარგეიშვილი***

საახალწლო სუფრა კუჭ-ნაწლავის პრობლემების გარეშე

ტრადიციისამებრ, საქართველოში ახალ წელს მრავალფეროვანი სუფრით ეგებებიან. ბევრი საყვარელ სასუსნავზე, კერძზე, ალკოჰოლის მიღებაზე უარს მთელი კვირის მანძილზე არ ამბობს და შედეგიც არ იგვიანებს — ადამიანებს კუჭ-ნაწლავის პრობლემები ახსენებს თავს. მოკლედ, სადღესასწაულო სუფრა კარგია, მაგრამ ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ საზეიმო განწყობილება უზომო ჭამა-სმის გამო გავიფუჭოთ.

როგორ არ ვაკნოთ ორგანიზმს

ადამიანი გოზინაყს ან გოჭის ხორცს იმ რაოდენობით ვერ შეჭამს, რომ ამით კუჭ-ნაწლავის სერიოზული დარღვევები გამოიწვიოს, მაგრამ ყოველდღე ნაირ-ნაირი სუნელითა და ნიგვზით შეკაზმული კერძების, გოჭის ხორცის, ალკოჰოლური თუ გამაგრილებელი სასმელების, უამრავი ტკბილეულის და თეთრი პურის ერთდროულად მიღება ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით კი კუჭისათვის დიდი დატვირთვა და გამოცდაა. ბევრი წიწაკა, მარილი, ცხიმი ცალკე აღებულიც კი აღიზიანებს კუჭ-ნაწლავს და ერთად — მით უმეტეს... კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ძირითადად, ჯანსაღი საკვებით კვება.

ჯანსაღი საკვები

ბევრი ჯანსაღ, ნორმალურ საკვებს — დიეტურს, ხოლო მაღალკალორიული, რაფინირებული საკვების მიღებას ნორმალურ კვებას უწოდებს. დავიწყოთ იქიდან, რომ როგორც უხეში, ასევე ზედმეტად დამუშავებული საკვების მიღება არასასურველია. დღეს ხშირად გვხვდება თერმულად და მექანიკურად ზედმეტად დამუშავებული საკვები. მაგალითად: კონცენტრირებული ცხიმით, რაფინირებული ნახშირწყლებით, ემულგატორებით მდიდარი და მცენარეული ბოჭკოებით ღარიბი პროდუქტები. მათ დიდი რაოდენობით შეიცავს ე.წ. სასუსნავები (ჩიფსი, შოკოლადი და სხვა), გამაგრილებელი სასმელები. ზედმეტად დამუშავების გამო, მათი უმეტესობა გასცდება თუ არა 12-გოჯა ნაწლავს, ფაქტობრივად, უკვე მონელებულია და შეიწოვება. 12-გოჯა ნაწლავს რამდენიმე მეტრის სიგრძის წვრილი და მსხვილი ნაწლავები მოსდევს, რომლებიც ამის გამო უფუნქციოდ რჩება. ეს კი ფიზიოლოგიურ პროცესებს მნიშვნელოვნად არღვევს. გარდა ამისა, ამ ზედმეტად დამუშავებული საკვების მიღებისას ადამიანი ორგანიზმს ატყუებს, ეს კი კუჭ-ნაწლავის სისტემის ფუნქციონირებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს, რაც მრავალი დაავადების მიზეზი ხდება.

დავიცვათ ზომიერება

გადაჭარბებულმა კვებამ შეიძლება, კუჭის ლორწოვანის გაღიზიანება გამოიწვიოს. მაგალითად: ზომიერად გაზავებული სახით მიღებული წიწაკა კუჭის ლორწოვანი გარსის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, ავჯიკის თუ უმი სახით მიღებული წიწაკა კი კუჭში ჩასვლისთანავე აღიზიანებს მის ლორწოვანს. ძნელად მოსანელებელი საკვები, ლორწოვანი გარსის გაღიზიანებასთან ერთად, კუჭის სეკრეციის სტიმულაციას ახდენს და შედეგად, კუჭის წვენი დიდი რაოდენობით გამოიყოფა. იგი მართალია, ებრძვის მიკრობებს და ხელს უწყობს უხეში საკვების მონელებას, მაგრამ ამავდროულად, აღიზიანებას და აზიანებს კუჭის ლორწოვანს.

დაავადებები, რომლებსაც არასწორი კვება იწვევს

გასტრიტი

გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსის დაავადებაა. მისი გამომწვევი მიზეზებიდან, ალკოჰოლის სიჭარბისა და არაჯანსაღი კვების გარდა, აღსანიშნავია ინფექციური აგენტი, ზოგი მედიკამენტი (ასპირინი, სულფანილამიდები, ჰორმონები), სტრესი და სხვა.

ხშირ შემთხვევაში გასტრიტი გამოიხატება ტკივილითა და სიმძიმის შეგრძნებით მუცლის არეში (ჭიპის ზემოთ). ამავე დროს ადგილი აქვს დისპეფსიურ გამოვლინებებს, როგორიცაა: გულძმარვა, ბოყინი და სხვა. ეს შეგრძნებები შეიძლება, ადამიანისთვის მოსათმენი იყოს და ექიმების სასწრაფო ჩარევა არ დასჭირდეს, მაგრამ ხშირად პროგრესირებს.

ქოლეცისტიტი

ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ანთებაა. მის განვითარებას მრავალი მიზეზი აქვს. მათგან მნიშვნელოვანია ინფექცია, ნაღვლის შეგუბება და სხვა. მიკროორგანიზმები ნაღვლის ბუშტში შეიძლება, ნაღვლის სადინარებიდან, სისხლის ან ლიმფოგენური გზით მოხვდეს. ნაღვლის შეგუბების მიზეზი მრავალია, მათ შორის აღსანიშნავია ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინარების მოტორიკის დარღვევა, ორსულობა, ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი. გარდა ამისა, ქოლეცისტიტის განვითარებას ხელს უწყობს პანკრეატიტი, პარაზიტული დაავადება, ჭარბი წონა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლით მომარაგების მოშლა, მემკვიდრული წინასწარგანწყობილება, ალერგიული ფაქტორები.

მწვავე ქოლეცისტიტის დროს აღინიშნება ძლიერი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, რომელიც შეიძლება გავრცელდეს წელის, მხრისა და მარჯვენა ბეჭის მიდამოებში. ტკივილს თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, ღებინება, იშვიათად — ტემპერატურის მატებაც. ასეთი შეტევითი ხასიათის ტკივილი შეიძლება გახანგრძლივდეს, რაც ექიმის ჩარევას საჭიროებს. ზოგჯერ მისი ინტენსივობა იკლებს და ყრუ ხასიათს იღებს. შეტევის პროვოცირება შეიძლება მოახდინოს ცხიმიანმა, ცხარე, მწარე, შებოლილმა საკვებმა, ალკოჰოლმა, აგრეთვე ფიზიკურმა და ემოციურმა გადატვირთვამ.

პანკრეატიტი

პანკრეატიტი კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) დაავადებაა. მისი განვითარება შეიძლება გამოიწვიოს კუჭქვეშა ჯირკვლისა და ნაღვლის სადინარის დახშობამ, ალკოჰოლის სიჭარბემ, ინფექციებმა, კვების რეჟიმის დარღვევამ, ზოგმა მედიკამენტმა. პანკრეასი, ინსულინის გარდა, გამოიმუშავებს საჭმლის მომნელებელი ფერმენტებით მდიდარ წვენს. პანკრეატიტის დროს ფერმენტები აქტიურდება და საკუთრივ ჯირკვლის ქსოვილს აზიანებს, რასაც პანკრეასის შეშუპება და უჯრედების კვდომა მოსდევს. ამ დროს ტკივილის მიზეზიც სწორედ ფერმენტების გააქტიურებაა, ისინი კი აქტიურობას იწყებს ღეჭვის და საკვების სუნის შეგრძნების მომენტიდან.

პანკრეტიტის მთავარ ნიშანს სარტყლისებური ტკივილი წარმოადგენს, რომელიც უპირატესად გამოხატულია მუცლის ზემო

ნაწილში და გადაეცემა წელისა და ზურგის მიმართულებით. ტკივილი მეტწილად, ღამის საათებში, ცხიმით მდიდარი ან ზედმეტი ალკოჰოლის მიღების შემდეგ იჩენს თავს... გარდა ამისა, იწვევს გულისრევის შეგრძნებას, ღებინებას, შემაწუხებელ სლოკინს, ტემპერატურის მატებას. შეტევითი ტკივილის დასაწყისში ადამიანი მოუსვენარია, მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში კი იძულებული ხდება, გაუნძრევლად იწვეს, სახე უფითრდება, შუბლზე ცივი ოფლი ასხამს.

როგორ მოვიქცეთ, თუ კვების გამო ეს დაავადებები გამწვავდა

გამწვავების პერიოდში ავადმყოფმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს, რომელიც შეაფასებს მის მდგომარეობას, შეურჩევს კვების რეჟიმს და აუცილებლობის შემთხვევაში, დაუნიშნავს მედიკამენტებს. თვითმკურნალობა გამართლებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი ეფექტიანი პრეპარატი, რომელიც ავადმყოფმა შეიძლება, ექიმის რჩევის გარეშე მიიღოს და პრობლემები მოეხსნას კიდეც, იცოდეთ, ეს დროებითია, რადგან პათოლოგიური პროცესი კვლავ პროგრესირებს, მხოლოდ კლინიკურად ნაკლებად ვლინდება, რის გამოც ავადმყოფი შედარებით უკეთესად გრძნობს თავს. უნდა გვახსოვდეს, რომ გასტრიტის მომდევნო ფაზა ხშირად, წყლულოვანი დაავადებაა, რასაც მთელი რიგი სერიოზული გართულება შეიძლება მოჰყვეს (ეს სხვა დაავადებებსაც ეხება).

გთავაზობთ რამდენიმე დიეტას, რომელიც შესაძლოა, დღესასწაულის შემდეგ დღეებში, კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარებაში დაგეხმაროთ.

ძლიერი ფაღარათით მიმდინარე ნაწლავთა მწვავე და ქრონიკული დაავადებები

ნაწლავთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების გამწვავების ფაზაში, რომელიც ძლიერი ფაღარათით მიმდინარეობს, გამოჯანმრთელებამდე უნდა შეიზღუდოს ცხიმის, ნახშირწყლების, მარილის მოხმარება, მენიუდან გამოირიცხოს დუღილის გამომწვევი, ნაღვლისა და კუჭის წვენის მასტიმულირებელი პროდუქტები. კვება სასურველია ხშირად და მცირე ულუფებით. ასეთი დიეტა უფრთხილდება ნაწლავებისა და კუჭის ლორწოვან გარსს და აფერხებს ლპობის პროცესებს. იკრძალება: ფქვილის ახალი ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული, ახალი რძე, სუნელებით შეზავებული პროდუქტები, კონსერვები, გაზიანი სასმელები, სალათები, თაფლი, მურაბა. ნებადართულია: ორცხობილა და ხორბლის თეთრი პური (შეზღუდული ოდენობით), თხელი ბულიონი ბრინჯით, ბრინჯისა და წიწიბურას ნახარში, ორთქლზე მომზადებული მჭლე ხორცი, მჭლე თევზი, ახალი ხაჭო.

საინიმუშო მენიუ:

საუზმე — წყალში მოხარშული ჰერკულესის ფაფა, ახალი ხაჭო, ჩაი;

ლანჩი — გამომშრალი მოცვის ნახარში;

სადილი — ბულიონი მანანის ბურღულით, ორთქლზე მომზადებული ხორცის გუფთა, მოხარშული ბრინჯი, კისელი;

სამხარი — 1 ჩ/ჭ ასკილის ნახარში;

ვახშამი — ორთქლზე მომზადებული ომლეტი, წყალზე მომზადებული წიწიბურას ფაფა, ჩაი;

ღამით — კისელი.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება გამწვავების ფაზაში

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამწვავებისას, ასევე ქრონიკული გასტრიტის გამწვავებისას და ოპერაციის შემდგომ პერიოდში ინიშნება დიეტა, რომელიც კუჭს გაღიზიანებისგან მაქსიმალურად დაიცავს. აუცილებელია საკვების კალორიულობის შემცირება, ძირითადად — ნახშირწყლების ხარჯზე. ცილებისა და ცხიმების შემცველობა ნორმის ფარგლებში რჩება. ასეთი დიეტის დაცვა საჭიროა სრულ გამოჯანმ-

რთელებამდე. კვება სასურველია მცირე ულუფებით, დღეში 6-ჯერ. პროდუქტები იხარშება ან მზადდება ორთქლზე. კერძი უნდა იყოს ფაფის კონსისტენციისა. აკრძალულია: ხორცის, თევზისა და სოკოს ნახარში, ბოსტნეული, მწვანილი, შემწვარი ხორცი, კონსერვები, შაშხი, პური, მაკარონი, ხორბლისა და ქერის ბურღული, რძემჟავა პროდუქტები, სუნელები, ყავა, კაკაო, შოკოლადი, კანფეტი, პარკოსნები (მუხუდო, ლობიო), ალკოჰოლური სასმელები. ნებადართულია: ბურღულის (ჰერკულესის, მანანის, ბრინჯის) ლორწოვანი წვნიანი, ორთქლზე მომზადებული მჭლე ხორცის სუფლე, მოხარშული კვერცხი, ორთქლზე მომზადებული ომლეტი, რძე, ნაღები, საცერში გატარებული ხაჭო, კისელი, წყალში გაზავებული ტკბილი (და არა მჟავე) წვენი.

საინიმუშო მენიუ:

საუზმე — 2 მოხარშული კვერცხი, ნაღების კარაქი (20 გ), 1 ჩ/ჭ ანადუღარი რძე;

ლანჩი — 1 ჩ/ჭ ანადუღარი რძე;

სადილი — მცენარეულ ზეთზე მომზადებული ბრინჯის წვნიანი, ორთქლზე მომზადებული ხორცის სუფლე, კისელი;

სამხარი — 1 ჩ/ჭ ანადუღარი რძე, ორთქლზე მომზადებული ომლეტი;

ვახშამი — რძეზე მომზადებული მანანის ფაფა, 1 ჩ/ჭ ანადუღარი რძე;

ღამით — 1 ჩ/ჭ ანადუღარი რძე.

ქრონიკული პანკრეატიტი გამწვავების ფაზაში

ქრონიკული პანკრეატიტის გამწვავების ფაზაში სრულ გამოჯანმრთელებამდე ინიშნება დიეტა, რომელიც კუჭუკანა ჯირკვლის მუშაობას უწყობს ხელს. იზღუდება პროდუქტები, რომლებიც აძლიერებს კუჭის სეკრეციას, ასევე — ქოლესტერინის შემცველი საკვები. სასურველია კვება მცირე ულუფებით და ხშირად (დღეში 5-6-ჯერ). აკრძალულია: ხორცისა და თევზის ბულიონი, ერბოშერეული ცომისგან დამზადებული ნაწარმი, ახალი პურ-ფუნთუშეული, შემწვარი ხორცი, ახალი რძე, პარკოსნები, კომბოსტო, თალგამი, ბოლოკი, ხახვი, მჟავე და მეტისმეტად ტკბილი ხილი, სუნელები, კონსერვები, შაშხი, გაზიანი ცივი სასმელები, ალკოჰოლი. ნებადართულია: გამომშრალი ხორბლის პური, ბოსტნეულის წვნიანი ბურღულითა და მაკარონით, მჭლე ხორცის ფარში, კვერცხის ცილის ომლეტი, წყალში გაზავებული (1:1) რძე, რძემჟავა პროდუქტები, უცხიმო ხაჭო, სტაფილო, კარტოფილი, ჭარხალი, ყაბაყი, გოგრა, ძალიან მწიფე (არამჟავე) გაფცქვნილი ხილი, ბურღულეული, მაკარონი, ნაღების კარაქი, მცენარეული ცხიმი, ბაცი ჩაი, ჩირის კომპოტი, ასკილის ნახარში.

საინიმუშო მენიუ:

საუზმე — ორთქლზე მომზადებული ხორცის სუფლე, რძეზე მომზადებული ჰერკულესის ფაფა, ჩაი;

ლანჩი — ხაჭო, ბოსტნეულის წვენი (იმავე ოდენობის წყალში გაზავებული), ორცხობილა;

სადილი — ბურღულის წვნიანი, ორთქლზე მომზადებული ხორცის „ბლინები“, ჩაშუშული ბოსტნეული, ახალი ვაშლი;

სამხარი — ცილის ომლეტი, 1 ჩ/ჭ ასკილის ნახარში, ორცხობილა;

ვახშამი — ორთქლზე მომზადებული ხორცის კატლეტი, სტაფილოს პიურე, ხაჭოს ნამცხვარი, ჩაი;

ღამით — 1 ჩ/ჭ მაწონი.

P.S. თუ ნაქეიფარზე იგრძნობთ გულძმარვას, მაშინ ჭამის შემდეგ სასურველია, მინერალური წყლის (მაგალითად: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ნაბეღლავი“) მიღება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მინერალური წყლის არასწორ გამოყენებას ანუ მშიერზე მის მიღებას შესაძლებელია, უარყოფითი შედეგები — გულძმარვისა და ტკივილის გაძლიერებაც კი მოჰყვეს. ■

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com
ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.

ადამიანი

წერილით „გაფუჭებული“ თოვლის ბაბუა

და ორლულიანი თოფით შეიარაღებული მასპინძელი

გასულ წელს „თოვლის ბაბუა“ ზვიად დოლიძემ (რომელიც თეატრისა და კინოს მსახიობი გახლავთ) ახალი წლის დღესასწაული მთელ საქართველოს მიულოცა, თოვლის ბაბუისთვის განკუთვნილ ქოხში „იცხოვრა“, საჩუქრები დაარიგა, ბავშვებს ზღაპრები წაუკითხა... მსახიობი საკუთარ ვინაობას მტკიცედ ასაიდუმლოებდა და თუკი მის რომელიმე ახლობელს „თოვლის ბაბუის“ ნამდვილი სახელი წამოსცდებოდა, სასწრაფოდ კანფეტით აჩუმებდა!

ეთო ყორღანაშვილი

— შარშან საორგანიზაციო ჯგუფისგან, რომელიც საახალწლო ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა, შემოთავაზება მივიღე — თოვლის ბაბუის როლი შემესრულებინა. დავთანხმდი და მოულოდნელად, საოცარ გარემოში აღმოვჩნდი: დაახლოებით, 10 დღის განმავლობაში თოვლის ბაბუისთვის მოწყობილ სპეციალურ ქოხში „ვცხოვრობდი“, ბავშვებს ზღაპრებს ვუკითხავდი, საჩუქრებს ვურიგებდი... ჩვეულებრივი ქოხი იყო და ჩვეულებრივი ჩიჩილაკი იდგა, მაგრამ ჩემთან მოსული ბავშვები სხვა სამყაროში ხვდებოდნენ. მაშინ ქართულ ტრადიციებს პირველად ვუღალატე და თოვლის ბაბუად ყოფნის პერიოდში, ალკოჰოლური სასმლის 1 წვეთიც არ დამილევია!

— რატომ?

— თოვლის ბაბუას თეთრ წვერზე „ყოფითი“ სუნი თუ აუვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ოცნებაში მყოფ ბავშვს სილას გააწნავ და რწმენას დააკარგვინებ! ცოდვა გამხელილი ჯობს და, ქოხში სიგარეტის გარეშე მაინც ვერ „გავქაჩე“. არადა, იქ ბავშვი რომ შევიდოდა, სიგარეტის სუნი არ უნდა ყოფილიყო. გამოსავალი აქედანაც ვიპოვეთ და გადავწყვიტეთ, რომ მამაპაპური ჩიბუხი მომეწია, რომელშიც სურნელოვანი თუთუნი იქნებოდა. ასე რომ, ქოხში მარწყვის და ალუბლის სუნი იდგა...

— სიცივეს როგორ უძლებდით?

— ეს ნამდვილი ტრაგედია იყო! საშინელ ყინვას ვერაფერს ვუხერხებდი. ვცდილობდი, რომ ზღაპრის კითხვისას ხმა არ ამკანკალებოდა. ხელში დიდი წიგნი მეჭირა, რომელსაც ხელთათმანებით ვერ გადავფურცლავდი. ერთხელ ხელები ისე გამეყინა, რომ მიკროფონსაც ვეღარ ვასწორებდი. სხვა გამოსავალი რომ ვერ მოვნახე, 8-გვერდიანი ზღაპარი, უცებ დავასრულე — ფინალი შევცვალე. კიდევ კარგი, „ბრენდ“ ზღაპრებს არ ვკითხულობდი, რომლებიც ყველამ იცის (ბავშვებისთვის წასაკითხ ზღაპრებს სცენარისტები წინადღეს თხზავდნენ). ბავშვების აღტაცებული მზერა ჩემთვის ყოველგვარ ფულად ანაზღაურებაზე მეტს ნიშნავდა. საოცარი შეგრძნება იყო!

— ბავშვების თხოვნებს უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ ჩაუყენებიხართ?

— ძალიან ბევრი სათამაშო გვქონდა, მაგრამ ზოგჯერ მაგალითად, ისეთ ჯიპს გვთხოვდნენ, რომელში ჩაჯდომასაც შეძლებდნენ. ერთმა ახლობელმა მისაყვედურა: — ეს რა გამიკეთეო?

— რა გაუკეთეთ?

— ლეპტოპი ვაყიდვინე (*იცინის*): ყოფილა შემთხვევები, როცა ბავშვი მოდიოდა და მეუბნებოდა, — მე ლეპტოპი მინდაო! თავდაპირველად, ვიფიქრე, — ვაიმე, დედა, რა ვქნა-მეთქი? მერე ძალიან მარტივ გამოსავალს მივაგენი — პატარა აუცილებლად მშობელთან ერთად უნდა ყოფილიყო. ბავშვს ვამშვიდებდი, — ახალი წლის ღამეს ლეპტოპი აუცილებლად გექნება-მეთქი, — შემდეგ კი მშობელს მივუბრუნდებოდი და ვეუბნებოდი, — ბავშვი არ მოატყუოთ-მეთქი! ფაქტობრივად, წინასაახალწლო დღეებში მაღაზიებში 18-20 ლეპტოპი ჩემი წყალობით გაიყიდა (*იცინის*).

— რომ დაგირეკეთ, ძალიან გაიოცეთ — საიდან გაიგეთ, რომ თოვლის ბაბუა მე ვიყავიო?

— ჟურნალისტები ჩემი სახელით და გვარით რომ ინტერესდებოდნენ, არ ვუმხელდი, ვპასუხობდი, — თოვლის ბაბუა ვარ-მეთქი! ჩემი ვინაობა რომ გამემხილა, ალბათ, ახლანდელი საორგანიზაციო ჯგუფის წევრებიც იოლად მომაგნებდნენ და შეიძლება, თოვლის ბაბუა ამ ახალ წელსაც მე ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემს საქციელს

არ ვნანობ. სახელით ქოხშიც არავინ მომმართავდა. თუკი ჩემს რომელიმე ახლობელს მაინც წამოსცდებოდა, ფერიებს ვეუბნებოდი, — ამ ძიას კანფეტი მიეცით და გააჩუმეთ-მეთქი! მათაც გაჰყავდათ და შემდეგ „დაჭკვიანებული“ შემოჰყავდათ — უკვე „ბაბუთი“ მომმართავდა. არ მინდოდა, ბავშვების ზღაპრული სამყარო დანგრეულიყო. თოვლის ბაბუა სიკეთეს ნიშნავს. ძალიან დიდი მადლია, როცა შენს ქვეყანას ახალ წელს ულოცავ; ერს იმას უსურვებ, რაც გულით გინდა. თოვლის ბაბუად ყოფნის პერიოდში, პირველი ინტერვიუს მიცემისას ძალიან დავიძაბე — საუკეთესო სიტყვებით მილოცვა მინდოდა. ასეთ შემთხვევაში, ხშირად სისულელე გამოგდის ადამიანს, მაგრამ ყველაფერი გენიალური ხომ მარტივია; მეც სიკეთე, სიყვარული, სიხარული, ჯანმრთელობა, ბედნიერება და მშვიდობა ვუსურვე მთელ საქართველოს. წელსაც იმავეს ვუსურვებ!

— ბავშვები არ ინტერესდებოდნენ — ნამდვილი თოვლის ბაბუა იყავით თუ არა?

— წვერის ჩამოქაჩვის შემთხვევა ხშირად ყოფილა. სანტა-კლაუსის ფორმამ თოვლის ბაბუებს „იმიჯი“ გაგვიფუჭა: სანტას წვერი ყურებთან რეზინით აქვს დამაგრებული, ჩვენ კი სახეზე ვიწებებთ. როცა პატარები წვერზე მექაჩებოდნენ, ამოვიოხრებდი ხოლმე, — უფ-მეთქი! მართლა მტკიოდა. ბავშვებს ხელი სად წაეღოთ, აღარ იცოდნენ, — ეს რა ჩავიდინეთ, ნამდვილი თოვლის ბაბუა ყოფილაო!

— თოვლის ბუბუის „კონკურენტ“ სანტა-კლაუსზე რას მეტყვით?

— რა თქმა უნდა, ტრადიციულის დავიწყება არ შეიძლება. წინააღმდეგი ვარ, რომ თოვლის ბაბუა საერთოდ „ამოვარდეს“. პრინციპში, არა



არ მინდოდა, ბავშვების ზღაპრული სამყარო დანგრეულიყო

მგონია, საკითხი ასე დადგეს. თუ რაღაც პერიოდის განმავლობაში, სანტა-კლაუსზე მეტი მოთხოვნილება გაჩნდება, ეს ერის ტრაგედიად არ უნდა მივიჩნიოთ. გარკვეულ ეტაპს გადავლახავთ და როგორც ქართველებს გვჩვევია, საბოლოოდ მაინც ტრადიციულს დავუბრუნდებით — თოვლის ბაბუა არასოდეს გაქრება!

სანტა-კლაუსის ფორმამ თოვლის ბაბუებს „იმიჯი“ გაგვიფუჭა

— თოვლის ბაბუად ყოფნის პერიოდში, ალბათ, ბავშვები წერილებსაც გწერდნენ. ძირითადად, რა სურვილები ჰქონდათ პატარებს?

— ბევრს არამატერიალისტური სურვილი ჰქონდა: ზოგი დის გამოჯანმრთელებას ითხოვდა, ზოგს სურდა, რომ მამა ჰყოლოდა... ერთ-ერთი წერილი რომ წავიკითხე, სერიოზულად „გავფუჭდი“: ბავშვი მწერდა, — ჩემი პატარა დისთვის, რომელიც ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული, თოჯინა მინდაო. ეტყობოდა, წერილი ნამდვილად ბავშვის დაწერილი იყო. ისეთი რა თოჯინა უნდა ყოფილიყო, რომ ვერ მიმეტანა? სამწუხაროდ, წერილს მისამართი არ ეწერა — პატარის ცნობიერებაში თოვლის ბაბუამ მისი მისამართი იცოდა. გული დამწყდა, რომ წერილის ავტორის ვინაობა ვერ გავარკვიე... ძალიან კარგი ბავშვები მსტუმრობდნენ. სათამაშო რომ ვაჩუქე, ერთმა მითხრა: ასეთი უკვე მაქვსო. — მაშინ სხვა წაიღე-მეთქი, — შევთავაზე. არა — სხვას მიეციო, — მიპასუხა. მინდოდა, ის ბავშვი ტომარა კანფეტით დამესაჩუქრებინა (*იცინის*)!

— თუ ყოფილხართ თოვლის ბაბუა — გამოძახებით?

— ალბათ ცოტაა ისეთი მსახიობი, რომელსაც სტუდენტობის დროს, თოვლის ბაბუის როლი არ შეუსრულებია და გამოძახებებზე არ უვლია. მსახიობებს ისეთი ცხოვრება არ გვაქვს, რომ შეთავაზებაზე უარი ვთქვათ. წლებია, რაც ამ საქმით აღარ ვარ დაკავებული. მაშინ თოვლის ბაბუა გამოძახებით ჩვენს ქვეყანაში ახალი ხილი იყო. საქართველოში ძალიან ცუდი სიტუაცია გახლდათ. იყო შემთხვევები, როცა თოვლის ბაბუის ფორმაში გამოწყობილი ყაჩაღები სახლებში შედიოდნენ და საჩუქრების დარიგების ნაცვლად, იქიდან ყველაფერი გაჰქონდათ. ერთხელ კაცი ორლულიანი თოფით დამხვდა, — თოვლის ბაბუა — არა, მითხარი, ვინ ხარო! ხშირად მიფიქრია, — ადამიანს ისე როგორ უნდა უჭირდეს, რომ ახალი წლის ღამეს წავიდეს და იყაჩაღოს-მეთქი? ყაჩაღობამდე ღმერთმა ნურავინ მიიყვანოს, მით უმეტეს — ახალი წლის დღესასწაულზე.

— ბავშვობაში თქვენ თუ გჯეროდათ თოვლის ბაბუის არსებობის?

— რა თქმა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთი გენიოსი უნდა იყო, რომელმაც ბავშვობა გამოტოვა, მე კი გენიოსი ნამდვილად არ ვარ (*იცინის*). „თოვლის ბაბუა მოვიდა, მაგრამ შენ გეძინა“, — მეუბნებოდნენ. ჩემთან შინ მოსული არ მახსოვს, მაგრამ საახალწლო ზეიმებზე მინახავს და იმ „სტაჟიან“ თოვლის ბაბუებთან დღემდე ვმეგობრობ.

— ახალი წლის დღესასწაულს თქვენს ოჯახში როგორ ხვდებით? თოვლის ბაბუის ფორმას თუ ირგებთ?

— ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა თოვლის ბაბუის ფორმა სპეციალურად მოვიძიე და ახალი წელი მთელ სადარბაზოს მივულოცე. ჩემი უმცროსი გოგონა ჯერ პატარაა და თოვლის ბაბუას ვერ აღიქვამს. სამაგიეროდ, ყველაზე მაგარ კაცს — ჩემს დისშვილ ლუკას და ნათლულებს ვულოცავ ხოლმე. შარშანწინ, ფორმაში გამოწყობილი ნათლულებთან მივდიოდი. ვიღაც ბავშვი საახალწლო სასროლის ასაფეთქებლად გარეთ გამოვიდა, დამინახა და გაშტერდა. — ბაბუო! — დაიძახა. — რა იყო, ბაბუო? — სახლიდან ნამდვილმა ბაბუამ გამოსძახა. — შენ — არა, თოვლის ბაბუამ გაიარაო! ბავშვი მიხვდა, რომ ბაბუამისს მისი სიტყვების არ სჯეროდა. ამიტომ უკვე კიბეზე ასული, უკან ჩამოვედი. ახლა ბაბუის სახე უნდა გენახა: თოვლის ბაბუ?! მობრძანდითო (*იცინის*)!

— თოვლის ბაბუა სულ ბოლოს რას გვეტყვის?

— ხშირად მიფიქრია, ყველაზე ცუდია, როცა ახალი წლის დღესასწაულზე ჭიქის მიმჭახუნებელი არავინ გყავს. უპირველეს ყოვლისა, მინდა, იმ ადამიანებს მივულოცო, ვინც ახალ წელს მარტო ხვდება, შემდეგ კი — მთელ საქართველოს!

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხოვლ...

„პარლამენტის წინ ვირით სეირნობას სხვა მუღამი აქვს“...

უკვე დეკემბრის შუა რიცხვებიდან, გაჩახჩახებულ რუსთაველის გამზირს არც საახალწლო განწყობილება აკლდა და არც მოსეირნე ადამიანები... უცნაურია, მაგრამ პარლამენტის წინ ფაეტონში შებმული ვირიც შევნიშნეთ. დიახ, შუა რუსთაველზე ყველა მსურველს შეუძლია, ვირში შებმული ფაეტონით ისეირნოს. ალბათ მიხვდით კიდეც, რომ ქალაქელებისათვის უცხო ტრანსპორტს ძირითადად ბავშვები ახვევიან გარს, თუმცა არც ზრდასრული ადამიანები უვლიან გულგრილად გვერდს. დათო, ბელკასთან (ვირს ასე ჰქვია) ერთად, უკვე რამდენიმე წელია, ყოველ ახალ წელს ვირშებმული ფაეტონით პატარა თბილისელებს ასეირნებს.

ელენე ბასილიძე

დათო:

— გურჯაანის რაიონიდან ვარ. დიდი ხანია, რაც ჩვენს ოჯახს ვირი ჰყავს; გაჭირვება კაცს რას არ გააკეთებინებს. ჰოდა, მეც ვირის ფაეტონში შებმა გადავწყვიტე — ამ ტრანსპორტით ხალხი რომ გამესეირნებინა. მოკლედ, ბიზნესი წამოვიწყე, რა. ფაეტონიც საკუთარი ხელით ავაწყვე (*იღიმება*). უკვე ცხრა წელია, თბილისში საახალწლოდ ჩემი ვირუკელიანი ფაეტონით ჩამოვდივარ და ქალაქელ პატარებს ვამხიარულებ. ალბათ უკვე შენიშნეთ, რომ მათ ჩემი ვირი ძალიან მოსწონთ და კარგად ერთობიან კიდეც; ასე რომ, მეც კმაყოფილი ვარ — ხალხსაც ვახარებ და საარსებო წყაროც ვიშოვე. აბა, შუა ქალაქში პატარებს ვირს ვინ უჩვენებს?! ვირს რომ უყურებენ, ისე უხარიათ, გაგიჟდები. თან პატარა საქმე ხომ არ არის, პირდაპირ პარლამენტის წინ ვირით სეირნობა რომ შეუძლიათ (*იცინის*)! ბევრ გამვლელს ვირი აქამდე საერთოდ არც უნახავს და მეკითხებიან, — ეს ძროხააო?! სხვათა შორის, ამ კითხვას მხოლოდ პატარები კი არა, უფროსებიც სვამენ! თავიდან მეგონა, მასხრობდნენ.

რატომღაც ბელკა ყველას ლედალი ჰგონია, არადა — მამალია

— რა ჰქვია თქვენს ვირს?

— ბელკა, თეთრია და ეს სახელიც იმიტომ შევურჩიეთ (*იღიმება*), ზნეც კარგი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი ახვევია გარს, მოთმინებით იტანს მათ ჭიჭყინს. სულ ეფერებიან, თუ რამე აქვთ — აჭმევენ, მაგრამ ბელკას ერთი თვისება აქვს: სხვისი ხელიდან მოწოდებულ საჭმელს არ იღებს. ჯიუტობაც არ ახასიათებს, თუ მე ვუბრძანებ რამეს, მაშინვე ასრულებს. ერთი ესაა, რომ უზრდელ ბავშვებს ვერ იტანს და თუ პატარები უხეშად ექცევიან, მაშინ ბრაზდება...

— გაბრაზებას როგორ გამოხატავს?

— თავს იქნევს და მათზე საკბენად იწევს (*იცინის*)...

— ვირით გასეირნება ზრდასრულ ადამიანებს თუ მოუწადინებიათ?

— სწორედ გუშინ, 55 წლის ქალბატონმა მოიწადინა გასეირნება, ფაეტონის დაძვრისთანავე ისე შეშინდა, რომ გაჩერება აღარ დამაცადა, ჩამოსვლა უნდოდა და ჩამოვარდა. კიდევ კარგი, არაფერი დაშავებია. ეს სად დავჯექი, რა შეცდომა მომივიდაო! — ამბობდა...

— დათო, მაინცდამაინც პარლამენტის წინ რატომ გადაწყვიტე ხალხის გასეირნება?

— საღამო ხანს, როცა განათებას რთავენ, რუსთაველზე ბევრი ხალხი გამოდის და მეც ეს ადგილი ხალხმრავლობის გამო ავირჩიე. თან პარლამენტის წინ ვირით სეირნობასაც სხვა მუღამი აქვს (*იცინის*). ისე კი ხანდახან სპორტის სასახლესთანაც ვარ, მაგრამ უნდა ნახოთ, შუა ქალაქში ხალხი ვირით რომ გვხედავს, რა რეაქცია აქვს (*იღიმება*). ამას წინათ, ჩემს მეგობარს მოჰყავდა ბელკა სპორტის სასახლიდან რუსთაველისაკენ. ვირის დანახვისთანავე მანქანებმა სიგნალებით აგვიკლეს... ამ დროს, ჩემმა მეგობარმა თვალი ერთ „შხვართ“ გოგოს გააყოლა, ვირი გადაავიწყდა და ჩვენი ბელკა გაჩერებულ მანქანას არ შეასკდა (*იცინის*)? კიდევ კარგი, არაფერი დაშავებია იმ მანქანას, თორემ ისეთი ძვირფასი იყო, 2 ბელკა მისი ერთი ფარის ფასი არ გამოვიდოდა (*იცინის*).

შარშან ბელკა დაგვეკარგა კიდეც; ღამით, როცა ვირი დავაბინავეთ, მის სადგომში თურმე ვიღაც შეპარულა, აუშვია, კარგა ხანს უსეირნია და როცა სეირნობა მოჰბეზრდა, რა თქმა უნდა, დაბმა აღარც მოაგონდა და ვირი შუა ქუჩაში გაუშვა. ბელკას უვლია, მთელი თბილისი შემოუვლია და მარჯანიშვილის მეტროსთან დამდგარა... მე, რა თქმა უნდა, პატრულში განვაცხადე, ვირი დამეკარგა-მეთქი. ვირის გაუჩინარებიდან მესამე დღეს პატრულიდან დამირეკეს და მკითხეს, — ვირი იპოვეო? — არა-მეთქი! — წამოდი, ჩვენ უნდა გაპოვნინოთო... როცა გავიგე, რომ ბელკა მარჯანიშვილის მეტროსთან უნახავთ, შევიცხადე; რა იცოდა ჩემმა ვირმა, მარჯანიშვილის მეტრო კახელების „ბირჟა“ რომ იყო, ალბათ ტანმა უგრძნო და „ზემლიაკებს“ მიაკითხა-მეთქი (*იცინის*). ხშირად მოდიან და ვირის სქესს მეკითხებიან, რატომღაც ბელკა ყველას დედალი ჰგონია, არადა — მამალია (*იცინის*)!

— დათო, ახალი წლისგან რას ელი?

— რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ახალი წელი ჩემთვისაც და აი, იმ პატარებისთვისაც, რომელთაც ხშირად ვასეირნებ, ბედნიერი უნდა იყოს! იმედი მაქვს, რომ უფალი გადმოგვხედავს და საქართველოს ბედნიერ ახალ წელს გაუთენებს. ■

ჭადრაკის დედოფალთან დამარცხებით გამწარებული დირექტორისა

და მისი „გეომეტრიული სისწრაფით“ გამრავლებული მონაგარის ამბავი

„ამ რუბრიკით თქვენი ბოლო სტატია პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს მიუძღვენით და რადგან ბატონი ირაკლი მამაჩემთან მეგობრობდა, ხშირადაც სტუმრობდა ჩვენს ოჯახს ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში, სწორედ მის ნაამბობს გავიხსენებ: დიდ სამამულო ომამდე ხონსა და მათხოჯს შორის დადიოდა სამგზავრო დილიჟანსი, რომლის თავზეც, ბარგის დასაწყობ ადგილას, ჩვენ — ახალგაზრდა აბაშიძე-მელაძე და რამდენიმე მეგობარი ხშირად ვქეიფობდით, გზადაგზა კი სასმისს მედილიჟანსესაც ჩავაწვდიდით ხოლმე“, — ამ ამბით დაიწყო მამის — თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის, მათემატიკოს ვარლამ მელაძის მოგონება ჩემმა ერთ-ერთმა მასპინძელმა და, როგორც აღმოჩნდა, „გზის“ ერთგულმა მკითხველმა, თავადაც ცნობილმა მათემატიკოსმა და საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორმა ბატონმა ჰამლეტ მელაძემ...

ამჯერად მელაძეების დიდი ოჯახის არცთუ შორეულ წარსულში, ამბებითა და მოგონებებით დატვირთული ვირტუალური დილიჟანსით „ვიმოგზაურეთ“, გზადაგზა კი საახალწლოდ მომარაგებულ გემრიელ შავ ღვინოს ვაგემოვნებდით.

ირმა ხარშილაძე

ციცო მელაძე, *ვარლამ მელაძის ქალიშვილი, ფილოლოგი:*

— მამას დიდი მონაგარი ჰყავს: 5 შვილი, 12 შვილიშვილი, 14 შვილთაშვილი და პერსპექტივაში კიდევ ვაპირებთ გამრავლებას. შთამომავლების უმრავლესობა მათემატიკოსია და რატომღაც ყველანი მათემატიკოსებზე ქორწინდებიან — მოკლედ, მთელი ქვეყანა ჩვენ ვართ (*იცინის*).

ჰამლეტ მელაძე:

— მამა დიდ სამამულო ომში უკრაინის ფრონტზე იბრძოდა, ძალიან მძიმედ დაიჭრა და დაჭრილებით სავსე ეშელონიდან ტაშკენტში ჩამოსვეს. იქ კი მას ოპერაცია ბრწყინვალე რუსმა ქირურგმა გაუკეთა, რომელსაც არც ერთი ფეხი არ ჰქონდა, მამას კი ფეხი გადაურჩინა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მამა უროლოგიური პრობლემებით თბილისის საავადმყოფოში მოხვდა — მას ოპერაცია როსტოვიდან ჩამოსულმა პროფესორმა გივი იმედაშვილმა გაუკეთა, რომელიც იმ რუსი პროფესორის მოსწავლე აღმოჩნდა, — პატარაა, არა, ქვეყანა (*იცინის*)? რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ უროლოგიური პრობლემის გამო (მამა ვაკეში, მე-9 საავადმყოფოში, სადაც ომამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო, იქ მუშაობდა), დააწვინეს პალატაში, რომელიც ოდესღაც მისი კაბინეტი გახლდათ. რამდენი დამთხვევაა, ხომ ხედავთ?.. ომის შემდეგ მამა 32-ე ვაჟთა სკოლის (ახლანდელი 62-ე) დირექტორად გაუშვეს. იქ მას არაჩვეულებრივი მოსწავლეები ჰყავდა, მათ შორის — ძალიან დიდი ფიზიკოსი გოგი ჩიქოვანი, რომელიც ახალგაზრდა დაიღუპა და იმდენად დიდი მეცნიერი იყო, ერთადერთი შემთხვევა მოხდა, როდესაც ადამიანი უკვე გარდაცვლილი იყო, მანამდე დანიშნული დისერტაციის დაცვა კი მაინც ჩაატარეს და გარდაცვლილს ხარისხი მიანიჭეს. იმავე სკოლაში მამა მომავალში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ტრაგიკულად დაღუპულ ზურაბ პატარიძეს, ქალბატონი მაია მიმინოშვილის მამას — რომან მიმინოშვილს ასწავლიდა, წარმოიდგინეთ, მსახიობ ჯემალ ღაღანიძესაც კი. ჯემალი ხშირად იხსენებს, გაბრაზებული მამა როგორ ეუბნებოდა, მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალ, ყმაწვილოო. და როდესაც მექსიკაში მოხვედრილა, გასტროლზე, მამასთვის დეპეშა გამოუგზავნია: ამაზე შორს სადღა წავიდე, ვალიკო მასწავლებელოო (*იცინის*)... ზურაბი, გოგი და რომანი ხშირად სტუმრობდნენ მამას და მათი მონათხრობი ერთი ამბავი არ მავიწყდება: ერთხელ მამასთან, სკოლაში ძალოვანი ორგანოს თანამშრომლები მისულან და უთხოვიათ, სამხედროს მასწავლებელს დაუძახეო. თვითონ კარის უკან დამდგარან და ის მასწავლებელი რომ შემოსულა, მიცვენილან, ხელები გადაუგრეხიათ და პიჯაკის შიგნიდან ორი იარაღი ამოუღიათ — თურმე, საბურთალოზე მოქმედებდა მძარცველთა ბანდა, რომლის ხელმძღვანელიც ეს სამხედროს მასწავლებელი ყოფილა. უფროსკლასელთა ნაწილიც კი ჩათრეული ჰყოლია ძარცვაში. ზურაბი ამბობდა, ჩვენც გვიტარებდა აგიტაციას, მაგრამ დროულად დაიჭირეს და გადავრჩითო...

ციცო:

— ახლანდელ უცხო ენათა ინსტიტუტის შენობაში ადრე სკოლა-ინტერნატი იყო. ეს გახლდათ არაჩვეულებრივი პანსიონი ბავშვებისთვის საუკეთესო სასწავლო თუ გასართობ-დასასვენებელ-სავარჯიშო პირობებით. მე და ჩემი მეორე ძმა — რეზო ბავშვობაში იქ ვსწავლობდით, მამა კი დირექტორი იყო. პანსიონმა იმ შენობაში სამ წელიწადს იარსება, მერე კი ვიღაცის ნება-სურვილით ინსტიტუტად გადააკეთეს, სკოლა-ინტერნატი კი თბილისის ზღვაზე გადაიტანეს. მამა პროტესტის ნიშნად იმჟამინდელ განათლების მინისტრთან, თამარ ლაშქარაშვილთან შესულა და პარტიული ბილეთი მაგიდაზე დაუგდია. მერე იხსენებდა: სხვას შეეძლო დავესმინე და ცუდად დამთავრებულიყო ეს ამბავი, ქალბატონ თამარს კი იმ დღეს ჩემთვისაც არაფერი უთქვამს, მეორე დღეს დამიბარა და მითხრა: წაიღე ეს შენი ბილეთი და შენი საქმე გააგრძელეო. მამა მაინც არ წასულა თბილისის ზღვაზე და დაისაჯა კიდეც: ორი წლის განმავლობაში არსად ამუშავეს. შემდეგ ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის (მოგვიანებით კომაროვის სახელი მიენიჭა) შექმნა გადაწყვიტეს და მამასაც დაუძახეს. მამა გახლდათ ამ სკოლის დამაარსებელიცა და პირველი დირექტორიც.

— მკაცრი იყო?

ჰამლეტი:

— საერთოდ, მათემატიკოსები მკაცრები

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲛᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲤᲔᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲘᲜᲐ

ᲗᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘ:

— მახსოვს, ახალი გამოსული იყო ცკის დადგენილება რეპეტიტორობის აკრძალვის შესახებ და ვიქტორ კუპრაძის იუბილეზე განათლების მინისტრის მოადგილემ და ცნობილმა პედაგოგმა უშანგი ობოლაძემ ხმამაღლა თქვა: მე ვიქტორ კუპრაძემ მომამზადა და მამაჩემმა ათი ოქრო გადაუხადა; ამ ფულით კუპრაძე ლენინგრადში გაემგზავრა და ასპირანტურაში სწავლაც მოახერხა, მე კი მისგან მიღებული ცოდნით უმაღლეს სასწავლებელში მოვხვდიო — წამში გააუფერულა რეპეტიტორობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, არადა, ვინ რას ეტყოდა ან ვიქტორ კუპრაძეს, ან უშანგი ობოლაძეს (*იცინის*)?!. კარგად მახსოვს, აქ რომ ფიზიკა-მათემატიკური სკოლა იქმნებოდა, მე ასპირანტურაში ჩასაბარებლად მოსკოვში მივდიოდი. მსგავსი სკოლა მხოლოდ მოსკოვში იყო, ანდრეი კოლმოგოროვის შექმნილი. მამამ მთხოვა, კონსულტაციისთვის ამ უდიდეს მათემატიკოსს როგორმე შევხვედროდი და მართლაც, გამიმართლა: კოლმოგოროვმა სამი დღით თავის აგარაკზე მიმიწვია. კულმინაცია მესამე დღეს მდინარე ისტრაზე თევზაობა იყო — მე გამოუცდელი ვიყავი, მან კი 5-6 ჭიჭყინა დაიჭირა და უხა გააკეთა. ვერ ვიტან უხას, მაგრამ უარს ხომ ვერ ვკადრებდი — კოლმოგოროვის გაკეთებულს როგორ არ გავსინჯავდი? ახალგაზრდა ვიყავი და ბოლოს ისე გავუშინაურდი ამ ბუმბერაზ ადამიანს, ლამის დავიჯერე, ყოველდღე კოლმოგოროვს ვნახავდი ან მის გამზადებულ კერძებს მივირთმევდი (*იცინის*)... მამას დავალება კი პირნათლად შევასრულე და სკოლასთან დაკავშირებით კონსულტაციებიც მივიღე.

ᲪᲘᲪᲝ:

— საოცარი კაცი იყო მამა — სადაც მიდიოდა სამუშაოდ, იმ სკოლის ეზოს სამოთხედ აქცევდა ხოლმე. უფროსკლასელებს დაიხმარდა და თავისი ხელით ყველაფერს აკეთებდა — ყვავილების თუ ხეხილის საუკეთესო ჯიშები ჩამოჰქონდა და ბარავდნენ, თოხნიდნენ, სხლავდნენ...

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, *შვილიშვილი:*

— მოსწავლეები ამბობდნენ, ვალიკო

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲪ

ᲜᲘᲙᲝ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ

ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲛᲐᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲛᲝᲬᲐᲤᲐᲠᲘ, ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲓᲐ: ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲫᲕᲔᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲝᲕᲘᲞᲐᲠᲔᲗ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲡᲛᲔᲜᲘᲕᲐᲠᲗ. ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲛ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ: ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗᲝ. ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲓᲘᲗ, ᲒᲐᲒᲘᲣᲓᲐ — ᲡᲣᲚ ᲮᲣᲗᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲗᲥᲕᲐ: ᲬᲐᲓᲘᲗ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ Ი�გᲘᲕᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲝᲗᲝᲗ (*იცინის*). ᲮᲣᲗᲝᲗᲡᲐᲜ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠ ᲡᲘᲪᲔᲚᲔᲥᲔᲡ ᲐᲠᲐᲢᲘᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲘᲧᲝ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲐᲛᲐᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲬᲘᲒᲜᲐᲓ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲔᲗ. ᲜᲘᲙᲝ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲝᲠᲘᲕᲔᲡᲗᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲓᲐ. ᲛᲐᲛᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲬᲕᲔᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲡᲐᲙᲘ�თᲮᲐᲓ. „ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲨᲘ“ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲐᲓ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲖᲔᲪ ᲛᲐᲜ ᲘᲗᲐᲛᲐᲓᲐ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲝᲪᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲓᲝᲑᲐᲛ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲜᲔᲤᲔ-ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲭᲘᲥᲘᲗ ᲓᲐᲚᲘᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲭᲘᲥᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲓᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲜ ᲡᲛᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲡ ᲐᲒᲓᲔᲑᲓᲐ, ᲐᲜ ᲡᲐᲡᲛᲘᲡᲘᲡ ᲖᲝᲛᲐᲡ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲝᲓ, ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲨᲔᲖᲐᲠᲮᲝᲨᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲫᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐᲘᲚᲘᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲛ ᲘᲗᲐᲛᲐᲓᲐ, ᲝᲠᲯᲔᲠ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲠ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ (*იცინის*)... ᲔᲡ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲛᲐᲓᲐ — ᲡᲘᲛᲝᲜ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲪᲘᲪᲝ:

— „ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲨᲘ“ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡᲐᲪ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲒᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲘ ᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠ ᲔᲞᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ...

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲮᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ — ᲔᲠᲗᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲬᲧᲕᲘᲢᲝᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲔᲕᲡᲝ (*იცინის*). თუმცა რასაც მოიწევდნენ სკოლის ეზოში, ყველაფერს ბავშვებს არგებდა.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘ:

— 32-ე ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი მამას დირექტორობისას და წლების შემდეგ, კლასელები რომ შევიკრიბეთ, გაიხსენეს: ხომ ყოველთვის იგებდა, ვინ რას ვაშავებდით? — არასდროს გვიეჭვია, რომ შენ მიგქონდა მასთან ამბები, რადგან ზუსტად ვიცოდით, ვალიკო მელაძე არასდროს იკადრებდა, შვილისთვის ეკითხა, მისმა თანაკლასელმა რა დაუშავაო. და, რასაკვირველია, არც შენ იკადრებდი მამასთან ჩვენს დასმენასო.

ᲪᲘᲪᲝ:

— ერთხელ, „კომაროვში“ სწავლისას, მთელი კლასი „შატალოზე“ წავედით. მეორე დღეს ყველანი კაბინეტში დაგვიბარა. ძალიან მკაცრად გველაპარაკა და მეგობრებმა მითხრეს, — შინ რომ მიხვალ, ნახე, რას გიზამსო. თქვენ წარმოიდგინეთ, სიტყვაც აღარ უთქვამს — რაც სკოლაში გვითხრა, ალბათ, სრულიად საკმარისად მიიჩნია (*იცინის*).

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ, *ქალიშვილი, ფილოლოგი:*

— მამასთან, „კომაროვში“ ვმუშაობდი. კაბინეტებში გეომეტრიული ფიგურები საკმაოდ მაღალზე ეწყო. მახსოვს, მოსწავლეები ჰყვებოდნენ, ერთხელ ვიღაცამ ქაღალდი აისროლა და იმ ფიგურებში ჩაიჭედა. ვალიკო კლასში შემოვიდა — სიარული თავჩაღუნულმა იცოდა — იმ ადგილთან გაიარა და ზემოთ არც აუხედავს, ისე გვითხრა: ქაღალდი ვინც შეაგდო, ადგეს და ჩამოიღოსო. გაოგნებულან, როგორ გამოიცნო, მერე კი დაუსკვნიათ: ისე უპრიალებდა ფეხსაცმელი, იქიდან დაინახავდაო (*იცინის*).

ᲪᲘᲪᲝ:

— ფეხბურთი უყვარდა ძალიან და, მახსოვს, ერთხელ, სტადიონზე წასვლა რომ უნდოდა, თანამშრომლებს, რომლებსაც რაღაც საჩქარო საქმე ჰქონდათ სკოლაში გასაკეთებელი, გამოუცხადა: ახლა მე გა-

ნათლების სამინისტროში მივდივარ და იცოდეთ, არც ერთი არ დაგინახოთ იქ... სტადიონზე მოსულიო — უნებლიეთ გაყიდა თავი (*იცინის*)...

ჰამლეტი:

— თვითონაც თამაშობდა, თურმე, ფეხბურთს, მაგრამ ერთხელ თბილისის „დინამოს“ შეხვედრია მისი გუნდი და 14:0 წაუგიათ, — მითხრა, მას შემდეგ ბურთს არ გავკარებივარო (*იცინის*).

ციცო:

— წაგებას ვერ იტანდა. ჭადრაკის თამაშიც ძალიან უყვარდა, კარგადაც თამაშობდა და სტუმარი თუ გვეწვეოდა, დილამდე ეთამაშებოდა — ხან ერთი იგებდა, ხან — მეორე, მაგრამ ნებისმიერი თამაში საბოლოოდ მისი გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. განსაკუთრებულად ნათელას თანაკლასელთან — ნონა გაფრინდაშვილთან წაგებამ გაამწარა.

ნათელა:

— მაშინ ნონა უკვე საქართველოს ჩემპიონი იყო და ისიც გიჟდებოდა ფეხბურთზე — ფიზკულტურის გაკვეთილზე სულ ბიჭებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს. თუმცა ყველასთვის ცხადი იყო, რომ დიდი მოჭადრაკე გახდებოდა.

მე და ჩემი მეორე ძმა — რეზო ბავშვობაში იქ ვსწავლობდით, მამა კი დირექტორი იყო

ჰამლეტი:

— ნონასთან ძალიან ვმეგობრობდი და მახსოვს, კუშნირს რომ ეთამაშებოდა მოსკოვში, მეც იქ ვიყავი და თამაში არ გამომიტოვებია. პარალელურად, სპასკის პეტროსიანი ეთამაშებოდა. ერთხელაც პეტროსიანმა ნონას მოაკითხა და მერე ერთად გამოვედით ოთახიდან. საოცარი სანახაობა იყო: ირგვლივ უამრავი თვალებგაბრწყინებული ადამიანი შეჰყურებდა იქვე მომავალ ორ უძლიერეს მოჭადრაკეს, ორ თბილისელ (პეტროსიანიც თბილისელი იყო) მსოფლიოს ჩემპიონს, მე კი, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამაყი მოვდიოდი მათ გვერდით?!. და მაინც, მამა ვერ ინელებდა ნონასთან წაგებას (*იცინის*)...

— როგორი იყო შინ მკაცრი დირექტორი?

— შინ თითქმის არ იყო — უთენია, 6 საათზე გადიოდა და საღამოს 7-8 საათისთვის შემოდიოდა. სულ შრომობდა: შემდეგ კი ბავშვებს შინ ამზადებდა.

ნონასთან ძალიან ვმეგობრობდი

ნათელა:

— მახსოვს კიდევ, იმხანად, მინიკაბები იყო მოდური. მეც, სხვების მსგავსად, მინიკაბა მეცვა. ერთხელაც სამასწავლებლოში ყველას, ვინც კლასში შედიოდა, „დაერია“ და მოკლე კაბის ჩაცმა კატეგორიულად აუკრძალა. ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს, მაგრამ შინ რომ დაბრუნდა, დედას გამოუცხადა: იმ შენს ქალიშვილს უთხარი, კაბა დაიგრძელოსო (*იცინის*)...

ციცო:

— მამა ძალიან ხელმარჯვე იყო. მაგალითად, ეს კარადა მისი გაკეთებულია. კანდელაკის ქუჩაზეც მამას ხელით აშენებულ სახლში ვცხოვრობდით. ყველას ძალიან გვიყვარდა იქაურობა და იმ სახლთან საუკეთესო მოგონებები გვაკავშირებს. შემდეგ როცა დავოჯახდით და ჩვენს სახლებში გადავედით საცხოვრებლად, თუმცა დედ-მამას დაწესებული ტრადიციები — ახალ წელსა და აღდგომას შეკრება და თუნდაც სამახსოვრო ფოტოს გადაღება, დღემდე არ მოგვიშლია. სამწუხაროდ, ძველი ოჯახური ფოტოები, სადაც დედ-მამაც არის, დაიკარგა. შეკრებით კი, ახლაც, 1-ელ იანვარს ყოველთვის ჰამლეტის ოჯახში ვიკრიბებით და ფოტოს ყოველთვის ვიღებთ.

— ყველა თავისი პურმარილით მოდის?

ციცო:

— უწინ მამა იღებდა საკუთარ თავზე საახალწლო სუფრის მომზადებას, ახლა კი ჰამლეტმა იტვირთა ეს საქმე და ჯერ-ჯერობით მშვენივრად უძღვება... საერთოდ, მამას საახალწლო სამზადისი ძალიან უყვარდა. საყიდლების სიის ჩამოწერაც არ სჭირდებოდა. მოჰქონდა უზარმაზარი ნაძვის ხე, კენწერო რომ ჭერს სწვდებოდა ისეთი და მთელ ოთახს სადღესასწაულოდ ვრთავდით. საახალწლო პროდუქტსაც მამა ყიდულობდა. რატომღაც დედა არასდროს მიჰყავდა ბაზარში, დასახმარებლად მხოლოდ ერთ-ერთ შვილს გაგვიყოლებდა.

ხათუნა:

— იცით, როგორ ვაჭრობდა? ვთქვათ, ხორცის გამყიდველს ჰკითხავდა ფასს, ის 10 მანეთს უფასებდა, ბაბუა ეტყოდა: — 12 მანეთს მოგცემ და კარგი ხორცი ამიწონეო (*იცინის*). სამაგიეროდ, იმ ხორცისგან საუკეთესო კუპატს აკეთებდა — ეს მისი საფირმო კერძი იყო. საერთოდაც, ყველაფერს გემრიელს აკეთებდა და რაც მთავარია, კულინარობა ძალიან ეხალისებოდა. მერე კი, ყველანი რომ შევიკრიბებოდით და სტუმრებიც გვეწვეოდნენ, სუფრასთან აუცილებლად მოილხენდა — უკრავდა და მღეროდა — სხვათა შორის, მისი ხმის ტემბრს აკაკი ხორავასას ადარებდნენ. დღევანდელ ჩვენს შეკრებებს დედ-მამის ფუსფუსი, მათი ხელი ძალიან აკლია, მაგრამ რას ვიზამთ? ცხოვრება გრძელდება და ახლაც, საახალწლო-საშობაოდ საგულდაგულოდ ვემზადებით. ერთადერთი, სამახსოვრო ფოტოს გადაღება გვიჭირს — ძალიან ბევრნი ვართ (ღმერთმა გვამრავლოს) და ერთ კადრში ყველას ჩატევა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, ალბათ, ცალ-ცალკე კადრების გადაღება და მერე „შეწებება“ მოგვიწევს (*იცინის*)...

ციცო:

— საოცარია, არა? ამხელა ოჯახი გვაქვს და საზღვარგარეთ საცხოვრებლად არავინ წავსულვართ. ამ ახალ წელს საქართველოსაც ჩვენნაირი ერთობა, თითოეულ ქართულ ოჯახს კი ჩვენსავით გამრავლება მინდა, ვუსურვო. და ღმერთმა ქნას, რომ 2010 წელს მთელი ქვეყნისთვის, ჩვენი ოჯახის ჩათვლით, მშვიდობა მოეტანოს! მელაძეები ყველას გილოცავთ ახალ წელს.

■

საოცარი კაცი იყო მამა — სადაც მიდიოდა სამუშაოდ, იმ სკოლის ეზოს სამოთხედ აქცევდა ხოლმე

ახალი სახე — „2009 წლის საუკეთესო ბრალმდებელი“

ამ ახალგაზრდა გოგონასთვის 2009 წელი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ორი წელია, ზაქარია ქუცნაშვილის საადვოკატო ბიუროში თანაშემწედ მუშაობს, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მხოლოდ მესამე კურსზე სწავლობს, მაგრამ უკვე ორ მნიშვნელოვან კონკურსში გაიმარჯვა: პირველი — საერთაშორისო გამოსვლა-შეჯიბრება ბრიტანეთის საბჭომ მოაწყო და საქართველოს „ეტაპზე“ 60 სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდა შეარჩია. მან თავისი გამოსვლა 2008 წლის აგვისტოს ომს მიუძღვნა და საუკეთესო აღმოჩნდა. შესაბამისად, დასკვნით ტურში მონაწილეობისთვის, ლონდონშიც ჩავიდა და უკვე იქ სცადა, თავისი ქვეყანა ინგლისელი თანატოლებისთვის გაეცნო... მეორე გამარჯვების შესახებ უფრო დაწვრილებით, ანა ლევიძე თვითონ გვიამბობს.

ირმა ხარშილაძე

— სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ეროვნული ოლიმპიადა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და „საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაციის“ ორგანიზებით ივლისში დაიწყო. მასში სხვადასხვა სასწავლებლის იუ-

ლონდონის მერთან ერთად

რიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ვმონაწილეობდით. დაგვყვეს 12 ოთხკაციან გუნდად, რომელთაგან თითოს (4 ოთხეულს ცალ-ცალკე — სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში) იმიტირებულ პროცესებში ბრალდების, დაცვისა და მოსამართლის მისია უნდა გვეტვირთა. გოგონებისგან შემდგარ ჩვენს ჯგუფს, რომელსაც კენჭისყრით სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესებზე პროკურორობა ერგო, ერქვა LLBK (LLB ნიშნავს სამართლის ბაკალავრს, K — ჩვენს სასწავლებელში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ჩვენივე ჯგუფის სახელია). გავიარეთ ტესტირება და პირველივე პროცესი ზაფხულში ჩატარდა. სულ ორი პროცესი გვქონდა და თითოეული გუნდის მუშაობას ჟიური აფასებდა. განსახილველად მოგვცეს საქმეები განაჩენის გარეშე.

— **რა საქმეებს განიხილავდით?**

— პირველი იყო ჯგუფური ყაჩაღობა, მეორე — ზეგავლენით ვაჭრობა. მოცემული მასალების მიხედვით ხელმძღვანელის გარეშე ვმუშაობდით, განსხვავებით ნამდვილი პროცესებისგან, ჩვენი სხდომები ნახევარსაათიანი იყო და არ გადადებულა; ორივე პროცესი მოვიგეთ. ძალიან მკაცრები აღმოვჩნდით და ჯგუფური ყაჩაღობის „მონაწილეებისთვის“ 11 წლის შეფარდება მოვითხოვეთ (*იღიმის*). ძალიან დამაჯერებელი არგუმენტები მოვიყვანეთ და საბრალდებო დასკვნაც შესაბამისი დავწერეთ, ამიტომ მოსამართლეთა გუნდმა ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა და რადგან ორივე პროცესი წარმატებით ჩავატარეთ, ჩვენი გუნდი სისხლის სამართალში წლის „საუკეთესო ბრალმდებლად“ აღიარეს და რამდენიმე დღის წინ დაგვაჯილდოეს კიდეც. სიურპრიზი იყო, როდესაც ახალი ნომინაციები და მასში გამარჯვებულები დაგვასახელეს. პირველად დააწესეს წლის „საუკეთესო მოსამართლის“, „საუკეთესო დამცველისა“ და „საუკეთესო მბრალმდებლის“ ნომინაცია. როგორც საუკეთესო ორატორსა და გამომსვლელს, სისხლის სამართალში „წლის საუკეთესო ბრალმდებლის“ წოდება მომაკუთვნეს. მართალია, მხოლოდ იმიტირებულ პროცესებში ვმონაწილეობდი და ვიღაცას შეიძლება, თამაშიც ეგონოს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა გამოცდილება მივიღე თუნდაც ამ ორ საქმეზე მუშაობით, უზენაესი სასამართლოს დიდ დარბაზში გამოსვლით, საბრალდებო სიტყვის წარმოთქმით. მივხვდით, რომ ჩაცმულობასაც კი დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ და კონსერვატიული სამოსი შევირჩიეთ. ჩემს თითოეულ სიტყვას თუ ჟესტს ვაკონტროლებდი. ძალიან საინტერესო იყო.

ვერ წარმოიდგენთ, რა გამოცდილება მივიღე თუნდაც ამ ორ საქმეზე მუშაობით

— **ამ პროცესების შემდეგ რას ფიქრობ, რა ჯობია ან რა უფრო გეძნელა — იყო ბრალმდებელი, ვინმე დაიცვა თუ მოსამართლის მანტია მოისხა?**

— სამივე ძალიან საპასუხისმგებლო და რთული საქმეა, მაგრამ ვფიქრობ, გაცილებით რთული ადამიანის დაცვაა. მაგისტრატურამდე ერთი წელი დამრჩა და შემდეგ თავად მომიწევს სერიოზული გადაწყვეტილების მიღება — ამისთვის კენჭისყრას არავინ მომიწყობს (*იცინის*). არჩევანი უნდა გავაკეთო — რას შევძლებ უკეთ და სად უფრო წარმატებული ვიქნები. ვიცი, რომ სამართლიანი ადამიანი ვარ და ნებისმიერ ამპლუაში ყოველთვის სამართლიანად მოვიქცევი. და მაინც, კარგად უნდა დავფიქრდე. მანამდე კი... ახალი წელი მოდის და ჩვენს ქვეყანას — მშვიდობა და კანონის უზენაესობა, ხელისუფლებას — სამართლიანი კანონების მიღება, ქართველ ხალხს კი — სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრება მინდა, ვუსურვო. ■

წლის ადამიანები, ახალ-ახალი იდეების „მფრქვეველი“ და ქალაქის საოცარი განათება

ახალი წელი სულ მალე მოგვიკაკუნებს, ჩვენც ფართოდ გავუღებთ კარს და ისე შევეგებებით, როგორც გაგვიხარდება — ჭიქა შამპანურით ხელში, მაგიდის ქვეშ შემძვრალი, გადაჭედილ „რუსთაველზე“, მეგობრების გარემოცვაში ან სულაც, მარტოდმარტო, მხოლოდ ტელევიზორთან ერთად, რომლის ეკრანიდანაც ცნობილი ადამიანები გაგვიღიმებენ და ახალ წელს გულთბილად მოგვილოცავენ.

„დიზაინერი რომ ვიყო, ყველაფერს სხვაგვარად მოვრთავდი“

ლიკა ქაჯაია

თბილისელი თინეიჯერების უმეტესობა ამბობს, რომ ახალ წელს განათებულ-გალამაზებულ ქუჩებში შეხვდება. ჩემი რესპონდენტები ქუჩის საახალწლო განათებაზე, წლის ადამიანებსა და საკუთარ სურვილებზე ლაპარაკობენ.

მაკუნა, *18 წლის:*

— მოკლედ, წლის ადამიანად დავასახელებ გოგა ბარბაქაძეს, რომელიც დათოს როლს საოცრად კარგად ირგებს. „შუა ქალაქის“ ყველა მსახიობი მომწონს, მაგრამ დათოზე მაბოდებს... წლის ადამიანია პაატა ბურჭულაძეც, რომელიც უამრავ კეთილ საქმეს აკეთებს. ახალ წელს მას სიამოვნებით დავაჯილდოებდი ოქროს მედლით, 2009 წელს გაწეული ქველმოქმედებისთვის. ძალიან მომწონს სერიალი „ჟამი ყვავილობისა“ და იმედი მაქვს, რომ მისი გადაღება არ შეწყდება. ვგიჟდები ლევან ხურციაზე და ზაზა იაქაშვილზე. მაგარი ბიჭები არიან... წარმატებული გამოვიდა სერიალი „კლინიკაც“. წარუმატებლად მიმაჩნია შორენა ბეგაშვილის გადაცემა, სადაც ის ვითომ, სექსზე ლაპარაკობს. ღმერთო ჩემო, რა სისულელეა!.. წარმატებულია ჟურნალი „გზა“, რომელმაც უამრავ ადამიანს გაუწია დახმარება და ბევრის ტკივილი გაიზიარა!..

— კარგი, ახლა ის მითხარი, ქალაქის განათება თუ მოგწონს?

— აუ, ძალიან მაგარია და მიშაც მაგარია, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქი ასე გაგვინათა. ნეტავ, ახალ წელს ხშირ-ხშირად ვზეიმობდეთ — ასეთ შემთხვევაში, თბილისი სულ ასეთი ლამაზი და ბრჭყვიალა იქნება.

— ბევრი იწუნებს „რუსთაველზე“ ჩამოკიდებულ „ლუსტრებს“...

— მე კი, სიმართლე გითხრა, ძალიანაც მომწონს. სადღაც ცირკთან ახლოს, ასეთივე „ლუსტრები“ კიდია, ოღონდ, პატარა ზომის და ის მართლა არ მომწონს. ვფიქრობ, ქალაქის ცენტრალური ქუჩა სხვებისგან განსხვავებული და ბევრად გაჩახჩახებული უნდა იყოს... ძალიან მომწონს აღმაშენებლის პროსპექტზე ჩამოკიდებული ბურთულები, რომლებსაც შიგადაშიგ სხვა ფორმის განათება ცვლის. ეს ყველაფერი ულამაზესია.

— ამბობენ, რომ ამ განათებაში უამრავი ფული იხარჯება...

— თუ გვინდა, რომ ქალაქი ლამაზი იყოს, მის გასანათებლად უფროსებს ფულიც არ უნდა დაენანოთ. დედაჩემს ფული როცა არა აქვს, ვერსად მივდივართ და ვერაფერს ვყიდულობთ, მაგრამ როგორც კი ორ თეთრს იშოვის, მაშინვე ლამაზი რაღაცების საყიდლად გავრბივართ. აბა, რად მინდა იაფფასიანი რამერუმები რომ ვიყიდო? თუ შენაძენით უკმაყოფილო ვიქნები, ეს სიამოვნების მონიჭების ნაცვლად, გულს დამწყვეტს.

— ახალ წელს რას ისურვებ?

— ძალიან მინდა, დედამ ნორმალური სამსახური იშოვოს და ალბათ, პირველ რიგში, 12 საათზე სწორედ ამ სურვილს ჩავიფიქრებ.

— ბევრი ნატრობს, რომ ახალ წელს შეყვარებულთან, საუკეთესო მეგობართან, რომელიმე ნათესავთან ან ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად შეეგებოს...

— მე ახალ წელს ჩემთვის უძვირფასეს ადამიანთან, დედასთან ერთად ვეგებები. ძალიან მინდა, მამაც ჩვენ გვერდით იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია — იგი 3 წლის წინ დაგვემშვიდობა და მისი სული ზეცაში გაფრინდა... ძალიან მინდა, და ან ძმა მყავდეს და ახალ წელს, ნაძვის ხის ირგვლივ ერთად ვირბინოთ, მაგრამ დედას მხოლოდ მე გავუჩნდი... დარწმუნებული ვარ, თოვლის ბაბუის სახელით დედა არაჩვეულებრივ საჩუქარს მომართმევს.

— წინასწარ იცი, შენი თოვლის ბაბუა რას გაჩუქებს?

— არა, არასდროს ვიცი, რას მომიტანს, მას შეკვეთას არ ვაძლევ ხოლმე. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ იმედებს არ გამიცრუებს და ისეთ საჩუქარს მომიტანს, რაც მართლა გულით გამახარებს... ყველას ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგთენებოდეთ!

მაკუნა, *18 წლის:*

— წლის ადამიანი ჩემი აზრით, ჯაბა ქარსელაძეა. მან თამამად აღიარა, რომ ინგა გრიგოლია უყვარს, ინგა კი ყველა წელიწადში აქტუალურია. ისე, ასაკი რომ არ უშლიდეთ ხელს, კარგი წყვილი იქნებოდა. ორივე ძალიან მიყვარს, მაგრამ ისინი ერთად მაინც ვერ წარმომიდგენია. თუმცა, ამ ბოლო დროს ისეთ ამბებს ვიგებ, რომ ვერც მათი ქორწინება გამაკვირვებს. მაგალითად, სა-

თინეიჯერული პონტები

განელიძემ რომ შეირთო ლამის შვილისტოლა სიდედრის ქალიშვილი, ამან გამაცოფა, მაგრამ რას გაუგებ, ამ სიყვარულს, ჩემო ოლღა?!. ადრე კიდევ, ჩემი საყვარელი „ქუჩის ბიჭი“ „ამწაპნა“ ქალმა, რომელიც მას არ შეეფერებოდა. ისე, ხათუნა ჟორდანია ძალიან მომწონს და მასზე აღარ ვეჭვიანობ (*იცინის*)... წლის ადამიანია თიკა ფაცაციაც, რომელიც ყველგან ჩნდება. ამას წინათ, „ვის უნდა 20.000“-ში მიიწვიეს და მისმა ემოციამ მეც ცხარედ ამატირა. ის მართლაც, წარმატებული ქალბატონია. ასევე, იმედებს არ გვიცრუებს დავით გოგიჩაიშვილი, რომელიც ახალ-ახალ იდეებს „აფრქვევს“ და ჩვენს გართობაზე საუცხოოდ ზრუნავს. გაიხაროს იმან და მისმა ოჯახმა (*იცინის*).

— საახალწლოდ მორთულ-მოკაზმული თბილისი თუ მოგწონს?

— არის განათებები, რომლებიც ძალიან მომწონს, მაგრამ ზოგან ქუჩები გადატვირთულია. მაგალითად, „რუსთაველი“ და „თავისუფლება“ დიდად არ მომწონს, მაგრამ კოლმეურნეობის მოედანი და ბარათაშვილის ხიდი საოცრადაა გაფორმებული. მომწონს ვარაზის ხევის განათებაც... საოცრად კარგია თავისუფლების მოედანზე „გაშენებული“ პატარა „ტყე“, სადაც საღამოობით ბავშვები გასართობად მიჰყავთ. სხვათა შორის, ამ „ტყის“ ხშირი სტუმარი ვარ, იქაურობა ძალიან შემიყვარდა.

— ახალი წლისგან რას ელოდები?

— რას — არა, ვის...

— ანუ ვინმეს ელი?

— კი, საახალწლოდ დედაჩემი უნდა ჩამოვიდეს იტალიიდან. ძალიან ბედნიერი ვარ. შარშან მის გარეშე შევხვდით ახალ წელს და ის საოცრად გვაკლდა. დედას სულ სხვა სითბო და სიყვარული შემოაქვს ოჯახში. თან, შარშან მამას პირიც ვერ გავახსნევინეთ, არც არაფერი უჭამია და არც — გაუცინია. მხოლოდ მაშინ გაეღიმა, როცა დედამ იტალიიდან მოგვილოცა ახალი წელი.

— თოვლის ბაბუა ხურჯინით რას მოგიტანს?

— არ ვიცი, მაგრამ რაც არ უნდა მომიტანოს, ისე ვერაფერი გამახარებს, როგორც დედაჩემის ჩამოსვლა... ყველას გილოცავთ ახალ წელს, ჟურნალ „გზას“ და მის მკითხველებს კი ბევრ საინტერესო და მხიარულ თავგადასავალს ვუსურვებ!

თამთა, *20 წლის:*

— წლის ადამიანები არიან დუტა სხირტლაძე და ნანკა კალატოზიშვილი. რატომ? მათ გარეშე არსად არაფერი ხდება. იქნებ, 2010 წელს ახალი სახეებიც გამოჩნდნენ, თორემ ეს ადამიანები ძალიან მოგვაბეზრებენ თავს. ისე, რაღა დაგიმალოთ და ორივე ძალიან მიყვარს... წლის ადამიანია ნანუკა ჟორჟოლიანიც, რომელიც მაია ასათიანს ნამდვილად „უჯოკრავს“.

— ნანუკას და მაიას შოუს შორის რაიმე მსგავსებას თუ ხედავ?

— პრინციპში — არა. მაიას გადაცემაში თითქმის ყოველთვის, გლოვა და წივილ-კივილია, ნანუკასთან კი ყველაფერი შედარებით ნათელ ფერებშია გადაწყვეტილი (*იცინის*). ადრე მაიას გადაცემაც მომწონდა, მაგრამ უკვე მომბეზრდა.

— ალბათ, „ნანუკას შოუც“ მალე მოგბეზრდება...

— ჰო, ვიცი, რომ ასე მოხდება. ხომ იცი, ადამიანს ახალი რაღაც ყოველთვის აინტერესებს... წლის ადამიანად დავასახელებ სოფო ბედიასაც, რომელმაც ნიჭიერი მომღერლის სახელი დაიმკვიდრა.

— მოდი, ახლა გალამაზებულ და გაბდღვრიალებულ თბილისზეც მითხარი საკუთარი მოსაზრება.

— უფ, ყველაფერი ისეა მორთული, მე რა უნდა ვთქვა?! ქუჩაში განათებები რომ დაამონტაჟეს და მის სანახავად გავედი, პირი ღია დამრჩა და გაოცებულ-გახარებულს სიტყვებიც არ მყოფნიდა იმის გადმოსაცემად, რაც იმწუთას ვიგრძენი. ყველაფერი ძალიან მაგარია! გაიხაროს ჩვენი „თბილისის დიზაინერმა“. იმედია, საახალწლო კონცერტებიც ისეთი კარგი იქნება, როგორიც განათებაა.

— ახალ წელს რას სთხოვ?

— მინდა, რომ ჩემს ცხინვალში დამაბრუნონ, აფხაზეთიდან დევნილები კი თავიანთ ბუდეს დაუბრუნდნენ. ძალიან მინდა, პუტინი თანამდებობიდან გადადგეს, მედვედევი კი გონს მოეგოს და საქართველოს მეგობრული ხელი გამოუწოდოს. ესაა ჩემი ოცნება და იმედი მაქვს, რომ 2010-ში ყველაფერი ამისრულდება.

შარლატანი, *16 წლის:*

— წლის ადამიანი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ, დავით აქუბარდიაა, რომელიც მოდიდან არ გადადის (*იცინის*). აბა, რა ვიცი, ვინ უნდა დავასახელო?.. ალბათ, ყველაზე წარმატებულია აკაკი გოგიჩაიშვილი, რომელიც საკუთარ საქმეს, როგორც ყოველთვის, ფრიადზე აკეთებს. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მე მის გადაცემას ყოველთვის ვადევნებ თვალს... წლის ადამიანია მარინა ბერიძე და ლევან წულაძეც, რომელთა სახელები ახლა ყველას პირზე აკერია. წლის თამადაა ვახტანგ კიკაბიძე, რომელიც სადღეგრძელოს გარეშე „ჯეოსტარის“ არც ერთ კონკურსანტს არ უშვებდა სცენიდან. წლის აღმოჩენაა დათუნა მგელაძე, სოფო ბედია და ვაჟა მანია, ნოდიკო კი ისედაც ნაპოვნი გვყავდა ქართველ მსმენელებს.

— საახალწლოდ მორთული „სინათლის ქალაქი“ თუ მოგწონს?

— ისე, რა! მე რომ დიზაინერი ვიყო, ყველაფერს სხვაგვარად მოვრთავდი, მაგრამ კაცმა არ იცის, უკეთესი გამოვიდოდა თუ უარესი.

— ნაძვის ხის მორთვა თუ გეხერხება?

— დიდი ხანია, აღარ მომირთავს, მაგრამ თავის დროზე ეს საქმე მთლად კარგად ვერ გამომდიოდა...

— ნორმალურად ნაძვის ხესაც თუ ვერ აწყობდი, წესით, თბილისის გაფორმებაზე პრეტენზია არ უნდა გქონდეს...

— ჰო, მაგრამ ხომ იცი, ადამიანის თვალი ხარბია და გული — გაუმაძღარი (*იცინის*).

— ახალ წელს ვისთან ერთად უნდა შეხვდე?

— ალბათ, მე და ჩემი შეყვარებული ახალ წელს რუსთაველზე გამართულ კონცერტზე, ერთად შევხვდებით. შარშანაც ასე მოვიქეცით და საუცხოო დღეები დაგვებედა.

— ცრუმორწმუნე ხარ?

— ისე, რა. სხვათა შორის, წინ კატა თუ გადამირბენს, იქ ნაღდად არ გავივლი.

— შენი შეყვარებული სახლიდან რომ არ გამოუშვან?

— მაშინ, მეგობრებთან ერთად ვიზეიმებ ახალი წლის დადგომას, შეყვარებულს კი შინ ვეწვევი და თუ სახლში არ შემიშვებენ, მის სარკმელთან სერენადას ვიმღერებ — ოღონდ, თუ ასე მოვიქცევი, მაგარი მთვრალი ვიქნები, ალკოჰოლის გარეშე ვერ ვმღერი (*იცინის*).

— იქნებ გინდა, ვინმეს „გზის“ მეშვეობით ახალი წელი მიულოცო...

— მინდა, დამდეგი ახალი წელი მივულოცო „გზის“ ყველა მკითხველს თუ თანამშრომელს, საკუთარი ოჯახის წევრებსა და საყვარელ ადამიანს. ულევ სიხარულს გისურვებთ! ■

„აქ გარეგნობა კი არა, ვოკალური მონაცემებია მთავარი“

„ჯეოსტარი“ დასასრულს უახლოვდება და მღელვარებაც ცხადია, მატულობს. ეს ფორუმელებსაც აშკარად დაეტყოთ — ისინი თავს ველარ აკონტროლებენ და თავიანთი ფავორიტის კონკურენტს სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებენ. ამ კვირაში ფორუმზე ვაჟა მანიას ფანები (რომლებიც შედარებით ლმობიერები არიან) მომრავლდნენ, რამაც ნოდიკოს გულშემატკივრებს ეჭვი აღუძრა.

„ჩვენ არავინ გვეზიზღება, ღმერთმა დაგვიფაროს“

ჯეოსტარი 2009:

„გუშინ ვიყოჩაღეთ ნოდიკოს გულშემატკივრებმა :))“.

ანტიმანია:

„მშვენიერ ხასიათზე და განწყობილებაზე ვარ. ახლა ჯუნგლებიდან გამოქცეულის ახალ სურათებს ვაკეთებ“.

კეკე-კე:

„როგორც უნდა გაგაღიზიანოთ ვაჟა მანიას წარმატებამ და რეიტინგმა, ის ყველაზე მუსიკალური და ნიჭიერი ადამიანია ამ პროექტში. მანიასგან მოდის ემოცია და გადამდები დადებითი განწყობილება. ამ ორ ფინალისტს შორის განსხვავებაც დიდია — ნოდიკო პოპმომღერალია და მანია — ჯაზის და მოდი, მათ ერთ კონტექსტში ნუ განვიხილავთ... ანტიმანია, პირადი ანგარიშსწორების მიზნით ლაპარაკობ ასეთ საზიზღრობებს მანიაზე?“

ანტიმანია:

„პირადად არაფერი მაქვს მისი საწინააღმდეგო, მაგრამ ხალხს ნუ გვაბრმავებენ და ნუ იძახიან, რომ ვაჟა „სმს“-ლიდერია და ხალხის სიმპათიაა! ჯაზი არა, იხვი...“

კეკე-კე:

„გემოვნებაზე არ დაობენ... რა საჭიროა ამდენი სალანძღავი სიტყვა? შენ არც არავინ გაძალებს, მანია მოგეწონოს. ვინც მოგწონს, იმას უმესიჯე“.

ჯეოსტარი 2009:

„ჩვენ გვიყვარს ნოდიკო ტატიშვილი! შენი აზრით, ვაჟა მანია ჯაზს ძალიან კარგად მღერის?“

კეკე-კე:

„ძალიან კარგად რომ მღეროდეს, „ჯეოსტარში“ არ მივიდოდა. ელ ჯეროს, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება, მაგრამ მას აქვს შარმი, ნიჭი და მუსიკალურობა. პირველად „ვარსკვლავების აკადემიაში“ მოვუსმინე... ნოდიკოს კი „ნუცას სკოლიდან“ ვადევნებ თვალს. კარგად რომ არ იმღეროს, გასაკვირიც იქნება, რადგან დიდი ხანია, სცენაზე დგას. ამ ორი ფინალისტის ნამღერიდან სხვადასხვაგვარი ემოცია მოდის მსმენელამდე... ნოდიკომ იცის ალბათ, აქ რაც ხდება, ვაჟაზე რეებსაც „ბაზრობთ“ და მაგარი „გასწორებულშია“, არა?“

ანტიმანია:

„ვაჟა მარტო ჯაზს „უბერავს“ თავისთვის და რაღაცებს „ახვევს“ „დვიჟენიებში“, ნოდიკო კი უცხოურსაც მაგრად მღერის და ხალხურსაც!“

ჯეოსტარი 2009:

„ნოდიკომ ყველა ტური მოირგო, არც ერთი ჩავარდნა არ ჰქონია. ეთნოჯაზის ტურში, რომელზეც ყველა ამბობდა, ვაჟას ტურიაო, აშკარად აჯობა... ვაჟას ნამღერი ქართული სიმღერა არ მომწონებია, უცხოურებს კიდევ არა უშავდა“.

კეკე-კე:

„ამიხსენი, რას ერჩი მანიას? მხოლოდ იმიტომ გიდევს ეგეთი საზიზღარი სურათები, რომ ნოდიკოს კონკურენტია? ეს მარტო მანიას კი არა, ნოდიკოს უპატივცემულობაცაა“.

ჯეოსტარი 2009:

„გენცვალე, ვიცნობ ნოდიკოს და დამერწმუნე, ისეთი ადამიანი არ არის, რომ ვიღაცის დაცინვა მოეწონოს. მე პირადად, ვაჟას რომ დავცინოდე, ის საერთოდ გაწყვეტდა ჩემთან ურთიერთობას. ასეთი თბილი, საყვარელი, მეგობრული, გულკეთილი ადამიანი პირადად მე, ჯერ არ შემხვედრია. არ ვიცი, იცის თუ არა მან ამ ფორუმის შესახებ. ანტიმანია, მეც ძალიან გთხოვ, სურათებს ნუ გამოაქვეყნებ... აქ გარეგნობა კი არა, ვოკალური მონაცემებია მთავარი“.

კეკე-კე:

„მართალია, გარეგნული მონაცემები რა მოსატანია?! ეგრე შეიძლება, ნოდიკოს გარეგნობაც არ მოსდიოდეს ვინმეს თვალში... შენ ამბობ, რომ ნოდიკო უკვე შემდგარი ვარსკვლავია ანუ ყველაფერს უნაკლოდ ასრულებს თურმე და ვაცადოთ მაშინ მანიას, გახდეს ვარსკვლავი... ვაჟას აქვს ის, რაც ნოდიკოს არ გააჩნია. ეს არის თავისუფლების, სილაღის შეგრძნება“.

სერპიკო:

„მართალი ხარ, ნოდიკო სტანდარტული მომღერალია. პუბლიკისადმი მისი დამოკიდებულება ძალიან გაცვეთილია, ვაჟა კი თავისუფლებას ასხივებს. წარმატებებს ვუსურვებ!“

ჯეოსტარი 2009:

„არ ვამბობ, რომ ნოდიკო შემდგარი ვარსკვლავია. ის კონკურსის განმავლობაში ძალიან დაიხვეწა და სწორედ ახლა უნდა ვაღიაროთ ვარსკვლავად“.

თამთა-თამთა:

„რაც „ჯეოსტარი“ დაიწყო, მას შემდეგ თვალს ვადევნებ ამ ფორუმს. თავიდან ყველაფერი, როგორც ყველა ფორუმზე, ისე ხდებოდა ანუ ყველა თავის ფავორიტს გულშემატკივრობდა, მაგრამ როცა მხოლოდ ხუთი კონკურსანტი დარჩა, მას მერე ლანძღავენ ვაჟას, უკანასკნელი სიტყვებითაც კი. არ მესმის, ასეთი რა დაგიშავათ ვაჟამ ან როგორ ხართ ასე გაბოროტებულები? საერთოდ უსმენთ, როცა გამოდის?.. გირჩევთ, ობიექტურები იყოთ და აღიაროთ, რომ ვაჟა ფინალში ყოფნას და გამარჯვებას იმსახურებს. იგი ახალი სიტყვაა ქართულ შოუბიზნეში და მას მთელი საქართველო უჭერს მხარს!“

ჯეოსტარი 2009:

„ყველა ხედავს, ვინ არის გამარჯვების ღირსი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ 31-ში სამართლიანობა იზეიმებს!“

სერპიკო:

„როგორც ნიჭით, ასევე გარეგნობით, ვაჟას კონკურენტი ბიჭები არ ჰყავდა. თუმცა, გამარჯვება მესიჯებზეა დამოკიდებული და არ ვარ დარწმუნებული, რომ მაინცდამაინც ნიჭი გაიმარჯვებს“.

თამთა-თამთა:

„იმედი მაქვს, რომ მართლა სამართლიანობა იზეიმებს!“

კეკე-კე:

„დღეს შემოვედი აქ პირველად და გადავავლე პოსტებს თვალი... ისე აღვშფოთდი, რომ ვერ მოვითმინე და თქვენს კამათში ვებმები, თორემ დიდი ხანია, კამათის არაეფექტურობაში დარწმუნებული ვარ. მანიას სცენაზე დგომისას ისეთი „კოზირი“ უჭირავს, ტატიშვილი იმას ხელოვნურადაც ვერ შექმნის“.

თამთა-თამთა:

„მეც ახლა შემოვედი. ყველამ თავის ფავორიტს უგულშემატკივროს და არ არის საჭირო ერთმანეთის ლანძღვა. დარწმუნებული ვარ, ის, რაც აქ ხდება, ნოდიკოსაც არ მოეწონება!“

ჯეოსტარი 2009:

„მე არავის ვლანძღავ. მოგწონთ ვაჟა და მოგწონდეთ, მე ნოდიკო მომწონს და მომეწონება. ხედავთ ამაში რაიმე პრობლემას?“

თამთა-თამთა:

„წარმატებები შენს ფავორიტსაც...“

ჯეოსტარი 2009:

„დიდი მადლობა. კარგია, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ცუდი ურთიერთობა არ ჩამოგვიყალიბდა“.

მანიი:

„ჩვენ არავინ გვეზიზღება, ღმერთმა დაგვიფაროს“. ■

ნვეთი პოეზია

საახალწლოდ

თქვენი სიცოცხლე მაცოცხლებს,
ახლებო, გენაცვლენითა;
სიცოცხლე მიათჯეცდება
თქვენის სიჯეთის სმენითა.
აჯეთეთ რაც-ჯი შაიძლოთ
თავით, გულით და ხელითა,
რომ შვილთ გვიჯურთხონ საფლავი,
არ მოგვიგონონ წყევლითა.
ოფლმა, დაღვრილმა მიწაზე,
ამოაცენოს იანი,
განოყიერდეს ოფლითა
მიწა მწირი და ჯლდიანი,
გადაიაროს ნისლებმა,
დღე გამოვიდეს მზიანი
და აღაღანდეს მინდორი
ოფლით მორწყული, ცვრიანი.
ძვალი განედლდეს გამხმარი,
ფერფლი ადუღდეს გრძნობითა,
მჯდარნი ხარობენ
საფლავში
ჯარგის შვილების ყოლითა.
მივინძრ-მოვინძრეთ...
რას ვარგებთ
უქმად ტახტებზე
წოლითა!
ბედს ვხედავ, როგორც
მზის სხივსა,
გადმოშუქებულს გორითა,
ვამაყობ, მაღალს
ღმერთს ვფიცავ,
გამოსადეგის სწორითა.
ჩემს გულში სანთლად
ანთიხართ,
გზა მინათდება თქვენითა;
ჯავშანს ჩაიცვამს ოცნება,
გავალმასდები ენითა.

1891 წ.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა ოჯახთან ერთად

მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-52

...სამსახურში მისულმა ყავის დალევაც ვერ მოვასწარი, რომ სალომე მინდაძე გამომეცხადა. ვერ ვუსაყვედურებდი და ვერც რიგში ჩადგომას მოვთხოვდი. თავად მქონდა მიცემული უფლება, მაშინ მოსულიყო, როცა დავჭირდებოდი.

— დასამშვიდობებლად მოვედი! — მითხრა მოსალმებისთანავე.

— მიემგზავრები სადმე?

— ჰო, და მგონი, სამუდამოდაც. თუმცა ჩემს ქმარს ჰგონია, რომ მხოლოდ ერთი თვით მივდივარ, დასასვენებელად... შენთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ თუ სახლში დავრჩები და იმ ოჯახს შევინარჩუნებ, სადაც არც ნდობაა, არც სიყვარული და, რაც მთავარია, არც სიმართლე, მთლად მომეღება ბოლო... შვილსაც დავკარგავ. ის თუ არ იტყვის უარს ჩემნაირ უღირს დედაზე, მე შემძულდება და ეჭვი შემეპარება მის მამაკაცურ თავმოყვარეობაში: მე თუ მაპატია, ცოლი მეტს გაუბედავს... ველაპარაკე. მკაცრად ვუთხარი, რომ ყველაფერზე თვალის დახუჭვა — უღირსობაა...

— რა გიპასუხათ?

— თავი ჩაქინდრა და მითხრა: ვიცი, რომ რაც ხდება, იმაში შენზე მეტად დამნაშავე, მამაჩემიაო...

— ის არ გითქვამთ, რომ ის კაცი მამამისი არაა?

— არა, ასე, ბოლომდე ვერ გავიმეტე. თანაც, გიომაც იგივე გადაწყვეტილება მიიღო: შემოდგომაზე ინგლისში მიდის სწავლის გასაგრძელებლად და არც ის აპირებს უახლოეს მომავალში დაბრუნებას...

— თქვენც ინგლისში მიდიხართ?

— არა. ახლა არც შვილის გვერდით ცხოვრებას შევძლებ... მარტო უნდა ვიყო. არც ის გაგიკვირდეს, ერთ მშვენიერ დღეს თუ გაიგებ, რომ რომელიმე იაფფასიან ბორდელში დავასრულე ჩემი წუთისოფელი.

— ხუმრობთ?.. — არ მომეწონა, ამ ნათქვამში გამოთქმული, დანებების მზადყოფნა.

— სულაც არა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიბრძოლებ... იმედია, თუ თეთრ რაშზე ამხედრებულ უფლისწულს არა, ისეთ ჩვეულებრივ კაცს მაინც ვიპოვი, ვინც კაცი იქნება, ქალის ფასი ეცოდინება და კაცობის შენარჩუნებაზეც სხვა აზრი ექნება — ჩემი დამპალი ქმარივით ბოზობისკენ არ მიბიძგებს...

მივხვდი, აზრი არ ჰქონდა სალომეს შეჩერებას. მისი ქმარი ასეთი ცოლის ღირსი არ იყო, ხოლო მისი შვილი ასეთი დედის გვერდით შეიძლება, დაღუპულიყო...

— შემატყობინეთ ხოლმე თქვენი ამბები... მეწყინება, თუ უკეთ არ იგრძნობთ თავს. მინდა, წარმატებული იყოს თქვენი ახალი ცხოვრება...

სალომემ ჩანთა გახსნა და საბანკო ჩეკი გამომიწოდა:

— ეს შენი ჰონორარია, შეგიძლია, დღესვე გაანაღდო.

ჩეკს დავხედე. რომ ვერც წარმოვიდგენდი, ისეთი მაღალი ციფრი იყო ჩაწერილი.

— გამოდის, დაგაყაჩაღეთ! — შევიშმუშნე. — ამის ფასი არაფერი გამიკეთებია...

— ეგ ჩემი შესაფასებელია! — მითხრა ქალმა და წამოდგა. — იმედია, ისევ შევხვდებით!

— მზად ვარ, გემსახუროთ! — შევაგებე მარჯვენა და გადავეხვიე...

ბორჯომში, „პაციენტთან“

სამსახურიდან გვიან, დაღლილი დავბრუნდი. ლოგინში ჩავწექი და ის იყო, ძილმა თავი წამართვა, რომ ტელეფონმა დარეკა. ნიკა არ იყო. ისევ უცხო ნომრიდან რეკავდნენ და არც კი ვიცი, რატომ ვუპასუხე. როგორც წესი, ასეთ დროს უცხო ნომრებს არ ვპასუხობ.

— ეკა, გაგაღვიძე?! — ვიცანი ზურაბ გობეჩიას ხმა.

— თითქმის, მაგრამ თქვენ გეპატიებათ, ბატონო ზურაბ, — უცებ გამოვფხიზლდი და წამოვჯექი კიდეც საწოლში. — ხომ მშვიდობაა?!

— კი, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს და ახლავე უნდა მცოდნოდა პასუხი.

— გისმენთ!

— ერთ ჩემს ძალიან ახლობელ ადამიანს სასწრაფოდ სჭირდება ფსიქოლოგის დახმარება. ის ქალაქგარეთ ცხოვრობს და ამ შაბათ-კვირას აუცილებლად უნდა ვესტუმრო მოსანახულებლად. გამომყვები? არ მინდა, უცხო მივუყვანო...

— ხვალ რომ პარასკევია და დილიდანვე ვმუშაობ?..

— არა უშავს, საღამოს გავემგზავროთ, როცა გათავისუფლდები. დილიდან მეც საქმეები მაქვს.

ნამდვილად, არ მინდოდა სადმე წასვლა, მაგრამ არ შემეძლო ზურაბისთვის უარის თქმა:

— აბა, თქვენ უარს როგორ გეტყვით, ბატონო ზურაბ?!

— ძალიანაც კარგი... შეკარი ბარგი და რა დროსაც მეტყვი, მაშინ მოგაკითხავ.

ის იყო, ტელეფონზე საუბარი დავამთავრე, რომ ისევ გაისმა ზარი. ამჯერად ნიკა იყო:

— ჰა, მოდიხარ ჩემთან ამ შაბათ-კვირას? — მკითხა უცებ ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა.

— ვერა, და ეს მამაშენის გამო ხდება. ეს წუთია, დამირეკა და მთხოვა, ამ შაბათ-კვირას ახლობელთან გავყვე, რომელიც ქალაქგარეთ ცხოვრობს და ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება. ვერაფრით ვეტყოდი უარს.

ნიკამ ჯერ დაუსტვინა და მერე გაეცინა.

— რა გაცინებს?

— მამაჩემზე მეცინება... მაგარი ვინმეა, რას არ მოიფიქრებს ხოლმე!..

— შენ, მგონი, არც დაგწყდა გული, რომ ვერ მნახავ... — ისევ ვიეჭვიანე ვიღაცაზე თუ რაღაცაზე, მაგრამ ნიკამ თითქოს ვერ გაიგონა:

— კარგი, კარგი, დაგირეკავ... გკოცნი! — მითხრა და ტელეფონი გათიშა...

აშკარად, ნაწყენი დავრჩი: ნეტავ, ვინ ჰგონია თავი?! რომ მომკლას მისმა სიყვარულმა, მაინც არ ჩავაკითხავ ბათუმში!

...ზურაბ გობეჩიამ 5 საათზე გამომიარა. წასვლამდე მედიკოს შევუარე და ვუთხარი, რომ ორი დღით ქალაქგარეთ პაციენტთან მივდიოდი. არც ის დამიმალავს, ვისი თხოვნით მომიწია წასვლამ.

— რამეს ხომ არ გატყუებს?.. — დაეჭვდა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული ქალი.

— რას უნდა მატყუებდეს ან კი რაში სჭირდება?!

— აბა, როდის იყო, პოლიციელები ავადმყოფებისთვის ექიმებს არჩევდნენ, ისიც — ფსიქოლოგებს?! დარწმუნებული ვარ, შენს გაცნობამდე წარმოდგენა არ ექნებოდა, თუ ასეთი პროფესია არსებობს...

— ნუ მაშინებ, მედო... ვითომ ჩემი ცოცხლად დამარხვა უნდა, რომ შვილს ჩამომაშოროს?!

— არა, ამდენს ვერ გაბედავს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი...

ჩავჯექი თუ არა მანქანაში, ზურაბს ვუთხარი:

— ისიც არ ვიცი, სად მიგყავართ და რამე რომ იყოს, სად უნდა მეძებონ ახლობლებმა...

ზურაბმა გადაიხარხარა:

— თუ გგონია, მოტაცებას გიპირებ, ძალიან მდიდარი ფანტაზია გქონია...

არაფერი ვუპასუხე და ისევ თავად გააგრძელა:

— ბორჯომში მივდივართ. იქ სახლი მაქვს. სხვათა შორის, საკმაოდ კომფორტული. ამაღამ იქ დავრჩებით, გველოდებიან. დიასახლისი მყავს დაქირავებული. ის და მისი ქმარი გემრიელ ვახშამსაც დაგვახვედრებენ.

— პაციენტს როდის ვნახავთ? ქალია თუ კაცი?..

— შეიძლება, დღესვე ან ხვალ დილით. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ პაციენტი ახალგაზრდა ვაჟია და სასიყვარულო პრობლემებით გამოწვეული, საკმაოდ სერიოზული დეპრესია აქვს...

გობეჩიების აგარაკი ნამდვილი სასახლე აღმოჩნდა. კი ვიცოდი, რომ ზურაბს ფული თავზე საყრელი ჰქონდა, მაგრამ ასეთი სიმდიდრის წარმოდგენა ჩვენს ღატაკ საქართველოში მაინც ძნელია.

ეზოში რომ შევედით, მანქანასთან ორი დიდი ნაგაზი მოვარდა. შიშით გული გადამიტრიალდა.

— ნუ გეშინია! — დამამშვიდა ზურაბმა. მერე კარი გააღო და ძაღლებს დაელაპარაკა, რომლებიც მისი ხმის გაგონებისას უცებ დამშვიდდნენ.

მაინც კაცის ზურგს ამოფარებული მივედი სახლამდე და ღია კარში ლამის შევვარდი.

ორმოცდაათიოდე წლის ქალბატონი შემოგვეგება. ზურაბმა ხელი ჩამოართვა:

— როგორაა, თინიკო, საქმე?

— ყველაფერი კარგადაა, ბატონო ზურაბ, მშვიდობაა.

— შენი ქმარი სადაა?

— შეშის მოსატანად წავიდა. ბუხარი ხომ უნდა დავანთოთ. ვახშამიც მზადაა, რამდენ ხანში მოგართვათ? — ამას რომ ამბობდა, ქალმა ისეთი თვალით ამხედ-დამხედა, თავი უხერხულად ვიგრძენი.

— დაახლოებით ერთ საათში გააწყვე, სწორედ ბუხრის ოთახში. ამაზე გვიან ვახშმობა არ ივარგებს. მანამდე კი ეკას საძინებელს მიხედე.

— იქაც უკვე ყველაფერი მზადაა და თუ ინებებს, მივაცილებ.

— არა, მე თავად. შეგიძლია, შენს საქმეს მიხედო.

ქალი გავიდა თუ არა, ვერ მოვითმინე და ზურაბს შევჩივლე:

— ისე მიცქერდა, მგონი, იაფფასიანი მეძავი ვგონივარ...

კაცს გაეცინა:

— ნუ დარდობ — თინამ მშვენივრად იცის, რომ ასეთი ქალების მომსახურებით არასოდეს ვსარგებლობ და ისიც, რომ აქ მეგობარი ქალი მყავს, რომელიც 23 წლის ასაკში დაქვრივდა და მე რომ არ შემხვედროდა, თავის 2 წლის შვილთან ერთად, შიმშილით მოკვდებოდა... არ იფიქრო — რაკი მატერიალურ დახმარებას ვუწევდი, რაიმე დავაძალე. ჩვენ მართლა გვიყვარს ერთმანეთი და ცოლზე ნაკლებ პატივს როდი ვცემ... 15 წელზე მეტია, ერთად ვართ. სხვათა შორის, თუ გათხოვებას ისურვებდა, არ დავუშლიდი, რადგან მეუღლესა და ოჯახზე წინ არასოდეს დავაყენებ. იცის — აქვს უფლება, ისე იცხოვროს, როგორც თვითონ უნდა, მაგრამ არ გათხოვდა: შენ შემდეგ, სხვა კაცთან ცხოვრებას ვერ შევძლებო!.. მისი გოგონა ახლა ამერიკულ კოლეჯში სწავლობს. ასე რომ, სულ მარტოა. ჰოდა, თუ არ გეწყინება, ახლა სწორედ მის სანახავად წავალ, სანამ შენ წყალს გადაივლებ და ცოტას დაისვენებ. მერე კი ვივახშმოთ.

— ნიკამ იცის მისი არსებობის შესახებ?

— რა თქმა უნდა, იცის. ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე ამართლებს ჩემს საქციელს — მაინც დედის შეურაცხყოფად მიაჩნია, — მაგრამ... ვერც მამტყუნებს: გულს რომ ვერ უბრძანებ, ეს უკვე საკუთარ ტყავზე იწვნია...

ზურაბმა საძინებლამდე მიმაცილა და დროებით დამემშვიდობა...

მარტო დავრჩი თუ არა, სააბაზანოში შხაპის ქვეშ დავდექი და წყლის ჭავლს სიამოვნებით მივუშვირე სახე. ზურაბის „აღსარებაზე“ ვფიქრობდი და იმაზე, რომ უცნაური სამართალი გვაქვს ქართველებს — ქალისთვის დამამცირებელ-შეურაცხმყოფელი. წარმომიდგენია, რას იტყოდა და როგორ მოიქცეოდა, მის ცოლს რომ მოენდომებინა ოჯახის შენარჩუნებაც — თქვენ არაფერი მოგაკლდებათო, — და სხვა კაცთან ურთიერთობაც — მისი სიყვარული ჩემთვის დიდი სტიმულიაო...

ტანზე პირსახოცი შემოვიხვიე და ისე გამოვედი საძინებელში. ისეთ განწყობილებაზე ვიყავი, სიამოვნებით დავიძინებდი ყოველგვარი ვახშმის გარეშე, ხანგრძლივი და დამღლელი დღის შემდეგ, მაგრამ ზურაბის მომერიდა და ამიტომ, ჩანთა გავხსენი, რომ შედარებით მსუბუქი სარაფანი ამომეღო...

პირსახოცი მოვიხსენი და სწორედ ამ დროს გავიგონე, როგორ გაიღო ჩემ უკან კარი. დარწმუნებული ვიყავი, ზურაბი მობრუნდა და კაბა ავიფარე, თან ვიყვირე:

— ერთი წუთით!.. — მაგრამ გაოგნებულს სიტყვა გამიწყდა: ჩემ წინ წელს ზემოთ შიშველი ნიკა იდგა.

— კაბა დააგდე! — მიღიმოდა მაცდუნებლად.

— შენ აქ საიდან?! — ამოვილუღლუღე დაბნეულმა, მაგრამ ბიჭმა არ მიპასუხა. მოვიდა და გულში ჩამიკრა. ცხვირი ჩემს ნახევრად სველ თმაში ჩარგო და ღრმად შეისუნთქა. მერე ხელში ამიტაცა და ფრთხილად დამაწვინა საწოლზე.

წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო, თუმცა მაინც ვცადე გაფრთხილება:

— სადაცაა, მამაშენი დაბრუნდება...

— მოეშვი, არავინაც არ მოვა...

ნიკას ხელების სითბო ჰიპნოზივით მოქმედებდა ჩემზე და თითქოს საკუთარ თავს ვკარგავდი. მე — მე კი არ ვიყავი, არამედ კაცის სხეულის ნაწილი... ის მდინარეს ჰგავდა, მე კი იმ ზღვას, რომელიც მის შთანთქმას ცდილობს და ვერა და ვერ ძღება...

— მაგიჟებ! — დავიკვნესე და, უფრო ხმამაღლა რომ არ მეკივლა, ბეჭზე ვუკბინე. ალბათ ზედმეტი მომივიდა, რადგან ახლა ნიკამ დაიყვირა, მაგრამ თავის დანებება არც უფიქრია...

— შენ ჩემი სიგიჟე თქვი!.. — ჩამჩურჩულა ყურში, როცა ცოტა დაწყნარდა და მეც ნელ-ნელა აზრზე მოსვლა დავიწყე:

— აქ საიდან გაჩნდი?! — ბოლოს და ბოლოს, დამიბრუნდა მეტყველების უნარი.

— მამაჩემმა ჩემთვის მოაწყო ეს ყველაფერი. იცოდა, რომ ძალიან მინდოდა შენი ნახვა და რადგან თბილისში ვერ ვჩნდები, შენ კი ბათუმში ჩამოსვლა აღარ მაღირსე, ასეთი რამ მოიფიქრა. ამიტომ გითხარი, მაგარი მამა მყავს-მეთქი!..

— ავდგეთ, ახლა ალბათ სასტუმრო ოთახში გველოდება! — ვიუხერხულე.

— არავინაც არ გველოდება. მამაჩემი ამაღამ თავის საყვარელ ქალთან რჩება.

— ამას ასე იოლად ეუგუები?!.

— აბა, რა ვქნა? მე შენთან გავიხა-

რო და იმას სიყვარული ავუკრძალო?..

ისევ სააბაზანოს მივაშურე.

— ჩემს საძინებელში გავალ! — მითხრა ნიკამ და შარვალი ამოიცვა.

ერთმანეთს სასტუმრო ოთახში შევხვდით, ოღონდ ნიკას დავასწარი და იქ მხოლოდ თინა დამხვდა. ბუხარი უკვე გიზგიზებდა და საოცარ განწყობილებას ქმნიდა. ქალი სუფრასთან ტრიალებდა. შემრცხვა მისი და უკან გაბრუნება გადავწყვიტე, რაც არ გამოჰპარვია:

— მობრძანდი, შვილო, ნუ გერიდება... ძალიან უხდებით შენ და ნიკა ერთმანეთს. მიხარია, ასეთ ბედნიერს რომ ვხედავ. ჩემს ხელში გაზრდილია — ისიც, მისი შვილიც...

— ალბათ მის ცოლსაც იცნობდით.

— რა თქმა უნდა და არც ის იყო ცუდი გოგო, მაგრამ ერთმანეთს ვერ გაუგეს, ცალ-ცალკე ცხოვრება ამჯობინეს და ახლა ვხვდები, რომ სწორადაც მოიქცნენ. ნიკა მის გვერდით ასეთი ბედნიერი არასოდეს მინახავს.

— გმადლობთ!

— გაიხარე!.. მე ახლა წავალ და თუ რამე დაგჭირდებათ, ნიკამ იცის ჩვენი ტელეფონის ნომერი...

ბუხრის წინ მდგარ სავარძელში ჩავჯექი. ნიკაც მალე გამოვიდა. ხალიჩაზე, ჩემს ფეხებთან მოკალათდა, თავი კალთაში ჩამიდო და მოფერება დამიწყო.

— შემეშვი, თორემ ისევ ჩაგადნები ხელში...

თავი ასწია და გაღიმებულმა შემომხედა:

— შენთან ისე კარგად ვგრძნობ თავს, თანახმა ვიქნებოდი, სოფლური ცხოვრებით მეცხოვრა, ბედნიერი გლეხი კაცივით — გარეთ რომ მოსავლით ორსული მიწა ელოდება, დღისით, ღამით კი შინ დაბრუნებულს, მის შვილზე ორსული საყვარელი ქალი...

— არ მითხრა ახლა, რომ ჩემგან შვილი გინდა!.. — ვითომ ხუმრობით ვუთხარი, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ მის პასუხს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის...

— რატომაც არა?! თუმცა ჯერ ალბათ ჯობს, ასეთი რამ არ მოხდეს: საბოლოოდ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ერთ ოჯახად ცხოვრება გვინდა და, რაც მთავარია, შეგვიძლია... ისიც მეყოფა, რომ ჩემი ერთი შვილი უდედმამოდ იზრდება. მე ნიკას მეძახის და მამა ზურაბი ჰგონია.

— თუ შვილს გავაჩენ, არასოდეს მივატოვებ და არც უმამობას ვაგრძნობინებ! — ვთქვი ის, რაზეც ხშირად მიფიქრია, რადგან ოჯახის შექმნა და კაცის გვერდით ცხოვრება არასოდეს მნდომებია, შვილი კი... შვილს, ადრე თუ გვიან, მარტო მყოფიც რომ გავაჩენ, ამაში დარწმუნებული ვარ...

— რაზე ფიქრობ? — მკითხა ნიკამ და არ დამიმალავს:

— იმაზე, რომ თავის დაცვაზე უნდა ვიზრუნო. თუ დავფეხმძიმდი, ბავშვს აუცილებლად გავაჩენ და ამის შესახებ აზრს არც გკითხავ. მაპატიე, მაგრამ მინდა, ეს იცოდე...

— ეგღა მაკლია, საყვარელ ქალთან პრეზერვატივით ვიარო!.. ეგ მაშინ, როცა ბოზებში მივდივარ...

— საძაგელო, ჩემთან როგორ ამბობ, რომ მეძავთანაც იმავეს აკეთებ, რასაც ჩემთან! — და გულმკერდზე მუშტები დავუშინე. მაჯები გამიკავა და თვალებში ჯიქურ ჩამაცქერდა:

— ბოზები შენამდე იყვნენ და თუ ჩემს მიტოვებას გადაწყვეტ, შენ შემდეგაც იქნებიან. ის კი უკვე იცი, რომ სანამ ერთად ვართ, ჩემთვის სხვა ქალი არ იარსებებს... ახლა კი ავდგეთ და ვივახშმოთ, სანამ ყველაფერი არ გაცივებულა. დილას ყავა რომ დავლიე ბათუმში, მას შემდეგ ჭამა არც გამხსენებია, ისე ვიყავი აფორიაქებული შენთან შეხვედრის მოლოდინით. ახლა კი მგელივით მშია...

მართლა გემრიელად ვივახშმეთ. თინა შესანიშნავი მზარეული აღმოჩნდა.

— მხოლოდ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, კარგი? — ნიკამ ჭიქებში შავი ღვინო ჩამოასხა.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— იმ ანგელოზებს გაუმარჯოთ, ჩვენი შეხვედრის ორგანიზება რომ მოახდინეს და ახლაც თავს დაგვტრიალებენ გახარებულები!

— რა იცი, რომ უხარიათ და კმაყოფილები არიან ნამოქმედარით?..

— ვიცი, სიხარულო... იმათ რომ არ უხაროდეთ, ჩვენ ასეთი ბედნიერები ვერ ვიქნებოდით...

ნიკამ ღვინო დალია და რომ დაინახა, მე ოდნავ მოვსვი, ჩემი ჭიქა ხელში აიღო და ბოლომდე დამაცლევინა:

— ეს წამალია, სიყვარულის წამალი!

მგონი, მაშინვე ვიგრძენი სიმძიმე, ჯერ სისხლძარღვებში და შემდეგ — თავში.

— უკვე მთვრალი ვარ; ჩათვალე — საჰაერო ბურთი მადგას თავის ადგილზე. ისე, რატომაა, რომ ღვინო კუჭში კი არ ჩადის, არამედ პირდაპირ თავში ავარდება ხოლმე?! — ვიკითხე ის, რაც ყოველთვის მაწუხებს.

— იმიტომ, რომ ცარიელ ადგილს იკავებს... — ეშმაკურად შემომხედა ბიჭმა.

— გმადლობთ, შესანიშნავი კომპლიმენტია.

— არ გეწყინოს! — მომეხვია და ამაყენა. მერე კი თავად ჩაჯდა ბუხრის წინ მდგარ სავარძელში და კალთაში ჩამისვა.

— ახლა ისეთი რამე უნდა გითხრა, ვიცი, არ მოგეწონება და მეც დაბნეული ვარ, მაგრამ — აღარც უთქმელობა შეიძლება. თქმა იმიტომაც მიჭირს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და შენი აზრი ვეღარაფერს შეცვლის...

— რა ხდება? ეს ჩვენი გამოსათხოვარი საღამოა და ჩემგან წასვლა გადაწყვიტე? — შემეშინდა სიმართლის, თუმცა არ გამკვირვებია, რადგან ასეთი რამის შესაძლებლობა თავიდანვე არ გამომირიცხავს.

— არა, ჩვენ კიდევ შევხვდებით და იმედი მაქვს, საბოლოოდ, ერთად ყოფნასაც გადავწყვეტთ. მაგრამ ერთწლიანი განშორება მოგვიწევს: სექტემბრიდან საფრანგეთში მივემგზავრები, სადაც სასტუმროების მართვის სპეციალურ კურსებს გავივლი და იმედია, საერთაშორისო სერტიფიკატსაც ავიღებ, რასაც ჩემი მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება... მამაჩემმა ლამის მსოფლიო მასშტაბით იმუშავა, რომ 300 კაცს შორის მოვხვედრილიყავი და იმ სასწავლებელში სწავლის უფლება მიმეღო. დახურული ტიპის სკოლაა და ცოლიანი მამაკაცებიც კი მარტონი ჩადიან. სხვა შემთხვევაში, იქნებ შენს წაყვანაზეც მეფიქრა...

— ჰო-ო!.. ასეთ შანსზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, სიგიჟეა და მეც ვერ ვიტყოდი უარს, თუმცა იმასაც ვერ დაგიმალავ, რომ შენი გაშვება არ მეიოლება. ისე, ფრანგი ქალების ნამდვილად არ მეშინია. სამაგიეროდ, სამხრეთ ამერიკიდან ჩადის იმდენი ეგზოტიკური ქალი — თუნდაც ბრაზილიიდან, რომ დიდი ცდუნების წინაშე იქნები. არ დაგაფიცებ, რომ ჩემი ერთგული იყო, რადგან ვიცი — პირობაც რომ მომცე, ვერ შეასრულებ.

ნიკას არ გასცინებია. თავისკენ შემაბრუნა და თვალებში ჩამხედა:

— შენი იმედი მქონდეს, ეკა?..

იმ წუთში ისეთი რამე ვიგრძენი, თავადვე გამიკვირდა:

— მიყვარხარ! — ვუთხარი გაბზარული ხმით და მისი ტუჩებისკენ გავიწიე...

...არც კი ვიცი, გვეძინა თუ არა იმ ღამით.

— კარგად გეძინა?! — მკითხა ნიკამ ღიმილით, როცა დილით მის მკლავებში გავახილე თვალი და ბოლომდე გამოუფხიზლებელმა, სულელური კითხვა დავსვი:

— შენა ხარ?!

— აბა, ვის ელოდი, არ გამაგიჟო! — შუბლში თეატრალურად წაირტყა ხელი.

— ასე მგონია, სიზმარი იყო ყველაფერი, სიზმარი, რომელიც გამოღვიძებისთანავე მთავრდება...

— ეს მხოლოდ დასაწყისია! — თავზე მაკოცა ნიკამ და ასადგომად წამოიწია. — შენც ადექი, მამაჩემი უკვე მოვიდა და გველოდება. სადღაც გვიპირებს წაყვანას, თანაც ცხენებით. ოდესმე მჯდარხარ ცხენზე?

— არასოდეს და ვერც ახლა მაიძულებთ, რადგან მისი პანიკური შიში მაქვს! — ვთქვი კატეგორიულად.

მიუხედავად ამისა, მაინც შემსვეს. ნიკას მივუჯექი უკან ისე, როგორც მოტოციკლეტზე და წელზე მჭიდროდ მომხვიე ხელები.

— ვეღარ ვსუნთქავ! ცოტა მოეშვი, დაძაბული ნუ ხარ!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დოკუმენტური პროზა

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელთა უეცარი თავდასხმა გამაოგნებელი იყო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისთვის და ის თითქოს სრულიად პარალიზებული იყო და ვერაფერს ახერხებდა მტრის შესაჩერებლად, ჩვენმა ნაწილებმა მალევე ერთი საპასუხო დარტყმის მიყენება მაინც მოახერხეს. 25 ივნისს, სამხრეთის მიმართულებაზე, ფრონტის შტაბისა და გენერალ ჟუკოვის მიერ ორგანიზებულმა კონტრიერიშმა გერმანელებს სოლიდური ზიანი მიაყენა და გააოცა კიდეც. ამას ადასტურებს ჩანაწერი, რომელიც გერმანიის სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსმა ჰალდერმა იმ დღეებში თავის სამსახურებრივ დღიურში გააკეთა.

დასაწყისი იხ. „გზა", №27-51

ომის პირველი დღეები

„აშკარაა, რომ მოწინააღმდეგის ფრონტის იმ მონაკვეთზე, — წერდა ჰალდერი, — სადაც „სამხრეთის" არმიების ჩვენი ჯგუფი მოქმედებს, მათი ხელმძღვანელობა სიმტკიცით გამოირჩევა. მოწინააღმდეგეს გამუდმებით სიღრმიდან შემოჰყავს ახალი ძალები და ჩვენს სატანკო ჯგუფს დიდ წინააღმდეგობას უწევს. როგორც ველოდით, ის სოლიდური სატანკო ძალებით კლაისტის ჯგუფის წინააღმდეგ იერიშზე გადმოვიდა და ცალკეულ მონაკვეთებზე წინსვლაც მოახერხა".

27 ივნისს წითელმა არმიამ ჰიტლერელებისთვის კიდევ ერთი დარტყმის მიყენება შეძლო და ჯგუფ „სამხრეთის" სარდალი რუნდშტედტი აიძულა, ამ შეტევის მოსაგერიებლად, მის ხელთ არსებული მთელი ავიაცია და დამატებით, 55-ე არმია გამოეყენებინა, რამაც კლაისტის სატანკო ჯგუფი უეჭველ განადგურებას გადაარჩინა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა 28 ივნისსაც გაგრძელდა. მასში ჩვენი ავიაციაც მონაწილეობდა, რომელსაც პირველ დღეებში მიღებული შოკის შემდეგ ძალზე უჭირდა ისედაც უპირატესობის მქონე მტრის ავიაციასთან შერკინება, მაგრამ მან ეს შეძლო. ორივე მხარემ ამ ბრძოლის შედეგად, დიდი ზიანი მიიღო. 29 ივნისს მტერი უკვე იძულებული გახდა, ფრონტის სხვა მონაკვეთებიდან მოეხსნა საჯარისო ნაწილები და „სამხრეთს" შეშველებოდა.

მაგრამ მანამდეც და კიდევ კარგა ხანს, ჯარის საერთო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ვერა და ვერ ხერხდებოდა. ფრონტის ხაზიდან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა. 26 ივნისს მოსკოვს შეატყობინეს, რომ ქალაქ როსლავლის მახლობლად ჩვენი 2 არმია ალყაში იყო მოქცეული და მინსკიც დაცემის პირას იყო. სტალინმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ დაებრუნებინა მოსკოვში ჟუკოვი, რომელიც ომის დაწყებიდან მეორე დღესვე ფრონტზე გაგზავნეს. 26 ივნისს მან ქალაქ ტერნოპოლში განთავსებულ, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბში დარეკა და ტელეფონთან მოსულ ჟუკოვს უთხრა:

— დასავლეთის ფრონტზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მოწინააღმდეგე მინსკს მიუახლოვდა. გაურკვეველია, რას შვრება პავლოვი (ფრონტის სარდალი. — რედ.), უცნობია, სად იმყოფება მარშალი კულიკი; მარშალი შაპოშნიკოვი ავადაა. შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ გადმოფრინდეთ მოსკოვში?

— აქ უახლოესი მოქმედებების შესახებ მოვითათბირებთ და უმალ აეროდრომისკენ გავეშურები, — უპასუხა ჟუკოვმა.

იმ დღესვე, გვიან საღამოს ის უკვე მოსკოვში იყო. პირდაპირ აეროდრომიდან სტალინთან გამოცხადდა. კაბინეტში გაჭიმულები იდგნენ ტიმოშენკო და გენშტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი ვატუტინი. ორივე, დაღლილი, ფერმკრთალი და უძილობისგან თვალებდაწითლებული იყო. ჟუკოვის მისვლამდე იქ ძალზე მძიმე საუბარი გაიმართა. სტალინმა ჟუკოვს მისალმების ნიშნად, მხოლოდ თავი დაუკრა, მერე კი გაღიზიანებული ტონით უთხრა:

— ვერაფრით გავიგე, რა წინადადებებს გვთავაზობენ სახკომი და თქვენი მოადგილე. ერთად მოიფიქრეთ და მომახსენეთ — რა შეიძლება მოვიმოქმედოთ.

მერე მან ხელი გაიშვირა მაგიდაზე გაშლილი რუკისკენ, რომელზეც დასავლეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა იყო ასახული... ისეთ გუნებაგანწყობილებაზე იყო, რომ მასთან საუბარი ვერანაირ შედეგს ვერ მოიტანდა. ამიტომ ჟუკოვმა გადაწყვიტა, სრული სიმშვიდე გამოეჩინა და, თითქოს ბელადსაც უტყვად ამისკენ მოუწოდებდა, მოახსენა:

— 40-ოდე წუთი მჭირდება, მდგომარეობაში კარგად რომ გავერკვე.

— კეთილი. 40 წუთში მომახსენეთ, — მიუგო სტალინმა.

ჟუკოვი, ტიმოშენკო და ვატუტინი გვერდით ოთახში გავიდნენ. მათ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებას მიჰყვეს ხელი.

ნახევარ საათში სტალინის კაბინეტში დაბრუნდნენ და კონკრეტული წინადადებები წარუდგინეს. სტალინმა მათი გეგმა მიიღო და ბრძანა, რომ შესაბამისი მითითებები დაუყოვნებლივ გადაეცათ ჯარებისთვის.

29 ივნისს მოსკოვში მოვიდა ცნობა, ჩვენი ნაწილების მიერ მინსკის დატოვების შესახებ. სტალინმა ტიმოშენკოს დაურეკა და ჰკითხა:

— რა ხდება მინსკთან? როგორაა მანდ საქმე?

ტიმოშენკომ ვერ გაბედა, სტალინისთვის მინსკის დაცემის შესახებ ეცნობებინა, თან კვლავაც ჰქონდა მდგომარეობის გამოსწორების იმედი, ამიტომ გაურკვევლად უპასუხა:

— ჯერჯერობით, არ შემიძლია მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ... — ტიმოშენკომ ამ წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო — სტალინმა სიტყვა გააწყვეტინა:

— თქვენ ვალდებული ხართ, მუდამ იცოდეთ ყველა დეტალის შესახებ, ამხანაგო ტიმოშენკო, და ჩვენც საქმის კურსში ჩაგვაყენოთ, — და ყურმილი დაკიდა.

ამ დროს სტალინთან კაბინეტში მოლოტოვი, მალენკოვი და ბერია იმყოფებოდნენ. მძიმე პაუზა ჩამოვარდა. მერე ბელადმა თქვა:

— არ მომწონს ამათი ქცევა. იქნებ, ახლავე წავიდეთ გენშტაბში და საკუთარი თვალით ვნახოთ რუკები და ფრონტიდან მოსული ცნობები?

კრემლიდან თავდაცვის სახკომის შენობამდე სულ რამდენიმე წუთის სავალი იყო. როცა პოლიტბიუროს წევრები შესასვლელთან გაჩნდნენ, ყარაული მათი ხილვისას იმდენად გაოგნდა, რომ ვერც საშვის შესახებ კითხვა დაუსვა, რაც წესდების მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი იყო...

სახკომის კაბინეტში ამ დროს, ტიმოშენკო, ჟუკოვი, ვატურინი, გენშტაბის გენერლები და ოფიცრები დიდ მაგიდებთან იდგნენ და მასზე გაშლილ რუკებს დასჩერებოდნენ. სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების გამოჩენა მათთვისაც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ტიმოშენკოც კი გაფითრდა, თუმცა საკუთარი მრავალმხრივი სამხედრო ბიოგრაფიის წყალობით, უმალვე გონს მოეგო და მოახსენა:

გაგრძელება იხ. გვ. 75

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-52

გოჩა მანველიძე

შესაძლოა, ოდესმე მაინც გაირკვეს, რა იყო ამის მიზეზი, — რუსული პროვოკაცია, აფხაზების გამოწვევა თუ ქართველთა დაუფიქრებლობა. ალბათ ერთიც, მეორეც და მესამეც. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც მოხდა. სამაჩაბლოში მიღებული მწარე გამოცდილების მიუხედავად, ქართველებმა ჩვეული სიფიცხით მოჰკიდეს იარაღს ხელი და...

ოფიციალურად ამას „სარკინიგზო მაგისტრალების დასაცავად განხორციელებული ოპერაცია“ ეწოდა. თუმცა ამ ფონზე ერთობ უცნაურად ჟღერდა ოფიციალური პირების განცხადებები.

„საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები, რომელიც ნებისმიერ აგრესორს საკადრის პასუხს გასცემს“!!! —

და არც ერთი სიტყვა სარკინიგზო შემადგენლობებს შესეულ მძარცველებზე!

„შეიარაღებულ ძალებში“ იგულისხმებოდა ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი სამხედრო ქვედანაყოფები და რუსეთის ჯარის ახალციხის ბრიგადიდან მიღებული, მოძველებული საბრძოლო ტექნიკა.

ამ ტექნიკის საქართველოსთვის გადმოცემა ფრიად საეჭვოდ დაემთხვა აფხაზთა მიერ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებას. მაგრამ ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. მთავარი ის ორი თუ სამი ათეული ტანკი იყო, რომელიც დიდ ძალად ეჩვენებოდა საქართველოს მთავრობას...

ან იქნებ ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ აქამდე ხელისუფლება ყველა მტკივნეულ საკითხს იარაღით წყვეტდა და რატომ არ უნდა ემოქმედა ამავე ხერხით აფხაზთა წინააღმდეგ?!.

14 აგვისტოს, დილის 7 საათზე საქართველოს სამხედრო დანაყოფებმა ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთეს. დაჯგუფება 5 ათასამდე მებრძოლსა და მძიმე ტექნიკის 20 ერთეულს ითვლიდა.

მოსახლეობამ არაერთმნიშვნელოვნად აღიქვა მომხდარი. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ქართველები თავიდანვე ამ კონფლიქტის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ რეალობა მაინც მძიმედ აღსაქმელი აღმოჩნდა. ისევ ომი, ისევ სამოქალაქო დაპირისპირება, ისევ მსხვერპლი და საკუთარი ქალაქების ნგრევა... ცხინვალში შობილი ომის მახინჯი აჩრდილი ისევ შემოადგა კავკასიონს.

და ბლიცკრიგის იმედიც არავის ჰქონდა...

პირველი შეტაკება ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ოხურეისთან მოხდა. აფხაზური გვარდიის საგუშაგომ საქართველოს შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებს ცეცხლი გაუხსნა. შეტაკებას ერთი ქართველი მებრძოლი შეეწირა, რამდენიმე დაიჭრა. დაღუპულები აფხაზურ მხარესაც იყვნენ.

მეორე შეტაკება გულრიფშში მოხდა. ისევ დაიღვარა სისხლი. აფხაზები ისევე მოიქცნენ, როგორც პირველი შეტაკებისას — ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, პოზიციები მიატოვეს და უკან დაიხიეს.

შემდგომ აფხაზებმა ქართველების შეჩერება ტამიშთან სცადეს. ამისთვის ხიდიც კი ააფეთქეს. მაგრამ ამან ქართული კოლონა მხოლოდ მცირე ხნით დააყოვნა. მოიერიშეებმა ეს დაბრკოლებაც დასძლიეს და სოხუმისკენ განაგრძეს გზა.

ამასობაში აფხაზები ძირითად საომარ ძალას სოხუმის მისადგომებთან უყრიდნენ თავს. მათ განკარგულებაში იყო „აფხაზური გვარდია“ და მოხალისეთა რაზმები. ქართული და აფხაზური ქვედანაყოფები თბილისის გზატკეცილზე შეეჯახნენ ერთმანეთს. ბრძოლა ისევ ქართული ქვედანაყოფების გამარჯვებით დასრულდა. აფხაზებმა სოხუმი დატოვეს და მდინარე გუმისთის გაღმა გამაგრდნენ...

აფხაზეთის ქართველობა ზეიმობდა. გზებზე გამოშლილი მოქალაქეები ყვავილებით ხელში ეგებებოდნენ ქართველ ჯარისკაცებს. გაჩნდა იმედი, — იქნებ საქართველოს ამჯერად მაინც აეცილებინა თავიდან დამანგრეველი ომი და ყველაფერი უახლოეს მომავალში დასრულებულიყო, მაგრამ...

ყველასათვის მოულოდნელად, ქართულმა ქვედანაყოფებმა მოძრაობა შეწყვიტეს. მოგვიანებით, ხელისუფლება ამას რამდენიმე მიზეზით ხსნიდა: პირველ რიგში, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სურვილსა და აუცილებლობას ასახელებდნენ (უცნაური იყო ამის მოსმენა ხელისუფლებისგან, რომელიც თბილისში მიჯრით ესროდა მშვიდობიან დემონსტრანტებს)...

მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა თავის მართლებისთვის ნათქვამ ფრაზებს?! რეალობა ხომ მარტივი და სრულიად სხვანაირი იყო. მოყვარეს ტყვიას არ უშენენ, მტერს კი ბრძოლაში სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ და ვინც ამ გზით მიდის, ის თავიდანვე განწირულია დამარცხებისთვის!

მაგრამ ამაზე საქართველო ძალიან გვიან დაფიქრდა. აგვისტოს იმ დღეს კი...

ქართულმა ქვედანაყოფებმა შეტევა შეწყვიტეს. ამის შედეგად, აფხაზეთი ორ ნაწილად გაიყო — ქართულ და აფხაზურ აფხაზეთად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფხაზებმა ნაწილობრივ, უკვე მიიღეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ, — აფხაზეთი მხოლოდ აფხაზებისთვის! — და ახლა მეორე ნაწილის, ქართველებისგან დაცლაზე უნდა ეზრუნათ...

გიორგი შეშფოთებული ადევნებდა თვალს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. ქართული სამხედრო ფორმირებების სოხუმისკენ დაძვრა მისთვისაც სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მოარული ხმებით, მისთვის ცნობილი იყო, რომ ხელისუფლება გარკვეული ღონისძიებების გატარებას გეგმავდა მძარცველებისგან რკინიგზის დასაცავად, მაგრამ რკინიგზა მხოლოდ საბაბი იყო. რეალურად კი მთავრობას დევნილი

პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრე სამხედრო ფორმირებების განადგურება ან საქართველოდან განდევნა სურდა. ამისთვის გენერალურ პროკურატურაში საგანგებო ჯგუფიც კი ყალიბდებოდა, რომელსაც პოლიციური ოპერაციების პარალელურად, საგამოძიებო ღონისძიებები უნდა ჩატარებინა. მაგრამ ყოველივე ამაში ჯარისა და მით უმეტეს, მძიმე ტექნიკის ჩართვა გათვალისწინებული არ იყო. ანდა რით უნდა დახმარებოდა პროკურატურას ტანკებითა და ქვემეხებით შეიარაღებული ჯარი?.. უკიდურეს შემთხვევაში, ასეთ ოპერაციაში შინაგანი ჯარის ქვედანაყოფების გამოყენება შეიძლებოდა, რომელიც ყველაზე მართულ და ორგანიზებულ ძალას წარმოადგენს. ამჟამად შინაგანი ჯარი მართლაც, აფხაზეთში იმყოფებოდა, მაგრამ მასთან ერთად, ოპერაციაში გვარდიის, თავდაცვის სამინისტროსა და „მხედრიონის“ დანაყოფები და მოხალისეთა რაზმებიც მონაწილეობდნენ. ეს მხოლოდ ერთზე მიანიშნებდა: რკინიგზა არაფერ შუაში იყო და ხელისუფლება არც ექსპრეზიდენტის მომხრეებთან ბრძოლას აპირებდა. მის მთავარ სამიზნეს აფხაზი სეპარატისტები წარმოადგენდნენ.

ერთი მხრივ, ეს გიორგის ახარებდა კიდეც. როგორც ყველა ქართველი, ისიც მიესალმებოდა სეპარატისტთა ალაგმვას. მაგრამ მეორე მხრივ, კონფლიქტური ვითარება შეუძლებელს ხდიდა მის მუშაობას, განსაკუთრებით, იმის გამო, რომ მას მდინარე გუმისთის მეორე ნაპირზე გადასვლაც კი არ შეეძლო. არადა, სწორედ იქ ეგულებოდა კოლონიიდან გაქცეული რაულ ხიჟბა. ამის შესახებ პოლიციას ოპერატიული ინფორმაცია ჰქონდა. მათი მონაცემებით, ხიჟბა გუდაუთაში გამოჩნდა. ახლა ის მიუწვდომელი იყო. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. გიორგის აზრით, ახლო მომავალში საქართველოს ხელისუფლება მთელ აფხაზეთზე დაამყარებდა კონტროლს და შემდეგ, ხიჟბას ჯერიც დადგებოდა. ამაში გამომძიებელი მტკიცედ იყო დარწმუნებული. მაგრამ ორი რამ მაინც არ აძლევდა მოსვენებას. პირველი — თავად ხიჟბა იყო: გიორგი შიშობდა, რომ აფხაზეთში წესრიგის აღდგენის შემთხვევაში, ის რუსეთში გადავიდოდა, რაც ძალიან გაართულებდა მის აყვანას. მეორე — გოგა იყო: თავდაუზოგავი მუშაობის მიუხედავად, გიორგიმ დღემდე არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

...დემურ ცომაია მისმა ნაცნობმა, სოხუმელმა გამომძიებელმა მოიყვანა პროკურატურაში. უთხრა: ამ კაცს შენთან ლაპარაკი სურსო.

გიორგიმ გვერდზე გადადო საქაღალდე და სტუმარს შეხედა.

— პოლიციის თანამშრომელი ვარ. გაგრის სამძებროში ვმუშაობ, — თავად გაეცნო დემური.

— რა გაქვთ ჩემთვის სათქმელი? — ჰკითხა გიორგიმ.

— სოხუმის სამმართველოდან გამომგზავნეს, — უპასუხა სტუმარმა.

— ჩემთან გამოგგზავნეს? — გაუკვირდა გიორგის.

— ჰო.

— რისთვის?

— თქვენ არ იძიებთ რაულ ხიჟბას საქმეს? — ჰკითხა დემურმა.

— მე ვიძიებ, — მაშინვე გამოცოცხლდა გიორგი, — რა იცით მის შესახებ?

— მის შესახებ ახალს ვერაფერს გეტყვით. ეს საქმე მხოლოდ ხიჟბას არ უკავშირდება, — გაუბედავად თქვა დემურმა. — თქვენ ხომ გოგა კილაძესაც ეძებთ.

— სად ნახეთ კილაძე? — სწრაფად ჰკითხა გიორგიმ.

— გაგრაში.

— დაწვრილებით მიამბეთ ყველაფერი.

დემურმა სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო:

— გუშინ ჩემს მეწყვილესთან ერთად, შემოვლაზე ვიყავი გასული. სანატორიუმ „ისკრასთნ“ შევჩერდით. ჩემს მეწყვილეს, თამაზს სიგარეტის ყიდვა უნდოდა. ამ დროს ჯიხურთან ახალგაზრდა კაცს მოვკარით თვალი. ჩვენკენ ზურგით იდგა და იმავე ჯიხურში ყიდულობდა სიგარეტს. თამაზი უკვე მანქანიდან იყო გადასული, ის როცა შებრუნდა და წასვლა დააპირა. თამაზმა დაუძახა, მოიცადეო და მისკენ წავიდა. ის ბიჭი კი უცებ მოსწყდა ადგილს და გაიქცა. თამაზი გაეკიდა. მე მანქანით დავედევნე და გზა გადავუჭერი... მოკლედ რომ ვთქვა, ის ბიჭი ავიყვანეთ. თამაზი დარწმუნებული იყო, რომ ის რაულ ხიჟბა იყო, მაგრამ ბიჭს თბილისში გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა.

— და ამ პასპორტის მიხედვით, ის გიორგი კილაძე იყო, — ჩაურთო გიორგიმ.

— მართალია.

— როგორ მიიღო, როცა ხიჟბად ჩათვალეთ?

— აყვანისას ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. დროც არ გვქონდა. მაშინვე ხელბორკილი დავადეთ და პოლიციაში წავიყვანეთ.

— თქვენი მეწყვილე პირადად იცნობდა ხიჟბას? — ჰკითხა გიორგიმ.

— პირადად იცნობდა, — დაუდასტურა დემურმა, — ადრე ხიჟბამ მისი მეწყვილე დაჭრა და ამისთვის „სროკზე“ წავიდა.

— რა მოხდა პოლიციაში?

— კილაძე დავკითხეთ. მართალი გითხრათ, მისგან სხვა რეაქციას ველოდით. მილიციელის დაჭრისთვის გასამართლებული და კოლონიიდან გაქცეული კაცი სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. მას კი მშვიდად ეჭირა თავი და ყველა კითხვაზე მხოლოდ ერთ პასუხს გვცემდა: მე ხიჟბა არა ვარ, თქვენ ჩემი პასპორტი გაქვთ და ჩემი ვინაობის ზუსტად გარკვევა შეგიძლიათო!

— მესმის... თავის დროზე მეც იმავეს მპასუხობდა, — ჩაილაპარაკა გიორგიმ, — მაგრამ თქვენთვის მაინც უფრო იოლი უნდა ყოფილიყო შეცდომაში გარკვევა: მე ჩემთვის უცნობ დამნაშავეში შემეშალა კილაძე, თქვენი მეწყვილე კი ხიჟბას პირადად იცნობდა, თანაც — როგორ ვერ უნდა შეგემჩნიათ განსხვავება აღზრდით აფხაზსა და ქართველს შორის?!

— მე თავიდანვე შემეპარა ეჭვი, რომ ჩვენ წინაშე ხიჟბა არ იყო. ყველაზე მცირე, ამის საფუძველს პასპორტი იძლეოდა, მაგრამ თამაზი ისე იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, რომ არაფრის მოსმენა არ უნდოდა. მერე ისეთი რაღაც მოხდა, რამაც პატიმრის სიმართლეში დამარწმუნა.

— რა მოხდა?

— ხომ გითხარით, რომ კილაძეს მშვიდად ეჭირა თავი. მერე კი მოულოდნელად იფეთქა და თამაზს თავს დაესხა.

— „დაპრესეთ“? — ჰკითხა გიორგიმ.

— იყო რაღაც ამდაგვარი, — უხალისოდ უპასუხა დემურმა. — თამაზმა თავი ვერ მოთოკა. ხიჟბამ ხომ მისი მეწყვილე და გაგრის „ოურის“ უფროსის ძმა დაჭრა. ის კი ხიჟბას

აყვანიდან ცოტა ხანში დაიღუპა.

— სამძებროს უფროსიც იქ იყო?

— არა. დაკითხვაზე ორნი ვიყავით — მე და თამაზი. თამაზმა თავი ვერ შეიკავა და იმ ბიჭს ხელი გაარტყა.

ის კი მკერდში ჩააფრინდა და სახეში თავი დაატაკა. ისე მაგრად დაარტყა, რომ მაშინვე გათიშა.

— კილაძეს ახასიათებს ასეთი გამოხდომები. კიდევ ბევრი მოუთმენია. მე მისთვის თითიც არ დამიკარებია, მაგრამ კინაღამ საიქიოში გამისტუმრა! — შენიშნა გიორგიმ.

— ამან დაგვარწმუნა, რომ ძებნილი მართლაც, აფხაზი იყო.

— როდის მიხვდით, რომ კილაძე და ხიჟბა სხვადასხვა პიროვნებაა? — გამოკითხვა განაგრძო გიორგიმ.

— გადავწყვიტეთ, სამძებროს უფროსს დავლოდებოდით და მერე გადაგვეწყვიტა დაკავებულის ბედი, — უპასუხა დემურმა.

— რა იყო გადასაწყვეტი? — გაუკვირდა გიორგის. — თუ ის კოლონიიდან გაქცეული „პრისტუპნიკი“ გეგონათ, სოხუმის „კაპეზეში“ უნდა გადაგეყვანათ.

— ჰო, ასეა, — შეყოვნდა დემური, — მაგრამ ამას „ოურის“ უფროსის გარეშე ხომ არ გავაკეთებდით.

— რაღაცას მიმალავ, — ეჭვით თქვა გიორგიმ.

— არა... რას უნდა ვმალავდე?! — აჩქარდა დემური. — ყველაფერს ხომ თავისი წესი აქვს. „ოურის“ ან პოლიციის უფროსის გარეშე დაკავებულს ვერსად გადავიყვანდით. თანაც, არეული დროა. ერთი და ორი კაცი სოხუმში ვერ წამოვიყვანდით, ამას ბადრაგი სჭირდებოდა.

— გაიხარა „ოურის“ უფროსმა? რაც უნდა იყოს, ძმის მკვლელი ჩაუვარდა ხელში!

— რეზო ეგეთი კაცი არ არის! — სწრაფად უპასუხა დემურმა. — სწორედ მან დაადგინა, რომ დაკავებული — ხიჟბა არ იყო.

— როგორ? — ჰკითხა გიორგიმ.

— ძალიან უბრალოდ... პასპორტით.

— მადლობა ღმერთს, რომ ვიღაცას მაინც ეყო გონიერება. იმ ბიჭმა ისედაც ბევრი გადაიტანა, ხიჟბას გამო...

— რეზო მოსვლისთანავე ჩავიდა „კაპეზეში“. ცოტა ხანს ელაპარაკა კილაძეს და უკან დაბრუნებულმა თქვა, — ეს ხიჟბა არ არისო! თამაზი კინაღამ გაგიჟდა. დიდხანს უმტკიცებდა: ის არის, მის თავს რა დამავიწყებსო?!. მაგრამ რეზოს მისთვის აღარ მოუსმენია. ადგა და პასპორტის მიხედვით გადაამოწმა კილაძის მონაცემები. მაშინ „ამოვარდა“, რომ მას თბილისის სამმართველო ეძებს. როგორც კი დარწმუნდა, რომ ის მართლაც, თბილისელი კაცი იყო, კაბინეტში აგვაყვანინა და მეორედ დაჰკითხა. მერე კი მისი სოხუმში გადაყვანა გვიბრძანა.

— მერედა, რატომ არ გადაიყვანეთ? — ჰკითხა გიორგიმ.

— უკვე ღამე იყო. რეზომ დილამდე მოცდა გვიბრძანა. დილით კი აფხაზეთში ქართული ჯარი შემოვიდა და ყველაფერი აირია, — უპასუხა დემურმა.

— სად არის ახლა კილაძე? — სწრაფად ჰკითხა გიორგიმ.

— წარმოდგენა არ მაქვს, — მხრები აიჩეჩა დემურმა.

— როგორ?! — გაუკვირდა გიორგის. — კაცი პოლიციაში იყო და არ იცი, სად წავიდა?!

— ეტყობა, არაფერი იცით მომხდარის შესახებ, — განაგრძო დემურმა, — გუშინ ღამით გაგრის პოლიციას აფხაზები დაესხნენ თავს.

— და რა მოხდა იქ?! — მოიღრუბლა გიორგი.

— წესიერად არც ვიცი. იმ დროს პოლიციაში არ ვიყავი. მე და თამაზი გამოძახებაზე ვიყავით წასულები, როცა თავდასხმის შესახებ გავიგეთ. თანამშრომელმა აფხაზმა გაგვაფრთხილა: პოლიციაში არ დაბრუნდეთ, აფხაზებმა შენობა დაიკავეს და თანამშრომლებს განაიარაღებენო.

— რა ბედი ეწიათ პოლიციის თანამშრომლებს?

— აფხაზ თანამშრომლებს რა დაუშავდებოდათ?.. თვითონ მოაწყვეს ეს პროვოკაცია. ქართველების ნაწილმა კი გასვლა მოასწრო. ვინც ვერ მოასწრო, იარაღი ჩამოართვეს და კინწისკვრით გაყარეს პოლიციიდან. მე და თამაზიც აღარ გავკარებივართ იქაურობას. თამაზმა სახლში გაიარა და ოჯახის წევრები წამოიყვანა. მერე ერთად გავედით გაგრიდან. ცოტა ხანს ლესელიძეში შევჩერდით, მაგრამ მალე იქაც გამოჩნდნენ შეიარაღებული აფხაზები. თამაზს ცოლ-შვილის იქ დატოვება აღარ შეეძლო და სოჭში გადავედით. მე დილით „კომეტას“ გამოვყევი სოხუმში. ოჩამჩირეში მოხუცი დედ-მამა მყავს და უპატრონოდ ხომ არ მივატოვებდი! თამაზი კი თავის ოჯახთან ერთად, სოჭში დარჩა: აქ ვიქნები, ვიდრე ვითარება არ გაირკვევაო.

— სამძებროს უფროსი სად არის?

— არც ეგ ვიცი, მაგრამ გაგრაში ნაღდად, ვერ დარჩებოდა. ძმის დაღუპვის შემდეგ, აფხაზებს განსაკუთრებით ემტერებოდა. ხელში თუ ჩაუვარდათ, ულაპარაკოდ მოკლავენ.

— ესე იგი, პოლიციაზე თავდასხმისას კილაძე „კაპეზეში“ იყო და თქვენ არ იცით, რა ბედი ეწია?

— აფხაზები დაკავებულებს გაათავისუფლებდნენ, მაგრამ როგორ მოექცეოდნენ კილაძეს, არ ვიცი.

— გაგრაში ვინმესთან დაკავშირება თუ შეგიძლიათ?

— შემიძლია, მაგრამ რაში დაგვეხმარება რიგითი მოქალაქე? — ჰკითხა დემურმა.

— მე პოლიციის თანამშრომელი ვიგულისხმე. რომელიმე აფხაზი თანამშრომელი, რომელსაც კილაძესთან დაკავშირებული ვითარების გარკვევა შეუძლია.

დემური მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე უპასუხა:

— შემიძლია.

— მაშინ დარეკე, — სწრაფად თქვა გიორგიმ და ტელეფონი ახლოს მიუწია.

როგორც კი საკნის კარი დაიხურა, გოგა ისევ წამოწვა და თვალები დახუჭა. გულისრევის საძაგელი შეგრძნება ისევ არ აძლევდა მოსვენებას, მაგრამ წამოწოლამაც ვერ მისცა შვება. თვალები დახუჭა თუ არა, საკანი ისე დატრიალდა, თითქოს უზარმაზარ კარუსელზე მჯდარიყო.

— ცუდად ხარ? — ჩაესმა ამ დროს თანამოსაკნის ხმა.

— ჰო, — მძიმედ ჩაილაპარაკა გოგამ.

— როგორ ჩაუვარდი ხელში ან დამპლებს?! — განაგრძო რომამ. — ცუდადაა საქმე. კარგად ვიცნობ გულბანს. მაგრად სძულს აფხაზები. თანაც, სვანია. სამსახურის დაკარგვას კი არა, „სროკზე“ წასვლასაც არ მოერიდება, მაგრამ სისხლს მაინც აიღებს!

— მანამდე ყველაფერი გაირკვევა.

— რა გაირკვევა? — გაუკვირდა რომას.

— მიხვდება, რომ ის კაცი არა ვარ, რომელიც ვგონივარ.

დასაწყისი იხ. გვ. 71

— ამხანაგო სტალინ, თავდაცვის სახკომი და გენერალური შტაბი ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას სწავლობენ და მოქმედების გეგმას სახავენ.

სტალინმა არაფერი უპასუხა და მაგიდებს შემოუარა. ამ დროს, ფეხაკრეფით, გენშტაბის ოფიცრები კაბინეტიდან გავიდნენ და მხოლოდ ტიმოშენკო, ჟუკოვი და ვატუტინი დარჩნენ.

სტალინი საკმაო ხანს ათვალიერებდა რუკებს; შემდეგ, გენერლებს მიუბრუნდა და შეეცადა, რაც შეიძლებოდა მშვიდად ეკითხა:

— მაშ, გელოდებით! — მოგვახსენეთ საქმის ვითარება.

ტიმოშენკო კარგად იცნობდა სტალინს, არა მარტო პატივს სცემდა, არამედ ცოტათი ეშინოდა კიდეც მისი. ის ხვდებოდა, რომ ბელადი ძლივს იკავებდა ბოღმას, სხვა შემთხვევაში, ასე მოულოდნელად აქ არ მოვიდოდა... ტიმოშენკო კარგს არაფერს ელოდა. მან ენის ბორძიკით სცადა ეპატაკა:

— ამხანაგო სტალინ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით მიღებული ინფორმაციის გაანალიზება... ბევრი რამ გაურკვეველია... ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებიც მოგვდის... მოსახსენებლად მზად არ ვარ.

სტალინმა თავი ვეღარ შეიკავა:

— თქვენ უბრალოდ გეშინიათ სიმართლის თქმის! დავკარგეთ ბელორუსია, ახლა კი გინდათ, ახალი დანაკარგების წინაშე დაგვაყენოთ?! რა ხდება უკრაინაში?.. ბალტიისპირეთში? თქვენ ფრონტებს ხელმძღვანელობთ თუ გენშტაბი მხოლოდ დანაკარგებს აღრიცხავს?!

სიტუაციის ოდნავ მაინც განმუხტვისა და ტიმოშენკოს საშველადაც, საუბარში ჟუკოვი ჩაერთო:

— ნება მოგვეცით, მუშაობა განვაგრძოთ.

ბერიამ ირონიულად შენიშნა:

— იქნებ, ხელს გიშლით?..

— ფრონტებზე კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი. ჩვენგან განკარგულებებს ელიან, — თქვა ჟუკოვმა, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მშვიდად ესაუბრა და თავიდან, კონკრეტულად არავის მიმართავდა, მაგრამ მომდევნო სიტყვების წარმოთქმისას, პირდაპირ თვალებში შეხედა ბერიას: — იქნებ თქვენ შეგიძლიათ, ასეთი განკარგულებები გასცეთ?

— თუ პარტია დაგვავალებს, გავცემთ, — მიუგო ბერიამ.

— თუ პარტია დაგავალებთ, — უპასუხა ჟუკოვმა. — მაგრამ ჯერჯეროობით, ეს საქმე ჩვენ გვაქვს დავალებული.

ჟუკოვი სტალინს მიუბრუნდა და კვლავაც მშვიდი ტონით უთხრა:

— მაპატიეთ გაცხარებისთვის, ამხანაგო სტალინ. ყველაფერში გავერკვევით და თავად გეახლებით კრემლში...

ყველა დუმდა, ელოდა, რას გადაწყვეტდა სტალინი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რომამ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. მერე კი უთხრა, — დაიძინე, თუ შეძლებო, — და თვითონაც „ნარზე“ წამოწვა.

გულისრევისა და თავბრუსხვევის შეგრძნება ისე აწუხებდა გოგას, რომ არ სჯეროდა, დაძინებას თუ შეძლებდა. მაგრამ მისდა გასაოცრად, დაღლილობამ სწრაფად წაართვა თავი — სულ მალე ჩაეძინა. ეს რამდენ ხანს გაგრძელდა, ვერ გაიგო. გარკვეული ხნის შემდეგ, ისევ საკნის კარის ჭრიალმა გამოაღვიძა. იმავ წამს დერეფნიდან მისი გვარი დაიძახეს.

— კილაძე!..

გოგა გაოცებული წამოჯდა. აქამდე ყველა უმტკიცებდა, — კილაძე კი არა, ხიჟბა ხარო, — ახლა კი მისი ნამდვილი გვარით ისე იხსენიებდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— დიდხანს გელოდო?! — ბრაზი მოერია პოლიციელს.

— მოვდივარ, — უპასუხა გოგამ, ადგა და დერეფანში გავიდა.

პოლიციელმა მეორე სართულზე აიყვანა. თვითონ გაუღო ერთ-ერთი კაბინეტის კარი და უბრძანა, შედიო.

კაბინეტში მხოლოდ რეზო გულბანი იყო. ის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და ხელში გოგას პასპორტს ატრიალებდა.

— მოდი... დაჯექი... — სამძებროს უფროსმა ხელით ანიშნა სკამზე.

რეზო მაგიდას მიუახლოვდა და მის პირისპირ დაჯდა.

— როგორ გრძნობ თავს? — რეზომ სწრაფი მზერა ესროლა მის სახეზე ცემისგან გაჩენილ ლაქებს.

— სიმპტომებით თუ ვიმსჯელებთ, ტვინის შერყევა უნდა მქონდეს, — უპასუხა გოგამ.

— ექიმივით მსჯელობ, — შემპარავად თქვა რეზომ.

— საერთოდ, ქირურგი ვარ, მაგრამ ტვინის შერყევის სიმპტომებში გარკვევას, სამედიცინო განათლება არ სჭირდება.

— კარგი, მაშინ საქმეზე გადავიდეთ, — რეზომ პასპორტი წინ დაუდო, — გინდა, რომ ყველაფერი გაირკვეს და რაც შეიძლება მალე, მშვიდობიანად დავშორდეთ ერთმანეთს?

— რა უნდა გავაკეთო ამისთვის? — ჰკითხა გოგამ.

— ყველა კითხვაზე ალალად უნდა მიპასუხო.

— რა გაინტერესებთ?

— რისთვის გეძებს თბილისის სამმართველო?

— თქვენ რისთვის დამაპატიმრეთ?

— ვაღიარებ, რომ ეს შეცდომა იყო. რაღაც-რაღაცები უკვე გავარკვიე შენ შესახებ. ეს პასპორტი ნაღდად შენია. შენ გიორგი კილაძე ხარ, პროფესიით ექიმი. მუშაობ პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, ცხოვრობ თბილისში, ამ პასპორტში მითითებულ მისამართზე... მოკლედ, ეს ყველაფერი ჩამოთვლილია შენი ძებნის „სვოდკაში“. მაგრამ შეცდომაში მაინც ვერ დაგვადანაშაულებ: არასოდეს მინახავს, რომ ერთი ადამიანი ასე ჰგავდეს მეორეს.

— თბილისის სამმართველომაც იგივე შეცდომა დაუშვა. საბედნიეროდ, თქვენ ამას მიხვდით, ისინი კი — ვერა! — თქვა გოგამ.

— იცი, ვის ჰგავხარ?

— უკვე ვიცი.

— საიდან?

— თქვენ არ მითხარით?!

— და მანამდე არაფერი იცოდი? — ეჭვით ჰკითხა რეზომ.

— წარმოდგენა არ მქონდა.

— აჩმახებ. თუ თბილისის სამმართველომაც იგივე შეცდომა დაუშვა, გამოდის, მასაც ხიჟბაში შეშლიხარ!

— აქამდე არ ვიცოდი, ვის მამსგავსებდნენ. უბრალოდ, ვიღაცაში ვეშლებოდი — ეს იყო და ეს. მაგრამ იმ ვიღაცაზე წარმოდგენა არ მქონდა.

— და ამიტომ გაიქეცი?

— სხვა რა დამრჩენოდა?! იმ არაკაცის მიერ ჩადენილი მკვლელობების გამო წავსულიყავი ციხეში?!

— ვინ დახოცა?

— ჩემი დედ-მამა.

— და მათი მკვლელობა შენ მოგაწერეს?

— მე მომაწერეს, — დაუდასტურა გოგამ.

— და გაქცევის შემდეგ შემთხვევით ჩამოხვედი აფხაზეთში?

— არა, შემთხვევით არ ჩამოვსულვარ. თბილისში დარჩენის მეშინოდა: პოლიციას რომ დავეჭირე, ეგრევე „სროკზე“ გამიშვებდნენ. რუსეთში რამდენიმე ახლობელი მყავს. მათთან მინდოდა ჩასვლა. აფხაზეთი კი ამისთვის ყველაზე მოსახერხებელი გზაა.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი, — მშვიდად უპასუხა გოგამ.

რეზო მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— მე ვერაფერს გამომაპარებ. ვგრძნობ, რომ ზღაპრებს მიყვები, მაგრამ შენზე დროის დაკარგვის არც სურვილი მაქვს და არც საშუალება. აქაური საქმეებიც მყოფნის. არ ხარ ხიჟბა და ძალიან კარგი. ამ მხრივ შენთან პრეტენზია არა მაქვს. მაგრამ შენ ძებნილი ხარ. ახლა ისევ საკანში დაგაბრუნებ. დილით კი სოხუმში გაგგზავნი და იქ გაარკვიონ, რისთვის დაემალე ძიებას და მართლაც რუსეთში გინდოდა წასვლა თუ სხვა მიზეზით ჩამოხვედი აფხაზეთში!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სიკვდილის სუნთქვა

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, № 51-52

თბილისში ჩამოსულს ისეთი მზიანი დარი დამხვდა, სხეული კი არა, სულიც გამითბა. ივნისის თაკარა მზე ეშმაკურად მელაციცებოდა სახეზე. თვალები დავხუჭე და ცხვირ-პირი სიამოვნებით მივუშვირე მცხუნვარე სხივებს.

მამას მთელი გზა, აეროპორტიდან სახლამდე, ხმა არ ამოუღია. მეც ჩემს ფიქრებში ვიყავი ჩაძირული. დროებით გადამავიწყდა კიდეც, რაც ტიმთან გადამხდა იქ, ნიუ-იორკში. მორჩა, ეგ ყველაფერი ერთი ღამის თავგადასავალი იყო და მეტი არაფერი. გახსენებად არც ღირს. მერე რა, ქალი ვარ და სურვილს ავყევი, წამით... წუთით... რამდენიმე საათით თუნდაც. მე ხომ არა ვარ ერთადერთი, მსგავსი ცდუნების „მსხვერპლი“ რომ გამხდარა?!.

დედას ჩემს დანახვაზე თვალები აუცრემლიანდა. დიდხანს მიკრავდა გულში და ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს მეჩურჩულებოდა. გაუგებარს იმიტომ, რომ იმდენად ხმადაბლა ლუღლუღებდა, ვერაფერი გავიგე... მამასაც ბევრი ვეფერე. ის ნაკლებად გამოხატავდა ემოციებს, მხოლოდ ღიმილით შემოიფარგლა, მაგრამ მე ხომ ვიცი მისი ხასიათი... ძალიან გულჩვილია. უბრალოდ, არ იმჩნევს.

როცა ოჯახის წევრებთან ალერსით გული ვიჯერე, სააბაზანოში შევვარდი. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვინებივრე ცხელ წყალში; მერე, როგორც ყოველთვის, მონაცვლეობით გადავივლე ცხელი, ცივი, ცხელი, ცივი შხაპი და ჩემი ატლასის ხალათი, შინდისფერი, სრიალა და „ემოციური“ ხალათი მოვიცვი... „ემოციურს“ ვეძახი, რადგან ბანაობის შემდეგ ის პირველი „გრძნობს“ ჩემი სხეულის ტემპერატურას, გლუვი კანის შეხებას და... „აკანკალებს“... ამის გაფიქრებაზე გამეცინა. ჩემი ხალათი ალბათ მამრობითი სქესისაა, თუ ასეთ რამეს „განიცდის“...

თან „გიჟდება“, ისე „უყვარს“ ესპანური ცეკვები. ყოველ დილით, დაბანის შემდეგ, „ჩვენ ვრთავთ“ მუსიკას და „ერთად ვცეკვავთ“ ლამაზ ესპანურ ცეკვას!..

ახლა ამის თავი არ მქონდა. ისე ვიყავი დაღლილი, ერთი სული მქონდა, საწოლამდე როდის მივაღწევდი. ცხელმა წყალმა ხომ საერთოდ მომთენთა...

8 საათი გამხდარა უკვე, საღამოს 8 საათი... რა თქმა უნდა, ძილის დროა! კიდევ ცოტა ხანს რომ ვიდგე ფეხზე, ალბათ ჰაერში ავფრინდები. ჯერაც მაქანავებს, კვლავაც თვითმფრინავში მგონია თავი, ყურებს ისევ ყრუ გუგუნი გაუდის. წავედი, წავედი, დავწექი...

როგორც კი თავი ბალიშზე მივდე, მაშინვე დამეძინა...

რეკორდული ძილი გამოვაცხვე — ზუსტად 13 საათი მეძინა... ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა! ყოჩაღ, ქეთო! შენ ნამდვილი ჩემპიონი ხარ. არა, ჩემპიონი კი არა, რეკორდსმენი ყველა ქეთოს შორის!

კარგა ხნის გათენებული იყო, რომ ავდექი. 10 დაწყებულა! ვისაუზმე და ეგრევე მასალის წერას შევუდექი. როგორმე, შუადღემდე უნდა მივუტანო მამუკას სტატია, თორემ რედაქციაში აღარ დამედგომება. ისედაც დავაგვიანე ერთი დღით.

3 საათი თავი არ ამიწევია, კომპიუტერთან ვიჯექი და ვწერდი და ვწერდი... თითქოს მუზა მეწვია — არამიწიერი, არაქართული... ამერიკული...

გადავიკითხე... ჩავასწორე... მომეწონა... როგორც ჩანს, ტიმთან „ცელქობა“ მომიხდა, ბანგივით იმოქმედა ჩემზე... ღმერთო, რა მაცინებს! ეს რა ჩავიდინე უცხო ქვეყანაში, უცხო მამაკაცთან!.. თან, რომ ვერავის მოვუყვები?! არადა, რა ჩაიტანს ამ საიდუმლოს სამარეში?! არა, უნდა დავივიწყო, თითქოს სასიამოვნო თუ უსიამოვნო სიზმარი ვნახე და მორჩა!..

სამის ნახევარზე უკვე რედაქციაში ვიყავი ჩემი მასალით ხელში. მთელი აჟიოტაჟი ატყდა, რომ დამინახეს. როგორ მოვნატრებივარ ყველას!.. მეც როგორ მომნატრებია აქაურობა და აქაურები!.. ვინ თქვა, ჰაერი აღარ არის ჩემს ქვეყანაშიო?! ტყუილია! აქ არის ჰაერი, თუ არის! ყველაზე ტკბილი და ყველაზე სუფთა ჰაერი მთელი დედამიწის ზურგზე, ყველაზე რბილი და ყველაზე მშობლიური!

— მაგარია, ქეთ! — აღტაცება ვერ დაფარა მამუკამ. — მომდევნო ნომერში გავუშვებ! ფოტოები?

— აგერ მაქვს, — პატარა ბავშვივით წამოვიძახე და ტყავის ღვედზე ჩამოკონწიალებული ჩემი კოხტა ფოტოაპარატი ცხვირწინ გავუქან-გამოვუქანე.

მამუკამ ფოტოები კომპიუტერში გადაიტანა. თან ათვალიერებდა, თან სიცილით კვდებოდა, ისეთი კადრები მქონდა დაჭერილი.

— შენს ფოტოსაც გავუშვებ! — თქვა ბოლოს, როცა ყველა გადაწერა და სკამიანად ჩემკენ მოტრიალდა.

— რას ამბობ?! არ მინდა, რა, გთხოოოვ! — ყელი გამოვუწიე ვედრების ნიშნად.

— იფ! მაგას ნუ მთხოვ, სიხარულო. ხომ იცი, აუცილებლად გავუშვებ, ასე რომ, ტყუილად გამოიღადრე ეგ შენი ლამაზი ყელი, — სიცილით დააყოლა და წამოდგა.

ვიცოდი, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა, თუ რაიმეს იტყოდა, აუცილებლად გაიტანდა თავისას, ამიტომ ხელი ჩავიქნიე, მაინც არაფერი გამომივა-მეთქი და კმაყოფილ-უკმაყოფილო სახით გამოვედი კაბინეტიდან.

შუადღისას მამუკამ პატარა პურისჭამა მოაწყო, ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ბევრი ვიხალისეთ და ვიგიჟეთ. დავლიე კიდეც. იმწუთას კი კარგად გან-

ვიმუხტე, მაგრამ საღამოს, შინ რომ მივედი, ისე დამიმძიმდა თავი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. არა, რამ დამალევინა ამდენი?! ნამდვილი ხამი ვარ, კონიაკის ხამი! არ ვიცოდე მაინც ჩემი ამბავი! ისეთი „პახმელია“ ვიცი, მტრისას! სულ გული მერევა!

ტანსაცმელი გამოვიცვალე და სარკეში ჩავიხედე. სარკიდან მომზირალ ჩემს გამოსახულებას ენა გამოვუყავი და დავეჯღანე. სწორედ ამ მომენტში გამახსენდა ტიმი. ნეტავ, ახლა სად არის? რას აკეთებს? მე თუ ვახსოვვარ? აუუუ! როგორ მტკივა თავი! ალბათ ტვინის უჯრედები ერთმანეთის მიყოლებით სკდება! რა გაათენებს ამ ღამეს?! დილამდე ველარ გავატან ალბათ!

მაცივარი გამოვაღე. „ნაბეღლავის“ ნახევრად სავსე ბოთლი ვითრიე და მოვიყუდე. სულ რაკრაკით ჩავუშვი კუჭში. უჰ, რა მესიამოვნა! ახლა ფორთოხალს შევჭამდი დიდი სიამოვნებით, ცივ ფორთოხალს, მაგრამ საიდან გინდა მოიტანო ფორთოხალი ამ გაგანია ზაფხულში?!

რა კარგია ზაფხული. ერთი კვირაც და შვებულებას ავიღებ, ქობულეთში დავუბერავ, თან — მარტო! როგორ მიყვარს მარტო დასვენება, ჩემს მეტმა არავინ იცის. ეჰ... როდის გავა ერთი კვირა?!

ტელევიზორი მთელ ხმაზე გაკიოდა.

— დე-ე! — გავძახე დედაჩემს. — რა იყო, დაყრუვდით? ჩაუწიეთ ცოტა, რა!

— მოიცა, საინფორმაციო იწყება! — ოთახიდან გამომძახა დედამ.

გააწყალეს გული! თითქოს ბებრები იყვნენ და სმენადაქვეითებულები! რა უბედურებაა! არ შეიძლება, ცოტა დაბალ ხმაზე უსმინონ გადაცემებს? რა გიჟი მშობლები მყავს... გამეღიმა.

კვლავ სააბაზანოში შევედი. ისევ ისე ვინებივრე ცხელ წყალში, თან ვმღეროდი. „მე რომ მენატრება, მას თუ ვენატრებიიიი“... ტელევიზორივით, ღამის მეც ბოლო ხმაზე გავკიოდი...

თავზე პირსახოცშემოხვეული გამოვედი ლოჯიაში და ის იყო, ფენი უნდა ჩამერთო, რომ ეკრანზე ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. წამით თითქოს გული გამიჩერდა, ერთ ადგილს მიველურსმე: ეს ხომ... ეს ხომ... იქნებ თვალი მატყუებს? იქნებ ის არ არის?.. არა, იმან საიდან უნდა იცოდეს ქართული, არადა... ქართულად მეტყველებს... განა შესაძლებელია ასეთი მსგავსება? ტიმია, ჰო, ნამდვილად ის არის!..

არ მახსოვს, როგორ მივიჭერი ეკრანთან. ერთიანად ვცახცახებდი. დედას ხელით ვანიშნე, პულტი მომაწოდე-მეთქი... მომაწოდა... ახლა მე ავუწიე ტელევიზორის ხმას.

„რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი ფოტოები ჩამოვიტანე. დაახლოებით ერთ კვირაში მექნება ფოტოგამოფენა და ვიმედოვნებ, ყველა კმაყოფილი დარჩება“.

„და რა იქნება თქვენი ფოტოგამოფენის თემა, თემურ?“

„ამერიკა ამერიკიდან“.

„დიდი მადლობა ასეთი საინტერესო ინფორმაციისთვის. მაშ, ასე, ჩვენი სტუმარი იყო „ფაქტი პლუსის“ ფოტოკორესპონდენტი თემურ არაბიძე. მე კი ამით გემშვიდობებით, მომავალ შეხვედრამდე“, — დაამთავრა ტელეწამყვანმა და სარეკლამო ტიხარი ჩაირთო.

ვერ გეტყვით, იმ მომენტში რა დამემართა. აღშფოთება, ზიზღი, ბრაზი, შიში... ყველაფერი ერთად მომეძალა... რაოოოოო?! თემურ არაბიძეო?! აბა, ტიმ ალვარესი ვინღა იყო?.. როგორ მომატყუა ამ ნაძირალამ! როგორ გამაცურა! აი, თურმე რატომ ჰქონდა აქცენტი! როგორ ვერ მივხვდი?! რატომ ვერ მივხვდი? ესპანელიო! ამერიკაში დაბადებული და გაზრდილიო! იმდენი გაუხმეს თავი!

— რა გჭირს, ქეთი? — დედაჩემი წამომადგა თავზე.

— არაფერი, ცოტა დავლიეთ სამსახურში და თავი მისკდება, — ჩავილაპარაკე.

— წადი მერე და დაწექი, რა დალევა აგიტყდა! — მისაყვედურა ნათელამ და გამეცალა.

მთელი ღამე არ დამეძინა. ტიმ-თემურზე ვფიქრობდი. როგორ მოვიქცე? ხომ არის ღირსი, დავრეკო რედაქციაში და ერთი გემრიელად გამოვლანძღო?! მაგრამ ღირს კი? იქნებ ჯობია, ყველაფერი ისე დავტოვო, როგორც არის? უარესი არ გამოვიდეს და საქვეყნოდ არ მოვიჭრა თავი! მაგრამ ხომ შეიძლება, ერთხელაც სადმე გადავეყარო? ისიც ჟურნალისტია და მეც. გამორიცხულია, სადმე არ შევხვდე! ჰოდა, მერე? იმ მომენტში როგორ უნდა მოვიქცე?.. ღმერთო, ეს რა შავ დღეში ვარ! როგორი შეურაცხყოფილი და დამცირებული დავრჩი!.. არა, ხვალვე მოვძებნი და შეხვედრას დავუნიშნავ. ჩხუბი და ლანძღვა არ ღირს — რომ გავაბრაზო, შეიძლება, ქვეყანას მოსდოს ჩემი ამბავი. როგორმე უნდა დავანამუსო, რომ არავის არაფერი უთხრას. ვაი, ვაიიიიიიი! ეს რა ჩავიდინეეეეეე! ღამის მოვთქვამდი...

დილით განადგურებული ავდექი. მთელ ტანში მტეხდა. თავი ისევ ისე მისკდებოდა, როგორც გუშინ. გულის რევის შეგრძნება უფრო გამიმძაფრდა. ავდექი, თავი ნიჟარას შევუშვირე, პირში ორი თითი ჩავიყავი და... რაც კი წვენი მქონდა ნაღველში, მგონი, სულ ამოვანთხიე!

ცოტათი მომეშვა. ისეთ ცუდ ხასიათზე ვიყავი, გაპრანჭვის თავი არ მქონდა. ფართხაფურთხით ჩავიცვი და რედაქციისკენ გავვარდი. 11 ხდებოდა. ასე ადრე იქ მხოლოდ მამუკაა ხოლმე — სულ პირველი მოდის.

— ე! რა ქარმა გადმოგაგდო, გოგო, ასე დილაუთენია?! — ჩემს დანახვაზე თვალები დააჭყიტა მთავარმა რედაქტორმა.

— თემურ არაბული გაგიგია?

— როგორ არ გამიგია?! ადრე ჩემთან მუშაობდა. რა იყო?

ამის გაგონებაზე უარესად „დამცხა“.

— მისი ნომერი გაქვს?

— კი, როგორ არა. მობილურში მიწერია.

— მომე, რა!

— რა იყო, შენი ფოტოების მიყიდვას ხომ არ აპირებ? — გამეხუმრა მამუკა.

— პირიქით, იმას უნდა წავართვა, — ნაძალადევად გავუღიმე და ნომერი გამოვართვი.

დერეფანში გავედი და დავრეკე. არავინ მიპასუხა. ძილის გუდა! ალბათ ხვრინავს ახლა, ვოიაჟით კმაყოფილი!..

როცა არაფერი გამომივიდა, ოთახში შემოვბრუნდი. მოულოდნელად ჩემი მობილური აწკრიალდა. ის იყო! აქეთ დამირეკა! გაეღვიძა ალბათ!

— ალო! — ჩავძახე დაძაბულმა.

— თქვენი ზარი იყო შემოსული... — მოკლე წინადადებით შემოიფარგლა ესპანელ-ამერიკელი ტიმი.

— ჰო, მე გირეკავდი...

— ვინ შენ? რომელი ხარ?

— ქეთი ვარ...

— ქეთი? აბა, ქეთი!

— ტიმ ალვარესის ნაცნობი, — გესლიანად ვუპასუხე.

როგორც ჩანს, ელდა ეცა და ხმა ჩაუვარდა. კარგა ხანს პასუხი არ გაუცია.

— ალო! გესმის ჩემი? — ჩავძახე.

— კი, ქეთი, მესმის... როგორ ხარ?

— მე როგორ ვარ?.. მეკითხები კიდეც?! — ვერც მივხვდი, როგორ ავუწიე ხმას.

— სად ხარ? უნდა გნახო.

— აბა, რა! არ მნახავ და შენი აჯობებს! — ისე მაკანკალებდა, კბილს კბილზე ვაცემინებდი.

— ერთ საათში რუსთაველის მეტროსთან დაგელოდები. გაწყობს?

— კარგი, მოვალ! — ცივად ვთქვი და გავთიშე...

კი არ მივდიოდი, მივქროდი. გულში ალბათ მეასეჯერ ვატრიალებდი იმ სიტყვებს, რომლითაც თემური უნდა „შემემკო“. გულში ცოფებს ვყრიდი...

შორიდანვე დავლანდე. „ამერიკულად“ ეცვა — თეთრი შორტი და წარწერებიანი მაისური. ფოტოაპარატი კისერზე ჩამოეკიდა ვაჟბატონს!

ჩემს დანახვაზე უხერხული ღიმილი აღებეჭდა სახეზე. მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და მივუახლოვდი თუ არა, საკოცნელად გამოიწია. ეგღა მაკლდა! ხელიც კი არ ჩამოვართვი.

— გაბრაზებული ხარ, სიხ? — ვითომც აქ არაფერი, ისე მკითხა.

აჰა, ახლა ამის „სიხ“ გავხდი, რა თავხედია!

— მე შენი „სიხ“ არა ვარ!

— კარგი, რა მოგივიდა?!

— რატომ მომექეცი ასე?

— წამო, სადმე დავსხდეთ, ასე ხომ არ ვიდგებით შუა ქუჩაში.

— აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— წამო, მე გეპატიჟები.

— დიდი მადლობა, შენი დაპატიჟება არ მჭირდება, ყელამდე ვარ შენი პატივისცემით!

— ნუ ბავშვობ, რა გჭირს?!

— რა მჭირს? მეკითხები კიდეც, რა მჭირს?! რატომ გააკეთე ეს?

— რა გავაკეთე?! არ მითხრა, რომ შენი სურვილის საწინააღმდეგოდ წავედი! — აქეთ შემომიტია ყოფილმა ტიმმა.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. მივხვდი, ასეთი ტონით მასთან ვერაფერს გავხდებოდი.

— ეგ რა შუაშია?! შენ მომატყუე!

— მერე რა?! ეგ უწყინარი ტყუილი იყო. რა მოხდა?! ამით მგონი, არაფერი დაშავებულა.

— შენთვის, რა თქმა უნდა, არაფერი დაშავებულა. ახლა მე მკითხე!

— რა — შენ? რამე არ მოგეწონა?..

— თემურ! სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. რაში დაგჭირდა ის მასკარადი? პირდაპირ ვერ მეტყოდი, ქართველი თუ იყავი?

— რომ მეთქვა, როგორ გგონია — იგივე მოხდებოდა?.. — ეშმაკურად გამომხედა.

— არა! არავითარ შემთხვევაში!

— ამიტომაც არ გითხარი.

— და ამით ისარგებლე, არა?!

— კარგი, რა, რა ვისარგებლე?! ვიცი ქართველი ქალების ამბავი. აქ ხართ ძალიან წესიერები და პატიოსნები, თორემ საკმარისია, საზღვრებს გასცდეთ, აიწყვეტთ ხოლმე. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, — უსირცხვილოდ გაიღრიჭა.

ამან მთლად მომშალა.

— მე შენ ვინ გგონივარ?! ცოტა სიტყვებს დაუკვირდი! — ავიფოფრე.

— გეყოფა, ქეთ! რაც იყო, ცუდად არც ერთს არ უნდა დაგვამახსოვრდეს, ჩემი აზრით... არ სჯობია, გავაგრძელოთ მეგობრობა? ცუდი ბიჭი ნამდვილად არ ვარ!

— სამაგიეროდ, მე ვარ ცუდი გოგო და ამას არ გაპატიებ!

— რატომ, რა დანაშაულისთვის?! რომ მოგატყუე? მერე რა მოხდა, შენ არასდროს არავინ მოგიტყუებია?

— არა!

— კარგი ერთი!

— არა-მეთქი! ასეთ რამეებს ვერ ვიტან!

— მოდი, შევრიგდეთ, ძალიან გთხოვ. მაპატიე, თუ გაწყენინე. ნამდვილად არ მინდოდა ეს. როგორც ჩანს, ცუდად გამომივიდა.

— კიდევ კარგი, რომ ხვდები.

— მაპატიე-მეთქი, ხომ გთხოვე! რა ვქნა, დაგიჩოქო?

— არავის სჭირდება შენი დაჩოქება!

— არ შემირიგდები? არ გინდა, მაპატიო?

— ძალიან გადარდებს შენ ჩემი პატიება, აი!

— აუუუუ! იქ რა მშვიდი და საყვარელი იყავი, აქ კი სასწაულად კაპასი ხარ. რომელია შენი ნამდვილი სახე?

— ჯერ შენი ნამდვილი სახე დამანახვე და მერე გეტყვი! — არ ვიხევდი უკან.

— რაც ვარ, ეს ვარ, სიხ... უკაცრავად, წამომცდა. მოდი, რა, დავივიწყოთ, რაც იყო და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

— რა დავიწყოთ თავიდან, შენ გიჟი ხომ არ ხარ?!

— ურთიერთობა. ჩვენ ხომ არაჩვეულებრივად შევეწყვეთ ერთმანეთს. გათხოვილი არ ხარ, არც მე ვარ ცოლიანი. რა გვიშლის ხელს?

— შენი ტყუილები! ვერ ვიტან მატყუარა ადამიანებს. იქ, უცხო ქვეყანაში მომატყუე და აქ რას იზამ, წარმომიდგენია!

— ეეეეე! ვერ ხვდები, რატომაც მოგატყუე?! სხვანაირად არ გამეცნობოდი.

— რატომ არ გაგეცნობოდი, თუკი მეტყოდი, ქართველი ვარო? უფრო არ გამიხარდებოდა?!

— სამაგიეროდ, იმ ღამეს ჩემთან არ წამოხვიდოდი.

— იქნებ წამოვსულიყავი კიდეც?! გეცადა მაინც!

— აუ, ასე იცი ხოლმე ყველაფრის ჩახვევა? ოდესმე გადაგივლის?.. თუ კიდევ მაგ თემაზე გამიბამ ლაპარაკს, წავალ და როცა დაწყნარდები, დამირეკე.

— დაგირეკო? შენ დაგირეკო?! მეტი საქმე არა მაქვს! არც კი ახსენო ჩემი სახელი და... და... — ენა დამება.

— და არავის ვუთხრა, რაც ჩვენ შორის მოხდა, არა?.. — „დამეხმარა“ თემური.

— ჰო, — უნებურად გამექცა სიტყვა.

— ეგ უშენოდაც ვიცი, ჭორიკანა არა ვარ.

— კაცმა არ იცის, როგორი ხარ.

— ეგრე მიცნობ? არ გრცხვენია, მაგას რომ მეუბნები?!

— საქმეც ისაა, რომ საერთოდ არ გიცნობ.

— კარგი, რა, ქეთ, არ გვინდა ეს ომობანა! მე მართლა არა ვარ ცუდი ადამიანი და ამაში დარწმუნდები, როცა ახლოს გამიცნობ.

— არანაირი სურვილი არ მაქვს შენი ახლოს გაცნობის.

— მაშინ... როგორც გინდა. მე წავედი... კარგად მეყოლე, სიხ... — ირონიულად დამემშვიდობა და გატრიალდა.

ხელახლა შემომენთო გულზე, მაგრამ ისე უმწეოდ ვგრძნობდი თავს, ხმა ვერ ამოვიღე, ვერც ის მოვიფიქრე, როგორ სჯობდა მასთან საუბრის დამთავრება.

თემური წავიდა, მე კი ვიდექი შუა რუსთაველზე მხრებჩამოყრილი და ცოტაღა მაკლდა, რომ არ ავღრიალებულიყავი...

რამდენიმე დღე ვბობოქრობდი. საკუთარ ფიქრებში ჩავიკეტე, ვერავის ვუმხელდი ჩემი უხასიათობის მიზეზს. როგორი სათქმელი იყო?! უახლოეს დაქალებსაც კი ვერ გავენდობოდი... მერე და მერე ცოტათი გადამიარა, დავწყნარდი. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ასეთი?! კაცი მომეწონა და ცოტა ვიცუღლუტე. რა უჭირს მერე, რა არის ამაში მიუღებელი?! კიდევ კარგი, არ მიყვარს. ან კი საიდან უნდა შემყვარებოდა ასე უცებ?! რატომ, ერთი ნახვით შეყვარებაც ხომ არსებობს!.. ვკამათობდი ჩემს თავთან. ერთი ნახვით არა, კიდევ!.. ნეტავ იცოდეს, როგორ მეზიზღება! მისი სახელის გაგონებაც არ მინდა!

მეოთხე დღეს თვითონ დამირეკა. ძალიან ავღელდი, ერთიანად ავილეწე სახეზე, მაგრამ მაქსიმალურად შევიკავე თავი და მშვიდად ველაპარაკე. შეხვედრა მთხოვა, რაზეც ცივი უარი ვუთხარი. ნამდვილად არ მქონდა სურვილი, მასთან ურთიერთობა გამება. რაც იყო, ჯერ ის ვერ მომენელებინა... მეორე დღეს კვლავ დამირეკა, გამოფენაზე მეპატიჟებოდა. ინტერვიუ მაქვს-მეთქი, მოვიმიზეზე.

ყოველ მეორე დღეს მირეკავდა და ყველა დარეკვაზე უარით ვისტუმრებდი. დღეს არ მცალია, ხვალაც დაკავებული ვარ-მეთქი, — და ასე შემდეგ. გამახსენდა, ბავშვობაში დამალობანას რომ ვთამაშობდით. ერთი იხუჭებოდა, სხვები ვიმალებოდით და გავიძახოდით: „ჯერ არაააა, ჯერ არაააა!..“ სწორედ ასე მომდიოდა თემურთან. ყოველ დარეკვაზე „ჯერ არას“ პრინციპით ვიშორებდი თავიდან. არც უარს ვეუბნებოდი და არც შეხვედრაზე ვთანხმდებოდი რატომღაც, არა და არ მოდიოდა გულთან ახლოს. ვერაფრით წარმომედგინა, როგორ უნდა დავწოლილიყავი კიდევ ერთხელ ასეთ აფერისტთან... აბა, სხვა რა შეიძლება დაერქვას მის საქციელს?! არადა, მისი გაბრაზებაც არ მაძლევდა ხელს: შემეშ-

ინდა, სამაგიერო არ გადამიხადოს და ვინმე ნაცნობთან ჩემზე არ იჭორაოს-მეთქი.

10 დღის შემდეგ, როგორც იქნა, შვებულება მომცეს და ქობულეთში გავემგზავრე. ცოტა კი ვიყოყმანე, — იქნებ ვინმე შევიამხანაგო-მეთქი? — რადგან მეგონა, მარტოობაში სხვა საფიქრალი არაფერი მექნებოდა და ნიუ-იორკში გადამხდარი ამბავი მოსვენებას არ მომცემდა. მაინც მარტო წავედი.

იქაც ამიკლო, ყოველდღე მირეკავდა. შეგნებულად არ ვუთხარი, სად ვიყავი, არ ჩამომაკითხოს-მეთქი. მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

როცა მთელი კვირის განმავლობაში ვერაფერს მიაღწია, თანდათან შემეშვა, ისეთი სიხშირით აღარ მირეკავდა. კიდევ ერთ კვირაში კი საერთოდ შეწყვიტა რეკვა. მეც ხელი ჩავიქნიე. ვიფიქრე, რომ ასე აჯობებდა ორივესთვის.

შვებულების სიმარტოვეში გატარება სულაც არ აღმოჩნდა ისეთი საფრთხილო და მოსაწყენი, როგორიც წარმომედგინა. პირიქით, „მარტო გასეირნება“ შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა, „ბატარეების დასატენად“. პირველი, ორი დღე წვიმიანი ამინდი იყო, მერე კი მზემ რომ გამოანათა, აღარც ჩასულა, მგონი. მეც ვიმუხტებოდი და ვიმუხტებოდი.

ვინც არ იცის, იმის გასაგონად ვიტყვი, რომ პრესაში მუშაობა საშინელი სიგიჟე და სტრესის აკიდების უებარი საშუალებაა: გადარბენები, ჩასაფრებები, უძილო ღამეები, ჩაწერა, გაშიფვრა, დაწერა, ჩასწორება... ვინ მოთვლის, რამდენი „ნერვი“ სჭირდება, სანამ ბოლოში გახვალ.

უკვე 11 დღეა, აქ ვარ და ისე გავირუჯე, დედაჩემიც ვერ მიცნობს. ნამდვილ აფრიკელს დავემსგავსე. თან როგორ მიხდება?! ღამით მარტო თვალებიღა ანათებს, თორემ ისე, არ ვჩანვარ. ჰოდა, მეც ვაბრიალებ და ვაბრიალებ ჩემს ლამაზ თვალებს!

კიდევ 3 დღე დამრჩა და მერე კვლავ მომიწევს სამუშაო ფრონტზე გასვლა. აუუუუ! რა ძნელია დასვენების შემდეგ კალაპოტში ჩადგომა!

შეზლონგზე ნებივრად გავიზმორე და გვერდი ვიცვალე. ცოტაც და, შევალ ზღვაში, თორემ ოფლი გამივიდა!.. ამ ფიქრებში ვიყავი, ჩანთიდან ჩემმა მობილურმა რომ შემახსენა თავი. მამუკას ზარი იყო. ამას რაღა უნდა, რისთვის გავახსენდი?

— ჰო, მამუკა... — მხიარულად ჩავძახე მიკროფონში.

— აბა, მომიყევი, როგორ დაისვენე?

— დავისვენე?! ჯერ არ დამიმთავრებია, შეფ, 3 დღე კიდევ დამრჩა.

— ვიცი, ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ ისეთი ახალი ამბავი მაქვს შენთვის, ვერ გადარჩები!

ამის გაგონებაზე ჭიანჭველებმა დამირბინა ტანში. აქაც აღარ მასვენებენ, რა!

— მამუუუკ, შენს ზარს ამწუთას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ მეტყვი, რომ რედაქციას ხანძარი გაუჩნდა ან ჩვენი პრემიერ-მინისტრი მონაზონთან ერთად გაიქცა ამერიკაში, — გავეხუმრე უფროსს. — ეს უსამართლობაა, არ შეგიძლიათ, ცოტა ხნით მაინც შემეშვათ?!

— კარგი, რა, ნუღარ წუწუნებ. ქალი ამერიკაში გაგამგზავრე, დრო გატარებინე, ქვეყანა განახვე და ეგ უნდა მითხრა?! დარწმუნებული ვარ, მანდ მოწყენილობისგან სული მიგდის და მუშაობა მოგენატრა. ასე არ არის?.. კარგად გიცნობ და ვიცი შენი ამბავი. კარგი ჟურნალისტი ხარ და ყოველთვის ერთი სული გაქვს, დამაინტრიგებელ თემას დროზე ჩაავლო ხელი. ხომ მართალი ვარ?

— არც იოცნებო! — გამაღიზიანა მისმა შორიდან შემოვლამ.

მან კი, ვითომც აქ არაფერიო, არხეინად გააგრძელა:

— ნამდვილი სენსაცია მაქვს შენთვის, თანაც — პირდაპირ შენს ცხვირწინაა, რომ იცოდე! — თქვა და შეგნებულად გაწელა პაუზა.

რა ეშმაკია! იცის ჩემი სუსტი წერტილი. კარგა ხანს ვიკავებდი თავს, არ მეკითხა, რა ხდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— აღარ მეტყვი, რა არის ამისთანა?

— კახი ანდრონიკაშვილია ჩამოსული. იქ ისვენებს, ქობულეთში, აგარაკი აქვს.

— მერე რა?! — ჩავიბუზღუნე. — დიდი ამბავი! რა არის ამაში სასენსაციო?

— გოგო, ვერ ხვდები, რაზე გელაპარაკები?! ის ცნობილი მწერალია, ხომ არ დაგავიწყდა?! ამასთან, არასდროს ურთიერთობს არც პრესასთან და არც ტელევიზიასთან.

— ვიცი.

— მაგრამ შენ მთავარი არ იცი. თან ჩვილი ბავშვი ჰყავს ჩამოყვანილი. ჯული მარგველაშვილის შვილიაო, ამბობენ. ეს ამბავი ჯერ არავინ იცის, ჩემ გარდა. სანამ სხვებს გაუგიათ, რაღაც უნდა ვქნათ.

— შენ საიდან გაიგე? — ახლა კი დავინტერესდი.

— სარწმუნო წყაროებიდან.

— დარწმუნებული ხარ, რომ შენი წყარო სანდოა?

— სრულებით! ხომ იცი, რომ ასეა, რას მევაჭრები?!

— თვითონ ჩამოიყვანა ბავშვი?

— არა, ამ დილით მიუყვანეს ვიღაც ტიპებმა, ქალი ახლდათ თან, მაგარი ქალი.

— ოოო! ეგ უკვე საინტერესოაა.

— აბა, რას გეუბნებოდი?!

ბოლო ხანებში ჯული მარგველაშვილზე ერთი ამბავი იყო ატეხილი. ეს ულამაზესი და უნიჭიერესი მსახიობი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდა, ძნელი მოსახელთებელი იყო. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ავტოკატასტროფაში მოყვა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ათი თვის წინ მან ბავშვი გააჩინა და მამის გვარი არ მისცა. არც ის განუმარტა ჟურნალისტებს, თუ ვინ იყო მისი ქალიშვილის მამა. ამან უამრავი ჭორი ააგორა და ქართულ პრესას კარგი საკბილო გაუჩინა. კვირა არ გავიდოდა, ახალი ამბავი არ დაწერილიყო მასზე ამა თუ იმ გაზეთსა და ჟურნალში. ყველაზე ხშირად ორი მამაკაცის გვარი ფიგურირებდა — ცნობილი დიპლომატის, გოგი ხერხეულიძის და მწერალ კახი ანდრონიკაშვილის, მაგრამ რომელი იყო მათ შორის ნამდვილი მამა, ჯერაც ვერავის გაერკვია. გოგის რა მოგახსენოთ, მაგრამ კახი იმდენად სიმპათიური იყო ფოტოებზე, ნამდვილად იწვევდა ინტერესს. მაგრამ მასთან მიახლოება ძალიან რთული აღმოჩნდა. ჟურნალისტებს ახლოსაც არ იკარებდა. 37 წლის მწერალი ყოველთვის შავი ჭირივით უფრთხოდა პრესასა და ტელევიზიას, ტელეფონითაც კი არ იძლეოდა კომენტარს, მიუხედავად იმისა, რომ მისი რომანები საქვეყნოდ იყო ცნობილი. რამდენიმე ნაწარმოები გერმანულადაც ითარგმნა და დრეზდენში გამოიცა. კახი რამდენჯერმე დააფიქსირეს ჯულისთან ერთად გერმანიაში და ალბათ აქედან აგორდა ჭორიც. ერთ-ერთ გამოცემაში ფოტოც კი დაბეჭდეს, სადაც ისინი ბარში სხედან და რაღაცაზე გაცხარებით კამათობენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-52

მარი ჯაფარიძე

ექიმს სახეზე შიში დაეტყო. შემდეგ მანქანის სალონს თვალი მოავლო და როდესაც მიხვდა, რომ იქ ანას მეტი არავინ იყო, ცოტათი დამშვიდდა.

— სად მივდივართ? — ჰკითხა ცოტა გულმობრუნებულმა.

— ქალაქგარეთ გავისეირნებთ და თუ კარგად მოიქცევით, უკან დავბრუნდებით, თუ არა და, მაშინ მარტოს მომიწევს დაბრუნება, — ღიმილი არ მოშორებია სახიდან ანას.

— რა გვინდა ქალაქგარეთ? — ალბათ უფრო სიჩუმის შესავსებად იკითხა ემზარმა.

— მე მგონი, ხვდებით, რაც გვინდა.

— არა, ვერ ვხვდები.

ანამ ბოლო ფრაზა უპასუხიდ დატოვა. გზას ყურადღებით აკვირდებოდა. გეზი დასავლეთისკენ ჰქონდა აღებული, მაგრამ როგორც კი მცხეთაში, ნარეკვავს გასცდნენ, დუშეთისკენ გადაუხვია...

მამაკაცი ხმას აღარ იღებდა, მაგრამ ქვედა ტუჩს ისე ნერვულად იკვნეტდა, რომ აშკარა იყო, დაძაბული იჯდა.

გზაზე მანქანები აღარ მოძრაობდნენ. მხოლოდ კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა თითო-ოროლა. ცოტა ხანში ანამ მარჯვნივ გადაუხვია, ცენტრალური გზიდან გადავიდა და ჯერ პატარა ტყე გაიარა, შემდეგ უკაცრიელ მინდორზე გავიდა, მანქანა ერთადერთი ხის ქვეშ გააჩერა და ფარები გამორთო. უკუნი სიბნელე ჩამოწვა. შემდეგ, თვალი სიბნელეს რომ ცოტა შეეჩვია, მანქანიდან გადმოვიდა, წინიდან შემოუარა, მამაკაცს კარი გაუღო და გარეთ გადმოიპატიჟა.

ექიმი შეშინებული აცეცებდა თვალებს.

— გადმობრძანდით, გადმობრძანდით. იმედია, სიბნელის არ გეშინიათ. თქვენ ხომ მშიშარა მამაკაცების რიგს არ მიეკუთვნებით?! მაშინ ხომ არ შეგშინებიათ ჩემი, როდესაც ჩემს უდროოდ დაბადებულ გოგონას აშვილებდით! არც მაშინ შეგშინებიათ, როდესაც პირველად მოვედი თქვენთან შვილის ამბის გასაგებად... თავი ვაჟკაცურად გეჭირათ და უარყოფდით ამ საქმესთან რაიმე კავშირს... ასე არაა?! ახლა კი მგონი, ცოტა დამფრთხალი ხართ. ექიმო, აბა, შემომხედეთ, ნუთუ ფიქრობთ, რომ მე, ამ გამხდარმა და ნაზმა არსებამ, შემიძლია, რაიმე ზიანი მოგაყენოთ?! — ანამ პაუზა გააკეთა. როგორც ჩანს, მისმა ბოლო სიტყვებმა მამაკაცს იმედი ჩაუსახა.

— ახლავე პოლიციას გამოვიძახებ, — ჯიბიდან მობილური ამოიღო და ის-ის იყო, ნომერი უნდა აეკრიბა, რომ ანამ ტელეფონი ხელიდან ისე უცებ აართვა, ემზარმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო.

ქალმა ტელეფონი მშვიდად დაშალა, ელემენტი ამოაცალა, გადააგდო, აპარატი ისევ ააწყო და პატრონს დაუბრუნა.

— გადმოდი, — და თავი გადააქნია.

მამაკაცი ზლაზვნით გადმოვიდა. ანამ ხესთან ზურგით დააყენა და თვითონ ისე ახლოს დაუდგა, რომ მისი გახშირებული სუნთქვაც კი ესმოდა. თვალებში უყურებდა და მზერით ბურღავდა.

— აბა, ახლა როგორ მოვიქცეთ? თოკი გადმოვიღო მანქანიდან, ხეზე მიგაბა და ისე აგალაპარაკო თუ კეთილს ინებებ და თავად ალაპარაკდები?

— მე სათქმელი არაფერი მაქვს, — სუნთქვაშეკრულმა ძლივს წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა...

— კარგი, ალბათ ახლა გულში ხითხითებ კიდეც, არა? შენ ალბათ არ იცი, რომ მე თუ შვილი ვერ ვიპოვე, ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებ... არც ის იცი, რომ ამერიკის მოქალაქე ვარ და ამ დილით, გამთენიისას შემიძლია, უკვე თვითმფრინავში ვიჯდე და აქედან მივდიოდე. არც ის იცი, რომ ორგზის ქვრივი ვარ და ორივე ქმარი მე გამოვასალმე სიცოცხლეს... მეორე მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მილიონები დამრჩენოდა, — ანამ ტყუილების გუდას მოხსნა პირი, მამაკაცი რომ შეეშინებინა. — ამიტომ, იცი, რა იოლია ჩემთვის, ახლა, აი, ამას... — ანამ ქამრიდან წინასწარ მომზადებული პისტოლეტი ამოიღო და მუცელზე მიადო. — თითი გამოვკრა, სული გაგაფრთხობინო და დაუსჯელი დავრჩე!..

მამაკაცმა ღიპი „შეისუნთქა“; სუნთქვა აგონიაში მყოფივით გახშირებოდა.

— მომიყევი ყველაფერი, რაც იცი, შენთვის ასე აჯობებს...

— მმმე... ჩჩემთან მოვიდა ვიღაც სვანი და მითხრა, რომ თქვენი შვილი უნდა გაგვეშვილებინა ისე, რომ თქვენ არ გცოდნოდათ, — როგორც იქნა, ალაპარაკდა ემზარი...

— აჰა... ეს უკვე კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, გონზე მოხვედი. მიდი, დაჯექი მანქანაში და იქ გავაგრძელოთ, — ანამ ხელი მსუბუქად წაჰკრა და ისიც მაშინვე, დამჯერი ბავშვივით მოთავსდა სავარძელზე.

— რატომ მაიძულებ, ისეთი რამ გავაკეთო, რაც მე თვითონ არ მსიამოვნებს? — ჰკითხა ანამ მას შემდეგ, რაც თვითონაც საჭესთან დაჯდა და ყველა კარი ერთი ღილაკით საიმედოდ ჩაკეტა. — მერე?

— მე უარზე ვიყავი, — ცოტა გულდამშვიდებულმა ექიმმა ლაპარაკი განაგრძო, თუმცა ეტყობოდა, რომ ისევ ღელავდა, — მაგრამ ეგ თქვენი სვანი არ მომეშვა. დამემუქრა და მეც იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი.

— ეგენი არ მაინტერესებს. შენ ის მითხარი, ვინ წაიყვანა ჩემი შვილი.

— მე ხელწერილი მაქვს დადებული, რომ ამ საიდუმლოს არ გავთქვამ.

— თქვი! — ღამის იყვირა ქალმა.

— გუშინწინ, თქვენ რომ მოხვედით, ამოვქექე საბუთები და შემიძლია, იმ ადამიანის სახელი და გვარი გითხრათ, ვინც სამშობიაროდან ბავშვი გაიყვანა. მე მეტი არაფერი ვიცი.

ანას ხმა აღარ ამოუღია. მდუმარედ მისჩერებოდა და ელოდა, როდის დაასრულებდა ლაპარაკს.

— ბავშვი გაიყვანა შუახნის ქალბატონმა, თამარ კევლიშვილმა; როგორც მახსოვს, ეს ქალი რუსთაველი იყო. სულ ესაა, რაც ვიცი.

— მერე, ამის თქმას ამდენი აურზაური რად უნდოდა?! გეთქვა და შენც მშვიდად იქნებოდი და მეც. რა თანხა გადაგიხადეს ამ საქმეში?

— ფული მხოლოდ მათ გადაიხადეს, ვინც ბავშვი წაიყვანა. თქვენს ნათესავს არაფერი მოუცია.

— ააა, ე.ი. ჩვენ ვალში ვართ, არა?.. მაინც, რამდენი გადაიხადეს? მინდა, ვიცოდე, რა ღირს ჩემი შვილი, რომ თუ საჭირო გახდება, ეგ თანხა უკან მივცე.

— 3.000 დოლარი.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა ანამ და მანქანა დაძრა, — ახლა თბილისში დავბრუნდებით. შენ იქ დაგაბრუნებ, საიდანაც წამოგიყვანე და იმედი მექნება, რომ კრინტს არავისთან დაძრავ იმის შესახებ, რაც აქ მოხდა. თუ ასე არ მოიქცევი, აი, ამ ჩანაწერს, — ანამ ჯიბიდან პატარა დიქტოფონი ამოაძვრინა, — სადაც საჭიროა, იქ წარვადგენ და ვნახოთ მერე, ვის რა მოელის.

მამაკაცი, უარყოფის ნიშნად, მხოლოდ თავს იქნევდა.

— მეც იმედი მაქვს, რომ არ გაამხელთ, ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ, — თქვა ბოლოს...

ანა შინ გამთენიისას მივიდა. კმაყოფილი იყო გასული დღით. გულში შიში მაინც კი შეეპარა, — ვაითუ, ამ ექიმს პოლიციაში განეცხადებინა ყველაფერი და ანასთვის პრობლემები შეექმნა?! თუმცა ანას ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა — პრობლემებზე ფიქრს გულს არ აჭმევინებდა, ცოტა ხანს იდარდებდა და მერე ხელს ჩაიქნევდა ხოლმე, — რაც მოსახდენია, მოხდესო, — და ივიწყებდა. ახლაც ასე მოიქცა და გულზე მოეშვა.

კარი თავისი გასაღებით გააღო და შინ ფეხაკრეფით შეიპარა. მაგრამ არც ნინოს და არც დედას არ ეძინა.

— სად იყავი? — ერთხმად ჰკითხეს.

— კარგი, რაა, რა პატარა ბავშვივით მდარაჯობთ! საქმეზე ვიყავი.

— კი, მაგრამ რომელი საქმე კეთდება შუაღამისას?

— მორჩა, მეძინება, კითხვებზე პასუხს ხვალ გაგცემთ, — ხელი აიქნია ანამ და საძინებლისკენ გაეშურა.

დილით ადრიანად გაეღვიძა და თვალი გაახილა თუ არა, პირველი, რაც იგრძნო, შიმშილი იყო. წინადღეს ჭამა არც გახსენებია. ფეხშიშველი, პიჟამათი გატანტალდა სამზარეულოსკენ. ყავა მოიმზადა, შემდეგ მაცივარი გამოაღო, ძეხვისა და ყველის ბუტერბროდები გაიკეთა, ალუბლის წვენი დაისხა, ყველაფერი ლანგარზე დააწყო და თავისი ოთახისკენ წავიდა: გადაწყვიტა, საწოლში ესაუზმა. რაც თბილისში დაბრუნდა, მას შემდეგ საწოლში საუზმე არავის მოურთმევია და თვითონაც არ გახსენებია, რომ დიდი ხანია, ეს ჩვევა ჰქონდა. ახლა კი რატომღაც, მოუნდა.

მისაღებში თმაგაწეწილ ნინოს გადაეყარა, რომელიც მთქნარებით გამოვიდა თავისი ოთახიდან.

— სამსახურში მიდიხარ?

— ჰო, — უპასუხა ნინომ.

ანა საწოლზე „აბარგდა“, ბალიშს ზურგით მიეყრდნო, ლანგარი ტუმბოდან აიღო და მუხლებზე დაიდო. შემდეგ ყავა მოსვა და ბუტერბროდი ჩაკბიჩა. ირგვლივ მიმოიხედა, თვალით პულტს ეძებდა, რომელიც ტელევიზორის თავზე აღმოაჩინა. იქვე დადებულ ტელეფონს მისწვდა და ნინოს ნომერი აკრიბა.

— რა იყო, უკვე წახვედი თუ საძინებლიდან მირეკავ? — ჰკითხა გაოცებულმა დამ.

— შემო, რა, ერთი წუთით.

ნინო მაშინვე მასთან გაჩნდა.

— იცი, ცხოვრებაში ყველაზე დიდი საშინელება რა არის? — სერიოზული სახით ჰკითხა ანამ.

— რა? — შეშფოთება დაეტყო სახეზე ნინოს.

— რა და, როცა საწოლში გემრიელად და მოხერხებულად მოეწყობი, საუზმეც მზად გაქვს, მომდევნო ნახევარი საათის მშვიდად გატარებას აპირებ და აღმოაჩენ, რომ დაგავიწყდა, ტელევიზორის პულტი აგეღო...

— ამისთვის დამიძახე? — გაიღიმა ნინომ.

— ჰო. მომაწოდე, რა, ტელევიზორზე დევს...

ნინომ პულტი მიუტანა და საწოლზე ჩამოუჯდა.

— გუშინდელი ამბების შესახებ ლაპარაკი არ გინდოდა? — ჰკითხა შემდეგ.

— ნი, რამდენიმე დღე მჭირდება და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები. ხომ იცი, შენზე უფრო ახალო მეგობარი არავინ მყავს. უბრალოდ, ჯერ არ მინდა რამის თქმა. არ მინდა, შარში გაგხვიო.

— გოგო, შარიან ამბებს თავი დაანებე! — შუბლი შეკრა ნინომ.

— მოდი, მაკოცე და საქმეს მიხედე. ყველაფერი კარგად იქნება, — ლოყა მიუშვირა ანამ და აწკრიალებული ტელეფონი აიღო.

გიორგი ნიჟარაძე რეკავდა და ანას თავისთან, ოფისში მისვლას სთხოვდა. შეთანხმდნენ, რომ 2 საათში შეხვდებოდნენ.

ანამ თავისი საყვარელი, ტანზე მომდგარი, მუხლამდე სიგრძის, წითელი, დეკოლტირებული კაბა ჩაიცვა, წელზე შავი, წვრილი ქამარი შემოირტყა, შავი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მოირგო, შავი, გრძელი მძივი, ამავე ფერის საყურე და სამაჯური გაიკეთა და სარკეში საკუთარი თავი კმაყოფილმა შეათვალიერა.

შემოსასვლელ კართან დაგებულ ოთხკუთხა ნოხზე კვლავ ვარდების თაიგული დახვდა.

—ნინოო! — გასძახა დას. — ეს შეიტანე, რაა, — თაიგული მიაწოდა.

— მე მგონი, მალე ადგილი არ გვექნება, რომ ყვავილები დავალაგოთ. შენი კავალერი, როგორც ჩანს, ყოველ დილით აპირებს თაიგულის დატოვებას.

— დღეს ვეტყვი, რომ აღარ შეწუხდეს, — ხელი ჩაიქნია და კიბეზე დაეშვა.

ანამ დირექტორის მისაღების კარი ფრთხილად შეაღო. მდივანი ახალგაზრდა გოგონა იყო და ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც „კლასიკურ“ მდივანს შეეფერება: ქერათმიანი, დიდი მკერდით, გრძელი ფეხებით, „შეღებილი“ და მედიდური გამომეტყველებით.

— გამარჯობა, — მიესალმა ანა და კაბინეტისკენ გაემართა.

— მოითმინეთ, არ შეხვიდეთ, — წამოდგა მდივანი.

— რატომ? — წარბები აზიდა ანამ.

— არ სცალია...

— ჩემთვის სცალია, — უკან არ დაიხია.

— არ სცალია-მეთქი, — კატეგორიული ტონით გაიმეორა მდივანმა, — თათბირი აქვს.

— როგორც ჩანს, გიორგი ნიჟარაძე საიმედო ხელშია, — ჩაიცინა ანამ და იქვე, სკამზე ჩამოჯდა თუ არა, მაშინვე მისაღებში ტელეფონი აწკრიალდა. მდივანმა მოკლე პასუხები გასცა, შემდეგ ანას მიუბრუნდა და ცხვირაბზუებულმა უთხრა:

— თქვენ გიკითხათ, შებრძანდით.

— გმადლობთ.

კაბინეტში, გიორგის გარდა, რამდენიმე მამაკაცი დახვდა. ყველამ მისკენ მიიხედა. რამდენიმე წყვილი თვალი შემფასებელი მზერით უყურებდა. ანა კართან გაჩერდა და დამსწრეთ საშუალება მისცა, ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინათ.

— მოდი, ანა, მოდი, — გიორგი წამოდგა, ანა გადაკოცნა და სკამი გამოუწია.

— ჩვენ თავისუფლები ვართ? — იკითხა ერთ-ერთმა მამაკაცმა.

— კი, — თავი დაუქნია დირექტორმა, შემდეგ ღილაკს ხელი დააჭირა და მდივანს ყავის მომზადება სთხოვა.

— რაო, ნახე? — მიუბრუნდა ქალს.

— „იმას“ გულისხმობ?.. კი, ვნახე.

— მოგეწონა?

— ძალიან ლამაზი თაიგულია და დიდი მადლობა, მაგრამ ნუღარ შეწუხდები, არაა საჭირო.

— რა არაა საჭირო? — გაუკვირდა გიორგის.

— ყვავილების გამოგზავნა. გუშინაც მივიღე შენგან თაიგული და დღესაც...

— თაიგული? ჩემგან? — სახეზე გულწრფელი გაოცება გამოესახა მამაკაცს. — არა, ანა, როგორც ჩანს, ვიღაც ინკოგნიტო თაყვანისმცემელი გიგზავნის. მე მარ-

თლა არ გამომიგზავნია. ჯერ ერთი, შენი მისამართიც არ ვიცი...

— ჰმ, მე კი მეგონა, შენ გამოიდე თავი. აბა, რაზე მკითხე, ნახე თუ არაო?

— რაზეც შენ შინ მეწვიე გუშინწინ, იმაზე.

— ა-ა. კი, ეგ კი მართლა, ძალიან მომეწონა: 5,45-კალიბრიანი, მცირე-გაბარიტული „ვალტერია“, საბრძოლო სიჩქარე — 30 გასროლა წუთში, მჭიდში 8 ტყვია ჩადის, საუკეთესო სასროლი მანძილი — 50 მეტრი, — ჩამოარაკრაკა ქალმა, — საუკეთესო ვარიანტია ჩემთვის.

— ოჰო, შენ ამ სფეროში კარგად ერკვევი, როგორც ჩანს, — გაეცინა გიორგის.

— მეტ-ნაკლებად, — გაიღიმა ანამ, — მაგის საკითხავად დამიბარე?

— კი არ დაგიბარე, გთხოვე, რომ მოსულიყავი. საქმიანი წინადადება მაქვს.

ამ დროს მდივანმა ლანგარზე დადებული ყავა შემოიტანა და უკმაყოფილო სახით დაუდგა წინ ჯერ გიორგის, შემდეგ — ანას; მერე ოთახი ზლაზვნით დატოვა.

— ლამაზი მდივანი გყავს, მომეწონა. შენი კაბინეტის კარს კი ერთგული ნაგაზივით იცავს.

მამაკაცმა ჩაიცინა და ანას კომენტარი უპასუხოდ დატოვა.

— გისმენ, რა გინდოდა?

— ანა, როგორც მივხვდი, მდიდარი ქალი ხარ.

— ჰო, შეიძლება, ასე ითქვას, — ღიმილით დაუქნია თავი.

— ჩემი ფირმა სამშენებელო მასალებს აწარმოებს, უცხოეთიდანაც შემოაქვს და სამშენებლო სამუშაოებსაც ასრულებს.

— მერე?

— მერე ის, რომ ახლა შესანიშნავი ვარიანტი გამოჩნდა: შესაძლებელია, პოლონეთში აუქციონზე პენოპლასტის ქარხანა გაიყიდოს და იმის შესაძლებლობაც არსებობს, რომ ვიდრე აუქციონზე გაიტანენ, იაფად ჩავიგდოთ ხელში.

— იაფი ალბათ იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე მილიონზეა ლაპარაკი.

— დიახ, 25 მილიონზე. წარმოება გაკოტრებულია და მეპატრონეს მისი გაყიდვა ურჩევნია: სახელმწიფო ვალს დაფარავს და თვითონაც დარჩება ცოტაოდენი თანხა.

— სანაცვლოდ რას ითხოვს? მხოლოდ „კაპიკებად“ გაყიდვაზეა თანახმა?

— არა, აქციების 2% უნდა დარჩეს.

— ეს თანხა მთლიანად მე უნდა გადავიხადო თუ წილს მთავაზობ?

— მე გთავაზობ, რომ სამი მეხუთედი ანუ 15 მილონი გადაიხადო და აქციების 49% მიიღო. სამაგიეროდ, ჩემი ბიზნესის წილსაც გთავაზობ.

— თუ სწორად მივხვდი, პენოპლასტის ქარხნის აქციების 49% ჩემი იქნება, ამდენივე — შენი და 2% — ძველი მეპატრონის. ამასთან, შენი ბიზნესის მოწილეც ვიქნები.

— ზუსტად ასეა. თანაც, მინდა გითხრა, რომ ამიერკავკასიაში პენოპლასტის ქარხანა არ არსებობს. მხოლოდ რუსეთშია.

— შენი ბიზნესი მომგებიანია? შეგიძლია, ბუღალტერიაში ჩამახედო?

— თუ ამ საკითხზე შევთანხმდებით და თანახმა იქნები, ფული ამ საქმეში დააბანდო, მაშინ მზად ვარ, შენს ნდობით აღჭურვილ პირს ყველა საჭირო საბუთი წარვუდგინო. გყავს ვინმე, ვინც ამ საკითხში ერკვევა?

— კი, ჩემი და. ბუღალტერიაში „მგელია“.

— როდის მეტყვი პასუხს?

— ხვალ ჩემი და მოვა თქვენთან და საქმეში გაერკვევა, მაგრამ ერთი პირობა კიდევ მექნება.

— გისმენ.

— მართვის სტრუქტურა როგორია?

— ფირმას ჰყავს პრეზიდენტი ანუ — მე და დირექტორთა საბჭო ანუ ის 5 მამაკაცი, რომელიც წეღან აქ იხილე.

— თუ შევთანხმდებით, რომ ამ საქმეში შემოვალ, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაც უნდა მომცე.

— კარგი, — მცირედი დაფიქრების შემდეგ უთხრა გიორგიმ. — როგორ ფიქრობ — გამოგვივა თანამშრომლობა?

— არ ვიცი, დავფიქრდები. ფული მაქვს, მაგრამ ახლა გავლენა და ძალაუფლება მჭირდება. როგორ მივაღწევ ამას, არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად უნდა მივაღწიო. თუმცა არ გეგონოს, იმდენი არ მესმოდეს, რომ ფირმის ვიცე-პრეზიდენტობა ამ ძალაუფლებასა და გავლენას ვერ მომცემს. უბრალოდ, მინდა, აქ ჩემი ადგილი მქონდეს და შენს კაბინეტში შემოსასვლელად რიგში არ ვიდგე.

— ეჭვიანობ?.. — გაიღიმა მამაკაცმა.

— მე მგონი, ის უფრო ეჭვიანობს, — ცერა თითით ანიშნა კარისკენ.

— კარგი, კარგი, — გულიანად გაიცინა გიორგიმ, — როგორც ვატყობ, აქ შენი გამოჩენა ბევრ საინტერესო მოვლენას გამოიწვევს. ჩემთვის კი ბრძოლა არ მოგიწევს: ხომ იცი, ყოველთვის მზად ვარ, შენს ფერხთით ვიხილო ჩემი თავი.

— არა, ამას ჩემი გული ვერ გაუძლებს. იმაზეც მოგვიწევს შეთანხმება, რომ მე და შენ მხოლოდ საქმიანი პარტნიორები ვიქნებით, არავითარი ფლირტი და „სიყვარულობანა“!

— ისე რომ მოხდეს, რომ შენ თვითონ მოისურვო ჩემთან „სიყვარულობანა“, მერე რა ვქნათ?

— გიო, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, როცა მოვისურვებ, კარგი?

— კარგი. ამ საღამოს ჩემთან სახლში რამდენიმე ახლობელი ვიკრიბებით. ცოტა საქმეზე სალაპარაკოდ, ცოტა — გასართობად... თუ მოხვალ, გამიხარდება. არა, თუ მოხვალ კი არა, აუცილებლად უნდა მოხვიდე... მომავალ პარტნიორებსაც გაგაცნობ, ბევრ საინტერესო ინფორმაციასაც მიიღებ.

— კარგი, წავედი, უამრავი საქმე მაქვს, — ანა წამოდგა.

— 8 საათზე გელოდები, არ დააგვიანო, — უკვე კართან დააწია ბოლო სიტყვები.

ანა გიორგისგან პირდაპირ რუსთავში წავიდა და შეეცადა, ვინმე თამარ კევლიშვილის ვინაობა და მისამართი დაედგინა. ხელმოსაჭიდი და დამაიმედებელი ვერაფერი გაიგო... მერე ცოტა ხნით დავითს შეუარა და წინა ღამის ამბები მოახსენა. დავითმა საყვედურებით აავსო, მაგრამ ისიც შეგუებული იყო ანას უცნაურ ქცევას და ბოლოს ხელი ჩაიქნია, — მაინც ვერაფერს შეგასმენო...

მერე ანამ ახალი ბიზნესწინადადება გააცნო და დავითს აზრი ჰკითხა.

— სწორად მოიქეცი, რომ მაშინვე არ დათანხმდი. ვიცნობ მაგ გიორგის. საკმაოდ კარგი სახელი აქვს, წარსულში „ძველი ბიჭი“ იყო და კაცურ სახელს არც ახლა შეირცხვენს. უმალ საქმეს დაუზარალებს, მაგრამ სახელსა და ვაჟკაცობას ჩირქს არ მოსცხებს. ეს ყველამ იცის. ასე რომ, არა მგონია, თაღლითობდეს და შენთვის ტყავის გაძრობას ცდილობდეს. მაინც კარგად დაფიქრდი. თუ გინდა, მეც შევხვდები, შენთან ერთად, და მერე გადაწყვიტე...

ზუსტად 8 საათზე ანა გიორგის სახლის კართან იდგა.

კარი მარომ გაუღო.

— ვაა, ანა, მოხვედი?! მეგონა, ვერ მოახერხებდი, — გიორგის გულწრფელი სიხარული შეეტყო, — მოდი, ჩემს მეგობრებს გაგაცნობ.

ოთახში ბლომად ხალხი ირეოდა. ქალებიც იყვნენ, მაგრამ მამაკაცები სჭარბობდნენ.

— გაიცანით, ჩემი ძველი მეგობარი — ანა, — ხმამაღლა გამოაცხადა გიორგიმ.

ამის შემდეგ ამდენი უცხო სახე ერთმანეთში აირია. მამაკაცები ანას ხელს ართმევდნენ, სახელს ეუბნებოდნენ, თანმხლებ ქალბატონს აცნობდნენ...

უეცრად ანას მზერა ნაცნობ ნაკვთებს გადააწყდა, თუმცა უცებ ვერ გაიხსენა, სად ჰყავდა ეს ადამიანი ნანახი. სამიოდე წუთი საკმარისი აღმოჩნდა, რომ გონებას, ორიოდე კვირის წინ მომხდარი მოვლენა აღედგინა...

ანას თბილისის აეროპორტი და სამარცხვინო წაქცევა გაახსენდა... „ირაკლი... ეს ირაკლია, ის უცნაური მამაკაცი, წაქცეულს რომ თავზე წამომადგა და არ მშველოდა“, — გაიფიქრა და „ნაცნობ ნაკვთებს“ ანგარიშმიუცემლად გაუღიმა. მაგრამ მისი ღიმილი უპასუხოდ დარჩა, რადგან მამაკაცს ის არ შეუმჩნევია.

ანას ერთი ქალბატონი გამოელაპარაკა და დივანზე დაჯდომა შესთავაზა. ქალი რბილად დაეშვა და თვალით ისევ ირაკლი მოძებნა. ვეღარსად დალანდა... ირაკლი ისე უკვალოდ გამქრალიყო, რომ ქალმა იფიქრა, — ხომ არ მომეჩვენაო?..

— როგორ ბრძანდება მშვენიერი ქალბატონი? — ყურთან ჩაესმა ჩურჩულით ნათქვამი და მამაკაცის ცხელმა სუნთქვამ კისერზე ჩამოშლილი თმის კულულები შეურხია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო კარგებო. კიდევ ერთი წელი გადავაგორეთ და ამ წელში ბოლო „გზავნილების“ დროც დადგა. პრინციპში, ახლა რაღაც, შემაჯამებელი შესავალი უნდა გამეკეთებინა და დავიწყე კიდეც წერა, მაგრამ სახარბიელო ვერაფერი მოვიგონე. თავში მხოლოდ თქვენი ჩხუბი და გამიშვი-დამაკავე მომდიოდა... ჰოდა, ამ ახალი წლის დღეს გუნებას ხომ არ გაგიფუჭებდით? დავანებებ თავს „შეჯამებას“ და „გრანდიოზული“ შესავლის წერას და პირდაპირ მესიჯებზე გადავალ (შეგრცხვეთ, გუნება რომ გამიფუჭეთ).

ყველაზე მხიარული ახალი წელი

მემკვიდრე, სმის დარგში

„შარშანდელი ახალი წელი გამორჩეული იყო ჩემთვის. მე, როგორც „ფეხგანთქმული“ მეკვლე, ბიძაშვილების ოჯახებს უცვლელად ვმეკვლეობ. მათი იმედები ჯერ არ გამიცრუებია და სულ ტყუპ-ტყუპად მრავლდებიან (ჩემი დამსახურებაა ვითომ?). შარშანაც „დატვირთული გრაფიკი“ მქონდა. 31-ში ულამაზესი თოვლი მოვიდა. ღამითვე გადავხედე განრიგს, ტკბილეულით დავიხუნძლე და გზას გავუდექი. მართალია, ყოველ 5 მეტრში თოვლის საფარს ვეხუტებოდი, მაგრამ იმ ღამით მაინც შევასრულე მისია და აურიამულებულ პატარებთან ერთად ნაძვის ხეს ლექსიც ვუთხარი. პირველში უთენია ატყდა გადაძახილები. ნათესავები რომ გავისტუმრეთ, მე და დაიკო დაქალთან წავედით. ეს ჩემი ფერია უკვე „ფორმაში“ იყო. ამიტომ, მისი ძმა „გვემსხვერპლა“ მამაჩემის ღირსეულ მემკვიდრეებს, სმის დარგში (ნუ, მე რა, ჩემს დას). სანამ ჩვენ ვქეიფობდით, ჩემი დაქალი გარეთ გაბანცალდა, მეზობლები უნდა დავთვალოო. მერე შემობრუნდა და 3 წრე შემოგვიარა თეფშებით. მაგიდას ვერ უმიზნებდა, რომ დაეწყო. :) მე და დაიკო მასპინძელმა გაგვაცილა. გაგვაცილა რა, აქეთ-იქიდან ვედექით ჩვენ და ისე მიგვყავდა, მაგრამ შინ მისულები კი ჩავეხუტეთ ბალიშებს. საღამოს ყელში კოცნით გამაღვიძა მამიკომ. ნაბახუსევი ასულებისთვის ხილი მოერთმია. სამწუხაროდ, 1-ელი იანვარი მთელ წელში ერთადერთი ბედნიერი დღე აღმოჩნდა. პირველად გამიცრუვდა იმედები, 2009-მ არც ერთი ახდენილი ოცნება არ მაჩუქა. ამ წლის ერთადერთი ნათელი სხივი ჩემი პროვინციელი ლამაზმანი, კუდრაჭა ელექტრაა, რომელმაც ტკივილიანი დღეები გამილამაზა. გმადლობ, სიხარულო. ყველას გილოცავთ ახალ წელს! თქვენი პარიჟანკა“.

ცრურწმენამ გაამართლა

„ახალი წელი რომ წარამარა მოდის, ალბათ დამეთანხმებით ამაში. ეს წელი ჯერ გასული არ გგონია და უკვე ახალი მოდის. მეც შევუდექი საახალწლო მზადებას და ვარ ერთ გაწამაწიაში. როგორც იქნა, 12-ის ნახევრამდე ყველა საქმეს მოვრჩი და სადღესასწაულო სუფრაც გავშალე. გაგონილი მქონდა, რომ თუ გინდა, ახალმა წელმა ბედნიერება მოგიტანოს, საათი 12-ს სანამ ჩამოჰკრავს, მაგიდის ქვეშ უნდა შეძვრეო (თქვენ არ იცოდით?). ჰოდა, ეს 176 სმ სიმაღლის გოგო შევძვერი მაგიდის ქვეშ და ჩემი ამავე სიმაღლის და-ძმაც თან შევიყოლე. ნუ, რა თქმა უნდა, მაშხალების გასროლა დავაგვიანეთ, მაგრამ ისე მოგვეწონა მაგიდის ქვეშ, რომ ვახშამი მაგიდიდან ჩამოვალაგეთ და ქვეშ შევალაგეთ. დავიდგით კახური ღვინით სავსე დოქი და დილამდე ჰარი-ჰარალე ვიძახეთ. დილით დედამ სუფრა კი არა, იატაკი აალაგა და დარწმუნდა იმაში, რომ სამი შვილიდან სამივე გადარეული ჰყავს. ასე ვაქეიფე ჩემი და-ძმა ახალ წელს მაგიდის ქვეშ. ჰო, მართლა, იმ წელს გავბედნიერდი და მართლა ახალ წელს მაგიდის ქვეშ ჯდომის ბრალი იყო თუ არა, არ ვიცი. არ გინდათ, თქვენც სცადოთ? მატიტელა“.

ცეკვა „აფრები“

„იმ წელს აბიტურიენტი ვიყავი. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე დღით დამითხოვეს მასწავლებლებმა. 2-ში „სასტავი“ ჩავუსხედით, კაი გულიანად მოვულხინეთ და შუაღამისას გათიშული მთვრალები, სიმღერ-სიმღერით დავუყევით ქალაქის დათოვლილ ქუჩებს. უცებ უკნიდან ისეთი გაბმული სიგნალის ხმა მოგვესმა, რომ ჩვენი ბღავილი გადაფარა და წამიერად დაგვადუმა. ჩვენი ერთ-ერთი ძველი კლასელი იყო, ისიც კაი გათხლეშილი. ისე გადაგვეფსკვნა, ძლივს გამოგვწიწკნეს ხელიდან. მერე მაღაზიაში შამპანურები ვიყიდეთ და მერე იყო, რაც იყო... გათიშულ მთვრალს თოვლში და ყინვაში ლეილას „აფრებზე“ გიცეკვიათ? აუ, ბევრი დაგიკარგავთ, თუ არა, რაა... :) მერე კაი ხანი ერთმანეთს სიყვარული ვუფიცეთ და ვუმტკიცეთ, ცოტა ცრემლიც ვღვარეთ, მაგრამ მალევე დავიოკეთ ემოციები და ისე გამწარებულებმა დავუშინეთ ერთმანეთს გუნდები, მეორე დღეს ჩალურჯებულებმა გავიღვიძეთ. შემდეგ თოვლის ბაბუც წამოვჭიმეთ, უცხვირო, უთვალო, უპირო და უქუდო :) და გამთენიისას ისევ სიმღერ-სიმღერით გავუყევით სახლებისკენ მიმავალ ქუჩებს. დილით ისე ცუდად ვიყავი, თავი შიგნიდან მეფხანებოდა, მაგრამ ის ღამე მაგად მიღირდა, რა! ფეშენა“.

იმედგაცრუება

„ახალი წელი ტრადიციულად, მხიარულებასთან ასოცირდება. მიჭირს გამოვარჩიო ყველაზე განსაკუთრებული ახალი წელი. თუმცა, აღბათ იმ წელს გამოვარჩევდი, სანტას არარსებობაში რომ დავრწმუნდი. ეს იყო პეტერ... კი არა და, საბავშვო ბაღში, ზეიმზე. :) ზეიმის ბოლოს ტრადიციულად, ხმის ჩახლეჩამდე ვეძახეთ სანტას, რომელმაც, როგორც იქნა, დააყენა საშველი მოსვლას და ასაკისთვის შეუფერებელი სისწრაფით ამოირბინა კიბეზე. საჩუქრები რომ დაარიგა, ჩემი წილი კი გამოვართვი, მაგრამ „ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვგონია“ შეგრძნება დამეუფლა. :) თან თვალებზე რომ დავაკვირდი, ზუსტად ჩვენი ფიქრია მასწავლებლისნაირი თვალები ჰქონდა. აი, მაშინ პირველად გაიღვიძა ჩემში მიძინებულმა შერლოკ ჰოლმსმა და სანტას უკან დავედევნე. :) ის გარეთ გავიდა და ფიქრია მასწავლებლისნაირი სიგარეტი მოსწია. მანამდე კი წვერი მოიხსნა და... :) ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი ილუზიის ასე აშკარა დამსხვრევა... ეს ახალი წელი იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ პირველად არ დამჭირდა სანტასთვის „დასადკავება“. ვიცოდი, რომ არ არსებობდა და სანტად ხან ფიქრია მასწავლებელს ასაღებდნენ, ხან მამაჩემს და ხანაც, რა ვიცი, ვის. ჩუპი“.

„სკორი“

„ბათუმი განსხვავებული ქალაქია და აქ „სასწრაფოც“ ე.წ. „სკორი“, განსხვავებულად მუშაობს. ჯერ იყო და აკადემიაში ცუდად რომ გავხდი და გავაშვანშვალე ფეხები, „სკორმა“ ამხედა, დამხედა და ამ ბაღანას ლექციების გაცდენა უნდოდაო, — თქვა. ისემც გაუსკდათ თავები, რავარც მე გაცდენა მინდოდა. როგორღაც ეს ამბავი გადავიტანე და გამიხდა დაქალი ცუდად. ჯერ იყო და, სიცხე ვერ დავუწიეთ. ახლა ღამე იღვიძებდა, აანთებდა შუქს და „ლამპოჩკას“ ისეთი სახით უყურებდა, თითქოს ღვთისმშობელი გამოეცხადაო. 4 დღის ბრძოლის შემდეგ გამოვიძახეთ „სკორი“. პირველ მცდელობაზე უარი განაცხადეს მოსვლაზე. მეორედ, რავარც იყო, მოვიდნენ და ექიმმა ტრაგიკული სახით პლევრიტი დაუდგინა. გავაქანეთ მიმღებში და ის იყო, დაქალმა ანდერძზე დაიწყო ფიქრი, რომ გასინჯვის გარეშე დიაგნოზი დაუსვეს: აი ბაღანა შეყვარებულია და ნევროზი აქვსო. რენტგენმა პლევრიტი არ აჩვენა და გაგვიშვეს ინფექციურში. საწყალს, გადასხმა აჯახეს და დაქალი დაინტერესდა, ღორისგრიპიანები თუ გყავთო? აპა, შენ რა გჭირსო? გაოცებულმა თქვა ექიმმა. აი, მაშინ კი ვიგრძენი მუხლებში „გულის“ კაკუნი. მაგას თუ ღორის გრიპი აქვს, მე სულ ცოტა, გოჭის მაინც მექნება, რადგან მის გარეშე ვერ ვიძინებ და ძუნძგლიანი გოჭივით ზედ ვეკვრი. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა, ვენაში ნემსზე რეაქცია არ ჰქონდა, უკანალზე რომ უჩხვლიტეს, იმხელა იკივლა, ექთანი პალატიდან გარბოდა. ექიმს ვუთხარი, დიმედროლი დავალევინე-მეთქი და მიკივლა, კლავდი ბაღანასო? თან წვეთოვანში 5 გრამი დიმედროლი გაუშვა. არა, რაა... ბათუმში რომ პროფესიონალი ექიმები გვყავს, ნუ იტყვით... დარიგება: დიდი ტანის ადამიანებს 38 გრადუსი სიცხე არ სწყენთ. ასე რომ, ნუ შეგეშინდებათ, მხოლოდ ბევრი სითხე დალიეთ. არ გეგონოთ, ჩემით ვამბობდე. ასე მიპასუხა ერთ-ერთმა „სკორმა“. ასე ეგებება ახალ წელს შ.პ.ს. „სკორი“ და თუ მათი დახმარება დაგჭირდეთ, დიაგნოზი უცვლელია — პლევრიტი, რომელიც გადაიზრდება სიყვარულში და იწვევს ფსიქიკურ აშლილობას. სკარლეტ“.

აბა, გამოიცანი

„სექტემბრის ერთ ლამაზ საღამოს, სახემცინარი ციტრუსთა ასული გაუცინარ მზეთუნახავად ვიქეცი. საიდანღაც სულში ჩუმად ინდიფერენტულობის ავბედითი გრძნობა შემოპარულიყო. უკიდურესად შეშფოთებულ გულს გონება მიეშველა „მტერთან“ ბრძოლის ტაქტიკის შედგენაში და სტრატეგიაც გამოცხვა. კონსილიუმმა მტერს ენდორფინის რეცეპტი გამოუწერა და ასე დაიბადა (ალბათ ღმერთდალოცვილი) იდეა, გზაში განცხადების გაშვებისა. იმწამსვე დაიწერა ტექსტი, საკონტროლო გასროლის სადარი: „20 წლის, არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი გოგონა ვეძებ ინტელექტუალურ და გონებამახვილ ადამიანს, მხოლოდ დამეგობრების პერსპექტივით. უვიცებმა თავი შეიკავეთ, უცოდინარი საკუთარი თავიც მყოფნის“. გამოხმაურებების მესიჯთა უსასრულობისგან 2 „გატკიცინებული“ დასკვნა ამოვიღე ფესვად: ქართველ ერში თვითშეფასების მზარდი დონე და სიტყვათა არასწორი გაგების გასაოცარი უნარი. რაღა ბევრი მოგაწყინოთ და ინტელექტუალს ვინ ჩივის, გონებამხვილობისა და ჯენტლმენობის სრული ფიასკო მივიღე რევანშად. ჰმ... ირონია ბედისა, გავიფიქრე შედეგებით უკმაყოფილომ, რომ ასეთი მესიჯი მივიღე: „პროფილს უყურებ?“ (რელიგიური თემა იყო, მამა გაბრიელზე და სასწაულებზე). სადღაც, გულის კუნჭულში რაღაც აკიაფდა... მაგრამ მაინც არ აეწყო მესიჯობა. ჟარგონულად რომ ვთქვა, ვერ დავამუღამე და გულში „დელეტე“ მივეცი. :) ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემეხმიანა. რატომღაც „გზაზე“ ჩამოვარდა საუბარი და ჰოი, საოცრებავ, მგზავნელი აღმოჩნდა. ძველი და ყველასთვის ნაცნობი, მაგრამ ბოლო დროს გამქრალი. ვერც მგზავნილის სტატუსმა შეძლო „დელეტეს“ გაუქმება და საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს. გავიდა თვენახევარი. ხუთშაბათია, ღამის 10 საათი. „პროფილის“ დროა. თემა — მისი უწმინდესობა ილია იყო და დავუმესიჯე. საშინლად გაუკვირდა. ისე საშინლად, რომ გული მომივიდა საკუთარ თავზე და ბრაზით დავიქადნე: ვინც შენ აწი მოგწეროს-მეთქი და გულმოსულმა მივაგდე „მობილი“. კაი ხნის მერე დავხედე და გულს შემომეყარა, მისი მესიჯი რომ წავიკითხე. 25 წლის ძმა გარდამეცვალაო, თვისა და 10 დღის უკან... ნუ, ახლა რა გინდა, რომ მისწერო? ძლივს მოვაბოდიალე მესიჯები... სადღაა ჩემი რიხიანობა. ფაფუ... მოკლედ, შაბათი დღეა, საღამოს ლოცვაზე მივფართხალებ და ვეუბნები, გარდაცვლილის სახელი მითხარი, მოსახსენიებელში ჩავწერ-მეთქი. მკითხა სად ვიყავი და მეუბნება, გნახავო. კოჭებამდე კაბითა და სრულიად უმაკიაჟოდ არ გინდა, დაენახვო? არა-მეთქი, მოვუბოდიშე. კარგიო... 2 საათის მერე დამირეკა, დღეს თუ ვერა, მერე კაი ხანი ვერ განახავ, სად ხარ, მოვალო (პროვოკატორორ, ნუ). მეეთქი, გიჩვენებ სეიირს... ეკლესიაში მოდი-მეთქი. ვიფიქრე, ლოცვას მოუსმენს, ზეთს ვაცხებინებ-მეთქი და თქვენც არ მომიკვდეთ, ლოცვის ბოლოს მოვიდა... გაბრაზებულმა მეტრომდე სულ ფეხით ჩავაცუნცულე. ჯერ სიტყვა ვერ ამოვაღებინე — ტიტინი შენ უფრო გამოგდისო, მაგრამ მერე რომ დაიწყოო... იმდენი ვიცინე, ლამის ცუდად გავხდი. არ მჯერა, მგზავნელი რომ ხარ-მეთქი, ავუხირდი და მთელი გზავნილისტორია მოვაყოლე, ლამის. მჯერა ბოთ, ახლა მჯერა. დაგაინტერესათ, ვინ არის? არ გეტყვიით! „გზაში“ დაგვიბრუნდეს და თვითონ თქვას. გიოო, ჭიტაააა... ლიმონა“.

მავნე

„გახსოვთ ალბათ, ერთხელ რომ მოგიყევით, ახალ წელს საკლავი არ გვყავდა და ბიცოლამ ჭარხლის წვენი მოასხა ეზოში, ვითომ ღორი დავკალითო. ჰოდა, ასეთი მხიარული ახალი წელი მქონდა წინა წელსაც. მიუხედავად იმისა, რომ ახალ წელს „ხლაპუშკების“ ბათქა-ბუთქი დიდად არ მსიამოვნებს (მეშინია და იმიტომ), რატომღაც მე და ჩემმა ნათესავმა გოგონებმა ავიტეხეთ, რომ „ხლაპუშკები“ გვეყიდა. ფული დედას ვთხოვე, მაგრამ ტრადიციულად, გადამაგდო. იმედგაცრუებული ბებოს მივუბრუნდი და როცა იმანაც უარით გამომისტუმრა, ერთმა ბოროტულმა აზრმა გამიელვა თავში. პაპას ოთახში შევიპარე (ცოდვა გამხელილი სჯობს და ასე სხვა დროსაც მოვქცეულვარ), მის ძველისძველ ტელევიზორს, შნური გამოვაძრე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. სულმოუთქმელად ველოდი, როდის მიხმობდა ტელევიზორის გასაკეთებლად. ლოდინმა დიდხანს არც მომიწია, პაპამ საშველად მიხმო (ისე ვაფუჭებ, ჩემს მეტი ვერავინ აკეთებს ხოლმე). მეც ეშმაკური ღიმილით გავემართე მის დასახმარებლად და გულის სიღრმეში შემეცოდა კიდეც, ასე რომ მოვექეცი. ათი წუთი ვუჩხიკინე ტელევიზორს და ჩემი გაფუჭებული, ისევ მე გავაკეთე. იმანაც მადლობის ნიშნად 3 ლარი (დიდუ... რამდენია, ავშენდიი!) მომცა. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს, ფული გამოვართვი და ტრადიციულად, დავაიმედე, რომ მისი ანტიკვარი ტელევიზორი აღარ გაფუჭდებოდა. ეს ამბავი ჩემდა ჭირად ჩემს ნათესავებსაც ვუთხარი. მოკლედ, სულ სიცილ-ხარხარში შევეგებეთ ახალ წელს და „ხლაპუშკებიც“ კარგა ბლომად გვქონდა მოგროვებული. ავტეხეთ ბათქა-ბუთქი და ჩემი მამიდაშვილი დამემუქრა, პაპას შეუგდე ასაფეთქებელი, თორემ დაგაბეზღებ, ტელევიზორს შენ რომ უფუჭებო. აბა, ეს მინდოდა ახლა მე? თან საწყალ კაცს ეძინა, მაგრამ რა მექნა? ჰოდა, ავდექი და ზედიზედ ათი „ხლაპუშკა“ ვისროლე პაპას საწოლქვეშ. შეშინებული წამოვარდა და დაფეთე-

მოკლე ჩართვა

რას ვუსურვებდი საახალწლოდ შინაბერას?

• რას ვუსურვებდი საახალწლოდ შინაბერას? სანტას ფორმაში ჩაცმულ მაგარ ტიპჩოს, რომელიც სულ მასთან იქნება. ამაზე უკეთესს რას ინატრებენ? P.S. მე ახალი ვარ. მა-ნი.

• შინაბერას რა უნდა ვუსურვო, თუ არა — გათხოვება? ასე რომ, ყველა შინაბერას ჩემი მეზობლების ჩათვლით, გათხოვებას გისურვებთ, საახალწლოდ! ლუნა.

• მაგას რა კითხვა უნდა? რა თქმა უნდა, გათხოვებას. შინაბერას ამაზე სასურველი რაღა უნდა ვუსურვო? პრაქტიკას გავდიოდი ერთ-ერთ ფარმაცევტულ კომპანიაში და იქ 2 შინაბერა გვყავდა. ერთი იყო, როგორც უმეტესობას სჩვევია, ბუზღუნააა... სულ „ნიდავოლნი“ იყო. აი, მეორე კი თაფლი ქალი იყო, რად მინდა გათხოვება, ქმარს შევაჭმევინო ნერვებიო? P.S. ყველა მგზავნელი მიყვარხართ (ძნელად აღსაზრდელები არ ითვლებიან). ლალოლა.

• რას და, შამპანურის ბოთლიდან ამოვარდნილი საცობის თავში ძლიერ მოხვედრას. იქნებ ახლა მაინც გაინძრეს და მონახოს კაცი... მისტერ.

• რას ვუსურვებდი და გათხოვებას. :) გიო, მიყვარხააარ! ემო ანგელ.

• ისეთ თოვლის ბაბუს ვუსურვებ, საჩუქრად ბერბიჭობისთვის განწირულს რომ უსაჩუქრებს. :)

• ვუსურვებდი სიმპათიურ თოვლის პაპას. ლი ჰარვი ოსვალდი.

• შინაბერას? სექსუალურ სანტა კლაუსს ვუსურვებდი. :) კლეოპატრა.

• ვაიმეეე... რა უნდა ვუსურვო შინაბერებს, გათხოვების გარდა? არა, ისე შინაბერასაც გააჩნია. სატანა.

• შინაბერებზე არ უნდა გეთქვათ ასეთი რამ. მე პირადად მართლა მეცოდებიან, უშვილძიროდ რომ ატარებენ სიცოცხლეს. თან ისინი შეიძლება არ იმჩნევენ, მაგრამ ხომ განიცდიან? დარწმუნებული ვარ, „გზას“ ბევრი შინაბერაც კითხულობს და წარმოიდგინეთ, როგორ მოხვდებათ გულზე. თან ეს ისეთი კითხვაა, აუცილებლად მოვა სახუმარო და გასართობი პასუხები და ამას წაიკითხავენ ის გულნაკლული ქალბატონები. იმედია, ცუდად არ გამომივიდა, რაც ვთქვი. დიდ პატივს ვცემ ამ ჟურნალს და პირველი შემთხვევაა, ასე რომ მომხვდა რაღაც გულზე, ჩვენი უსაყვარლესი „გზიდან“. ნუ მიწყენთ რა, ჩემი აზრი დავაფიქსირე. ახალ წელს გილოცავთ. ღმერთმა საუკუნეები გაარსებოთ! ბამბუჩა.

მოკლე ჩართვა

რას ვთხოვდი თოვლის ბაბუას?

• არა მგონია, თოვლის ბაბუამ შეძლოს ჩემი დახმარება, მაგრამ მაინც ვთხოვ, თუ შეძლებს, ცოტა ხნით მაინც მაჩვენოს ჩემი, უზომოდ მონატრებული შვილები. ოჯახის გარეშე არაფერს აქვს ფასი. ამას გამიგებს ყველა დედა. ხათუნა.

• საახალწლოდ თოვლის ბაბუას ჩემი ოჯახის ბედნიერებასა და ჩემ ბუსუსთან მთელი ცხოვრების გატარებას ვთხოვდი, ოღონდ ჯერ უნდა შემირიგდეს. ბუს, მიყვარხარ... კუსკუ.

• „ინფინიტის“ ჯიპს ვთხოვდი (ზედმეტი მომივიდა, არა?) ან მაგარ სამსახურს და სხვა თხოვნებს თვითონ ავისრულებდი. კინაღამ თოვლის ბაბუს არსებობა დავივიჯერე. ლალო-ლა.

• უიი, იცი, რას ვთხოვდი? მგზავნელებისთვის ერთ დიდ, ლამაზ სახლს, სადაც შეგვეძლებოდა ერთმანეთის ცქერით დავმტკბარიყავით, სადაც მარტო სიყვარული, ბედნიერება დაისადგურებდა, ხოლო შურიანებისა და ბოღმიანი ადამიანების ადგილი იქ არ იქნებოდა! ლა-ლოლა.

• კეთილო თოვლის ბაბუავ, „ფერარი“ მინდა მეე, წითელი „ფერარი“. მაჩუქე, რაა... :) დამავიო.

• ოი, პირადად ჩემთვის რა მიწიერი სურვილები მაქვს და როგორ გავამხილო? პირველ რიგში ვთხოვდი, თუ კი სადმე, ჩემთვის განკუთვნილი მეორე „ცალი“ არსებობს, მომიყვანოს, რათა დაკარგული ნეკნის კომპენსაციად, უზომო სითბოთი ავავსო. კიდევ, ვთხოვდი, რომ თავისი ჯადოსნური მარხილით შემომატაროს დედამიწა და უკან დამაბრუნებინოს საქართველოდან სარჩოს საძებნელად წასული ქართველობა, რომ მოახლის რანგში კი არა, უბედნიერეს ადამიანთა ამპლუაში შეხვდნენ ახალ წელს. მემე.

• აუჰ, რომ დავფიქრდი, რამდენი რამე მინდა, უუჰ! ამას ერთი ბაბუ კი არა, ბაბუების არმიაც ვერ შემისრულებს. ამიტომ, ბავშვობაში დაბრუნებას ვთხოვდი ერთი დღით მაინც, იმ ბედნიერ დღეს, როცა ახალ წელს, ნაძვის ხესთან დედიკოს საჩუქარი მხვდებოდა. ახლა კი... თუმცა, მე ახლაც დიდი ბავშვი ვარ და ახლაც მახარებს საჩუქრები. ამიტომ აბა, თქვენ იცით, როგორ გამახარებთ ამ ახალ წელს. :) შოკოლადა.

• უჰ, უცებ არ შემისრულოს, თორემ კი... ჩემს ნატვრას მივცემ ახლა „გზა ფართოს“, რა იცი, რა ხდება? ე.ი. ჩემი ოცნებაა, მანქანა მყავდეს, თან — „ჰეუო“, ბოლო მოდელი ან „ჰამერი“ ან — BMW-X6. ასეთი მაღალსიჩქარიანი და კომფორტული თხოვნა მექნება ძვირფას თოვლის ბაბუასთან, ნუ, თუ ვერ შეწვდება, იტალიაში 2-კვირიანი საგზურიც მეყოფა. თოვლის ბაბუ, რას იტყვი, ცუდი თხოვნაა? :) უჰ, მოვრჩი ახლა ოცნებას და გაკოცეთ ყველას. სოფი19.

ბული რკინის კარს დაეჯაჯგურა, რომელიც კარგა ხანია, გაუქმებული იყო. როდის-როდის მოტვინა, რომ ახალი წელი იყო. ჩვენ კი სიცილისგან შეწუხებულები, ძირს ვხოხავდით მის რეაქციაზე. ერთი სიტყვით, გემოზე „ვიკონცერტეთ“ პაპას დაბნეულობაზე და ცოტა დავლიეთ კიდეც. თუ იცით, იმ ღამეს რა მესიზმრა? არც არაფერი. უსიზმროდ და ძალიან ტკბილად მეძინა. P.S. ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს! ღმერთმა გაბედნიეროთ. მიყვარხართ. ლუნა“.

ქვრივების იმედი

„ჩემს პროვინციულ ქალაქსაც ჰყავს თავისი მეანეკდოტე და პროვინციული კოლორიტები, რომელთაც ცოტა უხერხული საქციელები და უცენზურო სიტყვა-პასუხი სწორედ კოლორიტობის ხათრით ეპატიებათ. თუმცა, განგება სხვანაირად ფიქრობს და ასეთ კოლორიტებს ახალ წელს მტკივნეული კურიოზით ულოცავს. პაპიდაჩემის ქმარი, ძია ჟორა ხომ გახსოვთ? დიახ, დიახ, სწორედ ის, ცოლს რომ უპაროლოდ კარს არ უღებდა. ჰოდა, შარშან, 30 დეკემბერს, როგორც პაპიდა იტყოდა, ჩვენი ჟამკარარეული და „ჭოჭინაგადაბრუნებული“ ძია ჟორა მორიგი წვეულებიდან ჩაალკოჰოლებულ-ჩაბუჟბუჟებული ბრუნდებოდა სახლში. როგორც კი თავის ჩიხს მიუახლოვდა, შარდის ბუშტი შავი გაგების მასტივით მიაწვა და რაკი შეღამებული იყო, ძია ჟორა უსირცხვილოდ და ნამეტანი არაკოლორიტულად მიადგა მეზობელ ბუთყაჰაანთ ნაზიკოს ეზოს კარს და შარვლის ელვა შესაკრავი გაიხსნა. ისიის იყო, რჩებოდა თავის საქმეს, რომ მისი სახლიდან მის ცოლთან ერთად ბუთყაჰაანთ ნაზიკოც გამოვიდა და ეგრევე დასჭყივლა ძია ჟორას: — ვაი, შე უსირცხვილო, ეგრე საოხრეამოგდებული რას აკეთებ ჩემს კართან? — რა გინდა დედაკაცო, რა მარტის კატასავით დამჩხავი და დამცეცხლე, ჩვენს უბანში ყველა ქვრივები ხართ, მეღა დავრჩი კაცი და ჩემი ტერიტორიები მოვნიშნე, რომ უპატრონოები არავის ეგონოთო, წაუროხროხა ღვინისგან და სირცხვილისგან აჭარხლებულმა ძია ჟორამ და მისკენ მუქარით მიმავალი ქალების დანახვაზე, მთელი სისწრაფით მოქაჩა ელვაშესაკრავს... აქ მოხდა, რაც მოხდაა... სიჩქარისგან ძია ჟორას ტრუსის აწევა დაავიწყდა და მამაკაცური ღირსება ელვაშესაკრავში მოიყოლა. ნუ, იქ ამბავი ატყდაა?! ძია ჟორას ბღავილი და ფეხების ბაკუნი „სტეპის“ მოცეკვავეს შეშურდებოდა. პაპიდა და ბუთყაჰაანთ ნაზიკო „სასწრაფოს“ მოსვლამდე ზედ წყალს ასხამდნენ, იქნებ ცოტა გაგრილდეო. ბოლოს, „სასწრაფოც“ მოვიდა და აპიპინებული პიპიათი გააქანეს ძია ჟორა საავადმყოფოში, საიდანაც, როგორც უბნის ეზოებმონიშნული ქვრივები ამბობენ, საოხრეზე ბაფთაგაბანტული დაგვიბრუნდა. ეჰ, მგონი ჩვენს კულტურულ ძეგლებს არ ჰყავს იმდენი დამთვალიერებელ-გულშემატკივარი, რამდენიც მას! ხომ წარმოგიდგენიათ, ავადმყოფის სანახავად მისული სტუმრების მდგომარეობა, როცა პაპიდას მორცხვობაშეპარული ხმით ეკითხებიან — ცირავ, როგორ არის საქმე, ჟორას „ის“ ხომ ჩაუდგა ფორმაში? პაპიდაც აწეული ცერით ამშვიდებს, ქმრის გენიტალიების გულშემატკივარ სტუმრებს. ასეა, კოლორიტებს ავადმყოფობაც კოლორიტული ემართებათ. ჩვენ ვიკითხოთ, თორეემ... ელექტრა“.

ვეძებ ხელოსანს

„ახლა ვზივარ მარტო სახლში და ვფიქრობ, ვფიქრობ და ვფიქრობ. მარტო როცა ხარ, ხომ უკეთესად ფიქრობ ადამიანი. ნუ, ხელს არავინ მიშლის, რა... მოკლედ, ახლა სახლში ვარ და ყურებდაქაჩული ტელევიზორს მივშტერებივარ, იქნებ რამე გავიგო-მეთქი. ჩემი „ანტიკვარი“ ტელევიზორი იმით გამოირჩევა, რომ ხმა არ აქვს, მხოლოდ წუის. ეს იმის ბრალია, რომ თურქეთშია ნაყიდი და ქართულ ყაიდაზე გადმობრძანებას საჭიროებს. ღამის ერთი წელია, ასე წუის-ზუის, მაგრამ ვერაფერი ვუშველე. ან კი რას ვუშველი, რომელი ხელოსან-შემკეთებელი მე ვარ? ჰოდა, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, უშველეთ ჩემს „ვესტელიკას“ რამე, თორემ ღამისაა, შეუკეთებლად ამოიდგას ენა და ზუსტად ვიცი, პირველი სიტყვა რა იქნება. ხუმრობა იქით იყოს, ხმის გადაკეთება უნდა და ამხელა ქალაქში ხელოსანი ვერ მიპოვია ან ვერ ვეძებ კარგად. უმორჩილესად გთხოვთ, დამეხმაროთ კეთილო ხალხო, ხელოსნის პოვნაში. P.S. მარი, შველას შენგანაც ვითხოვ, დამიბეჭდე, რა... მანაველი“.

ჭკუადამჯდარი

„მე და ახალი წელი ისე ვართ, რავარც კაი შეყვარებული და მოჟუჟუნე წყვილი. ყოველ წელს დიდი ხალისით ვხვდები, მაგრამ 2009 წელი რომ იყო, ასეთი ნუ, არ ვიცი! სიხარულიც ბლომად იყო, ხარხარ-სიცილიც და სიმწრის ცრემლებიც. ახლა რაში იყო საქმე: მე, ჩემი ძმა და კიდევ 3 დეიდაშვილი ერთად შევხვდით ახალ წელს. ჯერ იყო და 12 საათი გახდა თუ არა, მე და ჩემი 2 დეიდაშვილი (გოგონები) ერთდროულად შევეყარეთ მაგიდის ქვეშ (გეგონება 40 წლის შინაბერები ვყოფილიყავით). არიქა, ვინც შეასწრებს, ის გათხოვდებაო და ამ სიჩქარეში კი ჩავჩექმეთ ერთმანეთი (გათხოვებაც თუ დასწრებაზე იყო, არ ვიცოდი). მერე აივნიდან „ხლაპუშკები“ ვისროლოთო. მეც დავდგი 3-ლარიანი რაკეტა აივანზე, მივუნთე ალი და არ დამიბრუნდა უკან ბუმერ-

ანგივით?! ზუსტად მაგიტომ მოგვიხდა გაშავებულ-გამომწვარ-გამონახშირებული ფარდების ჩაკონება ბუნკერზე. მერე დავლიეთ. უხეშად რომ ვთქვათ, გავტყვერით (ვინც ეს სიტყვა მოიგონა...). მერეო, გარეთ გავიდეთო. გავედით. სადარბაზოში თოვლი ეყარა. ალბათ ჩვენამდე ბავშვებმა წაიგუნდავეს. ჰოდა, ამიცურდა ფეხი და იცოცხლე, 11 საფეხური სულ რიხინ-რიხინით ჩავიარე. „დალშე“ მეკვლეობა მოვინდომეთ, მივადექით მეზობელს და კარის გაღებისთანავე ისეთი ძალით ვთხლიშე მასპინძელს კოწახურის საწუწნი კანფეტები, რომ ქალი დღესაც სახეჩალურჯებული დადის. არა, რა, მაშინ რომ გავერთეეე! მიუხედავად ამდენი დაბეჟილობისა, ეს ახალი წელი ტკბილ მოგონებად დარჩება. ისე, ჩვენში დარჩეს და წელს აღარ ვაპირებ ასეთ ცანცარობას. უკვე ჭკუადამჯდარი, მთელი სერიოზულობით, ნელ-ნელა (და არა — შარშანდელივით, ფართხა-ფურთხით) შევუყვები პარკეტს, მაგიდის ქვეშ მიმავალს. გილოცავთ, ხალხოო! დამავიო“.

ბირჟის დირექტორის მოგონებები

„ეს ნომერი, რომელიც ამ ხუთშაბათს გამოვა, წლის ბოლო ნომერი იქნება. ჰოდა მარ, თუ ნებას მომცემ, ამ წელს ჩემებურად შევაფასებ. :)

ამ წლის ყველაზე ბედნიერი დღეები მგზავნელებთან ერთად გავატარე. :) ეს იყო პირველად ჯერ კიდევ თებერვალში, ნიკოლი რომ ჩამოვიდა ხაშურიდან და სამებაში შევეფეთე გოგონებს. :) შემდეგ, ბათუმში გავატარე მგზავნელებთან ერთად რამდენიმე ბედნიერი დღე, ბოლოს კი ისევ მგზავნელებთან, სუპერსთარის სპექტაკლზე. :) ამ წელს ერთგული მეგობრები შევიძინე (რომლებსაც ციყვებს ვეძახი და რომლებიც მგზავნელები არიან), ამ წელს ყველაზე მხიარული და რომანტიკული ზაფხული მქონდა. ეს იყო აჭარაში. დილიდან შუაღამემდე ჩემს მეგობრებთან ერთად სარფის ერთ ულამაზეს, მიუდგომელ სანაპიროზე ვიყავი, ჩვენსავე დაჭერილ თევზსა და მიდიებს მივირთმევდით, მზის ჩასვლას ვუყურებდით, ვცურავდით, ყვინთვაში ვეჯიბრებოდით და ცეცხლთან ვმხიარულობდით, ვთამაშობდით, გიტარის თანხლებით ვმღეროდით, მერე შეზარხოშებულები სახლში დაბრუნებისას პატრულს ვუჩენდით თავსატეხს, ერთ პაწია მანქანაში ამდენი ადამიანი ერთმანეთზე რომ ველაგეთ. წელს ყველაზე მაღალი „თანამდებობა“ მივიღე (ვგულისხმობ შ.პ.ს. „ბირჟის“ დირექტორობას. ბევრჯერ ვიყავი შატალოზე. წელს ყველაზე ბევრი გზავნილი დამიბეჭდე მარ, ვიდრე წინა წლებში ერთად. :) ამ წელს ყველაზე ბევრი ვისწავლე ადამიანებთან ურთიერთობებში. ამ წელს ყველაზე ცუდი დღეებიც მქონდა, რომლებზეც ფიქრი არ მინდა. ახლა ყველაზე მეტად მგზავნელებთან გატარებული დღეები (და არა მხოლოდ მგზავნელებთან) მენატრება, მაგრამ ამის გამო მოწყენილი სულაც არ ვარ, რადგან იმედი მაქვს, იმ წელს კიდევ უფრო უკეთესი დღეებიც გვექნება. ამ წელს ყველაზე ოპტიმისტი ადამიანი ვარ დაბოლოს, ყველაზე მეტად მიყვარხართ მარიამულ და მგზავნელებო... თქვენი ყველაზე ყველაზე ჩუპი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ყოველ ახალ წელს მხიარულად ვატარებ. ალექსანდრეს ბაღში, მოზასავე წყვილებს „ხლაპუშკებს“ ვუგდებ. რა მაგარი კაიფიაააა?! :) „დალშე“ დისკო, რესტორანი და ა.შ. მარტო შარშან მქონდა გარღვევა: ახალ წლამდე 1 საათით ადრე მაღალი სიცხე მომცა და ავადმყოფი, ძილში შევეგებე 2009-ს, მაგრამ წელს მიფრთხილდიით! „ხლაპუშკები“ „უჟე მოვიმარაგე“. ASHLEY PCD“.

„კვირადღე მშვიდობისა, მარ. ერთი თხოვნა მაქვს, საყვარელო. რადგან წლის ბოლოა, იქნებ წლის მგზავნელი, წლის გზავნილი, წლის აღმოჩენა და სხვა ნომინანტები დაგვესახელებინა? ასევე, ძალიან საინტერესო იქნებოდა, მთელი წლის საუკეთესო 8-10 გზავნილის 1 ნომერში თავმოყრა და ერთგვარი კრებულის გაკეთება. პარიჟანკა“.

„ისე, ამბობენ, 31-ში 12 საათს მაგიდის ქვეშ თუ შეხვდები, იმ წელს უეჭველი „გეშველებაო“ და ნეტავ, ღირს ცდად? :) ნუ, ვცდი მაინც... :) ჭორიკანა“.

„ეჰ, მხიარული ახალი წელი? ეგ ჩემთვის უცხოა, რადგან დედაჩემი გარეთ რომ გამაგდებს 31-ში, 23.55-ზე, მხოლოდ პირველში შემოვდივარ სახლში. სადარბაზოში კი კარგად ვიმალები, შუშხუნის ნაგლეჯმა თვალები არ ჩამიფანაროს-მეთქი. ნუ, რას იზამ, რადგან ოჯახს მიაჩნია, რომ კარგი ფეხი მაქვს, უნდა ავიტანო ასეთი მეკვლეობა. კლეოპატრა“.

„გამარჯობა მარიკუშა, დღეს ისეთი სასიამოვნო ამბავი მოხდა, ვერ წარმოიდგენ... არ შეიძლება, არ გიამბოთ. ჩემს მაღაზიაში ერთი გოგო შემოვიდა, რომელიც გამწარებული ჟურნალ „გზას“ ეძებდა. 1 ცალიღა მქონდა შემორჩენილი, მის ბედზე. მეტად ნასიამოვნები სახე მიიღო გოგონამ და უეცრად ვკითხე, თქვენ მგზავნელი ხომ არ ხართ-მეთქი? კიო, მიპასუხა და გადავეხვიეთ ერთმანეთს. თურმე ნინოთი ამესიჯებს. შენი გაცნობა ძალიან უნდა მარი, ბათუმელი გოგოა და სხვათა შორის, ძალიან ლამაზი, თბილი და საყვარელი. ამაღამ ტკბილად დამეძინება, რადგან ერთი ძვირფასი მგზავნელი კიდევ შემემატა მეგობრებში. მეგობრებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ. ქალი ცდუნება“.

მოკლე ჩართვა

რას ვთხოვდი თოვლის ბაბუას?

• კომპიუტერს ვთხოვდი! დიახ, დიახ, ჩვეულებრივ კომპიუტერს. ბანალური სურვილია, მაგრამ ძალიან რთულია, უკომპიუტეროდ. აკვარიუმი მაქვს მოსავლელი, მოსავალი ასაღები, ფისუნიები გამოსაკვები (დარწმუნებული ვარ, ყველანი მიხვდებით, რომელ საიტზე მაქვს გასაკეთებელი ამდენი საქმე). ამ ყველაფერს თავი დავანებოთ, უამრავი საქმისთვის მართლა ძალიან მჭირდება. ვოცნებობ, ოდესმე კომპიუტერმა შემოაბიჯოს ჩემს ბინაში. თოვლის ბაბუავ, გეხვეწებიიიი! ბამბუჩა.

• საერთო რვეულს ვთხოვდი, სურვილების ჩამოსაწერად, რადგან ვაითუ ვერ დაიმახსოვროს ან რამე გამორჩეს? მერე დავაფიცებდი, რომ აუცილებლად შემისრულებდა და გაღიმებული დაველოდებოდი მათ ასრულებას. ისე, რამდენიმე წელია, თოვლის ბაბუას დავავიწყდი და რატომ? არადა, ველოდები ხოლმე. ნეტავ, წელს მოვა?

• თოვლის ბაბუას ისეთი სამსახური ვთხოვდი, რომ ჩემი პატარა ვარჩინო და უფროსის დამცირებას არ ვუსმინო ყოველდღე, თორემ უკვე ნერვოზი დამემართა, 21 წლის გოგო.

• თოვლის ბაბუას მთელი გულით ვთხოვ, ჩემი ხათრით, ერთხელ წვერი გაიპარსოს და კიდევ, ძალიან მაინტერესებს, მარხილში შებმული ირმები ყველა მამალია თუ დედალი? :) ეჰ, ნეტავ იცოდეთ, რამდენი ახალი წლის ღამე გამითენებია თეთრად იმის იმედით, რომ დავინახავდი, როგორ გაჩერდებოდა ჩემს ფანჯრებთან ირმებშებმული მარხილი (მერე რა, რომ მე-9 სართულზე ვცხოვრობდი). შემოვიდოდა ჩემს ოთახში ფანჯრიდან (ბუხარი არ იყო და) ღიპიანი, თეთრწვერა, მრგვალსათვალიანი სანტა და... ეჰ, გახსენებაც არ მინდა. ხომ იცით, ბავშვობაში განცდილი იმედგაცრუება რა მწარეცაა. არადა, ნაღდად ვიცი, თოვლის ბაბუა არსებობს! ატარექსია.

■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „სიმთვრალეში ჩადენილი „გმირობები“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“ ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „ვის ვისურვებდი სტუმრად?“

„თუ სიმსივნე უკვე ამოკვეთეს, შენი „ლოვე“ კარგად იქნება“

„საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებაზე უნდა იზრუნო“

„გზის“ №52-ში დაიბეჭდა ქსნის მეშვიდე კოლონიის ერთ-ერთი პატიმრის, შევჩენკო ირაკლის მესიჯი, რომელიც გვწერდა:

„სულ რამდენიმე წელი დამრჩა მოსახდელი, მაგრამ გარეთ გამოსვლა ძალიან მეჩქარება. რატომ? — გარეთ შეყვარებული მელოდება, რომელიც ცუდადაა და მინდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება მის გვერდით გავატარო“. ირაკლის შეყვარებულს თავში სიმსივნე აღმოაჩნდა და გოგონას ოპერაცია გაუკეთეს. „მითხარით, რა უნდა მოვიმოქმედო, რომ ციხიდან დროზე ადრე გამოვიდე? მე ხომ ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არა, ერთი ულამაზესი გოგონას სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ვითხოვ...“

ლიკა ქაჯაია

სატანა:

„ამ წერილმა „დამგრუზა“. ირაკლი, შენი მართლა მესმის. ცოდვებს ინანიებ, იტანჯები და ამას საყვარელი ადამიანის ავადმყოფობაც ემატება. არ გიცნობ, მაგრამ ღმერთს ვთხოვ, ციხიდან გამოგიშვან და საყვარელ ადამიანთან ყოფნის საშუალება მოგეცეს. ახლა მას ძალიან სჭირდები. იცოდე, ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები!“

სვანი:

„ღმერთმა ქნას, ციხიდან მალე გამოხვიდე და შენი შეყვარებულიც გამოჯანმრთელდეს. ჩვენს ქვეყანაში იმდენი პატიმარია, რომ დარწმუნებული ვარ, „გზის“ ბევრი მკითხველი შენი გულისტკივილის გაგებას შეძლებს. ბედნიერი ვიქნებოდი, ისეთი რჩევის მოცემა შემეძლოს, რომელიც ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევაში დაგეხმარებოდა... ილოცე, უფალს შესთხოვე შეყვარებულის გამოჯანმრთელება და შენი ვადაზე ადრე გათავისუფლება. დამიჯერე, გულწრფელი ლოცვა ორივეს დაგეხმარებათ. ღმერთი გფარავდეთ“.

კლეოპატრა:

„პირველ რიგში, უფალს უნდა მიენდო. დამიჯერე, ღმერთს მთელი გულითა და სულით თუ შესთხოვ შემწეობას, აუცილებლად დაგეხმარება. ილოცე და იმედი არ დაკარგო. ღმერთი იყოს შენი და იმ გოგონას მფარველი“.

ფერია:

„ნუ გეშინია, ირაკლი. შენ აუცილებლად, მალე ნახავ შეყვარებულს და თქვენი გრძნობა ყველა დაავადებას განკურნავს. იცოდე, ღმერთი არ გაგწირავს. წარმატებებს გისურვებ!“

გრუზინკა:

„გააჩნია, რის გამო ზიხარ. ისე, კარგი ყოფაქცევისთვის პატიმრებს იწყალებენ და ვინ იცის, იქნებ, შეწყალებულთა სიაში შენც აღმოჩნდე. თუ სიმსივნე უკვე ამოკვეთეს, შენი „ლოვე“ კარგად იქნება. ილოცე და გწამდეს, რომ ღმერთი აუცილებლად დაგეხმარება, ის მოსიყვარულე ადამიანს არ გასწირავს“.

ლუნა:

„არ მინდა, იმედი გაგიცრუო, მაგრამ არა მგონია, ციხიდან დროზე ადრე გამოგიშვან. ახლა თითქმის ყველა პატიმარს შინ მარტოხელა დედა, ფეხმძიმე ცოლი ან მოხუცი და ავადმყოფი მშობლები ელოდება, მაგრამ ამის გამო ციხიდან ჯერ არავინ გამოუშვიათ. არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა ციხიდან ვადაზე ადრე გამოსვლა, მაგრამ მე მაინც, თავისუფლებას გისურვებ. შენ და შენს შეყვარებულს ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეთ. ილოცე მისთვის“.

GOLD GIRL:

„ამ წერილმა მაგრად „დამგრუზა“ და ტირილი მომინდა. ციხის წესები ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ გამიგონია, — კარგი ყოფაქცევის ხალხს დროზე ადრე ათავისუფლებენო. რა ვიცი, იქნებ, შენც გაგიმართლოს. იმ გოგონას ყველაზე მეტად, შენი სიყვარული და ლოცვა სჭირდება. შესთხოვე უფალს, მისი ლამაზი სიცოცხლე სიკვდილისგან იხსნას. ხალხი თუ ვერა, ღმერთი აუცილებლად დაგეხმარება. ძალიან მინდა, ორივე ბედნიერი იყოთ. თქვენთვის ვილოცებ. ულამაზეს მომავალს, უდიდეს სიყვარულსა და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ“.

თაკო:

„ჩემო კარგო, ერთადერთი, რაც შემიძლია გირჩიო, ის არის, რომ შენი შეყვარებულისთვის უნდა ილოცო და ღმერთს მისი გამოჯანმრთელება შესთხოვო. სამწუხაროა, რომ ასეთ მძიმე წუთებში მასთან არ ხარ, მაგრამ აბა, მე რა შემიძლია?.. ციხიდან მალე გამოსვლას და ბედნიერებას გისურვებ! წარმატებები!“

დამავიი:

„მართლა არ ვიცი, 18 წლის გოგომ რა უნდა გირჩიო. შენი ამბავი ძალიან განვიცადე. ალბათ, მაქსიმალურად კარგად უნდა მოიქცე, რათა ამნისტია შეგეხოს. ირაკლი, ილოცე შენი შეყვარებულისთვის. მთავარია, გჯეროდეთ და უფალი დაგეხმარებათ. ამინ!“

იაკო:

„თქვენი წერილი წავიკითხე და მინდა, 16 წლის ბავშვმა რჩევა მოგცეთ. თუ ამდენი იცადეთ, რამდენიმე წელიც მშვიდად მოითმინეთ. ნუ ღელავთ, თქვენი შეყვარებული კარგად იქნება. მთელი გულით, წარმატებებს გისურვებთ!“

გადარეული:

„არ იდარდო, მეგობარო, როგორმე, ეს დარჩენილი წლებიც უნდა გაძლო და მერე, როცა თავისუფლებაზე იქნები, ყველაფერი კარგად გექნებათ“.

სიკვდილის დედოფალი:

„მასთან ყოფნაზე მანამ უნდა გეფიქრა, ვიდრე თავისუფალი იყავი. თუ ასე ძალიან გიყვარდა, რატომ ჩაიდინე ისეთი რამ, რაც მასთან სამუდამოდ დაგაშორებდა? ნუთუ, არ ფიქრობდი იმაზე, თუ რა მოხდებოდა, როცა შენს ამბავს ის გოგო შეიტყობდა? მაპატიე ამ სიტყვებისთვის, მაგრამ კრიმინალი შეყვარებული ვის რად უნდა? მასთან ახლოს და ამავე დროს, ძალიან შორს ხარ. მოთმინება იქონიე და დაელოდე იმ დროს, როცა იმ ჯოჯოხ-

ეთიდან გამოგიშვებენ. იფიქრე საყვარელ ადამიანზე და ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები!“

EMO ANGEL:

„ძალიან ცუდ სიტუაციაში ხარ, იკა :((... მესმის შენი. იცოდე, იმედი არ დაკარგო, რა იცი, რა ხდება. წარმატებებს გისურვებ!“

ს.ა.ლი:

„შენი „ესემესის“ წაკითხვის შემდეგ გული ძალიან მეტკინა. დამიკავშირდი და ამ საქმეში აუცილებლად დაგეხმარები, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაქვს. ამ ნომერზე დამიკავშირდი. შენი კეთილის მსურველი“.

მეაბზოხე სული:

„მესმის შენი, ახლა სასოწარკვეთილი და უბედური ხარ, მაგრამ იმედს ნუ დაკარგავ, იქნებ, ამნისტია შეგეხოს და შენი სიყვარული გულში ჩაიკრა. მოთმინებისა და ლოდინის გარდა, არაფერი დაგრჩენია. სიმართლეს, რომელსაც დამარცხება და სიკვდილთან უაზრო ჭიდილი ჰქვია, თვალი უნდა გაუსწორო. იცოდე, ყველაფერი ღვთის ნებაა. ილოცე საყვარელი ადამიანისთვის და სულიერად ნუ გატყდები. P.S. უცნობო, მიხარია, ჩვენი რჩევა რომ გაითვალისწინე. იცოდე, მეგობრად მიგულე“.

იკუშკები:

„ნეტავ იცოდე, როგორ მინდა, ახლა მქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ დაგეხმარო და დროზე ადრე გამოგიყვანო მაგ ჯოჯოხეთიდან, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ უმუშევარი იურისტი ვარ. ნამდვილად არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ და შენმა ამბავმა გული ამიჩუყა. გპირდები, შენი და შენი საყვარელი გოგონას ჯანმრთელობისთვის ბევრს ვილოცებ. მჯერა, ციხიდან მალე გამოხვალ და მას ულევ სიხარულს მიანიჭებ. ძალიან მინდა, ბედნიერები იყოთ, ამას ნამდვილად იმსახურებთ. უფალი მოწყალეა და მჯერა, შენს შეყვარებულს გამოჯანმრთელებაში დაეხმარება, მერე კი დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებთ. მთელი სულითა და გულით გლოცავთ. უფლის იმედი არ დაკარგო და ყველაფერი კარგად იქნება“.

ნიაკო:

„წარმომიდგენია, რა ცუდ მდგომარეობაშიც ხარ. გინდა, საყვარელ ადამიანს სიცოცხლის დარჩენილი წლები გაულამაზო, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. მე თავად იურისტი ვარ და დამერწმუნე, სიმართლე და სამართალი ცა და დედამიწასავით განსხვავდება. უსამართლობაა, ასეთ დროს მის გვერდით რომ ვერ ახერხებ ყოფნას. ჩემო კარგო, მისთვის ილოცე“.

აბეზარა:

„თუ ბრალი არ მიგიძღვის, პირველ რიგში, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებაზე უნდა იზრუნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. იმ გოგონასთვის ილოცე. მას შენი ლოცვა და შენ გვერდით ყოფნა (თუ რა თქმა უნდა, საპყრობილედან ვადაზე ადრე გამოგიშვებენ) სენის დამარცხებაში აუცილებლად დაეხმარება. უფალი გფარავდეთ“.

მა-ნი:

„შენი „ლოვე“ ძალიან მეცოდება. აბა, ციხიდან ვინ გამოგიშვებს, თუ საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას არ შეეცდები?!. ისე, თავის დროზე ჭკვიანად რომ ყოფილიყავი, ახლა მის გვერდით იქნებოდი და გაამხნევებდი“.

■

თინეიჯერები გვწერენ

ლელუკა:

„მოკლედ, „გზას“ ვულოცავ დამდეგ ახალ წელს და 2010-ში ტირაჟის გაორმაგებას ვუსურვებ. ძალიან მინდა, დედაჩემი, რომელიც საბერძნეთშია, ვეფხვის წელიწადში საბოლოოდ დაბრუნდეს სამშობლოში და გული გამიხაროს. აღარ მინდა მისი ფული და საჩუქრები, დედის სითბო და ალერსი მენატრებაა. მალე ვთხოვდები, ის კი ჩემს საქმროს მხოლოდ ფოტოებით იცნობს და ეს მაცოფებს. დე, შენ, ჩემი შეყვარებული და „გზა“ მთელ ქვეყანას მირჩევნიხართ. მპუა“.

ემიგრანტი, საბერძნეთიდან:

„საბერძნეთში შარშან ჩამოვედი და დღემდე ამ უცხო ქვეყანაში ვარ, მოხუცს ვუვლი. ჩემი სამშობლო ძალიან მენატრება, მაგრამ იქ შიმშილით სიკვდილს მირჩევნია, ნოსტალგიას გავუძლო და ამ უცხო ქვეყანაში ფული „ვაკეთო“. ნოსტალგიას მხოლოდ ქართული საუკეთესო ჟურნალის, „გზის“ კითხვა და ახლობლებთან მესიჯობა ნაწილობრივ მიქარვებს. იმედია, 2010 წელს იმდენ ფულს დავაგროვებ, რომ საქართველოში ჩამოსვლა შევძლო და იმის იმედსაც ვიტოვებ, რომ გზას „გზა“ გამინათებს. მიყვარხართ და წარმატებებს, ულევ სიხარულს გისურვებთ“.

ვამპირა:

„აუ, ახლა „თინეიჯერულ პონტებს“ ვკითხულობდი და ზალიკოს ინტერვიუზე ლამის, სიცილით გავიგუდე. აუ, რა მაგრად დააბოლე! ჯიგარი ხარ... ხალხნო, გილოცავთ ახალ წელს“.

■

„ახალი წლის ღამეს გამოვტყვრები და პატარა კურდღელს ჩავეხუტები“

მელორა, *17 წლის:*

„ახალი წელი მალე მოგვიკაკუნებს, მე კი არაფერი მიხარია ან რატომ უნდა მიხაროდეს, როცა ჩემს სოფელში გატარებული არც ერთი ახალი წლის ღამე არ მომჩვენებია ჯადოსნურად?! იცით, ჩემი შეყვარებული ქალაქში ცხოვრობს და მასთან ჩასვლას ვერ ვახერხებ, ფული არ მაქვს. მშობლებს კი ვთხოვე, — იქნებ, გამიშვათ-მეთქი, მაგრამ უარი მტკიცეს — სარძლო არ მოსწონთ, ქალაქელი ქალი არ გამოგვადგებაო და აბა, რას გამიშვებდნენ?.. ტელევიზორში ვნახე, თბილისი გაჩახჩახებულია, ჩვენი სოფელი კი დაჭრილი არწივივით გმინავს და ოხრავს. ირგვლივ ყველაფერი მაშინ ნათდება, როცა ჩემი „ლოვე“ ჩამოდის. ის ძალიან ლამაზი გოგონაა და სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ოდესმე თავს გამიყადრებდა, მაგრამ საოცრება მოხდა — გამიღიმა და სიყვარულშიც გამომიტყდა... ალბათ, ახალი წლის ღამეს, როცა ჩემი თანატოლები მაგარ დროს გაატარებენ და ქალაქის სილამაზის ცქერით ივჯერებენ გულს, თანაც — შეყვარებულების გვერდით ისიამტკბილებენ, მე კარგად გამოვტყვრები, მერე „ლოვეს“ დავურეკავ (ან კი, ან არა. როგორც წესი, დღესასწაულებზე არსად ირეკება. ამბობენ, — ქსელი გადატვირთულიაო), ახალი წლის დადგომას მივულოცავ და თვალცრემლიანი, მის ნაცვლად, მისსავე სახსოვარს — პატარა კურდღელს ჩავეხუტები... არ მინდოდა, ცუდ განწყობილებაზე დამეყენებინეთ, მაგრამ რა მექნა, ჩემი გულისტკივილი თქვენთვის რომ არ გამეზიარებინა, გული ნამდვილად გამისკდებოდა. იმედია, მომავალ კვირას თქვენ მაინც შეძლებთ ჩემს გამხიარულებას. გთხოვთ, ნურც რჩევების მოცემას დაიზარებთ. ისიც მაინტერესებს, ჩემსავით რომელიმე მაინც თუ გამოტყვრებით... ყველას ბედნიერებას და ულევ სიხარულს გისურვებთ, მე კი იმედს ვიტოვებ, თოვლის ბაბუა საჩუქარს გამიკეთებს და იმდენ ფულს მაჩუქებს, თბილისამდე ჩამოსვლა რომ შევძლო :))“.

■

P.S. მაშ ასე, თუ მელორას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნის მსურველი მამაკაცი შემორჩა კიდევ, ვინმე? თუ ასეა, 38 წლის მანდილოსანი თქვენს მესიჯს დაელოდება. სცადეთ.

2. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის მაღალ, შავგვრემან, 17-22 წლამდე ბიჭს, სერიოზულს და ყურადღებიანს. ვარ 17 წლის გოგო. ჩემი ნომერი „გზაში“ იქნება. სევდიანი.

3. 41 წლის, მომხიბვლელ ქალს მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამოეხმაუროს 50 წლამდე მამაკაცი.

4. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს თბილი და ყურადღებიანი მამაკაცი, 50-52 წლამდე. დამირეკონ მხოლოდ სერიოზულებმა. ვარ 48/165/64, სიმპათიური ქალბატონი.

5. მე ვარ 29 წლის, გასათხოვარი გოგო, უმაღლესი განათლებით. ვეძებ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილს.

6. ვარ ყოველმხრივ მისაღები, თბილი, სუსტი, ნაზი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი. გავიცნობ მატერიალურად უზრუნველყოფილ ბიჭს. ლიზი.

7. გულით მინდა გავიცნო მოსიყვარულე, გულთბილი ადამიანი, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ნატალია. გელით.

კაცები

8. ვარ 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 20-25 წლამდე მანდილოსანს, საქართველოს რომელიმე კუთხიდან. გელოდებით.

9. ვარ 34 წლის. ვცხოვრობ რაიონში. დაოჯახების მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, ზრდილობიანი, გულიანი, ბინიანი გოგო, 34 წლამდე.

10. ვარ 29 წლის მამაკაცი. გავიცნობ გოგოს, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ კახეთიდან. გამომეხმაურეთ.

11. ვარ 22 წლის, სიმპათიური, მწვანეთვალება ბიჭი. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, თბილისელ, შეძლებულ და ლამაზ გოგოს. MMS თუ არ გაქვთ, ნუ იკითხავთ ჩემს ნომერს. გიორგი.

12. მყავს 42 წლის, დაუოჯახებელი მეგობარი, მაღალი, სიმპათიური. გთხოვთ, გამოეხმაუროთ ოჯახის შექმნის მიზნით, სერიოზული მანდილოსანი.

ვეძებ

13. ვეძებ ქუთაისში მცხოვრებ, 20 მარტს დაბადებულ ბექა ზარნაძეს. მაინტერესებს, სად და როგორ არის. გთხოვთ, გამაგებინეთ ჟურნალის საშუალებით. მაიკო.

სხვადასხვა

დღეს წლის ბოლო ხუთშაბათია და ალბათ ამიტომაც გადავწყვიტე შენი გახსენება. ალბათ წაიკითხავ კიდეც ამ მონოლოგს. მაშინაც საყვედურით მითხარი, რა ნახე ასეთი, სულ ამ ჟურნალს რომ კითხულობო? მერე შენც ისე მიეჩვიე, რომ ყოველ ხუთშაბათს შენი ზარი მაღვიძებდა. გადმოვიხედავდი ფანჯრიდან და გხედავდი გაღიმებულს, დროშასავით აფრიალებული ჟურნალით ხელში. თან წინასწარ მატყობინებდი, იყო თუ არა ჩემი გზავნილი. გამახსენდა ეს ყველაფერი. შენმა სურათმა გამახსენა, რომელიც ვითომდა უნებლიედ მოხვდა ჩემთან. არ შეცვლილხარ. ისევ ის ყალბი ღიმილი დაგთამაშებს გაყინულ სახეზე. სათვალეც მოგიხდენია. ალბათ არაფრისმთქმელი მზერის დამალვას შეეცადე, მაგრამ მე ხომ მახსოვს? მაშინაც მეტყოდი ხოლმე, შემომხედე თვალებში და მიხვდები, რასაც ვგრძნობო. მეც გიყურებდი დიდხანს... დიდხანს და მერე მორცხვად მაინც ვბედავდი იმის თქმას, რომ ვერაფერს, სულ ვერაფერს ვხედავდი, გარდა მწვანე თვალებში ჩამდგარი სიცარიელისა... შენ კი ღიმილით მეტყოდი, ბავშვი ხარ და იმიტომო. მერე ღიმილით გადამისვამდი თავზე ხელს და თმას მიჩეჩდი. ახლა კი ეს სიტყვები მხოლოდ დღიურს შემორჩა... იმ დღიურს, რომლის ფერადი ყდა

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სანთლის ნაღვენთებმა დაფარა... ის ყდა, რომელსაც შენ დააწერე ჩვენი სახელები. ეს ყველაფერი კი წარსულია უკვე. არ უნდა ყოფილიყო, რაც იყო და რადგან იყო, არ ვნანობ... ან რა აზრი აქვს სინანულს? მხოლოდ იმაში ვგავდით ერთმანეთს, რომ არც ერთს არ გვიყვარდა დამშვიდობება. წავედით ჩუმად... უხმაუროდ... რა საჭიროა სენტიმენტალურობა, როცა ახალი წელი მოდის, ახალი იმედებით, განცდებით... SWEET-GIRL.

სპეცნაზ, შეურაცხყოფას რატომ მაყენებ? ჯერ იმ ასაკში არ ვარ, რომ სკლეროზის სიმპტომები რაღაც სახით დამეტყოს და რატომ არ მემახსოვრები, ვითოოომ? ოღონდ, 1-2 თვის წინ კი არა, გაცილებით დიდი ხნის წინ გაგიცანი. ეს პერიოდი იქ აღარ ვყოფილვარ და... გაიხარე, ჩემო კარგო. მიხარია, რომ გახსოვართ. ყველას მოკითხვაა. SWEET-GIRL.

27-ში უნივერსიტეტში კარნავალი მაქვს და ვაარ ერთ ამბავში, მააამ... მიხარია ახალი წელიიიი! ძალიან, ძალიან. ალბათ უფრო იმიტომ, რომ რაღაც ახალსა და განსაკუთრებულს ველოდები. გილოცავთ ყველას. ბედნიერება, სიხარული და ყველაფერი საუკეთესო მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის 2010 წელს. გკოცნით 2010-ჯერ. თქვენი SWEET-GIRL.

ისეთი საშინელი სიზმარი ვნახე, 25 რიცხვს შეშინებული ველოდები და თუ აღარ მოგწერეთ, ე.ი. ცუდადაა ჩემი საქმე და იმედია, ქე გეიმეტებთ ერთ ყვავილს. თუ არადა, აგერ ვიქნები ა, ბოლო რიგში, პირველ მერხზე ვზივარ, მარის მაგიდის წინ. ნუ, ჩვენ ხომ სკოლაში ვართ, რაა... გეხუტეთ, თქვენი SWEET-GIRL.

მე ვიცნობ იმ ადამიანს. მასაც ახსოვს წვიმაში ზღვისპირას სიარულის დროს წაკითხული თავისი ლექსები. საპატიებელი არაფერი გაქვს, რა უნდა გაპატიო? უბრალოდ, აღარ ვმეგობრობთ. კარგია, როცა დანაშაულს ხვდები. თუმცა, არც არაფერი დაგიშავებია. წარმატებებს გისურვებ. P.S. მარი და მგზავნელებო, ორშაბათს პრემიერა მქონდა. უფრო სწორად, გვქონდა მე და მაესტროს. მაესტროც თამაშობდა სპექტაკლში. გამნათებლის ადგილიდან სცენაზე გადავიდა, თან მთავარი როლზე იყო. ვულოცავ დებიუტს. სუპერსთარი.

მარი, გამარჯობა, საყვარელო. ოსი ლია ვარ. რა უნდა ამ ქართველ ხალხს, რატომ მლანძღავენ თქვენს ჟურნალში, ყოველ ხუთშაბათს? ოთხ წელიწადნახევარში 30 სამსახური გამოვიცვალე. ზოგი საჭმელსაც არ მაჭმევდა. ქუთაისელი ქალბატონი მუშაობდა ჩემს ქუჩაზე, ლეილა მიქაბაძე და ის მაჭმევდა 8 თვე საჭმელს. ბერძენი ბებია მაცივრიდან ცივ წყალსაც არ მასმევდა. რძე და სუხარი მენატრებოდა. სახლში ძაღლი ჰყავდა, ჩემს ბერძენ ქალბატონს და საპარიკმახეროში წავიყვანე მისი ძაღლი და 120 ევრო გადავიხადე, მე კარგს ვიტყვი ასეთ ბერძენზე? ადამიანად არ მთვლიდა და ძაღლს პატივს სცემდა. ისეთები მლანძღავენ, ვინც კარგ ოჯახებშია მოხვედრილი და ასე ჰგონიათ, ყველა ბერძენი კარგია. 25 დღეა, ერთ ოჯახში დავიწყე მუშაობა. ჩემთან ერთად ბერძენი მოსამსახურეც ჰყავდათ. ის დაითხოვეს სამუშაოდან, მე დამტოვეს, როცა ნახეს, საქმეს სუფთად ვაკეთებდი. 100 წლის პაპას ვუვლი და 90 წლის ბებიას. ისე შემიყვარეს, ოქროს მეძახიან. მადლობა ღმერთს, ამდენი ცუდი ოჯახის შემდეგ მეც ადამიანებს რომ შეხვდი. რაც უნდა თქვან ქართველებმა ჩემზე, ვინც მიცნობს, ისინი არ იტყვიან ცუდს, რადგან კარგი ადამიანი ვარ. ღმერთმა აპატიოს ყველას, ჩემი გალანძღვა და ღმერთმა გასცეს პასუხი. ჩემს საქართველოსა და ქართველ ხალხს მივულოცავ დამდეგ ახალ წელს, თქვენთან ერთად მარი, რომ ბევრი კარგი დაწეროთ და გაგვიხარეთ გულები. თქვენი ოსი ლია. გასკდნენ მტრები გულზე.

ღამდება... სასწაულს მოაქვს შუაღამეს ათასი ფერი, ბუხართან ცეცხლი, მოლოდინის წამები დგება, ბედნიერების შამპანურით უგონოდ ვთვრები... ცაზე ელვარებს ვარსკვლავების ურცხვი ნათება, გაღიმებული ზამთარია, ქუჩებში ცივა, მაგრამ სიხარულს დაუძლეველ დროსტარებას ვერ შეაჩერებს ავაზაკი თოვლი და ყინვა. ქალწულ ქალივით მოხდენილი ნაძვის ხეები, ისე მორთულან საზეიმოდ, ბალი აქვთ თითქოს... სეფექალები, კეკლუცები, ბრწყინავენ ირგვლივ, სუფრაც იშლება და იწყება საერთო ლხინი... მრავალ ახალ წელს! შობა-ახალ წელს! ძველით ახალ წელს! გილოცავთ ყველას, დაე, ოცნება ცაში ავარდეს, შეძლოს ღრუბლებში ლაღად გაფრენა! ASHLEY.

მოგესალმები მარიამ და ძვირფასო მგზავნელებო. იცით, ძაან საყვარლები ხართ. უბრალოდ, მეტი სითბო გამოვავლინოთ ერთმანეთის მიმართ, რადგან „ძალა ერთობაშია“. ვოლდემორ86.

ყველას საყურადღებოდ! ჩვენ რომ ერთმანეთს ვჭამთ და ვძიძგნით, სხვა რას გვიზამს? გთხოვთ, უფრო თავაზიანები იყავით. ნუ უკარგავთ ხიბლს ამ მშვენიერ ჟურნალს. ვოლდემორ86.

ყველაზე მხიარული ახალი წელი მე მექნება. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვგრძნობ. :) მგზავნელებო, მე ახალი ვარ და მიმიღებთ? ASHLEY PCD, შენი გაცნობა მინდა! ემო ანგელ.

შობის ღამე დგებაო, სასწაული ხდებაო, წმინდა სანთელს ავანთებთ, ფანჯრის სარკმელზედაო, შობის ღამეს მოვიხმობთ, დედა ღვთისმშობელსაო, სახლი მისი სტუმრობით, მადლით აგვევსებაო. შობის ღამე დგებაო, ქრისტე იბადებაო, ყველა სასწაული ხომ შობის ღამეს ხდებაო. ყველა მგზავნელს ვულოცავ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

მარიამულ, გთხოვ, ყველა ბოღმიანი და სალანძღავი მესიჯი მიბლოკე. უკვე მეტისმეტი მოსდით, ზოგზოგიერთებს. გაუმარჯოს ყველა გულღია და მხიარული მესიჯის ავტორს. თამარი.

9717, მომწონს შენი გზავნილები და იცი, რატომ? სუფთა სული იგრძნობა მათში. 2009 წლის საუკეთესო მგზავნელთა შორის საუკეთესოდ გაღიარებ. ჰო, მართლა, შობა-ახალ წელს გილოცავ. მატიტელა.

ჩემს დაქალს, ნინო გაჩეჩილს, ამ შინაბერას ვუსურვებ ამ წელს გათხოვდეს და მე მეჯვარეობა მეღირსოს და იქნებ თაიგული დავიჭირო და მე, შინაბერასაც მეღირსოს გათხოვება. P.S. ყველას გილოცავთ. ყველა ძალიან მიყვარხართ. მარ, საყვარელი ხარ. მზე20.

გაუმარჯოს ყველას! კახელო, ტელეფონი არ დაგიბრუნა მამამ? ჩემო მეგობრებო, გაკოცეთ. უკარებას სულ ახსოვხართ.

ჰო მართლა, მარ, ეს ანბანი რა შემოიღე? მიყვარხარ-მეთქი, რომ დავწერო, რა, გაუგებარია? ჰო, კიდევ მენატრებით, მაგრამ ნერვები წესრიგში არ მქონდა. მიყვარხართ, გკოცნით. უკარება.

MINI BOY, ქორწინების შემდეგ გააჩნია, რატომ სუქდებიან, მაგრამ ეგ უმცირესობაა. ყველა ეგრე არაა, დამიჯერე. სიყვარული კი არ უნდა გაქრეს. ეგ მართალია. უკარება.

ჩემო საყვარელო ხალხო, მიყვარხართ და მენატრებით. თქვენთან მინდაააა!! გკოცნით, დალი კოჭლამაზაშვილი.

მაარ, იცი, როგორი გაბრაზებული ვარ? ფოსტალიონმა „გზა“ არ მომიტანა. არადა, სამსახურში დღეს ბევრი საქმე მაქვს და ვერსად გავდივარ. ამ კურიერსაც ახლა მოუნდა გრიპი, რა. მატიტელა.

მე ახლა შენ წინ დაღლილი ვდგავარ, ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, შენ რომ ეძებდი მე ის ქალი ვარ, მითხარი, ხომ არ დავიგვიანე? თუნდაც უსიტყვოდ დამუნჯდეს ენა, მე უშენობის დაღი მატყვია, შენ რომ გინდოდა, ის გული მე მაქვს, ვიცი, სხვა გული არ გინატრია. შენ ეძახოდი შორს შენგან წასულს და ხმა ქარიშხალს ჩაუქროლია, შენ ეძახოდი ვიღაცა ასულს და ჩემს მეტს არავის გაუგონია. მე ახლა შენ წინ დაღლილი ვდგავარ, ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, შენ რომ ეძებდი, ის ქალი მე ვარ, მაგრამ ვაი, რომ დავიგვიანე. ლუნა.

ისე გავიდა ეს გაზაფხული, მე ერთი სიტყვაც არ მახსოვს შენი, მე სიყვარულით ვარ დაზაფრული, კიდეც რომ გსურდეს, ველარ მიშველი. ისე გავიდა ეს გაზაფხული, მე ერთი სიტყვაც არ მახსოვს შენი, რა დაგიშავე, მითხარი ბარემ, რად ამითრთოლე მგზნებარე გული? მე სიყვარული ამიტანს უცებ, დაგეძებ, დამდევს ფიქრთა კრებული, დავდივარ, ვთელავ ქალაქის ქუჩებს და დავბრუნდები აცრემლებული. ვაი, სად გნახო, საით იქნები, ვიცი, გარბიხარ და მემალები, შენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები და ამღვრეული ჩემი თვალები. ჩემთვის ერთია, სადაც იქნები, ჩემს სიყვარულ-

ში დაგაჯერებენ, შემოგხვდებიან ჩემი ფიქრები და ჩემ მაგივრად გაგაჩერებენ. მე შენთვის მინდა ეს საოცრება, ჩემი სინაზე და სიყვარული, ნუ მათქმევინებ ამ გაზაფხულზე, — ნეტავი მიწა მეყაროს გულზე. ლუნა.

მარ, ახლა გამომიჩნდა დრო და მივვარდი „გზას“. იცი, როგორ მომენატრეთ? სამწუხაროდ, მგზავნელებსაც ველარ ვეხმიანები. ხანდახან მესიჯზე პასუხს 1 საათის მერე ვწერ (ან საერთოდ ვერა). აბეზარა.

მარ, როგორ ხარ? ჰოდა, რა მინდოდა მეთქვა: მგონი ამ ახალ წელს წიგნით ხელში მომიწევს შეხვედრა. 10-დან ოლიმპიადები იწყება და... ეჰ, კაი იყო, VIII კლასი და თავისუფალი დრო, მარა სადაა? ისე, აბეზარი არასოდეს ვყოფილვარ. პირიქით, ყოველთვის ვერიდები ადამიანების შეწუხებას, მაგრამ ნიკს არ ვიცვლი, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მგზავნელს (ვისაც ვიცნობ) პირველი უწერიათ ჩემი ნომერი (ნუ, მართალია შემთხვევით ეშვებათ ხოლმე ზარები, მაგრამ მერე რა?). ხვალ დილით ჟურნალი უკვე უნდა გავანათხოვრო. აუ, რაა რა... ეჰ, ვბუტურობ და შენც გაცდენ. ასე იცის სწავლით გადატვირთვამ... გაბრუებული დავდივარ, მაგრამ მეპატიება. აბეზარა.

შენს ყოველ შეხვედრას სინაზე თან ახლავს, თან ახლავს დამწველი სევდაც, ვხედავ, რომ გახარებს შენ ჩემი დანახვა და მაინც ვერაფერს ბედავ. წრფელ გულში იგუბებ ფიქრების ნიაღვარს, დადიხარ, უბრალოდ იწვი, შემხვდები, წითლდები, რა მორცხვი ვიღაც ხარ, რა წმინდა სირცხვილი იცი... ჩემს გულში აენთო უალო ხანძარი, ვათენებ უამრავ ღამეს, მსურს ფიქრი გაგანდო, ენა ვერ დავძარი, შენ მაინც მითხარი რამე... 9717.

გითხარი, გეწყინა, ბავშვივით გაწითლდი, ბავშვივით დამტუქსე თან, რა ცუდი ყოფილხარ, მომეშვი, გამცილდი, როგორ გამიბედე თქმა? არაო, თავს აქნევ, სასტიკად უარობ, მეძახი ცუდსა და შლეგს, მე კი ასე ცუდი, მეგობრებს ვუამბობ, როგორი კარგი ხარ შენ... 9717.

მარი, სიხარულო, „გზავნილების“ შესავალმა გამაოცა. თითქოს ჩემს გულში იჯექი და იქიდან ქადაგებდი. გაიხარე, გვეკუთვნოდა საყვედური. ხალხო, ნუ კბენთ ერთმანეთს. პირიქით, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთის ლანძღვა არაფერს შეგმატებთ. ნინი.

აუ, „მობილი-ზაციაში“ სიტყვა „სოფელს“ როდესაც ახსენებენ, მყრალი, ბინძური პირები კარგად გამოიბანონ. ვისაც სოფელთან რამე გართულება აქვს, ხელები გაშალოს და გამოექანოს.

დღემდე მიხაროდა „გზის“ კითხვა. ხალისით ვკითხულობდი. დღეს კი, ნერვები მომეშალა. ფუ, მაგათი. გულისამრევები არიან.

ჰიიი, როგორ ხარ, მარი? ცოტა გული მწყდება, მესიჯებს რომ არ მიბეჭდავ. ჰო, აღარ ვაპირებ, ავყვე ზოგიერთებს. აქ ახალი მეგობრების შესაძენად ვამესიჯებ, მტრების კი არა. ეს მინდოდა მეთქვა, მხოლოდ. პაწუ17, ვიმეგობროთ. მარ, დამიბეჭდე რა, გთხოვ. ჰო, დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ ყველას. მარტოსული.

ფეშენ, როგორ გამახარეე?! მეც ვგიჟდები შენს გამორჩეულ გზავნილებზე. SWEET GIRL, სიხარულო, შენი გზავნილების სანდრაბუსში კითხვა და 5 კრუგი ჩემზეა. გაკოცეთ. ელექტრა.

თაზო, წერილი და სურათები გამოგიგზავნე. შემპირდნენ, მალე მიუვაო. აბა, შენ იცი, გაითვალისწინე ჩემი თხოვნა. ბევრს გკოცნი. უზომოდ მენატრები. შენი დაიკო, ხათუნა. გკოცნი.

თაზო, მრავალ ახალ წელს დაგასწროს ღმერთმა. იმედი გვაქვს, მალე კარგად იქნება ყველაფერი. ისეთი იმედი მაქვს დეიდა თიასი, მე მგონი, არ გაგვიცრუებს იმედებს.

რაჭა და ონი მაგარია. წელს კაი ახალი წელი გვექნება პლოშადზე, ონელებს. :-) რაც მაგრები ვართ, ონელები ვართ. მოვიკითხავ ყველა ონელს, ვინც თბილისშია. ონელი.

ელექტრა, ძვირფასო, მე უფრო მეტად გამახარა შენმა სიტყვებმა. არც მეგონა, თუ შემამჩნევდი. ბერბიჭ, გაიხარე, კარგი ხარ. მისტერ, ჩემს სიმპათიას იმსახურებ, ნაღდად! ფეშენა.

მისტერ, ყველაზე დიდი, 90%-იანი დედალი შენ ხარ. თეთრო ყვავო, ხვდები, რომ შენც ძაან აიყროლე ენა? მისტერას ნახმარი ქალივით სექსუალურ თავისუფლებას ნუ ქადაგებ. ეკა09.

ვაჰ, კაცო, თეთრი ყვავის მესიჯზე მეც ყალყზე მიდგება თმა. პრეზიდიუმში თვითონ ზის და ბოზობასაც აპიარებს. თან პატიოსნების პირადში აქეთ იქექება. ელია.

პოვნა იყო სიხარულის განშორება კივილის... რა ვქნა, ისევ გელოდები, ზღვას გავყურებ გიჟივით. ყველანი კარგები ხართ. უკვე წელიწადია, დაუსწრებლად გიცნობთ. ნია.

მომიტევეთ ბავშვებო, იცით, აქამდე სრული იდილია იყო, ახლა ქაოსია. რა დაგემართათ? მიუტევეთ და თქვენ ნუ გახდებით განსჯის ობიექტები. მიმიღეთ მეგობრად. ნია.

ვაი თქვენს პატრონს, თუ სარვიეტაში — ლიმონა, პაწუ 17-ში — 9717, თეთრ ყვავში — ილინი, ბერბიჭაში — ენიგმა და თაყვანისმცემელში თვით იდუმალი ქალი ვერ ამოიცანით. ჭორიკანა.

თეთრო ყვავო, შენს გახვრეტილ კრიტერიუმებს ნურც შენ გვეღრუტუნები. არაფრით ჯობიხარ მათ, ვისაც აქეთ სვრი ტალახში. ეტყობა, უფასო ტრიბუნას მიეჩვიე. ყორანი.

ახალი ვარ და აბა, თქვენ იცით, როგორ მასპინძლობას გამიწევთ. გიო84.

პაწუ17, როგორ გგონია, საკუთარ თავს შეურაცხყოფას მივაყენებ და თავს იმის უფლებას მივცემ, რომ ახსნა-განმარტება ჩაგაბაროო? შენს ცნობისმოყვარე თავს უთხარი, თავისი გრძელი ცხვირის ჩემს საქმეში და მესიჯებში ჩაყოფას შეეშვას. საქმე არ გაქვს, მე რომ მეგაასებიი? მისტერ.

ერთადერთი ხარ ცხრათვალავ, ეს დიდი ხნის წინ გაგანდე. ღუზასაც შენთან ჩავუშვებ, შენი ვარ კუბოს კარამდე. მარა არ მინდა მანამდე, რომ ოქროს ჯაჭვით მაბამდე. ბერბიჭა.

მგზავნელნო, მგონი ცისია ჩემი ალერსის ღირსია. მისი ხანძარის ჩაქრობა ყოფილა ჩემი მისია. ყველაზე დიდი სიტკბო ხომ სწორედ აკრძალულ ხილშია. ბერბიჭა.

ეტყობა ეძებ ექსტრემებს და გკითხავ, ჩემზე დაგეშილს, ნაგლო, რამდენ ხანს გამიძლებ, ერთი-ერთზე მყოფს, ღამეში? ხანდახან მჯერა, რომ მტერიც გამომადგება რამეში. ბერბიჭა.

ელექტრაააა... რატომღაც გული დამწყდა... ჩემი დაბადების დღის თარიღი, სიყვარულით რომ უნდა დამტკბარიყო, იმ გოგოს სიკვდილს ემთხვევა. სულ გავიხსენებ... სარვიეტა.

თამრო, ისეთი სითბო ჩამეღვენთა შენდამი, შეუძლებელია, არ გაგინაწიღო. :) ის ბავშვური, ალალი თავგანწირვა იყო, როგორიც ახლა ბავშვებსაც არ სჩვევიათ... სარვიეტა.

სკარლეტ, საყვარელო, მაგრად დავიგრუზე. ნუ მოიწყენ, კარგი? დაგიბრუნდება შენი სიყვარული, აი, ნახავ. თოლია, გმადლობ. ცხადია, დები ვართ. თიკუნია999, კარგი ხარ. ASHLEY PCD.

მარ, მიხარია, ჩემი ნაჯღაბნი რომ მოგეწონა. აწი მოგწერ ჩემს შემოქმედებას... არ მეგონა, ჟურნალში თუ დაბეჭდავდი. გენაცვალე, მიყვარხარ ძაან. გაკოცე უამრავი. ASHLEY PCD.

პაწუ 17 და თეთრი ყვავი, გმადლობ მხარდაჭერისთვის. ბერბიჭ, რას ვიზამთ,

გზავნილები სიხარული ამბავი სიხარულია, გზავნილები ქრება — განახლებული ქრება

ლესბიანკაა და ჩემზე კაიფობს და რომ ვაიგნორებ, გულზე სკდება. ASHLEY PCD.

მაროო, დამავიწყდა შენი წესით ტექსტის აკრება და მიმიბეჭდე საცხა მაი მესიჯი, ლაა... :) CRAZY, არ წახვიდე, რაა. მაგრად მიკალქალ, დაიკუნა. ASHLEY PCD.

აუ, ნაგლი, ასე ძაან გინდა, ტრუსში ჩაგიძვრე? გატყობ, ზედმეტად აღგაგზნებ. თანაც, იმ დონემდე, რომ საკუთარ სექსუალურ ფანტაზიებსა თუ სურვილებს ჩემდამი, მთელი საქართველოს წინაშე აცხადებ. დუმილი თანხმობის ნიშანია და ე.ი. მეგრელი გველო ხარ. რა იყო, 1 კაცი გყავდა, გაჭირვებით ნათრევი, იმანაც მიგაგდო და ლესბიანკა გახდი? ASHLEY.

ისე, მეტს აღარ ვაპირებ ზოგიერთის სიდამპლისგან აყროლებულ ენაზე ჩემი ძვირფასი ბალანსი დავხარჯო. თანაც, ახალი წელია და ჯანდაბას, თქვენი თავი. :) ამიტომ, ყველასთვის მიპატიებია ყველაფერი და ვისაც ჩემი ცხოვრება ასე გაინტერესებთ, გეტყვით, რომ საქმრო მყავს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯარში გაიწვიეს. :(BOYFRIEND-GIRLFRIEND-ის ინსტიტუტის მომხრეც ვარ, მაგრამ სექსი არ მაქვს, რადგან მარხვაა. ის კი არა, თვენახევარია არც მიზასავია. :) ოღონდ, მართლა. ასე რომ, რაც გინდათ, ის თქვით და გამაპიარეთ. :) ASHLEY PCD.

აუ, ისე, ნიკი ხომ არ შევიცვალო? მარა მივეჩვიე. არადა, BEYONCE მინდა ნიკად... ისა და... ნეტავ თოვლის ბაბუ ჩემს პირველ სიყვარულს არ მომატაცებინებს? :) ASHLEY PCD.

მარუსი, ლამაზო, სმაილიკები არ დამიკლო, მესიჯებზე. როგორც ვწერ, ისე მიაბეჭდე, ლაა. დიკი ანგელ, „ბარელი“ დიკი ანგელი არ ხარ? ემო ანგელ, გაგეცნობი ლამაზო, ცხადია. ASHLEY.

გამარჯობა, საყვარლებო. იცი, რამდენი ხანია, „გზას“ ვკითხულობ? მაგრამ შიგადაშიგ გწერთ, ზოგჯერ არც იბეჭდება. დღეიდან თუ შეიძლება, მგზავნელი გავხდები. ნინიკო-სუსუნა.

გოზინაყი მომინდა. პასკაც... ამ შუა ზამთარში პასკა რამ გამახსენა I REALY DON'T KNOW, მარა ფაქტია, დილის 6:35-ია და მესუსნავება. :) ASHLEY PCD.

ვაიმე, მზერამ ბოროტმა მწარე ეკალად ჩამთვალა, არც ეკალი ვარ, არც მწარე, ბერბიჭას ტყვე ვარ, ცხრათვალავ. მის ხსენებაზე ახლაც კი, სიამით გამაკანკალა. ცისია.

ლუკა, შენგან ავიღო ნებართვა, სად გავიჩითო და სად არა? დამცველის როლში კარგი ხარ, მაგრამ... იქნებ ჯერ ის გაიხსენო, ეგ სიტყვა ვის ვუთხარი და რას მოვაყოლე. პაწუ17.

პაწუ17, ისე მოიყენე დუჟი ენაზე, რომ ნაღდად მძუვნობის მომენტი გაქვს და გამკვრელებს აქ ეძებ. ალინა, ძუკნა პირველად პაწუ17-მა მიწოდა და ის აგიხსნის უკეთ. სუპერგოგო.

მაარ, საყვარელო, შენს „სიტუაციაზე“ ჩემი ბავშვობა გამახსენდა. ახლა ხომ მაკლია და მიხარია, არც მაშინ ვაკლებდი. :) 3 წლის, ვაუაზე შემიყვანეს ბაღში. ლოგინები უჯრებივით იყო და ზედა უჯრაზე მე მეძინა. ანუ, არაფერი არ მაწუხებდა. ფაქტობრივად, ლოგინ-კომოდის თავი ვიყავი. :) ძილი არასდროს მყვარებია, ჩვილობაშიც კი და წარმოგიდგენია, მე რომ შუადღისას ვიკადრებდი ძილს? :) ბევრმა წუწუნმა, არ მეძინება-მეთქი, არ გაჭრა. ამიტომ, გენიალური იდეებით დახუნძლულმა, ქვედა უჯრა-საწოლების გამოწევა და ბავშვების გაღვიძება დავიწყე (მეტი საქმე არ მქონდა და...). 2 დღის მერე, რატომღაც დამეზარა ბაღში წასვლა და მიუხედავად მშობელ-მასწავლებლების ხვეწნა-მუდარისა და — ნახე, ეზოში საქანელებიც კი შენი ფლომასტერების ფერებიას ძახილისა, მაინც წამოვედი უკან. მერე კი მიკვირდა, ბაღში რატომ აღარ მივყავარ-მეთქი. თურმე, ჰგონებიათ, რომ სულ აღარ მინდოდა სიარული. :(5 წლის კი შემიყვანეს თემქის ბაღ-ჯოჯოხეთში. პირველივე დღეს ფანჯარაზე ავძვერი და ჰაიდაა... მოვტყდი შინისკენ და თავი სამშვიდობოს რომ მეგონა, სწორედ მაშინ წამიჭირა თმით მასწმა. ეეჰ... :(ASHLEY PCD.

FILLIPO, ერთხელ აღარ უნდა მომწერო? GREEN და SWEET, ეს თქვენც გეხებათ! გაბლაზებული ვააალ. გავიბუტეეე. ჭრიჭინ, შოკოლად და ფეშენ, თქვენი გაცნობა მაგრად მინდა და დამიპირადეთ, ცუგრუმელებოო. მპა, თქვენ. ASHLEY PCD.

მინდა, ჩემს ფან-კლუბს მივმართო: ვიცი, როგორ გიყდებით ჩემზე და ქუჩაშიც კი აპირებთ გასვლას ტრაფარეტებით, წარწერით: ASHLEY ბოზია. თავი არ შეიწუხოთ, ისედაც ვიცი, როგორ გიყდებით ჩემზე და როგორ დნებით ჩემი სიყვარულით, ამ ყინვაში. :) მერე რა, რომ ზამთარია, ASHLEY მუდამ მაგარია. :) ვიცი, რა მაგრად მაქებთ და მადიდებთ ჭეშმარიტი, მამაპაპური ლოცვა-კურთხევით, მაგრამ ახალი წელი მოდის და დაშოშმინდით. იმედია, აზრზე მოხვალთ გველუკებო. თუ არადა, ჩემი პოსტერი გაიკარით ლოგინთან და კოცნეთ! ASHLEY.

რატომღაც, არც ერთ გველუკას არ დაუპირადებია. საწყალო მშიშრებოო! ASHLEY PCD.

ზურა შამადუხაშვილს თავისი პატარა ზღარბუნიები ულოცავენ ახალ წელს. არ დაგვივიწყო, მამიკო. ზღარბუნიები.

უდიდესი სიყვარულით მოვიკითხავ და დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ უმშვენიერეს ქალბატონებს: იდუმალ ქალს, გლუკოზას, ინგას, ქეთინოს, ბელოს. უფალი გფარავდეთ. ოლეგარიო.

ქეთი, რაღა ცოლიან კაცს აეკიდე? კაცების მეტი რაა. ოჰ, ქალებო, რა გეშველებოდათ, კაცები რომ არ ვარსებობდეთ? გადარეული.

პაწუ17, ზოგის საქალწულე აპკს მანდავუშკასავით ნუ დააკვდები, მარცხი იცის. შენ დაჟე დონეც გაქვს? უი, დაგასწრებ და გეტყვი: არ გავკარი შენს პაწუკობას? ნაგლი.

„პროფილი“ ელექტრას უნდა მიჰყავდეს. რამდენი გვაცინა?! „შაბათის შოუ“ — ბერბიჭას და 9717-ს. „ბასტიბუბუ“ — მარის. „ღამე შორენასთან ერთად“ ნეტავ ვის? სირინოზი.

მიყვარხარ

მინდა, რუისში, ნათია კუთხაშვილს ვუთხრა: ნათი, ჩემს მეგობარ კოკას უყვარხარ ძალიან და რატომ არ უჯერებ? შენზე ბევრს მელაპარაკება ხოლმე, არ მიჯერებს, რომ მიყვარს და რა გავაკეთო, რომ დავაჯეროო? მინდა გითხრა, რომ თუ კოკას მიმართ რაიმე გრძნობა გაქვს ან გიყვარს, დაელაპარაკე, გთხოვ. მე დიდი სიამოვნებით გაგიცნობ, მანდ რომ ვიყო. კოკას მართლა უყვარხარ. დაუჯერე და დაელაპარაკე. თქვენი გულშემატკივარი. ფატი ანუ ბებერი.

ალეკო ჯიხვაშვილო, ჩემო სიხარულო, როგორ მომენატრე. იმედია, მალე გნახავ. ქეთათო.

დათო კილასონია, მიყვარხარ, მიყვარხარ. შენ ხარ ჩემი პირველი სიყვარული. კილა, როგორ მენატრები, იცი? უაზროდ. მინდა გითხრა, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

ქაქუთელო რომან ოთიაშვილო, ძალიან მიყვარხარ. იმედია, შენც მალე შემამჩნევ და შემიყვარებ. არც თუ ისე ძნელად შესამჩნევი ვარ. ქერა გოგო. გკოცნი. მიყვარხარ.

გიო-გიო, ვაბოდებ შენზე, ისე მიყვარხარ. იმედია, მალე დაგვიბრუნდები. ნიაკო.

გილოცავ!

საბა ტყეშელაშვილს ახალ წელს ულოცავს თოვლის ბაბუა.

ხალხოო! მგზავნელებო, „გზის“ რედაქციავ და სრულიად საქართველოს მოსახლეობავ, გილოცავთ ყველას შობა-ახალ წეელს! ASHLEY PCD.

ქუთაისში მცხოვრებ გელხვიძე გრიგოლს ვულოცავ ქრისტეშობას და ახალ, 2010 წელს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მშვი-

დობიანი წლის მობრუნებას.

ორპირში მცხოვრებ ჩემს ლამაზ და უბერებელ დედას, იულია გორგიძეს ვულოცავ ქრისტეშობას და ახალ, 2010 წელს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილიშვილებთან ერთად. გლოცავ გულით. მენატრები და მიყვარხარ. შენი შვილი, თინა.

ყველას გილოცავთ დამდეგ დღესასწაულებს. მრავალს დაესწარით. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. უფალი გფარავდეთ. აბეზარა.

თბილისში მცხოვრებ გორგიძე გურამს ვულოცავ ქრისტეშობას და ახალ, 2010 წელს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს, შენს ლამაზ ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. გკოცნით და გეფერებით, თინა.

ირმა დოლიაშვილს და ნიკო ხორნაულს ვულოცავთ გაბედნიერებას. დღეგრძელობა, ბედნიერება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ივერი და ვახო დოლიაშვილები.

გულიზა მამასახლის-თათვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, შენი ლამაზი ოჯახით. შენი დასახული მიზნები აგეხდინოს. გფარავდეს უფალი. ირინა.

ჩემს უსაყვარლეს და ძვირფას მეუღლეს, ელდარს ვულოცავ ახალ წელს და დაბადების დღეს. მუდამ ჯანმრთელი და ბედნიერი გვყოლოდე. გვიყვარხარ. ჭუკი.

გიორგი კანჭაშვილს ვულოცავ ახალ წელს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. გიგი, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენი ბახალა.

მაარ, გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და მუდამ ჩართულ ტელეფონს. ძალიან მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობ. მაარ, შენს დედიკოს მიულოცე ჩემს მაგიერ და ამ წლის ბოლო მადლობა გადაეცი, კარგი შვილის გაზრდისთვის. გკოცნი. მატიტელა.

ბათუმში (ბენ ზეში) გუგული ვაშალომიძეს ვულოცავ 2 იანვარს, დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს. ლეილა მჟავანაძე.

გამარჯობა. როგორ ხარ, მარი? გილოცავ ახალ წელს. ბედნიერი, წარმატებული, გამორჩეული წელი ყოფილიყოს, შენთვის და ყველა ქართველისთვის. ნათუკას და ათინა55-ს მოვიკითხავ. შემეხმიანეთ. ალინა.

მარი ჯაფარიძე, სულითა და გულით გილოცავ ახალ წელს, ჩემო ჭკვიანო და ნიჭიერო გოგო. მიკვირს, როგორ უძლებ ამდენს. მე ერთი გიჟი ბებია მყავს და მომკლა ქალი. იცოცხლე დიდხანს. მადლობელი ვარ პირადად შენი, რომ წამომივლის და მიბეჭდავ. ამით გულს ცოტათი ვშველი. მარინულა.

ათენში მყოფ ყველა ქართველ ემიგრანტს ჩემი და მუსის თამადობით ვულოცავ ახალ, 2010 წელს. გისურვებთ ყველაფერს კარგს და სამშობლოში მალე დაბრუნებას. გკოცნით, მიყვარხართ, დალი კოჭლამაზაშვილი.

მინდა, ბაღდათში ახალი წელი მივულოცო ჩემს საყვარელ ძმებს, რძლებს, ძმისშვილებს, სიძეებს და განსაკუთრებით — ჩემს ლამაზ, ჭკვიან, პატარა მარის. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით.

მარიამულს, კამის, გრუზინკას, მოხუცს, ჩემს დიდ ბიჭს, ტირიფს და მგზავრს, ბოხოს, გაცოცხლებულ თოჯინას, ალინას, ათენი23-ს, სოფი19-ს, ბოას, ნამდვილ მამაკაცს, ედელვაისს, ჭრიჭინას, პარიჟანკას, ექსტაზს, გერასიმეს, ელისოს, ფინტიკოზას, აბლახანუმს, ქალ ცდუნებას, სევდიან ქალს, იდუმალ ქალს, რუისპირს, ოლეგარიოს, იკუშკებს, თოლიას, სვანის ასულს, შოკოლადას, 9717-ს, CRAZY GIRL-ს, კამ-კამას, ASHLEY-ს, მისტერს, ლორელაის, ვერმახტს, ფელამუშას, აბეზარას, ლა-ლოლას, სესის, ვასასს, უზნეო ანგელოზს, ლეო91-ს, ბერბიჭასა და ცხრათვალას, ნინოს, დათოს, ჩემს სიხარულებს: მარის, ლეოს, დიტოს, შორეს, სულხანს, ირაკლის, დიანას, ნიკას, დათო ბიძიას და ყველას! ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ! ბედნიერებისა და სიყვარულის წელი ყოფილიყოს თქვენთვის! ლუნა.

ავთო და ნაზის ულოცავს ახალ წელს შვილი, ელისო ლანჩავა. გისურვებთ ყოველივე კარგს. გაიხარეთ. თქვენი შვილებით, შვილიშვილებით, სიძეებით. დაე, მრავალჯერ მომელოცოს. მენატრებით. გკოცნით, ჩემო ტკბილო მშობლებო.

ზალიკო ცხადაძის ოჯახს ვულოცავ ახალ წელს. გაიხარეთ. ჩემო ძვირფასებო, მენატრებით. გკოცნით, თქვენი მონატრებული ელისო ლანჩავა.

ნანი ჭულუხაძე-გორგაძეს გულითა და სულით ვულოცავ ახალ წელს, თავისი ოჯახით. გაიხარე, ღმერთმა მოგცეს ძალა. მე დიდი მადლობელი ვარ. შენი შვილობილი, ელისო ლანჩავა. მიყვარხარ, გაიხარე, გკოცნი.

ნიკა გოცირიძეს დედიკო ულოცავს ახალ, 2010 წელს. მრავალს დაესწარი, ჩემო მონატრებულო. ღმერთი გფარავდეს. სულ შენზე ვფიქრობ. ჩემო ლამაზო, გაიხარე. გკოცნი და გეფერები. ელისო ლანჩავა.

მარიტა ცნობილაძეს, კრისტინა და ლიზიკო სოფრომაძეებს, ლიკა, სალომე და გვანცა ყუფარაძეებს, ნიკა გოცირიძეს ვულოცავ ახალ წელს. გაიხარეთ, ჩემო ლამაზებო. თქვენით ვამაყობ. მენატრებით, გკოცნით. თქვენი მონატრებული ელისო. დამიკოცნეთ გიო.

ქეთი პაპუნაშვილს დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს, 30 დეკემბერს. მუდამ გახარებული და ბედნიერი ცხოვრებით გეცხოვროს, ჩემო ლამაზო. შენი დედიკო, ბალია.

პატარა ბიჭიკო ვარდანიძეს 29 დეკემბერს 5 წლის იუბილეს ულოცავენ მომავალი ნათლიები. პატარა კაცო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, უღრუბლო ზეცას.

რაჭველებს (ონელებს) ვულოცავ დამდეგ ახალ წელს და რა საშინელებებიც (ომი, მიწისძვრა) გადავიტანეთ, აღარასოდეს გვენახოს. გვფარავდეს უფალი მთელ რაჭას! ვ.რ.

ჩემს კუდრაჭა ბიძაშვილს, ინგა ხელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 1-ელ იანვარს. ვუსურვებ ლამაზ სიყვარულს, ულევ სიხარულსა და უსასრულო ბედნიერებას. საბა ბაღდავაძე.

ლია, გილოცავ დამდეგ ახალ წელს. დაესწარი მრავალს, შენს შვილთან ერთად. მეგი და ლია. ღმერთი გფარავდეთ. თომა.

ჩემს უსაყვარლეს მამიდაშვილებს, ანა და ნანა დვალიშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. თქვენს ამაგს არასოდეს დავივიწყებ. მიყვარხართ ძალიან. საბა ბაღდავაძე.

ქუთაისელო ბახვა მდინარაძეე, გილოცავთ შობა-ახალ წელს და დაბადების დღეს, 7 იანვარს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს, საყვარელ ოჯახთან ერთად. გფარავდეს ღმერთი.

ჩემს საყვარელ ადამიანს, ირინა მინაძეს, მინდა 30 დეკემბერს დაბადების დღე მივულოცო. ძალიან მენატრები, ჩემო კარგო, გისურვებ, სულ მალე ერთად ვიყოთ. უფალი გფარავდეს.

გილოცავ ახალ წელს. დაესწარი მრავალს. გისურვებ ჯანმრთელობას. ძლიერი ბიჭი ხარ, უნდა გაუძლო. ძალიან გვენატრები. ელენე.

ირინე მინაძეს ათენში ვულოცავთ დაბადების დღეს და შობა-ახალ წელს. ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ. ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. აბეზარა და მაჩიტაძეები.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■

ზაიმ-აუზი

საახალწლო ტრადიციები

* შვედეთში საახალწლოდ ტარდება კონკურსი, სადაც ბავშვები სინათლის დედოფალს, ლუციას ირჩევენ, რომელსაც თეთრ კაბას აცმევენ და თავზე ანთებული სანთლების გირგვინს ადგამენ. ლუცია ბავშვებს სათამაშოებსა და ტკბილეულს, ხოლო ცხოველებს საკვებს (კატას — რძეს, ძაღლს — ძვალს, ვირს — სტაფილოს) ურიგებს.

* იაპონელმა, რომელსაც ბედნიერი წლის დაბედება სურს, ახალი წლის ღამეს ზარი 108-ჯერ უნდა დარეკოს. ზარის თითოეული ჩამოკვრა ადამიანის თითო სისუსტის — სიძუნწის, სიბრიყვის, სიფიცხის, ჭკუასუსტობის, ყოყმანის, შურიანობის დამარცხებასთან ასოცირდება და თითოეულის განსადევნად ზარი 18-ჯერ უნდა დააწკარუნონ.

* მიანმაში ახალი წელი ზაფხულში დგება. ამავე დღეს აღნიშნავენ მხიარულ დღესასწაულს — „წყლის ფესტივალს“, რომლის დროსაც ადამიანები ქუჩაში გამოდიან და ერთმანეთს წუწავენ.

* კუბაში, ვიდრე საათი 12-ს ჩამოჰკრავს, ყურძნის 12 მარცვლის ჭამა უნდა მოასწრო, რათა მომდევნო 12 თვე იღბლიანად გაატარო.

* ახალი წლის ღამეს მექსიკელ ბავშვებს ადამიანისგამოსახულებიან თაფლაკვერებს ურიგებენ.

* ფრანგი თოვლის ბაბუა — პერ ნოელი ბავშვებს საჩუქრებს ფეხსაცმელებში უტოვებს, ზოგს კი ცერცვის მარცვალს უყრის. ვისაც ეს მარცვალი შეხვდება, „ცერცვის მეფედ“ ირჩევენ. ყველა მას უნდა დაემორჩილოს და სურვილები აუსრულოს.

* ინგლისში ნაძვის ხის გარდა, ფითრის ტოტებსაც რთავენ. მას ოთახის შუაგულში, ჭერში კიდებენ და ტრადიციის თანახმად, მამაკაცს უფლება აქვს, აკოცოს გოგონას, რომელიც ფითრის ტოტის ქვეშ იდგება. ინგლისელების საახალწლო სუფრა პუდინგის გარეშე წარმოუდგენელია. მასში სამ ძირითად ნივთს: ბეჭედს, მონეტასა და პატარა ნალს დებენ. ვისაც ბეჭედი შეხვდება, იმ წელს გათხოვდება, ნალი — წარმატებას მოუტანს, მონეტა — სიმდიდრეს.

* დანიაში შობის მთავარი კერძებია შემწვარი იხვი ვაშლითა და ქიშმიშით, დარიჩინით შეზავებული ტკბილი ბრინჯი. ერთ თეფშ ფლავს დანიელები საახალწლო სუფრაზე ტოვებენ, რათა ოჯახის მფარველმა გნომებმა პირი ჩაიტკბარუნონ.

* ძველად პოპულარული იყო ახლობლებისთვის საახალწლოდ ბარათების გაგზავნა. პირველი საახალწლო ბარათი ინგლისელმა მხატვარმა დობსონმა 1794 წელს დახატა, ხოლო ბარათის საახალწლო მარკა 1904 წელს, დანიელმა ეინარუ ხოლბელმა დაამზადა. ■

საახალწლო სუფრა აღმოსავლურად

ჩინეთში საახალწლო სუფრისთვის განსაკუთრებულ კერძებს ამზადებენ. თევზის კერძი სიმდიდრეს ნიშნავს, ქათმის — სიხარულსა და ბედნიერებას; წაბლი — შემოსავალს, ცზიაო-ცზის ანუ ჩინური ხინკალი — ოჯახურ ბედნიერებას. ჩინელებს მიაჩნიათ, რომ სუფრაზე ბრინჯის გარდა, სხვა თეთრი კერძი არ უნდა იდოს, რადგან თეთრი მწუხრის ფერია. ვინც ამ ტრადიციას დაარღვევს, უბედურება არ ასცდება. სუფრაზე უხვადაა სხვადასხვა ფერის, ძირითადად, წითელ-ყვითელი სოუსი. ■

როდის დგება ახალი წელი

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ვეფხვის წელი 2010 წლის 14 თებერვალს დადგება. 1-ელ იანვარს ახალი წლის აღნიშვნა 1700 წლიდან დავიწყეთ, მანამდე კი ახალ წელს 1-ელ სექტემბერს ეგებებოდნენ. ებრაელები ახალ წელს აღდგომიდან 163-ე დღეს (5 სექტემბრისა და 5 ოქტომბრის შუალედში) ზეიმობენ. მათი ტრადიციის მიხედვით, სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს ვაშლი და თაფლი. ირანში ახალ წელს ანუ ნარვუზს („ახალი დღე“) გაზაფხულის ბუნიობაზე, 21 ან 22 მარტს აღნიშნავენ. ■

სათამაშოებით მორთული საახალწლო ხე

პირველი ნაძვის ხე 1605 წელს, ელზასში (ადრე გერმანიას ეკუთვნოდა, ახლა კი ის საფრანგეთის ტერიტორიაზეა) მორთეს. ძველად მიაჩნდათ, რომ ხეებში ადამიანის სულები ცხოვრობდნენ და თუ მათ კარგად მორთავდნენ, მისი მობინადრეების გულს მოიგებდნენ, კარგ მოსავალს მიიღებდნენ. თავდაპირველად რთავდნენ სხვადასხვა ხეს, შემდეგ კი მხოლოდ ნაძვის მორთვა დაიწყეს, რადგანაც იგი მარადმწვანე იყო. ნაძვზე ცოცხალ ყვავილებს, ვაშლებს, თხილს, კანფეტებსა და სხვა ნუგბარს კიდებდნენ. მოგვიანებით, მისი მორთვა ხის ბურთებით დაიწყეს. პირველი მინის სათამაშო XVI საუკუნეში, გერმანიაში დამზადდა.

საახალწლო ნაძვის ხეს ტრადიციულად, 25 დეკემბერს დგამენ. 1916 წელს ნაძვის ხის მორთვა აიკრძალა — მაშინდელ საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდა, კომუნისტები გერმანული ტრადიციების მიმდევრები ყოფილიყვნენ, მაგრამ ნაძვის ხის მორთვა 1936 წლიდან ისევ ნებაყოფლობითი გახდა. ■

ოქროს საიდუმლო და დაკარგული ცხენები

* ოქრო კარგად გამოსაჭედი და წელვადი მეტალია. 30 გრამი ოქროსგან 85 კმ-იანი სიმის დამზადება შეიძლება, რომელიც ადამიანის თმაზე ათჯერ წვრილი იქნება.

* მთელი ისტორიის მანძილზე, სულ 200 ათასი ტონა ოქროა მოპოვებული. ეს რაოდენობა კუბებად რომ ვაქციოთ, 8-სართულიან სახლზე მაღალ პირამიდას ავაშენებთ.

* დღესდღეობით ოქროს ყველაზე დიდი მარაგი — 8 ტონა აშშ-ში ინახება, ოქროს სამკაულების ყველაზე მეტი რაოდენობით კი ინდოეთი გამოირჩევა.

* ოქროს მაძიებლები ირწმუნებიან, რომ დედამიწის წიაღში კიდევ უამრავი ოქროა. მათი აზრით, ყველა მდინარის, ზღვისა და ოკეანის ლიტრი წყალი 0,02 მლ გ ოქროს შეიცავს.

* ოქროს ყველაზე დიდი ქანდაკება სემირამიდას ბრძანებით დაუმზადებიათ. ქალღმერთ რეასა და მისი თანმხლები ლომების 250-ტონიანი ქანდაკება სემირამიდას ბაღში იდგა, დღესდღეობით კი მისი ადგილმდებარეობა უცნობია. ასევე უცნობია ორი ოქროს ცხენის ბედი, რომელიც ოქროს ურდოს ხანას ეკუთვნოდა. ■

ტყუილ-მართალი

ნიუტონს თავში ვაშლი დაეცა

ლეგენდის თანახმად, ნიუტონს თავში ვაშლი დაეცა, რის შემდეგაც, ფიზიკოსმა მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა. ეს სიმართლეა თუ არა, ვერ გავიგებთ, რადგან ამის შესახებ ვოლტერმა ნიუტონისადმი მიძღვნილ ესეში მოგვითხრო და ისიც აღნიშნა, რომ ეს ფაქტი ნიუტონის დამ, კეტრინ კონდუიტმა უამბო.

მიკი მაუსი უოლტ დისნეიმ დახატა

ყველასათვის საყვარელი მულტფილმის გმირი იუბ აივერსკსმა დახატა. იუბი იმით იყო ცნობილი, რომ ძალიან სწრაფად ხატავდა — დღეში დაახლოებით, 700 ჩანახატს აკეთებდა... მოგვიანებით კი, როცა ხმოვანი მულტფილმები გაჩნდა, მიკი მისი ხმით ლაპარაკობდა.

ვან გოგმა ყური მოიჭრა

თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე (მხატვარმა სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ტილო გაყიდა), გოგენთან კამათის შემდეგ, ვან გოგმა ყურის ბიბილო მოიჭრა და არა მთელი ყური.

ნაპოლეონი ძონდრისკაცი იყო

ნაპოლეონის სიმაღლე 168 სმ იყო, მაგრამ მეტსახელს — პატარა კაპრალს არა სიმაღლის, არამედ დაბალი სამხედრო ჩინის გამო ეძახდნენ. ■

ის, რაც ტვინის შესახებ არ იცოდით

ალბათ, გსმენიათ, რომ ტვინის უჯრედები ნაცრისფერია. სინამდვილეში, რუხი მხოლოდ გარდაცვლილთა ტვინია, ცოცხალი ადამიანისა კი წითელი გახლავთ.

ისიც გეცოდინებათ, რომ დროთა განმავლობაში, ტვინის უჯრედები კვდება (ამის მიზეზად შეიძლება, ალკოჰოლი, სიგარეტის მოწევა, სტრესი და სხვაც დაასახელონ) და აღარ აღდგება. მართალია, მოხუცებს მეხსიერება ხშირად ღალატობთ და აზროვნებაც უქვეითდებათ, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს. თუ ხშირად ისეირნებთ სუფთა ჰაერზე, მიიღებთ ჯანსაღ საკვებს და ამოხსნით ინტელექტუალურ სავარჯიშოებს, გონებას ხანდაზმულ ასაკშიც არ დაემდურებით.

არსებობს მოსაზრება: ადამიანს რაც უფრო დიდი ტვინი აქვს, მით უფრო ჭკვიანია. ეს მითიც საეჭვოა — ცნობილი მეცნიერისა და ენციკლოპედისტის, კიუვის ტვინი 2 კგ-მდე იწონიდა, ხოლო არტურ კონან დოილისა — 800 გრამამდე.

მთქნარება გამოუძინებლობასთან და დაღლილობასთან ასოცირდება, სინამდვილეში კი, მთქნარებისას ფილტვებში მეტი ჟანგბადი ხვდება, ტვინი სისხლით მარაგდება და ადამიანი მხნევდება.

ამბობენ: ადამიანი ტვინის მხოლოდ 10%-ს იყენებსო, მაგრამ დადგინდა, რომ უბრალო ამოცანის შესრულების დროსაც კი ტვინის ყველა უჯრედი მონაწილეობს.

1993 წელს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, მოცარტის მუსიკის 10-წუთიანი მოსმენა გონების მუშაობას აუმჯობესებდა, მაგრამ გამოკვლევამ ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე მუსიკის ზეგავლენა არ დაადასტურა. ■

„წლის ერუდიტი“ და „ანტიერუდიტი“

„ერუდიტი“ მალე 3 წლის გახდება. დამეთანხმებით, ეს რუბრიკისთვის პატარა ასაკი ნამდვილად არ არის. ჩემთვის, როგორც ავტორისთვის, რუბრიკაზე მუშაობა ძალიან საინტერესო და ამავდროულად, რთულიცაა, რადგან ხშირ შემთხვევაში რესპონდენტის დათანხმება ჭირს. გოკა გაბაშვილი, ხათუნა ოჩიაური, პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი, ეკა ხერხეულიძე — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ადამიანთა, რომლებიც შეხვედრაზე დღემდე ვერ დავითანხმე.

წლის „ერუდიტი“

თამუნა კვინიკაძე

„ეროვნულ-დემოკრატი“ ბაჩუკი ქარდავა მიიჩნევს, რომ მისი პარტიიდან ერთმა (გურამ ჩახვაძეს გულისხმობს) ჩემს „დაკითხვაში“ მონაწილეობა უკვე მიიღო და მეტი რა საჭიროა?.. ზოგიერთი რესპონდენტი შუა ინტერვიუს დროს ხვდება, „თავი რა შარშიც“ გაყო. ჰოდა, ზოგი მთხოვს, მის „წამებას თავი დავანებო“, ზოგი კი მეკითხება — რა დავაშავეო? რესპონდენტების უმრავლესობა ამ რუბრიკაში სტუმრობას გამოცდაზე გასვლას ადარებს, ოღონდ, ერთი განსხვავებით — მე მათ გამოცდას ყველა საგანში ერთდროულად ვუწყობ. რუბრიკის სტუმრებიდან „წლის ერუდიტის“ ტიტულს არაერთი იმსახურებს, მაგრამ 52 რესპონდენტიდან საუკეთესო კონსტანტინე გამსახურდია აღმოჩნდა. მან პასუხის გაცემა ჩემ მიერ დასმული კითხვების 85%-ზე შეძლო, ხოლო 47%-ით „წლის ანტიერუდიტი“ მოძრაობა „7 ნოემბრის“ წევრი, ჯაბა ჯიშკარიანი გახდა.

ახლა კი მოკლედ რუბრიკის სხვა სტუმრებზეც მოგახსენებთ. 2009 წლის პირველ ნომერში ჯანრი კაშიასთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მას „ერუდიტი“ ძალიან მოეწონა და მთხოვა, გარკვეული დროის შემდეგ, ამ რუბრიკაში ისევ ჩამეწერა, მაგრამ ბატონ ჯანრის თხოვნა იმ მიზეზით ვერ შევუსრულე, რომ „ერუდიტში“ სტუმრები არ მეორდებიან. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და პასუხის გაცემა დასმული კითხვების 75%-ზე შეძლო; შემდეგი სტუმარი პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ლევან ვეფხვაძე (64%) გახლდათ. მოგეხსენებათ, ის პროფესიით მათემატიკოსია. ვაღიარებ, მათემატიკაში ვერ ჩავჭერი, მაგრამ გეოგრაფია აღმოჩნდა მისი სუსტი წერტილი. მან სინანულით მითხრა: ამას ჩემი გეოგრაფი სიდედრი არ მაპატიებსო.

„ქრისტიან-დემოკრატებიდან“ „ერუდიტის“ სტუმრები მაგდა ანიკაშვილი (70%) და ზაზა გაბუნია (63%) იყვნენ. მაგდამ მითხრა, რომ მისთვის წიგნის კითხვა იგივეა, რაც მსახიობისთვის როლის თამაში; ზაზა გაბუნია კი ინტერვიუს დროს ძალიან ღელავდა. გამომიტყდა კიდეც: ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს განსასჯელის სკამზე ვზიავარო.

შედარებით თავისუფლად გრძნობდა თავს ჟურნალისტი თენგო გოგოტიშვილი (67%), რომელიც თურმე, ისტორიულ თარიღებს ვერ იმახსოვრებს. არ უყვარს ფანტასტიკა. „პატარა უფლისწული“ ის წიგნია, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბობს, — ხელახლა რომ წავიკითხო, ვიცი, ისევ ტირილით მოვკვდებიო; თენგოსგან განსხვავებით, ისტორიული თარიღები კარგად ამახსოვრდება ალეკო ელისაშვილს (74%), მაგრამ მას ერთი უცნაურობა სჭირს — არ ახსოვს, რომელ წელს დაამთავრა სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, რომელ წელს დაოჯახდა და ა.შ. როცა ცუდ ხასიათზეა, გურამ დოჩანაშვილის რომელიმე ნაწარმოებს კითხულობს; მათი კიდევ ერთი კოლეგა — დათო პაიჭაძე (65%) „ერუდიტის“ სტუმარი ახლახან იყო. იგი 2 წლის წინ ყველაზე წიგნიერ ჟურნალისტად დაასახელეს. ამბობს, რომ წიგნის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. მას ლიტერატურულ პერსონაჟებთან მეგობრობის სურვილი არ აქვს. მისი აზრით, ლიტერატურა არის ფენომენი, რომელიც მკითხველს გამოგონილ სამყაროში ამოგზაურებს და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი „მოგზაურობა“ ძალიან უყვარს, რეალურს და

წლის „ანტიერუდიტი“

არარეალურს ერთმანეთში არასდროს ურევს; დაჩი გრძელიშვილი „ყივჩაღის პაემნიდან“ დასმულმა კითხვამ ლექსის წაკითხვის ხასიათზე მოიყვანა და ვიდრე მცხეთას „საკეტურები არ უმტვრია“ და „კელაპტრიანი ტაძრები“ არ დალეწა, აღარ გაჩუმდა. მერე კი მითხრა: „ეს ლექსი თავის დროზე შეყვარებულისთვის წასაკითხად ვისწავლე, დღეს ის გოგო ჩემი ცოლია და ბედნიერი ვარ“. დაჩიმ სწორი პასუხის გაცემა დასმული კითხვების 69%-ზე შეძლო; მას ოდნავ ჩამორჩა მოდელი და ჟურნალისტი გვანცა დარასელია (67%). მან ინტერვიუს დაწყებამდე მითხრა: „ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს წასაკითხი. კითხვის პროცესი ძალიან მომწონს. ვერც კარგი მუსიკა და ვერც კარგი ფილმი ისე ვერ მიტაცებს, როგორც კარგი წიგნი“; გვანცას „ორმაგი“ კოლეგა თიკო ნატროშვილი (62%) კი მოდელებიდან ერთადერთი აღმოჩნდა, ვისაც მაგისტრის დიპლომი აქვს. მას ძალიან ჰყვარებია პოეზია, ამაში კი თურმე, დიდი წვლილი მის ერთ-ერთ თაყვანისმცემელს მიუძღვის — 13 წლის ასაკში მისთვის წაკითხულ ლექსს — „13 წლის ხარ...“ თიკოზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმ დღიდან თიკო იმ ბიჭის — არა, მაგრამ გალაკტიონის შემოქმედების თაყვანისმცემელი ნამდვილად გამხდარა.

„კომედი-შოუს“ ყველაზე მძიმეწონიანი წევრის — კობა ბარათელის (54%) სუსტი წერტილი გეოგრაფია ყოფილა. მან იხუმრა კიდეც: კოლუმბი ჩემნაირი რომ ყოფილიყო, ამერიკა ახლაც აღმოუჩენელი იქნებოდა, დიდი ხნის მანძილზე მეგონა, რომ თრიალეთის რაიონი კახეთში იყოო; როცა ამავე შოუს სცენარისტ ავთო-ვართე მარგველაშვილს (70%) დავუკავშირ-

დი და შეხვედრა ვთხოვე, ჩვეული იუმორით მკითხა: გამოცდაზე გაყვანას რომ მიპირებ, ბილეთის დანიშვნა არ შეიძლებაო? იგი 14 ივლისს არის დაბადებული. მოგეხსენებათ, ეს

ვაჟა-ფშაველას და ნოდარ დუმბაძის დაბადების თარიღიცაა, რის გამოც შოუმენი ამაყობს: ვაჟას სიბრძნე და დუმბაძის იუმორი გამომყვაო; „კომედი-შოუს“ გუნდიდან ყველაზე ერუდირებული დათო გოგიშვილი (ციყვი) აღმოჩნდა. თურმე ის პოლიტიკით მეექვსე კლასიდან ყოფილა დაინტერესებული. დარწმუნებულია, რომ ამერიკელ პიარ-მენეჯერებზე უკეთ იცის, რას ფიქრობს გლეხი მის სოფელში. იმაშიც გამოგვიტყდა, რომ მომავალში შეიძლება, პოლიტიკოსად მოგვევლინოს, რევოლუციას კი ქალის წარუმატებელ გათხოვებას ადარებს: „ნაბიჯის გადადგმა პირველად ჭირს (საქართველოში ასეა), თორემ მეორედ და მესამედ, პრობლემა აღარ არის“.

ახლა კი დროა, ტელეწამყვანთა შედეგებიც გაგაცნოთ და რადგან იუმორისტებზე შევჩერდი, ვანო ჯავახიშვილით დავიწყებ. მისი შეხვედრაზე დათანხმება ადვილი სულაც არ აღმოჩნდა. რამდენჯერაც დავურეკე, მისგან ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მოვისმინე: „ოღონდ „ერუდიტში არა!“ ბოლოს და ბოლოს, მისი დაყოლიება მაინც შევძელი. შეხვედრისას მითხრა: „ამ რუბრიკას მე და ჩემი მეუღლე სისტემატურად ვკითხულობთ, თან, შეჯიბრებას ვაწყობთ, რომელი მეტ კითხვაზე შევძლებთ პასუხის გაცემას“. მან კითხვების 68%-ს უპასუხა. მათემატიკოსი იუმორისტი „ეშმაკურმა“ შეკითხვამ დაბნია:

„— ოთახში 50 სანთელი ანთია. თუ 20 სანთელს ჩავაქრობთ, რამდენი დარჩება?

— 30 სანთელი დარჩება.

— **ვანო, დაფიქრდი.**

— აბა, კითხვა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*), შენ თვითონ დაფიქრდი, 50-ს 20-ს რომ გამოვაკლებთ, 30 არ დარჩება? რა გჭირს?

— **ვანო, მგონი, კითხვამ დაგაბნია.**

— მაგრად! აბა, მითხარი, რამდენი დარჩება?

— **20 სანთელი დარჩება, 30 კი ჩაიწვება.**

— შენ რა გითხარი, ეს რა ეშმაკური კითხვა იყო...“

„ვის უნდა 20 ათასის“ წამყვანს და „რუსთავი 2“-ის ახალ სახეს, მამუკა გამყრელიძეს კი თურმე, წაკითხული წიგნისა და ნანახი ფილმის შინაარსი მალე ავიწყდება, მაგრამ ყოველთვის ახსოვს ის განცდა, რომელიც ამა თუ იმ წიგნის კითხვისას ჰქონდა. მაგალითად, როცა სელენჯერის ნაწარმოებს კითხულობს, ტანში ჟრუანტელი უვლის. მან პასუხის გაცემა დასმული კითხვების 63%-ზე შეძლო; ერთ-ერთი საუკეთესო იყო „ერისთავის სათვალის“ წამყვანი, ლევან ერისთავი (73%). მას ინტერვიუს დაწყებამდე ვკითხე: „ბატონო ლევან, ვინმემ წიგნი რომ მოგპაროთ, როგორი რეაქცია გექნებათ?“ დაუფიქრებლად მიპასუხა: ვაპატიებ იმას, რომ წიგნი მომპარა და არა — ფულიო. ცუდ ხასიათზე ყოფნისას მისი წამალი „სამი მუშკეტერი“ ყოფილა. გული სტკივა, რომ ბრწყინვალე ნოველისტი ნიკო ლორთქიფანიძე სათანადოდ დაფასებული არ არის. ისიც მითხრა: წლების წინ მისი „მრისხანე ბატონის“ გადაღება მინდოდა. მიმაჩნია, რომ ეს ნაწარმოები კინოსთვის არის დაწერილი, მაგრამ იდეის განხორციელება დღემდე ვერ შევძელიო.

წელს „ერუდიტის“ სტუმრები დავით უსუფაშვილი (59%) და თინა ხიდაშელიც (58%) იყვნენ. რესპუბლიკელთა ლიდერმა გულახდილად მიამბო, თუ როგორ მოიპარა სელენჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ და საკუთარი ოცნებაც გამანდო, — სურვილი მაქვს, პოლიტიკიდან წავიდე, რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში დავმკვიდრდე და ლექციები წავიკითხოო. მეუღლეზე კი იხუმრა: თინიკომ იმდენი გეოგრაფია იცის, რამდენ ადგილასაცაა ნამყოფიო.

მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა (65%) დაიჩივლა, დღეს კანონპროექტების გარდა, ვეღარაფერს ვკითხულობო. სტუდენტობის წლებში ბევრი წიგნის წაკითხვა მოუსწრია. ამაყობს მეგობრებით და იმაშიც დარწმუნებულია, რომ ადამიანის ამოსაცნობად ფუთი მარილის ჭამა არ სჭირდება; საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, შოთა მალაშხია (74%) კი სულიერ საზრდოს ლექსიდან — „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“ იღებს. რუზველტის გამონათქვამს: „ილაპარაკე რბილად, მაგრამ ხელში გეჭიროს დიდი კეტი“ არ დაეთანხმა. მისი აზრით, ქართულ პოლიტიკაში „დიდი კეტი“ საჭირო არ არის, მთავარი გამოკვეთილად და მარტივად ლაპარაკია.

„ეროვნული ფორუმის“ ლიდერს, ირაკლი მელაშვილს (71%) მაინ რიდის შემოქმედების გაცნობა III კლასამდე მოუსწრია. ერთხელ მის სოფელში ბიბლიოთეკა გაუტეხიათ და წიგნების მოპარვა მისთვის დაუბრალებიათ — ეგ კითხულობს და აბა, სხვა ვინ წაიღებდაო? წიგნის მოპარვის ფაქტი და ისიც, რომ წიგნის ქურდს ქურდს არ უწოდებენ, ძალიან აღიზიანებს. ასე რომ, ვისაც მასთან ახლო ურთიერთობა გაქვთ, გირჩევთ, მის წიგნებს დაუკითხავად არ შეეხოთ.

კლუბ „რა? სად? როდის“ მოთამაშეები „ერუდიტის“ ერთ-ერთი საუკეთესო და ყოველთვის საინტერესო სტუმრები არიან. დიპლომატ სერგი კაპანაძეს (77%) ეს რუბრიკა იმდენად მოეწონა, რომ დამპირდა, დღეიდან „გზის“ ერთგული მკითხველი გავხდებიო; პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს, დათო ჭოჭუას კი უნიკალური მეხსიერება აღმოაჩნდა. მან თავადაც აღნიშნა, „რაც მინდა და არ მინდა, ყველაფერი მამახსოვრდება“. პასუხის გაცემა დასმული კითხვების 80%-ზე შეძლო; მას ოდნავ ჩამორჩა პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე (79%); ექსპერტი გია ხუხაშვილი (64%) მიიჩნევს, რომ ქართველ საზოგადოებაში ინტელექტუალების ნაკლებობა შეინიშნება. მისი აზრით, ვისაც ინტელექტზე აქვს პრეტენზია, მას წაკითხულიდან დასკვნის გამოტანა უნდა შეეძლოს. თავად წიგნის გადამეტებული სიყვარულით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა, მშობლები კი კითხვას უკრძალავდ-

ნენ და ეზოში სათამაშოდ „აგდებდნენ“.

ახალგაზრდული ოპოზიციური ფრთის ერთ-ერთ აქტიურ წარმომადგენელს, ჯაბა ჯიშკარიანს წიგნის კითხვაზე მეტად, ფეხბურთის თამაში ჰყვარებია, რაც ბუნებრივია, მის პასუხებზეც აისახა. მან დასმული კითხვების მხოლოდ 47%-ს უპასუხა და ამ შედეგით „წლის ანტიერუდიტი“ გახდა. მასთან შედარებით, ნაკითხი აღმოჩნდა მისი მეგობარი დაჩი ცაგურია (58%). ის შეხვედრაზე ისე დამთანხმდა, არც უკითხავს, რა თემაზე უნდა გვესაუბრა, მაგრამ როცა გაიგო, რომ „ერუდიტში“ უნდა ჩამეწერა, მითხრა:

„— ძალიან გთხოვთ, ჩემ ნაცვლად სხვა ვინმე ჩაწერე.

— **ჩვენ შეხვედრაზე უკვე შევთანხმდით.**

— (*მაწყვეტინებს*) შევთანხმდით, მაგრამ 1 კვირით გადავდოთ. გპირდები, უარს არ გეტყვი, უბრალოდ, მანამდე მოვემზადები.

— **დაჩი, პატარა ბავშვივით ნუ იქცევი!**

— ძალიან გთხოვ, გამიგე, რესპონდენტს თუ გინდა, მე მოგიყვან.

— **საინტერესოა, ვის მთავაზობ?**

— ირაკლი კორძაია ჩაწერე, აქვეა, გვერდით ოთახში.

— **არ მინდა.**

— მაშინ, გოგა ხაინდრავასთან დავრეკავ“.

დაჩის უფლებას ვაძლევ, ბატონ გოგასთან დარეკოს, მაგრამ ის ეუბნება, რომ სუფრასთან ზის და გამოსვლას ვერ შეძლებს; ჩემი რესპონდენტი ამჯერად, დათო მაღრაძესთან დაკავშირებას ცდილობს, მაგრამ აბონენტი მომსახურების ზონიდან გასულია. მოგვიანებით, მას გია გაჩეჩილაძე ახსენდება და მთავაზობს, — უცნობთან „საკანში“ წაგიყვანო... მოკლედ, ნახევარსაათიანი სატელეფონო ლაპარაკის შემდეგ დაჩიმ მკითხა:

„— რა ვქნა? რესპონდენტის შეთანხმება მართლაც, რთული ყოფილა.

— **სხვა გზა არა გაქვს, ინტერვიუზე უნდა დამთანხმდეიცოდე, სხვაგვარად აქედან არ წავალ და არც შენ გაგიშვებ.**

— არა, არა, არა!

— **მაშინ დავწერ, რომ „ერუდიტს“ თავი აარიდე, უზრდელად მოიქეცი და ...**

— (*მაწყვეტინებს*) არა, ინტერვიუდან გამექცაო, — არ დაწერო.

— **რას დავწერ, ეს უკვე ჩემი საქმეა.**

— (*ფიქრობს*) კარგი, თანახმა ვარ, ჩაწერა დავიწყოთ...“

„ღამის შოუს“ სტუდიის თანამშრომელი, ირაკლი კაკაბაძე (69%) შეხვედრაზე ადვილად დავითანხმე, მაგრამ სტუდიაში მისულს, მის ნაცვლად, ირაკლი ვახტანგიშვილი დამხვდა. კაკაბაძეს გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა, შენ ვეღარ დაგიკავშირდა და ტყუილად მოსვლა რომ არ გამოგსვლოდა, თავის ნაცვლად მე დამტოვაო. ირაკლიმ ინტერვიუს დროს რამდენჯერმე ამოიოხრა: ოხ, კაკაბაძე, ეს რა შარში გამხვიეო!.. ყველაზე გაუცინარმა იუმორისტმა, გიორგი ჯანელიძემ (52%) ლაპარაკი ქუთაისში გატარებული წლების გახსენებით დაიწყო: „ისეთ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე, სადაც სინათლე არ იყო, ამიტომ ფილმებს ვერ ვუყურებდი, სამაგიეროდ, ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული“. მას თურმე, არ უყვარს პოეზია და ლექსს სერიოზულ ნამუშევრადაც ვერ აღიქვამს.

გიორგი ჯანელიძისგან განსხვავებული გემოვნება აქვს მერაბ სანოძეს (64%). ის პოეზიის მოყვარულია და მეგობრებს საკუთარ სტუდიაში ჩაწერილ აუდიოწიგნებითაც ხშირად ასაჩუქრებს. აკა მორჩილაძე კი ის ავტორია, რომლის ახალ წიგნს გამოსვლისთანავე იძენს და კითხულობს.

„რა კარგია, რომ შეხვედრაზე დაგთანხმდი. თურმე, რამდენი რამ მცოდნია და არ ვიცოდი“, — მითხრა ინტერვიუს ჩაწერის დროს გივი სიხარულიძემ (68%) და თან, გაიხსენა: „ბავშვობაში წიგნის კარადას ახლოს არ ვეკარებოდი. მშობლები ხელში თუ შემომაჩეჩებდნენ, შორს მოვისროდი... 17 წლის რომ ვიყავი, ახლობლის ოჯახში სუფრასთან მოვხვდი. იქ ერთი შეუხედავი, ცუდი მანერების კაცი იყო. ვგრძნობდი, მისი თითოეული სიტყვა, ქცევა ყალბი გახლდათ, მაგრამ თავისი განათლებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე გავლენა მაინც მოახდინა, მთელი სუფრა მისმა ლექსებმა ნიაღვარივით წალეკა. ქალები მოხიბლულები უსმენდნენ. მაშინ საკუთარ თავს ვუთხარი, ასეთმა ადამიანებმა რომ არ მაჯობონ, უნდა გავნათლდე-მეთქი. იმ დღის შემდეგ წიგნები ძალიან შევიყვარე...“

პარლამენტის წევრი ნუგზარ ერგემლიძე (73%) შარშან „ერუდიტში“ ჩაწერაზე მტკიცე უარს აცხადებდა, წელს კი შეხვედრაზე დამთანხმდა. ინტერვიუს დროს მითხრა: „როცა პოლიტიკაში მოსვლა გადავწყვიტე, გაღიზიანებულ ადამიანთა მთელი არმია ჩემზე ალაპარაკდა. ისინი მომღერალს მოაზროვნედ არ მიიჩნევენ. იმიტომ, რომ ვმღერი, რატომ უნდა თქვას ვიღაცამ, რომ არაფერი გამეგება, რომ ჩემი ადგილი პოლიტიკაში არ არის?!.“

პარტია „თავისუფლების“ ლიდერს, კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში შევხვდი. ვიდრე კითხვარზე გადავიდოდით, მითხრა: როცა ამა თუ იმ საკითხში წინასწარ ვემზადები, ჩემი მეხსიერება უნიკალურად ფუნქციონირებსო. მას ყველაზე მეტად, გერმანული და ფრანგული ლიტერატურა ჰყვარებია, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ქართული კონკურს გარეშეა. კონსტანტინე გამსახურდიამ კითხვების 85%-ს უპასუხა და 2009 წლის „ერუდიტიც“ გახდა.

თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძეს ამ რუბრიკამ ერთი ანდაზა გაახსენა: „ნათქვამია, ქოთნის ამბავი ციცხვმა იცისო. ჰოდა, შენ ის ჟურნალისტი ხარ, რომელმაც ყველაზე კარგად იცის, თავში ვის რა აქვს“. ახლა თქვენც იმავეს გეტყვით, რაც მაშინ ნიკას ვურჩიე: იკითხეთ „გზა“ და ეს თქვენც გეცოდინებათ.

■

ანეკდოტები

* * *

ციხიდან ახალგამოსულმა მძარცველმა საყვარელს ძვირად ღირებული ბეჭედი აჩუქა.

— ღმერთო, რა შესანიშნავია! — აღმოხდა ქალს. — რა ღირდა?

— ხუთი წელი და სამი თვე.

* * *

— რამდენი შვილი გყავთ?

— შვიდი.

— რამდენი წლისანი არიან?

— თერთმეტის, ათის, ცხრის, რვის, შვიდის, ექვსის, ხუთის... მერე ტელევიზორი ვიყიდეთ.

* * *

ორი ბიზნესმენი სასაფლაოზე მეგობრის საფლავს ეძებს. დაღლილები ერთ-ერთ საფლავთან ჩამოსხდნენ. ერთი ეუბნება მეორეს:

— მისმინე, იქნებ, საფლავიც ცოლის სახელზე გააფორმა, ჰა?

* * *

— ჩემი შვილი ექიმი გამოვა.

— სამედიცინოზე სწავლობს?

— არსადაც არ სწავლობს!

— აბა, ექიმი როგორ გამოვა?

— ვაკვირდები და ამ ბოლოს დროს, ჯიბეში სულ ტაბლეტები და შპრიცები უყრია!.. ნემსსაც კი თვითონ იკეთებს!..

* * *

— რით განსხვავდება ზაზუნა ვირთხისგან?

— ზაზუნას უკეთესი პიარი აქვს.

* * *

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მსჯელობს, წავიდეს თუ არა ნუდისტურ პლაჟზე. ცოლი უარზეა:

— არ წამოვალ, ყველა იფიქრებს, რომ ფულის გამო გამოგყევი ცოლად.

* * *

გურული ჭიშკარს მიადგა:

— მასპინძელო!

— მობრძანდით!

— ერთი, შენს გახარებას, წყალი დამალევინე, თორემ ისე მშია, ღამე სად გავათიო, არ ვიცი.

* * *

თინა მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

— ბავშვებო, გამოსაშვებ საღამოზე ყველამ ერთად უნდა გადავიღოთ სურათი. როცა გაიზრდებით, დახედავთ და გაიხსენებთ: „ეს იკაკოა, ბავშვობაში რა ცელქი იყო, ახლა კი მინისტრია; ეს ზურიკოა — რა გიჟიც იყო, ის დარჩა...“

— ეს კი ცხონებული თინა მასწავლებელია, — სიტყვა ჩამოართვა ზურიკომ.

* * *

დაქალების საუბრიდან:

— ახლა სად არის შენი ქმარი?

— წევს... ოცდაჩვიდმეტ-ნახევარი აქვს...

— ოო, აი ეს მესმის!.. გილოცავ, ჩემო დაია!..

* * *

— დედიკო, როცა გავიზრდები, ქმარი მეც მეყოლება?

— თუ კარგი გოგო იქნები, კი!

— და თუ ცუდი ვიქნები?

— მაშინ ბევრი ქმარი გეყოლება!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. რა ჰქვია ბილიარდის თამაშის დროს ლუზაში შემთხვევით ჩავარდნილ ბურთს?
2. დაასრულეთ ბალზაკის სიტყვები: „სიყვარულს სიცრუე ასულდგმულებს, მეგობრობას...“?
3. სპეციალური მოლბერტისა და საღებავების გამოყენებით მხატვარი ჯამი ვეიერლევეგენი წყალქვეშ ქმნის თავის ტილოებს. რა აღჭურვილობაა საჭირო მის გამოფენაზე მოსახვედრად?
4. რომელი ქვეყნის არმიის ჯარისკაცს ჰქვია ცირიკი?
5. დაასახელეთ გასკონიის დედაქალაქი.
6. დავით სოსლანი საქართველოს სამეფო კარზე თამართან ერთად იზრდებოდა. ორივეს სამშობლოში მობრუნებული ერაყის სულთნის ქვრივი ზრდიდა. ვინ იყო ეს ქალი?
7. რომელ მონასტერში აღესრულა წმინდა ნინო?
8. დაასრულეთ ფედერიკო ფელინის სიტყვები: „ჩემი საქმიანობა ამართლებს ჩემს...“
9. საფრანგეთის ქალაქ არლში 1888 წლის 23 დეკემბერს ბორდელის კარი სახედასისხლიანებულმა კაცმა შეაღო, იქაურ მეძავს, სახელად რაშელს კალთაში სისხლიანი ცხვირსახოცი ჩაუდო და უთხრა: „ეს თქვენ, გაუფრთხილდით თვალისჩინივით!“ ვინ იყო ის კაცი და რა იყო გახვეული ცხვირსახოცში?
10. რა არის საკე?
11. რას ნიშნავს სიტყვა „ფათა“?
12. იაპონიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების დღეს, 1945 წლის 2 სექტემბერს რამდენიმე ათასმა ოფიცერმა, ჯარისკაცმა, ჩინოვნიკმა და პატრიოტმა იმპერატორის სასახლის წინ მოედანზე მოიყარა თავი. რისთვის?

* * *

სეროჟას დედა ეძებს. გადმოდგა აივანზე და მეზობელს გასძახა:

— ტანია, სეროჟ უ ტებია?!

— ნეტ!

— სირანუშ, სეროჟ ქუ მოტა?!

— ჩე!

— ქეთო, სეროჟა შენთანაა?!

— სეროჟას ჩემთან რა უნდა?!

— ვაჰ, სად წავიდა ეს საძაგელი, სახლში წერილი დამხვდა, ბოზებში მივდივარო!..

* * *

სვანი მშობელთა კრებას ესწრება.

— აღარ ვიცი, რა ვქნა, — ეუბნება კლასის დამრიგებელი. — თქვენს ვაჟს რასაც ვეუბნები, ერთ ყურში შეუფრინდება და მეორე ყურიდან გამოუფრინდება ხოლმე.

— ცდებით, — ლაპარაკში ერევა ფიზიკის მასწავლებელი, — ვაკუუმში ბგერა არ ვრცელდება.

* * *

— რა გადასარევი ბავშვია!.. როგორი მხიარული, ჯანმრთელი, ლოყაწითელი!.. როგორი ჭკვიანი თვალები აქვს და საყვარელი თითები!.. ჰო, მართლა, 100 დოლარს ხომ ვერ მასესხებთ?!

— არა, არ გასესხებთ!.. ეს ჩემი მეუღლის ბავშვია, პირველი ქმრისგან ჰყავს!

* * *

— შოთიკო, ჩქარა ამოდი სახლში!

— ვერ ამოვალ, გიამ მანქანა წამართვა.

— არა უშავს, ფეხით ამოდი.

* * *

— სწორად გამიგეთ, ქალიშვილო, მე ყველას კი არ ვთავაზობ!..

— თქვენც სწორად გამიგეთ, არც მე ვეუბნები ყველას უარს.

* * *

მთვრალი კაცი ტრამვაიში ავიდა, რწევაში გული აერია და გვერდით მჯდომი ქალბატონი სულ გასვარა.

— ღორო! — უყვირა გამწარებულმა ქალმა.

— საკუთარ თავს შეხედე!

* * *

— ხანძრის დროს სიდედრი დამეღუპა.

— ვერ უშველე?

— ისე ტკბილად ეძინა, იმას რავა გავაღვიძებდი?!.

* * *

კაცმა წვეულებაზე ლამაზ სტუმარ ქალს აკოცა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ძალიან ჰგავხართ ჩემს ცოლს, გვირისტინეს.

— თქვენ თავხედი, ლოთი და სულელი ხართ! — უყვირა ქალმა.

— დედაა, ხომ ვთქვი, თლა ჩემი გვირისტინეა-თქვა!.. ასე ილანძღება ისიც!..

* * *

პლაჟზე ლამაზი ქალი წევს და „ზაგარს“ იღებს. მიხო და მიტო მთელი დღე ახლომახლო უტრიალებენ, მაგრამ ვერაფერს უბედავენ. მიხო ეუბნება მიტოს:

— კაცო, მთელი დღეა ვკითხულობთ, — ეს ქალი ვისია-თქო? — და ხმას არავინ იღებს. რაიმეს დავუპირებთ და ათასი პატრონი გამოუჩნდება.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ფუქსი.

2. „...გულწრფელობა“.

3. აკვალანგი.

4. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცს.

5. ბორდო.

6. თამარის მამიდა რუსუდანი — გიორგი III-ის და.

7. მისსავე დაარსებულ ბოდბის მონასტერში.

8. „...არსებობას“.

9. ეს კაცი ვინსენტ ვან გოგი გახლდათ, ცხირსახოცში კი მისი მოჭრილი ყური იყო გახვეული.

10. ბრინჯის არაყი.

11. „ფათა“ და „ყაიმი“ სინონიმებია.

12. რათა ხარაკირით მოესწრაფებინათ სიცოცხლე (უკლებლივ ყველა მათგანი ასეც მოიქცა).

ჩვენი ფოტო გაღვრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

2010 წლის ასტროლოგიური პროგნოზი მიხეილ ცაგარელისგან

ვერძი

სიყვარული: იანვარ-თებერვალში შეიძლება დიდი ხნის წინ მივიწყებული სიყვარული გაგახსენდეთ. უკვე ჩამოყალიბებულ ურთიერთობას აპრილში გამოცდას ნუ მოუწყობთ. ივნისის დასაწყისში ნუ აჰყვებით ილუზიებს, თორემ შეიძლება, მომავალში გული მწარედ გეტკინოთ. ივლისის ბოლოს სასიყვარულო განცდები იმატებს. სასიყვარულო ურთიერთობის უფრო სერიოზულ ფაზაში გადაყვანის საუკეთესო პერიოდია: 12 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე და 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე.

ოჯახი: მარტსა და აპრილში მატერიალური შემოსავალი გაგეზრდებათ. სექტემბერი კარგი პერიოდია შვილებთან ჰარმონიული ურთიერთობისთვის. ოქტომბერში მეორე ნახევართან კონფლიქტურ სიტუაციას თავი აარიდეთ.

მეგობრობა: თქვენს გარემოცვაში ახალი, კარგი ადამიანები გამოჩნდებიან. ნოემბერ-დეკემბერში მეგობრებთან ურთიერთობისას დიპლომატია გამოიჩინეთ.

ჯანმრთელობა: ვეფხვის წელიწადი არ უქმნის სერიოზულ პრობლემებს თქვენს ჯანმრთელობას, მაგრამ გადატვირთვას შეიძლება, უკუჩვენება მოჰყვეს. არ ასწიოთ სიმძიმეები. კვების რაციონი გაიმდიდრეთ თევზეულითა და რძის პროდუქტებით.

ჯერო

სიყვარული: თებერვლის ბოლოს კარგია ქორწინება. ივნისში იმატებს სექსუალური მიზიდულობა. პირად ურთიერთობებში ნუ გამოავლენთ დიქტატორულ თვისებებს. აგვისტოში თქვენი ვნება და შარმი პიკს მიაღწევს, მაგრამ გადატვირთული სამსახურებრივი გრაფიკი თქვენს რომანტიკულ ურთიერთობას შეუშლის ხელს. გვიან შემოდგომაზე იდეალურ-ჰარმონიული პერიოდი დაგიდგებათ.

ოჯახი: მარტი-მაისი კარგი პერიოდია მშენებლობისა და რემონტისთვის, ივნისივლისში კი გირჩევთ, ინტერიერი შეცვალოთ. აგვისტო-სექტემბერში ოჯახის წევრებთან ერთად დაისვენეთ.

მეგობრობა: მაისიდან აქტიურად ჩაერევით მეგობრების ცხოვრებაში. ივლისში მოტყუებული არ დარჩეთ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც მეგობრებად მიიჩნევთ. გამორიცხული არაა, რომ მეგობარი თქვენივე სასიყვარულო პარტნიორი გახდეს.

ჯანმრთელობა: განსაკუთრებით ყელსა და ყურებს გაუფრთხილდით. მოსალოდნელია ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, მარილების დაგროვება. აგვისტო-ოქტომბერში შეამცირეთ ცხიმიანი და ტკბილი საკვების მიღება, დაიცავით დიეტა. საკვებ რაციონში შეიტანეთ ხილი, ბოსტნეული, ძროხის ხორცი.

ტყუპი

სიყვარული: საიმედო და ერთგული პარტნიორის მოძებნით იქნებით დაკავებული. თებერვლიდან ივნისამდე მოიმატებს თქვენი შარმი და მიზიდულობა. ამ პერიოდში ხელსაყრელია ნიშნობა და ქორწინება. ნუ მისცემთ პარტნიორს თქვენზე ბატონობის უფლებას.

ოჯახი: იანვრიდან ივნისის ჩათვლით, მშობლებთან და შვილებთან ურთიერთობა გაგიფუჭდებათ, ამიტომ სახლში თავს კომფორტულად ვერ იგრძნობთ. ივლისიდან ნოემბრამდე ყურადღების ცენტრში იქნებით.

მეგობრობა: მარტში მეგობრულ შეხვედრებს ხშირად მოაწყობთ. ივნისში გავლენიან ადამიანებთან დამეგობრების საშუალება მოგეცემათ. აგვისტო-სექტემბერში სასიყვარულო განცდები მეგობრობას უკანა პლანზე გადასწევს.

ჯანმრთელობა: ზამთარში მოიმატებს ხელებისა და მხრების ტრავმის ალბათობა. შესაძლოა, თავი იჩინოს ქრონიკულმა დაავადებებმა. მაისსა და აგვისტოში გაიძლიერეთ იმუნიტეტი. ოქტომბერში სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები იჩენს თავს. მეტი ყურადღება მიაქციეთ ფილტვებს. გაიმდიდრეთ საკვები რაციონი მწვანილით, რძის პროდუქტებით, ვიტამინებით, შეამცირეთ მარილიანი და ცხიმიანი საკვები.

პირჩხიბი

სიყვარული: წლის დასაწყისში ხშირად იარეთ სტუმრად, სხვადასხვა ღონისძიებაზე. შემოდგომაზე შეიძლება, ძველ სიყვარულს დაუბრუნდეთ. წლის ბოლოს თქვენი მხრიდან მოსალოდნელია ეჭვიანობის მატება.

ოჯახი: მშობლებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სამსახურსა და ოჯახს შორის გახლეჩა მოგიწევთ. აპრილში შესაძლოა, დაგაწინაურონ. მოგიწევთ საცხოვრებელი ბინის გამოცვლა, რემონტის გაკეთება ან დიზაინის შეცვლა. თქვენი საგვარეულო-გენეტიკური ისტორიის შესწავლა თქვენსავე განვითარებას შეუწყობს ხელს.

მეგობრობა: მეგობრების დახმარებით უცხოეთში გამგზავრებას ან სამსახურის დაწყებას შეძლებთ. მათთან ერთად განხორციელებული პროექტები წარმატებას გიქადით.

ჯანმრთელობა: ნერვიული გადაღლა თავის ტკივილს, ალერგიას, დეპრესიასა და კუჭ-ნაწლავებთან დაკავშირებულ პრობლემებს გამოიწვევს. მოერიდეთ სტრესულ, დაძაბულ სიტუაციებს. ნოემბერში მოსალოდნელია მცირეოდენი პრობლემა ღვიძლთან დაკავშირებით. გაიმდიდრეთ რაციონი თევზეულით, ქლიავით, კომბოსტოთი, ოხრახუშით, ხაჭოთი. ყურადღება მიაქციეთ საკვების ხარისხს. მოერიდეთ ალკოჰოლს. თქვენთვის აუცილებელია ცურვა და დასვენება.

ლომი

სიყვარული: თებერვალი სახიფათო აღმოჩნდება უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობისთვის. ნუ აჰყვებით ჭორებს და ნუ იეჭვიანებთ. მაისის ბოლოდან რომანტიკული ნაცნობობა და თავგადასავლები გელით. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანების მიმართ. შემოდგომაზე კარგია ძველი ურთიერთობის აღდგენა.

ოჯახი: მარტამდე შეიძლება, ძველ საცხოვრებელ მისამართზე ან მშობლებთან დაბრუნდეთ. სექტემბერ-ოქტომბერში ოჯახის წევრების პრობლემების მოგვარებას მარტივად შეძლებთ.

მეგობრობა: ვეფხვის წელიწადი მეგობრული ურთიერთობის, საქმიანი კონტაქტების ჩამოყალიბებასა და გამყარებას შეუწყობს ხელს. სასიკეთო იქნება მეგობრებთან ერთად საქმიანობის წამოწყება ან საზღვარგარეთ გამგზავრება.

ჯანმრთელობა: ზამთარში მოსალოდნელია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესუსტება. მიხედეთ კბილებს. საკვები რაციონი გაიმდიდრეთ კალიუმის შემცველი პროდუქტებით, ხილ-ბოსტნეულით, ხორცის ნახარშით. აგვისტო-სექტემბერში ყურადღება მიაქციეთ კუჭქვეშა ჯირკვალს, ნაღვლის ბუშტსა და თირკმელს. ხშირად მიიღეთ კაკაო, ციტრუსები.

ქალწული

სიყვარული: ფორტუნა ხელს შეგიწყობთ საინტერესო ადამიანების გაცნობაში. ძველი ურთიერთობის დაშლა-გამყარებაც თქვენზე იქნება დამოკიდებული.

ოჯახი: ახალგაზრდა თაობას თქვენი ყურადღება დასჭირდება. შეეცადეთ, გამოუმუშაოთ მათ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა, დისციპლინა. ოქტომბერ-დეკემბერში მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს, შეიძინეთ აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნივთები. საგრძნობლად გამოსწორდება ურთიერთობები ახლობლებთან.

მეგობრობა: შეიძლება, მეგობრული ურთიერთობა საქმიან ურთიერთობაში გადაიზარდოს. მარტში თქვენი გრძნობა რომანტიკულ ელფერსაც მიიღებს. შემოდგომაზე ახალ, გავლენიან მეგობრებს შეიძენთ.

ჯანმრთელობა: მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. იანვრი-

გაგრძელება იხ. გვ. 104

მედია-დანაზოგი
ანტიკრიზისული პროექტი

მან უკვე ნახა ჩვენი ფასები
თქვენ?

4–11 იანვარი

„სიტყვა და საქმის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილია კუპონი,

მიიტანეთ 1 კუპონი „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში თბილისში

იოსებიძის 49, აღმაშენებლის 121, რუსთაველის 40 /1

კუპონი მიიტანეთ მაღაზია „თენ-ექსკლუზივში“

აბაშიძის 21 ტელ: 22-41-70; 899 55 34 07

აქციაში მონაწილეობის მსურველი კომპანიები დაგვიკავშირდით: danazogi@palitra.ge

დასაწყისი იხ. გვ. 102

დან ივლისამდე ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის სისტემას, დაიცავით დიეტა და შეამცირეთ შემწვარი საკვების მიღება. გაიმდიდრეთ რაციონი ხილ-ბოსტნეულით, რძის პროდუქტებით. რეგულარულად ივარჯიშეთ სუფთა ჰაერზე.

სასწორი

სიყვარული: წლის დასაწყისი საშინელებათა სიზმარს მოგაგონებთ. მაღალია მოტყუების, ინტრიგების, ჭორებისა და შიშების წარმოქმნის ალბათობა. ივლისის ბოლოს ან სექტემბერში ახალ, ჭეშმარიტ სიყვარულს შეხვდებით.

ოჯახი: ახლობლებისგან უამრავ საჩუქარს მიიღებთ. მოაგვარებთ ურთიერთობას მშობლებთან, უფროს თაობასთან. ოჯახური კეთილდღეობა თქვენზე იქნება დამოკიდებული. დეკემბერში ხშირ-ხშირად მოიწვიეთ სტუმრები, ისინი ბედნიერებას მოგიტანენ.

მეგობრობა: შესაძლოა, სამეგობროდან ვინმე სიყვარულში გამოგიტყდეთ. ეცადეთ, მეგობრების მიერ შემოთავაზებულ სარისკო მოქმედებებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას თავი აარიდოთ.

ჯანმრთელობა: გაგირთულდებათ ნივთიერებათა ცვლა. თებერვალ-მარტში ყურადღება მიაქციეთ თირკმლებსა და ნერვულ სისტემას. მეტად დაისვენეთ ბუნებაში. ივლისში ჩაიტარეთ ჯანმრთელობის პროფილაქტიკა. რაციონში შეზღუდეთ ტკბილეული და მჟავე საკვები.

მორიელი

სიყვარული: ვარსკვლავები გამოცდას მოუწყობენ თქვენს სიყვარულსა და ქორწინებას. თუ ამ გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ, გულუხვად დასაჩუქრდებით. მარტში მსუბუქი ფლირტი გელით. ივლისში შესაძლოა, სასიყვარულო ექსპერიმენტები ძვირი დაგიჯდეთ. არ გააბათ სამსახურეებრივი რომანი.

ოჯახი: დაუფარავად გამოხატეთ გრძნობები ახლობლებისადმი და დაარწმუნეთ ისინი თქვენს სიყვარულში. თებერვალში საოჯახო მოვალეობები სამსახურებრივი საქმეების შესრულებაში შეგიშლით ხელს. ეცადეთ, პასუხისმგებლობის გრძნობა არ დაკარგოთ.

მეგობრობა: უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ახალგაცნობილ ადამიანებს საიდუმლო არ გაანდოთ. აგვისტოში მეგობრების დახმარებით ძველ პრობლემებს მოაგვარებთ და თქვენი ურთიერთობაც გაუმჯობესდება.

ჯანმრთელობა: ივლის-აგვისტოში სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემა რომ არ შეგექმნათ, მეტი დაისვენეთ. აკონტროლეთ შარდ-სასქესო სისტემა. გაიმდიდრეთ რაციონი ბოსტნეულით, თევზეულით, რძის პროდუქტებით და ძროხის ხორცით. ყურადღება მიაქციეთ კვებას, დაიცავით რეჟიმი.

მშვილდოსანი

სიყვარული: მარტამდე სასიყვარულო ურთიერთობებში გაუგებრობა და კონფლიქტებია მოსალოდნელი. მაისი კარგი პერიოდია ქორწინებისთვის. ივლის-სექტემბერში ახალი სასიყვარულო თავგადასავლები გელით.



ოჯახი: საოჯახო საკითხების მოგვარებაში იუმორი დაგეხმარებათ. შემოდგომაზე მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებსა და მოზარდებს. საცხოვრებელი ადგილისა და ინტერიერის შესაცვლელად საუკეთესო პერიოდია ივნისი.

მეგობრობა: პასუხისმგებლობისა და ერთგულების გრძნობა კიდევ უფრო გაამყარებს თქვენს მეგობრობას. მაის-ივნისში მეგობრებთან ერთად დაწყებული პროექტები შემოსავალს მოგიტანთ.

ჯანმრთელობა: მოიმატებს გაცივების ალბათობა. წლის დასაწყისში მიხედეთ ფილტვებს (ეს განსაკუთრებით, მწეველებს ეხება). მოსალოდნელია დაუგეგმავი ფეხმძიმობა ივნის-სექტემბერში. რაციონი გაიმდიდრეთ რკინის შემცველი პროდუქტებით.

თხის რქა

სიყვარული: იანვარიდან ივნისამდე საყვარელ ადამიანთან იდეალური ურთიერთობა გექნებათ. კარიერაზე ფიქრმა თქვენს სიყვარულს ხელი არ უნდა შეუშალოს. აპრილში მოსალოდნელია მსუბუქი ფლირტი. მაისსა და ივლისში გრძნობები სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება. ოქტომბერ-ნოემბერში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავეთ.

ოჯახი: სამსახურში დაძაბული გრაფიკის გამო, საოჯახო საქმეებზე ყურადღების გადატანა გაგიჭირდებათ. ივნისში მეუღლესთან კონფლიქტს მოერიდეთ. ზაფხულში აგარაკის შესაძენი თანხა გაგიჩნდებათ.

მეგობრობა: მეგობრების კონსულტაცია საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებათ. გააუმჯობესეთ ურთიერთობა მეგობრებთან და კოლეგებთან.

ჯანმრთელობა: გაუფრთხილდით წელის გაცივებასა და ნერვულ გადატვირთვას. მეტი ყურადღება მიაქციეთ კანს. მაღალია ტრავმების ალბათობა. რაციონი გაიმდიდრეთ კომბოსტოთი, თევზეულით, კვერცხით, ხახვით, ფორთოხლით. რეგულარულად ივარჯიშეთ.

მერწყული

სიყვარული: ყველა წვრილმანს ნუ ჩაეჭიდებით. უმჯობესია, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას დიპლომატია გამოიჩინოთ.

ოჯახი: აპრილში საოჯახო და საყოფაცხოვრებო პრობლემები გადაწყვიტეთ. ზაფხულში მეტი დრო გაატარეთ უფროს თაობასთან, ოჯახის წევრებთან ერთად დაისვენეთ და იმოგზაურეთ.

მეგობრობა: წლის დასაწყისში მეგობრებისგან განსაკუთრებულ თანადგომას იგრძნობთ. შესაძლოა, მათთან ერთად დასვენებაც მოგიხდეთ. ჯანმრთელობა: მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებსა და ემოციურ გადაღლას. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. გაიმდიდრეთ რაციონი თევზეულით, შავი პურით, კვერცხით, ბრინჯითა და მწვანილით. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

თევზები

სიყვარული: იანვარში საზოგადოებრივი მოღვაწეობა თქვენს სიყვარულს შეუშლის ხელს. აპრილში სასიყვარულო რომანი შესაძლოა, მეზობელთანაც გააბათ. ივნის-ივლისში მოერიდეთ პარტნიორთან საქმეების გარჩევას. წელიწადის ბოლოს საყვარელ ადამიანთან ერთად, საზღვარგარეთ მგზავრობა გელით.

ოჯახი: აპრილში შესაძლოა, საოჯახო იდილია დაირღვეს. ივნისში მოსალოდნელია კონფლიქტი მშობლებთან, უფროს თაობასთან. წლის ბოლოს ოჯახის ლიდერი და მფარველი ანგელოზი გახდებით.

მეგობრობა: მეგობრებთან დაძაბული ურთიერთობაა მოსალოდნელი. გაგიჭირდებათ მათი გაგება და საერთო ინტერესების გამონახვა. დროა მიხვდეთ, ვინაა თქვენი ნამდვილი მეგობარი და ვისთან ჯობს ურთიერთობის გაწყვეტა.

ჯანმრთელობა: მაღალია ინფექციების საშიშროება. მოერიდეთ ორპირ ქარს. ყოველდღე მიიღეთ ცხელი აბაზანა და გაიკეთეთ ტერფების მასაჟი. შეამცირეთ ალკოჰოლის მიღება. ივლის-აგვისტოში აუცილებლად გაემგზავრეთ ზღვაზე. მიიღეთ რკინის შემცველი პროდუქტები და გაიმდიდრეთ რაციონი ბოსტნეულით, შავი შოკოლადით. ■



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ნავიგაცია; 2. სვავი; 3. უგულავა; 4. ცერცვი; 5. ხაბაზი; 6. კავალერია; 7. უხა; 8. ეტიკეტი; 9. ოლიფა; 10. ქვევრი; 11. მატრიკული; 12. აისი; 13. სტატია; 14. მარტივი; 15. ის; 16. მე; 17. ნიქოზია; 18. გადია; 19. საკურა; 20. რინგი; 21. ჯამე; 22. ია; 23. ცელი; 24. ტონა; 25. წიწიბურა; 26. ბაქია; 27. ნიგოზი; 28. დიეტა; 29. დინგი; 30. ყია; 31. ორე; 32. კვირა; 33. ხარება; 34. აუდი; 35. თხა; 36. იარა; 37. ხმელი; 38. ბრამსი; 39. პალაუ; 40. პირატი; 41. ფლორიდა.

სურათებზე: 1. ნიკოლ კიდმანი; 2. ევან მაკგრეგორი.

სპეციალური კროსვორდი

ჩ	ვ	ე	ნ	ს	ქ	უ	რ	ნ	ა	ლ	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ	ა	რ	მ	ო	ი	წ	ყ	ე	ნ
ძ	ა	ს	ა	ტ	ი	ი	ა		ზ	ა	ა	ი	ე	მ	ა	ა	ლ	მ	უ	ნ	ე	ი	ი	ი	ა	ბ	

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჩ. საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი; **ვ**. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე**. რა ერქვა ჩე გევარას; **ნ**. ერი; **ს**. ყველაზე დიდი კუნძული ავსტრალიის მახლობლად; **ჟ**. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; **უ**. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი; **რ**. რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **ნ**. ბუნებრივი უნარი, ტალანტი; **ა*** ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ლ*** ... ვაიკულე; **თ*** წვრილი ღვედი; **ა*** რა ერქვა პიპინია ერისთავის ნაბოლარა შვილიშვილს მხატვრულ ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“; **ნ*** გიორგი საკაძის მშობლიური სოფელი; **ე*** მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **რ*** აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა; **თ*** რა გვარი იყო მოხუცი დოროთე, რომლის ოჯახის ამოწყვეტასაც დათა თუთაშხიას აბრალებდნენ; **ა*** მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **დ*** ფულის ერთეული საბერძნეთში (ევროს შემოღებამდე); **ა*** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **რ*** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის ავტორი“; **მ*** რა გვარი იყო რომეო; **ო*** რა გვარი იყო ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი; **ი*** მდინარე ჩინეთში; **წ*** სოფელი სიღნაღის რაიონში; **ყ*** რა ჰქვია კომპასს ქართულად; **ე*** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ნ*** ბიბლიური პერსონაჟი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჟ* ჟივჟივი; **უ*** ურემი; **რ*** რანგუნი; **ნ*** ნიაგარა; **ა*** ანცი; **ლ*** ლივრეა; **ი*** იტალია; **გ*** გულდენი; **ზ*** ზნე; **ა*** არქიელი; **ს*** სკალპი; **ა*** აბრაამი; **უ*** უისლერი; **კ*** კრატერი; **ე*** ეგო; **თ*** თემური; **ე*** ეზოპე; **ს*** სვიფტი; **ო*** ონტარიო; **ა*** აზატი; **რ*** რინგი; **ჩ*** ჩხა; **ე*** ესკიმო; **ვ*** ვიაგრა; **ა*** აორტა; **ნ*** ნისანი; **ი*** იუანი; **ა*** აკორდი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
ვენაცვალე ქარსაო, მოიტანა კარსაო

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

1	6	2	5	8	9	7	4	3
8	3	5	7	4	2	6	9	1
9	4	7	6	1	3	5	8	2
7	8	1	2	9	4	3	5	6
3	5	9	1	6	7	4	2	8
4	2	6	8	3	5	9	1	7
5	9	8	3	2	6	1	7	4
6	1	4	9	7	8	2	3	5
2	7	3	4	5	1	8	6	9

1	8	7	9	6	2	3	4	5
5	4	6	3	7	1	9	2	8
9	2	3	4	8	5	7	1	6
4	9	2	1	5	8	6	3	7
3	6	8	2	9	7	1	5	4
7	5	1	6	3	4	2	8	9
2	7	4	5	1	6	8	9	3
8	3	5	7	2	9	4	6	1
6	1	9	8	4	3	5	7	2

1	7	5	8	2	6	4	3	9
6	4	9	3	5	7	1	2	8
2	3	8	9	4	1	6	7	5
4	2	7	6	9	5	8	1	3
3	5	1	2	8	4	7	9	6
9	8	6	1	7	3	2	5	4
5	1	4	7	3	8	9	6	2
7	9	3	4	6	2	5	8	1
8	6	2	5	1	9	3	4	7

* **მარტივი**

6	7			9			1	8
2			3	7		5		
		5		8				9
		2		1		7	6	
	6		4				3	
	5	4		6	3	9		
4				5		6		
		9		3	6			2
3	8			4			5	7

** **საშუალო**

		2	7				5	
	9			3			6	
					5	7		
		6		9			7	
	5				1		3	
	7			8	2	9		
		4	8					
	1			5			8	
	3				9	6		

*** **რთული**

		9	2				4	
	8				4	6		
				1				2
	6			7	3			4
	4				8		5	
2				4			9	
5				6				
		3	8				6	
	1				7	3		

ფოტოკუთხეები







b 204/46

2010

ილია ჭავჭავაძის - ილია ჭავჭავაძე